საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№23 (66)
23 - 29 ივნისი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

3 ვინ რომელ სავარძელს დაიკავებს ახალი „კარუსელის“ შემდეგ?

4 მწვანე შუქი „სიკვდილით მოვაჭრე“ ვიქტორ ბუტისა და მისი პარტნიორი თემურ ალასანიასთვის

7 კენიური ხორციდან რუანდულ დემოკრატიამდე

8 უჯორჯებო Georgia და კაპიტან გრანტის შვილები

12 მალე ათასობით მასწავლებელი უმუშევარი დარჩება

18 გულაობის 120 დღე

## ტროას კვიცები

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ საქართველოში გამავალ მონაკვეთს აafეთქებენ. შემდეგ ამფეთქებლებს საქართველოს კონტრდაზვერვა დააკავებს. ტერაქტის შემსრულებლებად საზოგადოებასა და პრესას წარუდგენენ ორ ეთნიკურ სომეხს, რომლებიც ადრე ახალქალაქის რუსულ სამხედრო ბაზაზე მსახურობდნენ. ისინი აღიარებენ, რომ რუსული სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდნენ...

2



მიუნხენში შეკრებილთა გვარებისთვის თვალის გადავლებისას ზოგიერთ დამკვირვებელს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ ხელისუფლებას ამ ჯგუფის კონტროლისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტები ექნება; მეტიც, იფიქროს, რომ ეს არის (პირობითად) „ოპერაცია ტროას ცხენი“, რომლის საბოლოო მიზანი (არჩევნების იდეის პროფანაციის შემდეგ) ე.წ. აჯანყების და, ზოგადად, რადიკალური საპროტესტო აქციების იდეის დისკრედიტაციაა.

## ევროსასამართლოში საჩივრებით საქართველო მეშვიდე ადგილზეა 15

## დავეწიოთ დუბაის და მოვწამლოთ ყირგიზები!

**ერთმა ინფორმაციამ, რომელიც ყირგიზეთის სააგენტო „აკიპრესზე“ დაყრდნობით გავრცელდა, მეხსიერების აკლდამიდან ჩვენი სახელოვანი უახლესი ისტორიის ერთი, დავიწყების პირას მისული რევოლუციური ლოზუნგი, ირაკლი ოქრუაშვილის „ოქროს“ ფრაზა (თავდაჯერებული სიბრიყვის განუმეორებელი ნიმუში) — რუსეთში ფეკალიებიც გასაღდებაო — „დამიკლიკა“.**

გაფრინდა ეს აფორისტული გამოთქმა და, სად დადგა ფეკალიების სურნელება, თქვენც კარგად იცით.

ინფორმაცია კი სიტყვა-სიტყვით ასეთია: **„ყირგიზეთში ჰუმანიტარული დახმარების სახით საქართველოდან გაგზავნილი მედიკამენტები ვადაგასული აღმოჩნდა. ასეთი დასკვნა წამლებისა და სამედიცინო პრეპარატების ხარისხის შემსწავლელმა კომისიამ წარმოადგინა.**

**8,2 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი საქართველოდან ყირგიზეთში 20 ივნისს სპეციალური რეისით გაიგზავნა. დახმარება ყირგიზეთში საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ჩაიტანა.**

**„სამედიცინო საქონლის ხარისხის შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ 70 პროცენტი ვადაგასული იყო“, — განუცხადა ჟურნალისტებს კომისიის წევრმა ვიქტორ ჩერნომორეცმა. მისი თქმით, კომისიამ ფაქტის შესახებ უკვე აცნობა საქართველოს ხელისუფლებას.**

წამლავთ ყირგიზებს, თქვე კაი დედ-მამის შვილებო?! იმ გაუბედურებულ ხალხს, რევოლუციის თუ კონტრრევოლუციის სამსხვერპლოდ განწირულს, მშიერსა და მწყურვალს, ბოგანოდ ქცეულს სასიკვდილოდ იმეტებთ?!

იცვლებიან ამ ხელისუფლების მოქმედი პირნი და შემსრულებლები, ამპარტავნება კი მუდმივ სიბრიყვედ რჩება. „მეფე-მზე“ და „მე ვარ კანონი!“ იმ ფეკალიების ყროლი ასდის ამ თქვენს „ჰუმანიტარულ აქციას“. „ვინც რა უნდა თქვას“ — უცვლელი დევიზია. ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ პირველი კლასიდან ინგლისურს მაინც ვასწავლითო. ვინც რა უნდა თქვას, „იქ, სადაც დღეს არის დუბაი, საქართველო 5-6 წელიწადში იქნებაო“.

ვინც რა უნდა თქვას, და „66 პროცენტით ჩვენ გავიმარჯვეთ არჩევნებში,“ — აცხადებს დიადი მეშადრევნე, ჩვენი პრეზიდენტი.

მოკრძალებით შევნიშნავ, — ვინც რა უნდა თქვას, და ყირგიზებს ვადაგასულ მედიკამენტებს ვუგზავნით... ჰუმანიტარული დახმარების სახით...

**ვისაც რა უნდა, ისა თქვას... მაგრამ ხალხსაც ჰკითხეთ, გვინდა კი, რომ ამ ჩვენი ხელისუფლების ანტიჰუმანურობის გამო ყირგიზი ხალხისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ქართველები ნამუსგარეცხილ ყალთაბანდებად წარმოვჩნდეთ?**

ეგ თქვენი ხელწერაა. გემიჯნებით!

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# გეშინოდეთ!!!

**„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთო“, – ამბობდნენ ძველად. „არჩევნები დამთავრდა, „ნაცების“ გეშინოდეთო“, – იტყვიან ამიერიდან.**

**როგორც მიცვალებულზე ამბობენ ხოლმე, – ჯერ გაციებულიც არ იყოო, ისეთი ამბები დაგვახვიეს თავს ორშაბათს. დიდი გნიასით ჩატარებული არჩევნების შედეგად დანიშნულმა საკრებულომ პირველი სხდომის ჩატარება ძლივს მოასწრო და ხელისუფლება ისეთ ვირაჟებზე გადავიდა, „მკვდარი მარყუჟი“ მონაგონია. სხვათაშორის, სიტყვა „ვირაჟი“ შემთხვევით არ მიხსენებია. მერე რა, რომ ხელისუფლებაში ნოღაიდელი აღარ არის. ბენდუ ხომ დარჩა?! ჰოდა, აი ამ ბენდუმ ისეთი საკანონმდებლო ინიციატივების კორიანტელი დააყენა, ეს რომ არჩევნების წინ გაეკეთებინა, უგულავას მერობა კი არა, მალხაზ გულაშვილივით ემიგრაციაში წასვლა მოუწევდა, ნაცებს კი მათი ოჯახის წევრებიც კი აღარ მისცემდნენ ხმას (ახლა თუ აძლევენ, ეგეც საკითხავია).**

ბენდუ და მისი პარასკევა რა მოსატანია და კახა ბაინდურაშვილის (ფინანსთა მინისტრი) ინიციატივით საგადასახადო კოდექსი კიდევ ერთხელ ჯგუფურად გააუპატიურეს და ერთადერთი, რაც დაუბეგრავი ან ბეგარაგაუზრდელი დარჩათ, ჰაერია.

**სპირტიან სასმელებზე აქციზი ორმაგდება. რასაც აქციზი არ ეხება, ის დღგ-ს გადამხდელთა სიაში შეიტანეს და გამოვიდა, რომ დღგ-ს გადამხდელი იქნება ყველა — უმაღლესი სასწავლებლები, სპორტული და მუსიკალური სკოლები...**

**უკვე ხსენებული (რა სახსენებელია, მაგრამ მაინც) ბაინდურაშვილი მშვიდად აცხადებს, კერძო უნივერსიტეტებს დიდი შემოსავალი აქვთ და დღგ-საც კარგად გადაიხდიანო.**

შე უბედურ დღეზე დაბადებულო, იმის მაგივრად, რომ ამ კერძო უნივერსიტეტებს რაღაც ნორმატივებს უწესებდე და გაძვალტყავებულ სტუდენტებზე ფიქრობდე, კიდევ ხალისობ, დიდი შემოსავალი აქვთ და ამასაც კარგად გადაიხდიანო? შენ რამდენი გადაგიხადეს შუბლის ძარღვის გაწყვეტაში?

**შეგირდს რამდენიმე საათში ბენდუც გამოექომაგა და ისეთი სიმშვიდით განაცხადა – ეს გადასახადი სწავლის საფასურის გაზრდას გამოიწვევსო, უმალ მიშიკო სააკაშვილი გამახსენდა, – რა მოხდა მერე, შიდა ქართლის რამდენიმე სოფელი წაგვართვეს რუსებმაო.**

რას ამბობ, ბენდუ, მართლა გამოიწვევს? არა რა, არ მჯერა. როგორ, შენ რამეს გააძვირებ საქართველოში და ხალხზე არ იფიქრებ? ან როდესმე გაგიკეთებია ისეთი რამ, რაც გაჭირვებული ხალხის ინტერესებს ლახავდა? შენც ხომ გაჭირვებული ხარ და თან ასჯერ უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე შიმშილის ზღვართან მობალანსე ჩვენი მოსახლეობა, რადგან მათ მატერიალურად უჭირთ, რაც თეორიულად მაინც მოგვარებადია, აი შენი შველა კი მხოლოდ მაღალ ღმერთს თუ შეუძლია, ისიც დიდი შრომისა და ჯაფის ფასად.

**გასაგებია, რომ ეს არჩევნები ნაცისტურ... ბოდიში, „ნაციონალურ მოძრაობას“ რამდენიმე ათეული მილიონი დაუჯდა, მაგრამ „დაფერთხონ“ თავიანთი მომხრე ბიზნესმენები, ხალხს რომ ატყავებენ კიდევ ერთხელ, თანაც — ანესთეზიის გარეშე.**

**თუმცა, შესაძლოა, სწორედ ანესთეზიის ფუნქცია ჰქონდა ღვინის 33-ე კონგრესზე შიშიკო სააკაშვილის გამოსვლას – იქნება და, ისეთი რამე ვთქვა, ხალხმა ყურადღება ჩემზე გადმოიტანოს და გადასახადებზე ნაკლებად იფიქროსო. გამოაცხო კიდეც მორიგი მარგალიტი და ერთმანეთს ვლადიმერ პუტინი და შაჰ-აბასი შეადარა.**

არა, ეს კაცი მართლა სამკურნალოა. შედარება შედარებად, ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ ბოდვაში ხომ არ უნდა გადახვიდე ადამიანი? შაჰ-აბასმა უბრალოდ ამოძირკვა ვაზი, პუტინმა კი თანამედროვე მეთოდი გამოიყენა – ჯერ ქართული ღვინო რუსულ ბაზარს მიაბა, შემდეგ კი რუსეთში ქართული ღვინის შეტანა აკრძალაო, — განაცხადა ისტორიის მტრად აღიარებულმა შიშიკომ.

ეეჰ, მიშა, მიშა, მაშ **პუტინმა მიაბა რუსულ ბაზარს ქართული ღვინო, არა?**

ცხელა თბილისში, ცხელა...

**დაგიჯეროთ, რომ პუტინი შაჰ-აბასია, მედვედევი — ჯალალ ედ დინი, ზიუგანოვი — თემურ ლენგი?.. მაგრამ მათ ერთად აღებულთ არ უვნიათ საქართველოსთვის იმის მეასედიც კი, რაც შენმა პოლიტიკამ დაგვმართა. მაშ, ვინ ხარ შენ?! შენ რომ მურვან-ყრუ შეგარქვეს და საკუთარი ხალხის გაჭირვებას ვერც ხედავ და არც გესმის?**

არჩევნები დამთავრდა, გეშინოდეთ 2013-მდე. მერე ცოტა ხანი აღარ შეგეშინდეთ (არჩევნების დასრულებამდე), შემდეგ კი ისევ გააგრძელეთ შიში. შიშიკო მუდამ ჩვენთანაა.

**სალვადორ დვალი**

# ტროას კვიცები



**„ნურავის გონია, რომ ჩვენ ხელს ავიღებთ და უარს ვიტყვით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან შეხვედრაზე. როგორც ჩანს, ამის გაკეთებას მმართველი ჯგუფი არც 2013-ში, არც მოგვიანებით, არ აპირებს. საერთოდ, ბოლო დროს სახელისუფლო პროპაგანდა ცდილობს, საზოგადოებაში რამდენიმე თემა შემოაგდოს: „2013 წლის პრობლემა“, „მემკვიდრის პრობლემა“, „სააკაშვილის გაპრემიერების პრობლემა“, რომელთაგან არც ერთი სინამდვილეში რეალური, რთულად დასაძლევი პრობლემა არ გახდება, იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იმავე მეთოდებს გამოიყენებენ, რომელთაც დღემდე მიმართავდნენ. ეს, ალბათ, უფრო საინფორმაციო და ფსიქოლოგიური შემზადებაა იმისათვის, რომ 2013-ში თვისობრივად არაფერი შეიცვლება; ამასთანავე, საზოგადოებისთვის იმ აზრის თავს მოხვევა, რომ 2010-12 წლებში ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით გამოსვლას აზრი არ ექნება.**

## ო, მოწყალეო ბატონო...

**როგორც ვხედავთ, სააკაშვილის ხელისუფლებას მომავალთან დაკავშირებით ისეთი ამბიცია აქვს, რომლის ანალოგიც „ათასწლოვან რაიხში“ თუ მოიძებნება.** თუმცა ცეცხლოვანი ოცნებები მარადიულ და შეუზღუდავ ძალაუფლებაზე მათი პირადი პრობლემაა, გაცილებით საინტერესოა, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობის ის მოდელი, რომელსაც საკუთარი პროექტის განხორციელების ფარგლებში შემოგვთავაზებენ. **ხელისუფლების უმაღლესი პირები, როგორც წესი, თავის ხედვებს მაღალფარდოვანი რიტორიკით ნიღბავენ, ხოლო დაბალი რანგის ჩინოვნიკები ხანდახან, წინაუხედაობის ან მომცრო გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე პირდაპირ ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ.** ასე რომ, მომავლის კონტურების დადგენაში მთავრობის საპარლამენტო მდივნის — გიორგი ხუროშვილის განცხადებები დაგვეხმარება, რომლებიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც ჩვეულებრივი სამუშაო საუბარი მიდიოდა მანამ, სანამ ხუროშვილმა გზების დაგებასთან დაკავშირებით შემდეგი რამ არ თქვა: **„ხელისუფლება მოსახლეობას საჩუქარს უკეთებს და მოწყალებას იღებს, ამ საჩუქარს კი გაფრთხილება სჭირდება“** (GHN).

ეს იყო არგუმენტი გზებით სარგებლობის საფასურის დაწესების სასარგებლოდ, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს; ჩვენ ხომ ამ შემთხვევაში ის გვაინტერესებს, რა წარმოდგენა აქვს ხელისუფლებას თავის ურთიერთობაზე ჩვენთან. **ღმერთო ჩემო, ისინი თურმე მოწყალებას გასცემენ, ჩვენ კი, უმადური მათხოვრები, მათ საჩუქარს არ ვუფრთხილდებით, არა! სიმართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ შემთხვევას, ძველი ეგვიპტის ფარაონების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი მსგავს აზრებს ავითარებდა. გნებავთ სომოსა, გნებავთ ბატისტა, მოკლედ ნებისმიერი ხელისუფლების მწვერვალზე ამძვრალი ორანგუტანგი ასეთ გამონათქვამებს ერიდებოდნენ და საკუთარ თავს ხალხის მსახურებს უწოდებდნენ.** იქნებ, ბატონმა ხუროშვილმა არასწორად ჩამოაყალიბა აზრი და შემდგომ უფრო რბილი ფორმულირება გამოიყენა? ნურას უკაცრავად... იმ პარლამენტშიც კი, რომელსაც ხშირად „სააკაშვილის სანოტარო კანტორას“ უწოდებენ, მისმა განცხადებამ პროტესტი გამოიწვია.

**„გზები იგება ბიუჯეტიდან. ბიუჯეტი კი მთავრობის საკუთრება არ არის.** — განაცხადა დეპუტატმა გურამ ჩახვაძემ, — **ეს არის სწორედ მოქალაქეების მიერ გადახდილი თანხა, და მეორე, გზების გასაკეთებლად მთავრობა იღებს გრძელვადიან სესხებს, რაც ისევ მოსახლეობის დასაფარია. ამიტომ, თუკი გზები იგება, ეს არც საჩუქარია, არც მოწყალება“** (GHN). თუმცა ამ შთაგონების შემდეგაც ხუროშვილმა არ დაამუხრუჭა: **„გადასახადებს მაშინაც ვიხდიდით, როცა არც გზები იყო და არც შუქი. ამიტომ, იმასთან შედარებით, ეს მართლა საჩუქრად და მოწყალებად მიმაჩნია“** (GHN).

საგულისხმოა, რომ მთავრობის წარმომადგენელს დეპუტატის მიერ ნახსენებ სესხებზე არაფერი უთქვამს. ზოგადად, ვალის გაუაზრებელი დაგროვება ნებისმიერ იდიოტს შეუძლია, მაგრამ გასტუმრებაც ხომ სჭირდება; **2013 წლიდან საქართველოს პროცენტებთან ერთად ძირითადი თანხების გადახდაც მოუწევს, რაც საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს დაუკავშირდება, შესაძლოა, ეს გარემოება სააკაშვილის გარემოცვას თავის გეგმებში გათვალისწინებული აქვს კიდეც.** იმ დროს, როდესაც ქვეყანაში, სავარაუდოდ, საბერძნეთის მსგავსი ეკონომიკური პრობლემები დაიწყება, სჯობს ხელისუფლების სათავეში ვიღაც თოჯინა, „ზიც-თავმჯდომარე“ იყოს, ხოლო **როდესაც უკმაყოფილების ტალღა ჩაცხრება და მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდება, სააკაშვილი შეიძლება „ერის მხსნელად“ წარმოჩინდეს და პრემიერის პოსტი ოფიციალურად დაიკავოს;** თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდებია, ასე რომ, სჯობს ისევ ჩვენს „მოწყალე“ ფიგურანტს დავუბრუნდეთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ამბის დატოვება რეაგირების გარეშე, უბრალოდ, არ შეიძლება.

საკითხი ძალიან მარტივად დგას და ერთგვარ ტესტს წარმოადგენს: თუ ხუროშვილი ამ განცხადების შემდეგ დაკავებულ თანამდებობაზე (და საერთოდ, სახელმწიფო სამსახურში) დარჩება ან მისი ხელმძღვანელები, როგორც მინიმუმი, საჯარო შენიშვნას არ მისცემენ, ეს იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი პრემიერ-მინისტრი ამ ხედვას იზიარებენ. შესაბამისად, ჩვენც (უპირველესად კი, საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც ყველაფერი ცხადი ჯერაც არ არის) გვექნება მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას ჩვენ მიმართ და რა წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. ისე, საინტერესო კია: მოხსნიან თუ არ მოხსნიან?

## შეთქმულების პრაქტიკა

15 ივნისს თურქულ ინტერნეტ-მედიაში (haberburhaniye.com) მეტად უცნაური პუბლიკაცია გაჩნდა, რომელიც მეორე დღეს სხვა ქვეყნების მედია საშუალებებმა აიტაცეს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ **„22-23 ივნისს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ საქართველოში გამავალ მონაკვეთს ააფეთქებენ. შემდეგ ამფეთქებლებს საქართველოს კონტრდაზვერვა დააკავებს. წყაროები, აგრეთვე, იტყობინებიან, რომ ტერაქტის შემსრულებლებად საზოგადოებასა და პრესას წარუდგენენ ორ ეთნიკურ სომეხს, რომლებიც ადრე ახალქალაქის რუსულ სამხედრო ბაზაზე მსახურობდნენ. თავის წინასწარ ჩაწერილ ჩვენებაში ისინი მიუთითებენ, რომ რუსული სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდნენ“ (vesti.az). „რიგი წყაროების თანახმად, აფეთქების შესახებ ინფორმაციის გაჟონვა ორგანიზებული იყო საღად მოაზროვნე ძალების მიერ საქართველოს პრეზიდენტის გარემოცვაში, რომელთაც აშინებთ მისი ავანტურული მოქმედების შედეგები“ (baltinfo.ru). „ნავთობსადენზე აფეთქების ორგანიზებით, სააკაშვილი გეგმავდა, „ემხილებინა“ მოსკოვის მისწრაფება — წარმოაჩინოს საქართველო არასაიმედო ეკონომიკურ პარტნიორად, რომელსაც არ შეუძლია სატრანზიტო მილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, „ამხილოს“ რუსები ქართულ-სომხური კონფლიქტის პროვოცირებაში, სამოქალაქო ომის და მისი შემდგომი დამხობის ინიცირების მიზნით“ (kr-eho.info).**

რას შეიძლება ნიშნავდეს ყოველივე ეს? მართალია, სააკაშვილის ხელისუფლების არაადეკვატურობაზე ლეგენდები დადის, თუმცა მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ მან საინფორმაციო ამოცანების გადასაწყვეტად (რუსეთისთვის „ნიღაბის ჩამოხსნა“ და ა.შ.) რეალურ სამყაროში ასე წინდაუხედავად იმოქმედოს. ეს დაახლოებით იგივე იქნებოდა, „მოდელირებული ქრონიკის“ დამკვეთებს სატელევიზიო სიუჟეტის ჩვენების ნაცვლად ქალაქის ნამდვილი დაბომბვა რომ დაეწყოთ. თუმცა, თუ საქმე ჭორთან გვაქვს, საინტერესოა, ვის და რისთვის დასჭირდა ამ ჭორის გავრცელება? ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ პასუხის ძიება რუსეთ-საქართველოს ან თურქეთ-სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების ჩარჩოებში, რასაკვირველია, შეიძლება, თუმცა საეჭვოა, ამან დამაკმაყოფილებელ პასუხამდე მიგვიყვანოს. ნავთობსადენის აფეთქება უდრის პირდაპირ თავდასხმას British Petroleum-ზე, რაც, ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე ჩამოთვლილ მხარეს აწყობდეს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ BP-სთვის ზიანის მიყენება ამქვეყნად არავის უნდა.

მას შემდეგ, რაც მექსიკის ყურეში მის კუთვნილ პლატფორმაზე ავარია მოხდა, რომელსაც ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვა, კომპანიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მან საბაზრო კაპიტალიზაციის მესამედი დაკარგა. **Bloomberg-ი ვარაუდობს, რომ British Petroleum-ს მოუწევს, გაყიდოს ზოგიერთი თავისი ყველაზე ღირებული აქტივი, ხოლო Financial Times-ი მის შესაძლო კრახსა და კონკურენტების მიერ შთანთქმაზე წერს.** ბარაკ ობამა ამბობს, რომ აიძულებს BP-ის, „ყველაფერი აანაზღაუროს“ (საუბარი, სავარაუდოდ, ათეულობით მილიარდ დოლარს ეხება). დღეს კომპანია თითქოს უფსკრულის პირას დგას და შესაძლოა, გამორიცხული არაა, ვინმეს გაუჩნდეს სურვილი, ზურგიდან ხელი ჰკრას.

**ჰიპოტეტური აფეთქება „ბაქო-თბილისი-ჯეიხანზე“ (და შესაძლო თანმდევი ეკოლოგიური კატასტროფა) კომპანიისთვის დანაკარგების ახალ ტალღას გამოიწვევდა და შესაძლოა, შეასრულებდა ბოლო ლერწმის როლს, რომელიც, როგორც ცნობილია, აქლემის ხერხემალს ამტვრევს.** თუმცა რეალურად, ეს აფეთქება არ მომხდარა (და, იმედია, არასოდეს მოხდება). საბრძოლო ხელოვნებების ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ეს არ იყო დარტყმა, არამედ — დარტყმის მონიშვნა; **შესაძლოა, ვიღაცამ British Petroleum-ს მესიჯი გაუგზავნა, რომელიც ისეთივე ავისმომასწავებელი ჩანს, როგორც მეკობრეების „შავი ნიშანი“, სტივენსონის „განძის კუნძულში“. შესაძლოა, „დიდი ულტიმატუმის“ ერთ-ერთი პატარა, შემადგენელი ნაწილია „გააკეთე ეს (კონკრეტულად რა, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ), თორემ...“** წაქცეულებს დიდ სანავთობო ბიზნესში, ისევე როგორც გლობალურ პოლიტიკაში, არავინ ინდობს.

„გაჟონვა“ თურქულ მედიაში, შესაძლოა, მიუთითებდეს BP-სთან მიმართებაში თამაშის წესების შეცვლაზე და ძალისმიერი, ადრე დაუშვებელი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობაზე. ვადები და ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია; იდეაში, პროვოკაცია შეიძლება არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ პლანეტის ნებისმიერ კუთხეში მოხდეს. ზოგადად, ამ სავარაუდო სქემის ფარგლებში, დამკვეთებად შეიძლება სანავთობო გიგანტები ან ზესახელმწიფოები მოგვევლინონ, ხოლო შემსრულებლებად — უფრო მცირე (მაგალითად, რეგიონული ან სულაც რაიონული) მასშტაბის ძალები.

**თუ კომპანია დაემხობა, კონკურენტები მის მემკვიდრეობას დაინაწილებენ. ვიღაცას ალიასკის ნავთობი შეხვდება, ვიღაცას (ვის?) აქაური ნავთობსადენის 30,1%, ჯამში, ძალიან ბევრი მოთამაშე კმაყოფილი დარჩება.** ხოლო თუ ვინმეს ოდესმე დააინტერესებს, რა მოხდა სინამდვილეში ნავთობსადენზე, პასუხის ნაცვლად, ალბათ, გულწრფელ ღიმილს, გაშლილ ხელებსა და ესოდენ ნაცნობ ფრაზას მიიღებს: „ხომ გეუბნებოდით, რომ ეს ხალხი არაადეკვატურია“.

**იმედია, საქმე მხოლოდ თურქი ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფთან გვაქს, თორემ მოვლენათა განვითარება მათ მიერ წარმოდგენილი სცენარით, საქართველოსთვის დიდ რისკებსა და შესაბამის დანაკარგებს დაუკავშირდება.**

## ტროას კვიცები

ამასობაში მიუნხენში (ცუდ დეტექტივებში რომ იტყვიან ხოლმე), ერთმანეთს ირაკლი ოქრუაშვილი, ზურაბ ნოღაიდელი, ეროსი კიწმარიშვილი და ლევან გაჩეჩილაძე შეხვდნენ. გოგა ხაინდრავას თქმით, შეხვედრაზე ახალი სტრატეგიის გარშემო იმსჯელეს. **„ისინჯება ხედვები და მზადყოფნა რადიკალური ქმედებისთვის. საქართველოში რადიკალიზმი არ ყოფილა. რადიკალიზმი იყო საბერძნეთსა და ტაილანდში“. სააკაშვილის რეჟიმის ხელში რაიმე სახის დემოკრატიაზე საუბარი ამ არჩევნებით დასრულდა. არჩევნების გზით საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მე არ მინახავს. ამ ვითარებაში გამოსავალი აჯანყებაა“,** — განაცხადა ხაინდრავამ („ინტერპრესნიუსი“ რადიო „პალიტრაზე“ დაყდნობით).

ბოლო ფრაზაში ხაინდრავას აშკარად „ნამეტანი ჩე გევარა“ მოუვიდა, თუმცა მთავარი სხვა რამეა, არჩევნების დასრულებისა და „ალიანსის“ (ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ) დაშლის კვალობაზე საპროტესტო ელექტორატში, სავარაუდოდ, გაჩნდა საკმაოდ ძლიერი მოთხოვნა ბრძოლის გაგრძელებაზე, მეტიც, მის გამწვავებაზე; ხოლო, როგორც ცნობილია, იქ, სადაც არსებობს მოთხოვნა, მყისვე მიწოდებაც იწყება.

**შესაძლოა, პარტიებმა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს, ჯერაც ვერ გააცნობიერეს, თუ რა მოცულობის ვაკუუმი აქვთ შესავსები და რამხელა სივრცე გაეხსნათ მანევრისათვის ან კიდევ სათანადო პოსტსაარჩევნო სტრატეგია ვერ შეიმუშავეს. შესაბამისად, ვაკუუმის ასათვისებლად სხვა ჯგუფები და ადამიანები დაიძრნენ, რომლებმაც, სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფის შემთხვევაში, შეიძლება ოპოზიციურად განწყობილი მასის ნაწილი თავისკენ „მოქაჩონ“.**

მიუნხენში შეკრებილთა გვარებისთვის თვალის გადავლებისას, ზოგიერთ დამკვირვებელს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ ხელისუფლებას ამ ჯგუფის კონტროლისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტები ექნება; მეტიც, იფიქროს, რომ ეს არის (პირობითად) „ოპერაცია ტროას ცხენი“, რომლის საბოლოო მიზანი (არჩევნების იდეის პროფანაციის შემდეგ) ე.წ. აჯანყების და, ზოგადად, რადიკალური საპროტესტო აქციების იდეის დისკრედიტაციაა, მაგრამ, ცხადია, რომ მსგავს ეჭვებს ფაქტებით გამყარება დასჭირდება.

**დიმიტრი მონიავა**

# ვინ რომელ სავარძელს დაიკავებს ახალი «კარუსელის» შემდეგ ხელისუფლებაში?

**საქართველოს ხელისუფლებაში უკვე მერამდენე კარუსელი მზადდება, ვინ დათვლის. ყველაზე სასაცილო კი ამ გადაადგილებაში ის არის, რომ, ბოლო ორი წელია, მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებს პრემიერ-მინისტრსაც მიაყოლებს ხოლმე ქვეყნის პრეზიდენტი. ამიტომაც შვიწლიანი მმართველობის პერიოდში ქვეყანამ 5 პრემიერი გამოიცვალა და ბოლო სამი ცვლილება ორ წელიწადში განხორციელდა.**



იყო დრო, როცა ნიკა გილაური ფავორში ჰყავდა სააკაშვილს, იგი, მართალია, ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრი იყო, მაგრამ სააკაშვილის გუნდში გადაჯგუფება ადვილად მოახერხა. **პრეზიდენტის გული კი, ძირითადად, ენერგეტიკის მინისტრობის დროს, ჩაბნელებული საქართველოს განათებით მოახერხა. რა გზებით, სხვა საკითხია; მაგალითად, ერთხელ, როცა მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან ერთად ქვესადგური გახსნა, იქიდან წამოსულიც არ იყვნენ, მილიონებდახარჯული ქვესადგური რომ აფეთქდა.**

**ცვლილებებს, რომელსაც ხელისუფლებაში ელოდებიან, სავარაუდოდ, მისი პორტფელი გადაჰყვება. გილაურის გადაყვანას პრეზიდენტი ფინანსთა სამინისტროში აპირებს.**

ამჟამინდელმა ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა კარიერა ჟურნალისტიკით (1999-2000 წ.წ.), სააგენტო „პრაიმ-ნიუსის“ რედაქტორობით დაიწყო. ზურაბ ჟვანიას პრემიერმინისტრობის დროს იგი მისი მრჩეველი გახლდათ. 2006 წლიდან კი სხვადასხვა პოსტები ეკავა ფინანსთა სამინისტროში, ჯერ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო, შემდეგ ფინანსთა მინისტრის მოადგილე, 2009 წლის თებერვლიდან კი საქართველოს ფინანსთა მინისტრია. ახლა სააკაშვილს მისთვის ჯერ ადგილი არ მოუძებნია.

**მართალია, არ აღიარებს, მაგრამ თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებულია და ეკონომიკის მინისტრის კაბინეტს მას შემდეგ გაათავისუფლებს, რაც უცხოელ სტუმრებთან შეხვედრებს დაასრულებს ზურაბ პოლოლიკაშვილი.**

პოლოლიკაშვილის კარიერა „თიბისი“ ბანკიდან იწყება. იგი შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში ინაცვლებს, შემდეგ ესპანეთის სამეფოში სრულუფლებიან ელჩად, 2009 წლის აგვისტოში კი ეკონომიკური განვითარების მინისტრად დაინიშნა. ახლა მას ისევ ელჩად უშვებენ, ოღონდ ამჯერად საუბარია ბრაზილიაზე. **მის ადგილს სააკაშვილი რეგიონალური განვითარების მინისტრს, დავით ტყეშელაშვილს სთავაზობს, თუმცა ამბობენ, რომ ტყეშელაშვილი უარზეა და თანამდებობის შეცვლა არ სურსო.**

თუ ტყეშელაშვილი დაითანხმა მაშინ მის ადგილს 26 მაისს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებული საგზაო დეპარტამენტის უფროსი რამაზ ნიკოლეიშვილი დაიკავებს. **ბოლო დროს სააკაშვილი მისით ძალიან მოხიბლულია, მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მის დეპარტამენტზე არაერთი მწვავე დასკვნა გამოაქვეყნეს და, საერთოდ, ტენდერების საკითხი გზების დაგებასთან დაკავშირებით, დიდი ხანია, ოპოზიციის ხმაურის საბაბი გახდა** (ჩვენც ვწერდით, რომ საგზაო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ მილიონიან ტენდერებს, ძირითადად, ბექაურის, თარგამაძისა და სხვა მაღალჩინოსნების ფირმები იგებენ).

ძნელი სათქმელია, მისი გუნდის კარგად დაპურება გახდა ნიკოლეიშვილით პრეზიდენტის მოხიბვლის მიზეზი თუ სააკაშვილის გული გზების დაგების ჩქარი ტემპით მოიგო?! ფაქტია, რომ პრეზიდენტმა მისი დაწინაურება გადაწყვიტა.

საერთოდ, ტყეშელაშვილის სამინისტროს დაშლაზეც არის საუბარი, მაგრამ ეს, ალბათ, ცოტა შორეული პერსპექტივაა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უწყება ახლახან შეიქმნა და მასზე საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა. ამ სამინისტროს შექმნის აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობდა, მაგრამ სააკაშვილის გარემოცვაში მინისტრის პორტფელების მსურველების მიხედვით იქმნება სამინისტროები.

სანამ ტყეშელაშვილის სამინისტრო გაუქმდება, მანამდე საუბარია გარემოს დაცვის სამინისტროს დეპარტამენტად ჩამოყალიბებაზე.

**დიდი ხანია, იდეაშია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შერწყმა. ეს პროექტი კახა ბენდუქიძეს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი გეგმის მიხედვით სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა გადაკეთებულიყო დეპარტამენტად და დაქვემდებარებოდა გარემოს დაცვის სამინისტროს. ახლა კი გარემოს დაცვის სამინისტროს დეპარტამენტად ჩამოყალიბება და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში შესვლაა გადაწყვეტილი.**

საერთოდ, გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძეს მერაბიშვილი რომ არ სწყალობს, ძნელი შესამჩნევი არაა. გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებს ყველაზე ხშირად აკავებენ და ამ მხრივ ყოველგვარი რეკორდი მოხსნა. არადა, **ხაჩიძეს ნაციონალების სამსახურზე მაშინაც არ უთქვამს უარი, როცა მამამისი დაიჭირეს.**

**სააკაშვილი, დიდი ხანია, არ სწყალობს ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილს. მას ყვითელი ბარათი ჯერ კიდევ მაშინ აჩვენა, როცა ლოპოტას ტბაზე მთავრობის გასვლით სხდომაზე შენიშვნა მისცა: ბატების ყურებას მე მისმინო ჯობიაო.**

მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ საზღვარგარეთ კვიტაშვილს თავისი კარიერა მშვენივრად ჰქონდა აწყობილი და სხვადასხვა დროს აღმოსავლეთ-დასავლეთ ინსტიტუტის ადმინისტრაციის დირექტორად და ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრად მუშაობდა. იგი საქართველოში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ ჩამოიყვანა. ლადო გურგენიძეს გარკვეულ პერიოდში სააკაშვილთან ურთიერთობა კი დაეძაბა, მაგრამ ახლა მასზე ისევ მოიბრუნა გული პრეზიდენტმა, 26 მაისს მას სააკაშვილმა ორდენიც კი გადასცა. საერთოდ, გურგენიძეს დასავლეთში კარგი რეპუტაცია აქვს. ამიტომ შეიძლება სააკაშვილმა გურგენიძეს ანგარიში გაუწიოს.

**ცუდად აითვალწუნა სააკაშვილმა ბოლო დროს უგულავას მძღოლობიდან მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსობის გავლით მინისტრის სავარძელში მოხვედრილი კობა სუბელიანი.**

გადაჭრით ძნელი სათქმელია, რა გახდა მისი განხიბვლის მიზეზი — ის, რომ მმართველი პარტიის გასვლით სხდომაზე სააკაშვილმა სირცხვილი უწოდა, იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ ზუსტი მონაცემების არ არსებობას, თუ ის, რომ ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კოტეჯების მშენებლობაზე სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა მონიტორინგის შედეგად არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველო“. უფრო სარწმუნოა, რომ უგულავასთან დაძაბული ურთიერთობის გამო უნდა სააკაშვილს მისი პროტეჟის ჩამოცილება. **ერთ დროს ყველაზე „ბუნჩულა“ მინისტრს დღეს სახალხო დამცველიც კი აკრიტიკებს, ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობის გამო. საუბარია, რომ სუბელიანის ადგილს არასამთავრობო ორგანიზაციის — „კოალიცია სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე ვერა ქობალია დაიკავებს.**

იძულებით შევებულებაშია გაშვებული საარჩევნოდ შექმნილი უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია არასამთავრობო ორგანიზაციების, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ საჩივრების საფუძველზე, რომლებიც მესტიაში გოროზიას მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას უკავშირდება, და, როგორც ამბობენ, იგი სამსახურში ველარ დაბრუნდება.

**განათლების მინისტრის პოსტიდან პრემიერ-მინისტრის პოსტზე გადაინაცვლებს არასამთავრობოდან ხელისუფლებაში მოხვედრილი დიმიტრი შაშკინი. სააკაშვილი მისი მუშაობით მოხიბლულია და თანაც შაშკინი საზოგადოებაში კომპრომეტირებული ჯერ არ გახლავთ.**

მრავალგზის არიან კომპრომეტირებული საქართველოს ძალოვანი მინისტრები, მაგრამ სააკაშვილი მათ შეცვლას არც ამჯერად გეგმავს, რადგან, როგორც თავად განაცხადა, ვანო მერაბიშვილი მისი ხელისუფლების ხერხემალია.

**მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დასავლეთის მკაცრი მითითება, კვლავ უშიშროებისა და შს სამინისტროებად დაშალოს შს სამინისტრო, სააკაშვილი წაყენებულ პირობას დღემდე ვერ ასრულებს, რადგან ორი მერაბიშვილი არ არსებობს, მისი საპირწონე კი თავის გუნდში არავინ ეგულება.**

**სოფო ბელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველო — მწვანე შუქი «სიკვდილით მოვაჭრე» ვიქტორ ბუტისა და მისი პარტნიორი თემურ ალასანიასთვის

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ტელეკომანია „მაესტროს“ ეთერით გადაცემული „სპეციალური რეპორტაჟის“ საგაზეთო ვარიანტმა, ბუნებრივია, გამოიწვია საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. მათთვისაც კი, ვისაც ეჭვი არ ეპარებოდა ამ ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში და ქვეყნის რეპუტაციის გაცამტვერებაში, მოულოდნელი იყო ფაქტებით დადასტურებული რეალობა, რომლის სიმწვავესაც, ალბათ, სულ მალე იგრძნობენ იარაღის კონტრაბანდაში ჩართული ხელისუფლების გავლენიანი პირები თუ მათთან დაახლოებული და მათზე არანაკლებ გავლენიანი ადამიანები. სამწუხაროდ, ეს ფაქტები არასახარბიელო იმიჯს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს და მისი განვითარების პერსპექტივას ნულს უტოლებს, რაც, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ადარდებს პრეზიდენტის ბიძას — თემურ ალასანიას, რომლისთვისაც დისშვილის პრეზიდენტობა გვარიანი შემოსავლის მიღების საშუალებად იქცა ამავე დისშვილის მფარველობით. ამჯერად „სპეციალური რეპორტაჟის“ საგაზეთო ვარიანტში თქვენ ნათლად დაინახავთ, თუ რა გარიგებები იდებოდა ცნობილ „სიკვდილით მოვაჭრესთან“.**



ვიქტორ ბუტი



თემურ ალასანია

**პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 2008 წლის 11 აგვისტოს დისშვილის, საქართველოს პრეზიდენტის დარწმუნებას ცდილობდა, რომ რუსეთთან ომის გაგრძელებას აზრი ჰქონდა და ქართველების დასახმარებლად ამერიკული სამხედრო ძალები თურქეთში დისლოკაციისთვის ემზადებოდნენ.**

ვიქტორ ანატოლის ძე ბუტი დაიბადა 1967 წლის 13 იანვარს, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ქალაქ დუშანბეში. მისი პირველივე ბიზნესსაქმიანობა ტვირთების გადამზიდავი ავია და საზღვაო კომპანიების დაარსება გახდა; ძირითადი მიმართულება ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა იყო. ლიბერიის პრეზიდენტის — ჩარლზ ტეილორის კონტრაქტორი იყო, ასევე, მომსახურებას უწევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სუდანში და ამერიკის შეერთებულ შტატებს — ერაყში.

უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში იგი იწყებს იარაღის მიწოდებას აფრიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომებში მონაწილე მხარეებისთვის. ბუტს მალევე „იარაღის ბარონს“ არქმევენ და იგი დედამიწაზე ყველაზე ძლევამოსილი იარაღით მოვაჭრე ხდება. მოკლე დროში ბუტს ბრიტანული მხარე ადანაშაულებს აღმოსავლეთ ევროპიდან, ბულგარეთიდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან იარაღის დერეფნის გაკეთებაში ლიბერიისა და ანგოლის მიმართულებით.

**„სიკვდილით მოვაჭრე“ — ამ სათაურით ცნობილ რუს იარაღით მოვაჭრეზე, ვიქტორ ბუტზე გამოსული ნაწარმოების მიხედვით ჰოლივუდში ფილმიც კი გადაიღეს.**

**ფილმის გადაღებამდე რამდენიმე ხნით ადრე ბუტსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა იძაბება. ბუტს ღიად ადანაშაულებენ იარაღის ტერორისტებისა და პარტიზანებისთვის მიყიდვაში. ბუტის კლიენტებს შორის სახელდებოდა „ალ-ქაიდა“ და „თალიბანი“.**

კონგოში დემოკრატიის განვითარებისთვის ხელის შეშლის გამო ვიქტორ ბუტის წინააღმდეგ ძიება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო. **2008 წელს იგი ტაილანდში, ბანკოკში, სასტუმრო „სოფიტელ სეილამროუდში“ აიყვანეს. მართალია, 2009 წელს ტაილანდის სასამართლომ გაამართლა, მაგრამ უკვე 2010 წლის 17 თებერვალს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მას ახალი ბრალდება წაუყენა.**

საჯარო-**საინფორმაციო წყაროების მიხედვით, ყველაზე ცნობილი იარაღით მოვაჭრე ვიქტორ ბუტისა და საქართველოს გზა ერთი წლის წინათ გადაიკვეთა.**

**ტაილანდი. ბანკოკი. 2009 წლის 12 დეკემბერი.** დაკავებულია „ილ-76“ ტიპის თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც 40 ტონა საბრძოლო ტექნიკა, ნაღმტყორცნები, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო და პორტატული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები აღმოაჩინეს. მედიასაშუალებების ინფორმაციით, თვითმფრინავი საქართველოში იყო რეგისტრირებული და სამხრეთ კორეიდან მოფრინავდა.

სპეცოპერაცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ტაილანდის სპეცსამსახურებმა ერთობლივად ჩაატარეს. ერთ-ერთი ვერსიით, თვითმფრინავს იარაღი შრილანკაზე გადაჰქონდა. თუმცა მალევე საქმის სხვა დეტალებიც გაირკვა.

**„ნიუ იორკ თაიმსი“ 2009 წლის 14 დეკემბერს წერდა:**

**„როგორც ბანგკოკში დაკავებული ეკიპაჟის წევრი აცხადებს, თვითმფრინავს მიმართულება შრილანკასკენ ჰქონდა აღებული, საიდანაც ისინი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში უნდა ჩაფრენილიყვნენ, ხოლო უკვე ამის შემდეგ უკრაინაში ბრუნდებოდნენ. აქვე უკრაინის ტრანსპორტის სამინისტრო აცხადებს, რომ უკრაინულმა მხარემ არაფერი იცის დაკავებული თვითმფრინავისა და მისი უკრაინული მხარისთვის ლიზინგით გადაცემის შესახებ. დაპატიმრებული მფრინავის — აბდულაევის ინფორმაციით, ის ყაზახი იყო, თუმცა მუშაობდა საქართველოში. თვითმფრინავის დროშა და ლოგო ქართული იყო და ეკუთვნოდა საქართველოში, ქალაქ ბათუმში რეგისტრირებულ ქართულ ავიაკომპანია „ეარვესტს“.**

კომენტარს აკეთებს კომპანიის გენერალური დირექტორი ნოდარ კაკაბაძეც და ამბობს, რომ თვითმფრინავი ერთი თვით ადრე შემთხვევამდე უკრაინელებს ლიზინგით გადასცეს. აქვე ჩნდება ყაზახეთის ტრანსპორტის სამინისტროს განცხადება, რომ თვითმფრინავი საქართველომ ყაზახებისგან ცოტა ხნით ადრე იყიდა, თუმცა „ნიუ იორკ თაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი შოთა უტიაშვილი ამბობს, რომ დაკავებული „ილ-76“ დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა საქართველოსგან მემკვიდრეობით ერგო და ის უვარგისი იყო მოქალაქეების გადასაყვანად. სწორედ ამიტომაც გადასცეს თვითმფრინავი ლიზინგით უკრაინულ ფირმას, რომელიც, ნოდარ კაკაბაძის თქმით, აფილირებულია ტაილანდში დაფუძნებულ კომპანია SP Trading-თან. აქ კი ისევ ნაცნობი ბუტი გვხვდება. **ინტერნეტ წყაროებში SP Trading-ი დასახელებულია ვიქტორ ბუტის მიერ მართულ ავიაკომპანიად.**

„უოლ სტრიტ ჯორნალისთვის“ გაკეთებულ განცხადებაში ნოდარ კაკაბაძე ამბობს, რომ არაფერი იცის SP Trading-ის შესახებ და „უოლ სტრიტმაც“ მხოლოდ იმის გარკვევა მოახერხა ახალი ზელანდიის ხელისუფლებასთან, რომ ფირმა 2009 წელს არის შექმნილი, ანუ **40 ტონა იარაღით სავსე ქართული წარმომავლობის თვითმფრინავის დაკავებამდე რამდენიმე თვით ადრე. დასავლელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ იარაღი სუდანსა და პაკისტანში მიდიოდა.**

**ქართველი ექსპერტი კი ვიქტორ ბუტისა და ქართულ კავშირს ჯერ კიდევ იარაღით მოვაჭრის დაკავებისას იხსენებს.**

**კიდევ უფრო კონკრეტულია ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც საქართველოში, 7 წელზე მეტია, იარაღით ვაჭრობის თემას იძიებს. იგი ბუტს ახსენებს და მას პრეზიდენტის ბიძასთან — თემურ ალასანიასთან აკავშირებს.**

**ჯეფრი სილვერმანი:**

„ვიქტორ ბუტი საერთაშორისო დონეზე ცნობილი დამნაშავეა, იგი წარმატებით მუშაობდა ფეესბესთან და ამერიკულ სპეცსამსახურებთან. ასე ვთქვათ, თავისუფალი ცოცხია და ამ პირობებში მისთვის საქართველო მწვანე შუქზე გაჩერებული შუქნიშანია. **ქართული მხრიდან ამ ბიზნესში თემურ ალასანიასთან ერთად ჩაბმულია ჯემალ იმნაიშვილი. რაც შეეხება კეზერაშვილს, ეს ბიჭი ჩვეულებრივი ნარკოტიკების მომხმარებელია. რა თქმა უნდა, მონაწილეობს იარაღით ვაჭრობაშიც, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი დაბალი რანგის მოთამაშეა.** ამ ყველაფრის შესაჩერებლად რეალური კომისიის შექმნაა საჭირო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, აქ ყველას, უბრალოდ, კვალის წაშლა აინტერესებს“.

**უჩა ნანუაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის“ დირექტორი:**

„საქართველოს შეერთებული შტატები წინა ადმინისტრაციის დროს თავისუფლად იყენებდა სწორედ ასეთი სატრანსპორტო დერეფნისთვის. ამის განცხადების საფუძველს იძლევა არა მარტო ეს დოკუმენტი, არამედ სხვა ინფორმაცია, რომელიც გაგვაჩნია და რომელზეც ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ. იგივე მესამე ქვეყნებში იარაღის ტრანსპორტირებისთვის ხდებოდა საქართველოს გამოყენება. შეიძლება ეს იყოს აფრიკის ქვეყნები, აზიის ქვეყნები“.

**კახა კაციტაძე, ექსპერტი:**

„რაიმე გონივრული ახსნა ამას რომ ჰქონდეს, ხელისუფლება გამოვიდოდა და იტყოდა. ჩემს თავს ნებას მივცემ, ვთქვა, რომ, რახან ვერავითარი გონივრული ახსნა ვერ გააკეთეს, ამ ფაქტს გონივრული ახსნა არ აქვს“.

იარაღით ვაჭრობის თემასთან დაკავშირებით, ტაილანდის ეპიზოდის გარდა, საქართველოს სახელმა კიდევ რამდენჯერმე გაიჟღერა, თუმცა ყველა ამ შემთხვევის კუდი ინფორმაციული ვაკუუმის უსასრულობაში მოექცა.

**აფრიკა. კონგო. 2007 წლის 7 სექტემბერი.** „ან-12“ ტიპის თვითმფრინავის ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპა 8 ადამიანი, აქედან 2 — საქართველოს მოქალაქე: შტურმანი 55 წლის ზურაბ მოსია და მექანიკოსი არტურ ბაღდასაროვი. თვითმფრინავის ბორტზე არსებული ტვირთის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გავრცელებულა; მხოლოდ ითქვა, რომ ქართულ კომპანია „ტრანსავიასერვისზე“ რეგისტრირებულ თვითმფრინავს საფრენი ლიცენზია არ ჰქონდა და არც 2007 წლის ტექნიკურ შემოწმებას დაქვემდებარებია.

**ფილიპინები. 2009 წლის 17 აგვისტო.** დაკავებულია პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი, რომლის ბორტზეც 13 ქართველი მეზღვაური იყო. ისინი იარაღის კონტრაბანდაში იყვნენ ეჭვმიტანილნი, თუმცა პასუხისმგებლობა თავის თავზე გემის ამერიკელმა კაპიტანმა აიღო.

**აზერბაიჯანი. ბაქო. 2010 წლის 17 მარტი.** აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს რადიკალური რელიგიური დაჯგუფების 8 წევრი, მათ შორის — დაღესტნისა და ჩეჩნეთის მკვიდრნი, რომლებიც ბაქოში ტერაქტებს გეგმავდნენ. გამოძიების ვერსიით, დაკავებულებს დიდი რაოდენობით იარაღი აზერბაიჯანში საქართველოდან გადაჰქონდათ.

**ამერიკის შეერთებული შტატები. ვაშინგტონი. 2010 წლის 5 მაისი.** ამერიკული საინფორმაციო წყაროების ცნობით, ოფიციალურ სტადიაზე გადავიდა იარაღით ვაჭრობის პროცესში აღმოჩენილი კორუფციის ფაქტებზე აღძრული საქმე, სადაც მთავარი ეჭვმიტანილი დანიელ ალვირესი, ასევე, ბრალდებულია იარაღით ვაჭრობისას საქართველოს ხელისუფლების წევრებთან კორუფციული გარიგებების დადებაში.

**საქართველო. თბილისი. 2010 წლის 6 მაისი.** ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს FBI-ის გენერალური დირექტორი რობერტ მიულერი თბილისში იმყოფება. მიულერი შინაგან საქმეთა მინისტრს — ვანო მერაბიშვილსა და იუსტიციის მინისტრს — ზურაბ ადეიშვილს შეხვდა. ორივე შეხვედრა ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. FBI-ის გენერალური დირექტორის ვიზიტი საქართველოში რამდენიმე საათს გაგრძელდა.

**ჯეფრი სილვერმანი:**

„რუსულმა მხარემ იცის, რას აკეთებენ ამერიკელები. ამერიკულმა მხარემაც იცის რუსების შესახებ. ამასობაში კი ყველა აკეთებს ფულს საქართველოზე. ეს ქვეყანა მათთვის თავისუფალი ბაზარია. ისინი ცდილობენ კვალის დაფარვას. არავის დაავიწყდეს 2008 წლის 8 აგვისტო, როდესაც დიდი რაოდენობით ამერიკული იარაღი ჩარჩა რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ეს იარაღი საბოლოო ჯამში რუსებს დარჩათ. მაგრამ მიტოვებული საბრძოლო აღჭურვილობა ქართველებისთვის არ იყო. ეს ტვირთი ირანში მიდიოდა. **საქართველოში იარაღი არა მხოლოდ ისრაელიდან, არამედ იორდანიიდანაც შემოდის, ასევე, სერბეთიდან. ქართველები იარაღს რუსებისგანაც ყიდულობენ“.**

▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ სილვერმანი ქართული თავდაცვის სამინისტროს უცნაურ მოქმედებას ერთი სკანდალური დოკუმენტით ადასტურებს: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტექნიკურ საკითხთა კომისია. საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი.

**პუნქტი პირველი**: საქონლის მომხმარებელი და მისამართი — საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 0112, საქართველო, თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქუჩა №20.

**პუნქტი მეორე**: საქონლის ექსპორტიორი და მისამართი KADDB, PO საფოსტო ინდექსი 927932. ამანი, იორდანია.

**პუნქტი მესამე**: შუამავალი და მისამართი: „მელვერ კორპორეიშნ ოლაიაჯის" სავაჭრო ცენტრი, ფრანსის რაკელის ქუჩა, ქალაქი ვიქტორია. მაჰე, სეიშელის კუნძულები.

**პუნქტი მეოთხე**: საქონლის იმპორტიორი და მისამართი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 0112, საქართველო, თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქუჩა №20.

დოკუმენტის დანარჩენ პუნქტებში საუბარია რუსული წარმოების იარაღის შესყიდვაზე. დოკუმენტს ხელს აწერს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა მუჯირი, რომელიც სხვათაშორის, რუსეთ-საქართველოს ომის დროს 7-დან 14 აგვისტომდე საქართველოდან გაქცეულ თანამდებობის პირთა სიაში იყო. არაფერი უცნაური ამ დოკუმენტში არ იქნებოდა, რომ არა რამდენიმე დეტალი:

**პირველი: იორდანიის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კომპანიასთან ქართული თავდაცვის სამინისტრო მოლაპარაკებას რუსულ ენაზე აწარმოებს. დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი, იორდანია კი ოფიციალურად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პარტნიორად ითვლება. მოლაპარაკების ენის მიხედვით, ამერიკის სამხედრო პარტნიორი ქვეყნის, იორდანიის დედაქალაქში რეგისტრირებულ ფირმას მენეჯმენტი რუსული ჰყავს. თუმცა KADDB-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ დირექტორთა საბჭოს სიაში რუსული გვარი ვერ მოვნახეთ.**

იარაღის იმპორტის შესახებ შექმნილ დოკუმენტში შუამავლად დასახელებული კომპანია „მელველ კორპორეიშენი", რომლის ძირითად საქმიანობად ჯართით ვაჭრობაა დასახელებული. თუმცა არავისთვის და, განსაკუთრებით, მედიისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ „მელველი" იარაღის ბიზნესითაა დაკავებული. მის დირექტორს — სლობოდან ტეშიჩს, ასევე, მედიითა და ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „სეიშელების" გარდა კომპანია „მელველი" აქვს ასევე ბელგრადში. ტეშიჩი, მოცემული წყაროს მიხედვით, იარაღით როგორც ლეგალურად, ასევე არალეგალურად ვაჭრობს. მაგალითად, მის მიერ იარაღის ერაყში შეტანაა დასახელებული. **ჯართის გაყიდვით დაკავებული კომპანია, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამავლად ჰყავს დასახელებული, იარაღის ყიდვის პროცესში უცხოური წყაროს მიერ დადანაშაულებულია ტერორისტულ, ანტიჰუმანურ საქმიანობაში.**

რესპონდენტების განცხადებების მიუხედავად, რომ **რუსეთიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც საქართველოს ტერიტორიას ერთნაირი წარმატებით იყენებენ იარაღის კონტრაბანდისთვის, ჩნდება შეკითხვა — რატომ გამოჩნდა ქართველი ჩინოვნიკების კვალი ცნობილ ალვირესის საქმეში?**

**მეინ ჯასთისი საბრალდებო დასკვნაში წერს:**

„ალვირესის ისრაელის გაყიდვების აგენტი მას 2008 წლის თებერვალში დაუკავშირდა და შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებისთვის 14 მილიონი დოლარის იარაღი „ემ855" მიეყიდა. ალვირესისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ ისრაელის აგენტი ამ კონტრაქტის სისრულეში მოსაყვანად საქართველოს ხელისუფლებას ქრთამს უხდიდა. იარაღი აგენტმა ანონიმური კომპანიისგან მიიღო 3 მილიონ 900 ათას დოლარად, საქართველოს კი ის 4 მილიონ შვიდასიათასად მიჰყიდა, საიდანაც საკომისიო — 112 ათასი დოლარი ალვირესს გადაუხადეს.

2008 წლის ივლისში ამავე აგენტმა ისრაელიდან საქართველოს 7 მილიონი დოლარის იარაღი მიჰყიდა. ალვირესს ამჯერად ამ გარიგებიდან საკომისიო 57 ათასი დოლარი ერგო. იქვე ნათქვამია, რომ **შეიარაღებული კონფლიქტის დროს ისრაელის კომპანიები ამარაგებდნენ საქართველოს სამხედრო აღჭურვილობით და, ასევე, ატარებდნენ სამხედრო წვრთნებს,** მაგრამ საინტერესოა, რომ, უკვე ომის დასრულების შემდეგ, 2008 წლის ოქტომბერში ალვირესს არა ისრაელის, არამედ მაიამელი აგენტი დაუკავშირდა, რომელიც ცდილობდა, დაერწმუნებინა ისინი, საქართველოსთვის მზა სამხედრო საჭმელი მიეყიდა.

ალვირესმა საკომისიოს სახით ამ კონტრაქტიდან 15 მილიონი დოლარის საკომისიო მიიღო. საინტერესოა, რამდენი მილიონის საჭმელი იყიდა ქართულმა მხარემ მაშინ.

**გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი:**

„რა თქმა უნდა, ჩვენ ისრაელიდან ვყიდულობთ იარაღს, ეს არ არის დამალული ფაქტი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, თავისთავად ქართულ სახელმწიფოში გამჭვირვალე რომ არ არის თავდაცვის სფერო და დიდია ალბათობა კორუფციული გარიგებისა, სავარაუდო პარტნიორებიც საეჭვო გვეყოლება. ღია ფირმებიც კი ცდილობენ, გარკვეული საჩუქრის საფასურად, გარკვეული უპირატესობები მოიპოვონ, მაგრამ ეს არის დაშვებულ ჩარჩოებში".

**საქართველოში იარაღის უკანონო ბიზნესის არსებობის შესახებ, როგორც ჩანს, ამერიკული სპეცსამსახურებისთვის ჯერ კიდევ წლების წინ იყო ცნობილი. ამას ადასტურებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უკვე ყოფილი თანამშრომელი ვასილ გიგოლაშვილი, რომელსაც რამდენიმეწლიანი მომზადება აქვს გავლილი ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების სკოლაში.**

გიგოლაშვილი აცხადებს, რომ 2005 წელს საქართველოში იმყოფებოდა მისი მეგობარი, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი, რომელმაც თბილისში სტუმრობის მიზეზად საქართველოში იარაღის უკანონო ბიზნესთან დაკავშირებული ძიება დაასახელა.

**ვასილ გიგოლაშვილი:**

„2005 წელი იყო, თუ არ ვცდები, როდესაც ამერიკელმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს გააჟღერა, რომ შეიძლება სკანდალი მოხდეს. ამერიკაში ეს ფაქტები გასკდა".

**რატომ დუმდა ამერიკული მხარე მთელი ამ დროის განმავლობაში, თუ მათთვის ცნობილი იყო საქართველოში იარაღით უკანონოდ ვაჭრობის ფაქტი? აქ უკვე ჩნდება პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი, ამბავი საჭირო დროს და საჭირო ადგილას სკდება.**

**გიორგი თავდგირიძე:**

„თუ ვინმე ამაში ჩაბმულია, ეს არის კერძო ინტერესების გამო, ანუ ფული ან ძალაუფლების შესანარჩუნებლად გარკვეული კომბინაციები, რაც დაფარულად ხორციელდება და არ აფიშირდება. რა თქმა უნდა, ამის არსებობა თავისთავად და მისი მოთავეები შეიძლება ადმინისტრაციაშიც აღმოჩნდეს და, გარკვეულწილად, რომელი პრეზიდენტიც გინდა იყოს გარეული თუ ჩარეული, ამის უარყოფა არ შეიძლება, ანუ ალბათობა არსებობს".

**ჯეფრი სილვერმანი:**

„FBI-მ უარი მითხრა დოკუმენტაციის მიღებაზე, იმ მოტივით, რომ ეს მათი საქმე არ იყო. რა თქმა უნდა, აქვე გვერდს ვერ ავუვლით რუსეთს. ისინი ყველანი ერთად მოქმედებენ. ეს პატარა კრიმინალური ჯგუფი კი არა, მაფიაა. ორგანიზებულ დანაშაულთან გვაქვს საქმე. სავარაუდოდ, მათ ახლა სასწრაფოდ ვინმეს დასჯა ესაჭიროებათ. ამაში უკვე ბევრი ადამიანია ჩართული. დასავლეთისთვის ძალიან საშიში პერიოდია და, საერთოდ, ყველასთვის. ამ ბიზნესში მონაწილე სუბიექტები სააკაშვილსაც კი უპრობლემოდ მოხსნიან, იმის ნაცვლად, რომ არ დაკარგონ საკუთარი ფული".

**ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ხელმძღვანელმა რობერტ მიულერმა თბილისში რამდენიმე საათს დაჰყო. მიულერი საქართველოში ისრაელიდან ჩამოფრინდა. „იარაღის ბიზნესში ახლადჩართული ქართველები, უბრალოდ, დილეტანტები აღმოჩნდნენ და დროა, ამღვრეული საქმე კალაპოტს დაუბრუნონ", — აცხადებენ რესპონდენტები.**

**გიორგი თავდგირიძე:**

„საქართველო არის სახიფათო ზღურბლზე. საქართველოში შეიძლება დაიწყოს საკმაოდ ცუდი პროცესები და, შესაბამისად, ამერიკისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური საქართველო".

**კახა კაციტაძე:**

„თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ საქართველოს ხელისუფლება ერთიან პოლიტიკას ატარებს? აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ხელისუფლება უკვე არამართულია. რად უნდა ამას ლაპარაკი".

**ამერიკის საელჩომ საქართველოში კომენტარის გაკეთება არ ისურვა და FBI-ის დირექტორის — მიულერის ოფიციალური განცხადების გამოყენება გვირჩია:**

„ამერიკელ და ქართველ სამართალდამცველთა თანამშრომლობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საერთაშორისო კრიმინალსა და ტერორიზმთან საერთო ბრძოლაში. დირექტორმა მიულერმა ხაზი გაუსვა გამოძიების ფედერალური ბიუროსა და საქართველოს სამართალდამცველი სტრუქტურების მტკიცე პარტნიორობასა და წარმატებული თანამშრომლობის ისტორიას. მან, ასევე, იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მჭიდრო ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება".

**საზოგადოებისთვის საინტერესო, ალბათ, საქართველოში ორი ყველაზე გამჭვირვალე შენობის მესვეურთა პასუხი იქნება, მაგრამ ეს ორივე შენობა ყველაზე მეტად დახურულია.**

**კახა კაციტაძე:**

„ასეთი ქვეყნები, ხელისუფლებები, სახელმწიფოები, პირები, როგორც წესი, ცუდად ამთავრებენ და ცუდად დამთავრებას კი სხვადასხვა ფორმა აქვს..."

**ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ „მაესტროს" კადრს მიღმა მოყოლილი ამბის მიხედვით, პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 2008 წლის 11 აგვისტოს რესტორან „წისქვილიდან", სადაც მიხეილ სააკაშვილის ბაბუის ორმოცი იყო, ტელეფონით დისშვილის, საქართველოს პრეზიდენტის დარწმუნებას ცდილობდა, რომ რუსეთთან ომის გაგრძელებას აზრი ჰქონდა და ქართველების დასახმარებლად ამერიკული სამხედრო ძალები თურქეთში დისლოკაციისთვის ემზადებოდნენ. სამწუხაროდ, მოდელირებული ამბებისგან მოტყუებული საზოგადოების იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს სიცრუე არ არის, ჩვენ ამ ჩანაწერის გამოყენება გვიწევს. რა თქმა უნდა, ხმა შეცვლილია.**

**უცნობის ხმის ჩანაწერი:**

„ორმოცი იყო მისი ბაბუის, ვიჯექით 100-150 კაცი. გაისმა ზარი და წამოხტა თემური. ამას არ იჯერებდა. ხალხს უთხრა: ახლა თურქეთი ათავისუფლებს აეროდრომებს, დაჯდებიან ამერიკული ბომბდამშენები და წამოვლენ ჩვენს დასახმარებლად. გემები უკვე წამოვიდნენო. მთელმა „ორმოცმა" შემოჰკრა ტაში".

**გიორგი ყარყარაშვილი:**

„11 აგვისტოს, გენერალური შტაბის სპეცნაზის ხელმეორედ შეყვანის მცდელობა რომ იყო, თვითონ მინისტრი მივიდა. ომის დროს ხომ დიდი სიმამაცე გამოიჩინეს და ახლაც შესთავაზეს, 12-დან კვლავ შესულიყვნენ, წინააღმდეგობა და პარტიზანული მოძრაობა რომ ყოფილიყო, რაზედაც სპეცრაზმის 50 წევრმა უარი განაცხადა. ყველა ესენი გაათავისუფლეს".

**პრეზიდენტი სააკაშვილი:**

„თუ საჭიროა, ნახევარი მილიონი უნდა დადგეს ავტომატებით ხელში, ამდენ ავტომატსაც ვიშოვით და ტყვია-წამალიც საკმარისზე მეტი გვაქვს".

**მართავს თუ არა პრეზიდენტს თუ სახელმწიფოს ალასანია, უპასუხოდ რჩება. ის თავად გამოდის კავშირზე, როცა მას სურს.**

**ირაკლი ოქრუაშვილი:**

„ეს ის პერიოდია, როცა ამერიკაში აღძრულია საქმე. როცა კეზერაშვილი და სააკაშვილის ბიძა-ბიძაშვილი იარაღით ვაჭრობაში აღებული შემოსავლებიდან საკომისიოს ვერ იყოფენ. მათ გაარკვიონ ერთმანეთში. მე ეს არც მიკავშირდება და არც მაღელვებს. ეს მათი პრობლემაა".

**საქართველო მართლაც არის ჩართული ამ უკანონო ბიზნესში. 2007 წელს და 2008 წლის ომამდე პერიოდში რაც საკომისიო აიღებოდა ქართველი ჩინოსნებისა თუ მათი შუამავლების მიერ იარაღის შესყიდვებიდან, ხმარდებოდა საპარლამენტო, საპრეზიდენტო არჩევნების ვალების გასტუმრებას ან მათ უშუალო კეთილდღეობას. ეს უცხო არ არის. ისინი კარგად ითბობდნენ ხელს".

# საიდუმლო რაკეტები საქართველოსთვის

**უკრაინის გენპროკურატურამ საქართველოს იარაღით მომარაგებასთან დაკავშირებით ქვეყნის უწინდელ ხელისუფალთა მაქინაციების ახალი დეტალები აღმოაჩინა.**



უკრაინის გენპროკურატურის მიერ ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის ხანაში იარაღის მაქინაციებთან დაკავშირებული საქმის გამოძიებას ახალი დეტალები შეემატა. გაირკვა, რომ **„უკრობორონსერვისის" ხელძღვანელობამ შუამავლის მეშვეობით არა მარტო შეისყიდა 48 საზენიტო რაკეტა საკუთარი თავისგან, არამედ ამისათვის ერთ-ერთი უკრაინული ბანკის კრედიტი აიღო.** რამდენიმე თვის შემდეგ კი სარაკეტო კომპლექს „ბუკ"-ისთვის ამ გზით მიღებულმა საბრძოლო მასალებმა საქართველოში გადმოინაცვლა. უწინ **გამოძიებამ დაადგინა, რომ „უკრობორონსერვისმა" ფაქტობრივად საკუთარი თავისგან ნაყიდი და შემდგომში ქართველი სამხედროებისთვის „Бук-М1" და „Бук-М 12" კომპლექსებისათვის მიყიდული საზენიტო რაკეტების ფასების განსხვავებაზე თითქმის 1 მლნ დოლარი იშოვა.**

გარიგება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კომპანიამ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსთვის საშუამავლო კომპანია „პარალაქს"-ისგან მართვადი რაკეტები 9M38M-1 შეიძინა, ჯერ კიდევ 2005 წელს შედგა და ბიუჯეტს 21.1 მლნ გრივნა დაუჯდა.

მიმდინარე წლის მაისში უკრაინის გენპროკურატურამ დაადგინა, რომ გარიგების დადებისას შუამავალ კომპანიას არც მის მიერ გაყიდული იარაღი ჰქონდა და არც რაკეტების გასაყიდად მოსამზადებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ისევე, როგორც არ გააჩნდა საბრძოლო მასალების რეალიზაციის ლიცენზია.

პროკურატურის თანამშრომელთა ცნობით, ერთი წლის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოსავალი მოძებნა და რაკეტები თავად „უკრობორონსერვისისგან" შეიძინა, შემდეგ კი, ვითომდა წინაგასაყიდი სამზადისის ჩატარებისთანავე, იმავე კომპანიას 8 მლნ გრივნით უფრო ძვირად მიჰყიდა.

**ახლა გამოძიებამ დაადგინა, რომ რაკეტების ფიქტიურად შეძენისას თავად შუამავალს გარიგების დასადებად საჭირო ფინანსური სახსრებიც არ ჰქონდა, რის გამოც „პარალაქსი" იძულებული იყო „ვიეიბი ბანკისგან" 11.8 მლნ გრივნის კრედიტი აეღო.**

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით მთავარ ეჭვმიტანილებად შუამავალი კომპანიის ორი ხელმძღვანელი მიიჩნევა, რომლებიც ბრალს არ აღიარებენ და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას ცდილობენ. „ვიმედოვნებთ, რომ სასამართლო შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს და საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივა," — განაცხადა ახლახან უკრაინის გენპროკურორის მოადგილემ რენატ კუზმინმა.

**მისი თქმით, საქართველოსთვის იარაღის უკანონოდ მიყიდვას უარყოფენ ყოფილი პრეზიდენტის — ვიქტრო იუშჩენკოს სამდივნოშიც იმ მოტივით, რომ გარიგების დადებისას, კავკასიაში აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე თბილისთან დაკავშირებით არ არსებობდა იარაღის ემბარგო.**

პირველად ზემოხსენებული ბრალდებები კიევის მისამართით რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა 2008 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტის დასრულებისთანავე წამოაყენეს.

მოგვიანებით მონაცემები საქართველოსთვის უკრაინული იარაღის მიწოდების შესახებ უმაღლეს რადაში საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ დაადასტურა. „არსებობს დოკუმენტები, რომლებიც უკრაინის პრეზიდენტის განკარგულებებს ეხება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე კომპლექსების გაყიდვის თაობაზე. **ეს კი მოწმობს, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო ოპერაციის ჩატარების დროის შესახებ იცოდა,**" — აცხადებდა თავის დროზე კომისიის ხელმძღვანელი ვალერი კონოვალიუკი.

**ოლგა გრიცენკო**, vz.ru

23 — 29 ივნისი, 2010 წელი. №23 (66)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ირაკლი ალასანია: მისია შესრულებულია, ველოდები მითითებებს!



**ალბათ, თვით ირაკლი ალასანიაც ვერ წარმოიდგენდა, რომ პატრონები ასეთ რთულ ამოცანას დააკისრებდნენ. სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების გადარჩენა „გაწონასწორებულად“ ცნობილი ალასანიასთვის სიზიფეს შრომის ტოლფასია და, მიუხედავად ამისა, იგი „სპეცის“ მიზანსწრაფულობით ცდილობს დავალების უზადოდ შესრულებას და პატრონებისთვის თავის მოწონებას.**

ირაკლი ალასანიამ სპეცსამსახურების ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიიპყრო, როცა სულ ნორჩი საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში გამოჩნდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე და დიდად მაშინაც არ გამოირჩეოდა უხვსიტყვიანობით. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მისთვის ერთგვარი მაშველი რგოლი იყო სიმამრი — გურამ ფანჯიკიძე, რომელიც „სასახლის კარზე“ გავლენებს ფლობდა და, ბუნებრივია, სიძის კარგად მოსაწყობად ძალისხმევას არ იშურებდა. ამიტომაც სულ მალე ახალგაზრდა ირაკლი ალასანია ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოში დაინიშნა და ახლა იქაური სპეცსამსახურების თვალთახედვის არეალში მოექცა.

**ამერიკული წარსული ერთგვარად ბურუსითაა მოცული. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ საელჩოს რიგითი თანამშრომელი იყო და ყოველდღიურ რუტინას თავს ვერ აღწევდა, მაგრამ ამის მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს თუ სჯეროდათ.**

2002 წელს ირაკლი ალასანიამ, სათანდო ინსტრუქტაჟის შემდეგ, სამშობლოს მოაშურა და, როგორ ფიქრობთ, სად დაიწყო მუშაობა? არა, რა საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაშინ (ახლაც!) ეს სამინისტრო არაფერს წარმოადგენდა და მხოლოდ პრეზიდენტის კანცელარიის ერთგვარ დანამატად აღიქმებოდა თავისი კევიღეჭია გოგო-ბიჭებით, რომლებიც მთელ დღეს ყავის სმაში ატარებდნენ. ირაკლი კი უკვე „სერიოზული პერსონა“ გახლდათ და მაშინდელმა პრეზიდენტმა, აშშ-დან მიღებული „კეთილი რჩევის“ გათვალისწინებით, საკუთარი ფეხით ჩამოსული „ნომრიანი ბანდეროლი“ სათანადო „გაჩითვის“ (თქვენ გასაუბრება იგულისხმეთ!) შემდეგ მაშინდელ უშიშროების მინისტრს, ვალერი ხაბურძანიას გაუგზავნა მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის განკარგულებასთან ერთად.

ბევრმა გაიკვირვა ნადიპლომატარი „სპეცის“ „ბუდეში“ ნაუცბათევად დაბრუნება, მაგრამ სულ მალე ყველამ (შემთხვევით გამინისტრებული ხაბურძანიას თამადობით) მოკრძალებით დაუწყო ყურება ჩუმჩუმელა პირველ მოადგილეს, რომელიც მხოლოდ „პირველთან“ იყო ანგარიშვალდებული. **ცოტა ხანში კი დაიგეგმა „პანკისის ოპერაცია“ და სპეციალურად ამ საქმისთვის სამშობლოში მოვლინებული ალასანიაც ამ ოპერაციის „ტვინად“ იქცა. მთავარი მომლაპარაკებელი პრეზიდენტის სახელით გარანტიებს აძლევდა ჩეჩენ საველე მეთაურებს და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს გარანტიები ყოველთვის სრულდებოდა იმავე „პირველის“ კატეგორიული მოთხოვნით.**

თუ იმდროინდელი მოვლენების შესახებ არაფერი გაგიგია, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ირაკლი ალასანია პანკისში სპეცოპერაციის ჩასატარებლად სპეციალურად გამოიწვიეს ვაშინგტონიდან და სახელდახელოდ დანიშნეს უშიშროების მინისტრის მოადგილედ. მაგრამ ურწმუნოთათვის შეიძლება მისივე მეუღლის მონათხრობი დავიმოწმოთ და თავად განსაჯეთ, შეიძლება თუ არა რომელიმე მინისტრის რომელიმე მოადგილეზე „შემთხვევით“ ასე ზრუნავდნენ:

**„როგორც ჩანს, სპეცოპერაცია, რომელიც წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა, ბევრად მეტ საფრთხეს შეიცავდა, ვიდრე წარმომედგინა. ექვსი თვის შემდეგ, როცა, როგორც ჩანს, ვითარება ძალზე დაიძაბა, უცხოელმა სპეციალისტებმა იმდენნაირი თავდაცვის სისტემა დაუყენეს ჩვენს სახლს, რომ ფობია დამემართა. სამედიცინო ჩანთაც კი მომიტანეს, თუკი, მიუხედავად ამდენი თავდაცვის სისტემისა, მაინც აგაფეთქებენ, ოჯახის წევრებს პირველი დახმარება რომ აღმოუჩინოთო...“**

**ვის იცავენ „უცხოელი სპეციალისტები“ ასე საგულდაგულოდ? ბუნებრივია, ადამიანს, რომელსაც საგანგებო მისიას აკისრებენ. ირაკლი ალასანიამ მისიას წარმატებით გაართვა თავი და სამინისტროში დაელოდა მორიგ მითითებებს.**

ამასობაში „ვარდების რევოლუციად“ წოდებული ხალხის გაბითურების „სპეცოპერაცია“ ჩატარდა და ირაკლი ალასანიას მიმართ ახალმა ხელისუფლებამ ისეთი მოკრძალება გამოავლინა, წინამორბედს რომ შეშურდებოდა. ცოტა ხანში იგი აფხაზეთის მთავრობის მეთაურად დაინიშნა და მისთვის ერთ-ერთი ურთულესი მისიის შესრულებას შეუდგა — სოხუმში გავლენის მოპოვება სცადა. თუმცა ამ შემთხვევაში შიდასახელისუფლო ინტრიგებმა შეუშალა ხელი. იმდროინდელი შინაგან საქმეთა, შემდგომ კი თავდაცვის მინისტრის — ირაკლი ოქრუაშვილის ამბიციამ, სწორედ იგი ყოფილიყო ქვეყნის გამაერთიანებელი, ალასანიას გეგმაზომიერ მიდგომას სერიოზული პრობლემები შეუქმნა და, სააკაშვილის გადაწყვეტილებით (თქვენ ვაშინგტონი იგულისხმეთ!), ალასანია კვლავ დიპლომატიურ სამსახურს დაუბრუნდა — ამჯერად ელჩად გაეროში.

**სააკაშვილის ავანტურამ, რომელიც საქართველოს ისტორიაში, ალბათ, ყველაზე სამარცხვინო ომად ჩაიწერება, ვაშინგტონი „დაკონსერვებული“ ალასანიასთვის ახალი მისიის დაკისრებაზე დააფიქრა. საჭირო იყო სწორი და გათვლილი მოქმედება, რადგან 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ (რომლის მიმართაც სააკაშვილის ელჩ ალასანიას „რატომღაც“ პროტესტი არ გაუჩნდა) ქვეყანაში ახალი რეალობა გაჩნდა და, მიუხედავად სააკაშვილის მეორე ვადით არჩევისა, მის პრეზიდენტობას სერიოზულად აღარავინ აღიქვამდა. აგვისტოს ომისა და სამარცხვინოდ გაქცეული მთავარსარდლის ხილვის შემდეგ კი ვაშინგტონი სერიოზულად დაფიქრდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ინტერესების უპირობო დამცველი რეგიონის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოში.**

ბუნებრივია, ნაუცბათევი გადაწყვეტილებები კარგს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ დაგვიანებაც არ ივარგებდა — ყოფილი ფავორიტის ფსიქიური მდგომარეობა არც მანამდე იძლეოდა დამშვიდების საფუძველს და ახლა, მით უმეტეს, არ შეიძლებოდა მისი ნდობა. ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ ირწმუნოს, თითქოს სააკაშვილის დღეები დათვლილია.

ასე რომ გადაწყვიტონ, დღეებს კი არა, საათებს დაუთვლიან, მაგრამ ჯერ ვითარების მომზადებაა საჭირო და **სააკაშვილის საპირწონედ გაწონასწორებული და ზომიერი პოლიტიკოსის იმიჯის მქონე ადამიანის ქართულ პოლიტიკაში ჩანერგვა დაისახეს მიზნად. სწორედ ასეთი მისია დააკისრეს ირაკლი ალასანიას და ისიც „სპეცის“ გულმოდგინებით შეუდგა მისიის შესრულებას.**

ალბათ, გახსოვთ, რა ეიფორია იყო შარშან, აპრილში დაწყებული აქციებისას — „მოვდივართ!“ და რამე, „მოვედით!“ და რუმე. აი, ახლა დამთავრდება მიშა და მერე ჩვენ ვიცითო, მაგრამ სინამდვილეში **ტრიბუნაზე შეყალყულ პოლიტიკოსთაგან მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა, რომ ორიოდ თვეში ეს „სულელების მასკარადი“ გეგმაზომიერად უნდა დაემთავრებინა. ეს ადამიანი იყო ირაკლი ალასანია, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ოპოზიციური მუხტის ჩასაქრობად.**

იგი არასოდეს გამოდიოდა მკვეთრი განცხადებებით, რასაც მისი კოლეგები (ალბათ, როგორ ეცინება, როცა ამ ქუჩის პოლიტიკოსებს მის კოლეგებად მოვიხსენიებთ?!) ახლადგამოჩეკილი ლიდერის გამოუცდელობას აბრალებდნენ. სინამდვილეში კი ალასანია სპეციალისტებთან კონსულტაციების გარეშე ერთ სიტყვასაც არ ამბობდა. **ვერ გაიხსენებთ, ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც კი, მის ნათქვამ თუნდაც ერთ ექსტრემისტულ ფრაზას. ახლაც, როცა ზოგს გიჟს ეძახიან, ზოგს — სულელს, ზოგს — მოსყიდულს და ზოგსაც — გამყიდველის ტიტული „შადიმანა“ საშვილიშვილოდ მიენიჭა, აბა, ვინ მეტყვის, რას ამბობენ ირაკლი ალასანიაზე? დიახ, მან სულ ცოტა ხანში მოახერხა და გავლენიან ლიდერად იქცა, თუმცა ზომიერება შეინარჩუნაო.**

ამჯერადაც ზუსტად შესრულა დაკისრებული მისია და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამარცხებული „ალიანსის“ ლიდერი და ვერგამერებული ირაკლი ალასანია ამიტომაც აცხადებს თავდაჯერებულად: **„ჩემი აზრით, ერთადერთი ფორმა და გზა ხელისუფლების ცვლილებისა არის არჩევნებში მისი დამარცხება... ამ არჩევნებში ჩვენი მთავარი წარმატება, რასაც მივაღწიეთ, ის არის, რომ საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ძალებმა პროცესი, რომელიც იყო დაპირისპირებისა ქუჩაში, გადმოვიტანეთ საარჩევნო პოლიტიკურ პროცესში“.**

**ირაკლი ალასანიას საქმე მისალოცად აქვს: მისი მისია ამჯერადაც წარმატებული აღმოჩნდა — მან შეძლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე ე. წ. კვალიფიციური პარტიების დაყოლიება, რამაც სააკაშვილის საარჩევნო თამაშს ლეგიტიმაცია შესძინა.** სხვა შემთხვევაში ხარა-ხურა და რამდენიმე სატელიტი ვითომ ოპოზიციური პარტიის მონაწილეობის ამარა „ნაცებს“ ძალიან გაუჭირდებოდათ გამარჯვების გაფორმება. ხოლო დარღვევები, რასაც სხვა დროს აქტიურად აპროტესტებენ ხოლმე, ახლა იმდენად უმნიშვნელოდ მოეჩვენათ, რომ ხმამაღალი განცხადებებიც კი არ გაუკეთებიათ.

აი, თურმე რა ყოფილა მთავარი წარმატება — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თბილისში მეორე ადგილის დაკავება იმ ფონზე, როცა გიორგი თარგამაძის პარტიამ მეორე ადგილი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიფორმა, პირველ ადგილზე კი ყველგან „ნაციონალური მოძრაობაა“.

მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ალიანსის“ ლიდერისთვის მთავარი იყო ოლიმპიური პრინციპი — მონაწილეობა მისთვის პირველ არჩევნებში, რამაც მას და, სხვათაშორის, მის პარტიასაც პირველად შესძინა კვალიფიციურობა.

**ალასანიამ, ასევე, საგულდაგულოდ მოსინჯა დიდი ოპოზიციური გაერთიანების ყველა რესურსი და არა მხოლოდ დაშალა, არამედ ისეთი უნდობლობის თესლი დათესა, რომ მომავალში რაიმე ფორმით შეკავშირების პერსპექტივაც მოსპო.**

ამ საქმეში ერთგულად ემსახურებოდნენ ქართული პოლიტიკის „ბებერი წურბელები“ — „რესპუბლიკელები“, რომელთათვისაც კვალიფიციურობის მინიჭება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების ლეგალური საშუალებაა. აი, რაც შეეხება გამყრელიძის მკვდრადშობილ „მემარჯვენეებს“, წარმომიდგენია, როგორ ნერვიულობს ადამიანი, რომლის სამივე ტიტული (ექიმი, მეწარმე, ლიდერი) ახლა უკვე სამი „ყ“-თი უნდა გამოითქვას?! ცუდი არაფერი იფიქროთ, „ყოფილი“ ვიგულისხმე.

**მოკლედ, მორიგი მისიაც შესრულებულია — ირაკლი ალასანიამ დავალებას ამჯერადაც უშეცდომოდ გაართვა თავი:** სააკაშვილი კვლავ პრეზიდენტია, უგულავა კვლავ დედაქალაქის მერია, ოპოზიციური ერთობა დაშლილია, პოლიტიკურმა პროცესებმა სხდომათა დარბაზებში გადაინაცვლა, ალასანია კი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება.

იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს, რადგან მისთვის მიცემული გარანტიები 2013 წლისთვის საფუძვლიან მომზადებას ითვალისწინებს.

**ქართული პოლიტიკის ყველაზე სერიოზული „შულერი“ ახლა „ლეველზეა“ და მორიგ დავალებას ელოდება: სტარტიც არ დააგვიანებს!**

**მიხეილ წერეთელი**

**ტრიბუნაზე შეყალყულ პოლიტიკოსთაგან მხოლოდ ირაკლი ალასანიამ იცოდა, რომ გეგმაზომიერად უნდა დაემთავრებინა ეს «სულელების მასკარადი» და ყველაფერი გააკეთა ოპოზიციური მუხტის ჩასაქრობად**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კენიური ხორციდან რუანდულ დემოკრატიამდე

## სააკაშვილს სურს, გაიგოს, როგორ უყურებს ობამას ადმინისტრაცია მის პერსონას, საქართველო მას მხოლოდ კუჭის გავლით აინტერესებს

**როგორც ცნობილია, საქართველოს ივლისის შუა რიცხვებში ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ეწვევა. რა საკითხები განიხილება ვიზიტის ფარგლებში, რატომ გახდა აფრიკის ქვეყნები ბოლო დროს ხელისუფლებისთვის ასეთი მიმზიდველი და რატომ გაააქტიურა ბრძოლა ხელისუფლებამ ნარკოტრეფიკის წინააღმდეგ, პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**





## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოში ნაძარცვი ფულის აფრიკულ ქვეყნებში გათეთრებას ცდილობს

**— ბ-ნო ჰამლეტ, თქვენი აზრით, რა არის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოში?**

— ამერიკას კავკასიაში მიმდინარე პროცესების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აქვს; მითუმეტეს ახლა, როდესაც კავკასიაში, შარშანდელთან შედარებით, სიტუაცია მკვეთრადაა შეცვლილი. მას შემდეგ, რაც ობამას პოლიტიკით უკმაყოფილო სააკაშვილმა ირანის მიმართ საკუთარი სიმპათია დააფიქსირა, საეჭვოა, ამერიკას მისი დამოკიდებულება მოწონებოდა.

**ცნობილია, რომ ამერიკას ირანი გულზე მაინცდამაინც არ ეხატება. მართალია, ირანის პრეზიდენტის საქართველოში შესაძლო მოწვევა საზოგადოებისთვის ცნობილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძისგან გახდა, არა მგონია, ამ ამბის გახმაურება პრეზიდენტის ნებართვის გარეშე მომხდარიყო.**

ამის შემდეგ სააკაშვილმა ინფორმაცია უარყო. ესაა ჩვენი პრეზიდენტის კიდევ ერთი გაუაზრებელი და არასერიოზული ნაბიჯი, რომელსაც არც თუ იშვიათად მიმართავს ხოლმე. ეს განცხადებები, ალბათ, იმ არასათანადო მასპინძლობის შედეგია, რომელიც სააკაშვილს ამერიკაში გაუწიეს. სააკაშვილი ობამამ ოფიციალურად არ მიიღო. სააკაშვილი ამით განაწყენდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი თვე იყურყუტა სააკაშვილმა ამერიკაში, არც ძალისხმევა დაუკლია და არც ფული, ობამასთან ოფიცილური შეხვედრა რომ შემდგარიყო, არ გაუმართლა. მე, მაგალითად, მივესალმებოდი იმას, საქართველოს ირანთან, ისევე, როგორც ყველა მეზობელ ქვეყანასთან, კარგი დიპლომატიური ურთიერთობა რომ ჰქონოდა. ამერიკამ ჩათვალა, რომ პარტნიორ ქვეყანას მის მტერთან სიამტკბილური დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს. ეს თემაც განიხილება, ალბათ, ჰილარი კლინტონის ვიზიტის დროს, და არა მარტო ეს.

**სააკაშვილს აინტერესებს, როგორ უყურებს ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია მის პერსონას. მაპატიეთ და, საქართველო სააკაშვილს მხოლოდ თავისი კუჭის გავლით აინტერესებს. საქართველოა მისთვის საკუთარი პერსონის წარმოსაჩენი საშუალება. სააკაშვილს რომ საქართველო აინტერესებდეს, სულ სხვანაირ პოლიტიკას აწარმოებდა.**

სააკაშვილი ჰილარი კლინტონის ვიზიტის დროს, ალბათ, შეეცდება, ამოიცნოს, რას უპირებს მას თეთრი სახლი. პრინციპში ეს საკმაოდ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან თეთრი სახლი მას არც არაფერს უპირებს.

სააკაშვილს თუ ვინმე რამეს უნდა უპირებდეს, საქართველოს მოსახლეობაა, რომელიც ისეა დეგრადირებული, რომ თავისუფლად იტანს მის მმართველობას, ისეთ მაქინაციებს, რაც ამას წინათ ჩატარებულ არჩევნებზე იყო და სრულიად თავისუფლად აიტანს ორი წლის შემდეგაც იგივე მაქინაციებით ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს. არაა გამორიცხული 2013 წელსაც იგივე განმეორდეს.

**სააკაშვილმა გაზეთ „მონდისათვის“ გაკეთებულ კომენტარში, ჟურნალისტის კითხვაზე, რას აპირებს 2013 წელს და უფიქრია თუ არა პრემიერ-მინისტრობაზე, დადებითი პასუხი გასცა; აღიარა, რომ პრემიერობაზე ფიქრობს. არ გასულა ცოტა ხანი და ქუთაისში ყოფნისას განაცხადა, რომ 2013 წლის შემდეგ საერთოდ აპირებს წასვლას ხელისუფლებიდან. თუმცა საკითხავია, როდის იყო გულწრფელი სააკაშვილი. მე უფრო მგონია, რომ პირველი განცხადების დროს. მეორე, უბრალოდ, იმისთვის გაკეთდა, რომ გულისნადების წამოცდენის შემდეგ როგორღაც დაერეგულირებინა სიტუაცია, რაც გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში მისმა განცხადებამ გამოიწვია.**

სააკაშვილმა ჩათვალა, რომ ორი წლით ადრე ფრონტის ხაზის გახსნა საჭირო არ იყო და საზოგადოება დაამშვიდა, წავალო. ეს კი, ჩემი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება. ვიზიტის ფარგლებში სააკაშვილი იმის დადგენასაც შეეცდება, ხომ არ მიაქცია თეთრი სახლის ადმინისტრაციამ მის განცხადებებს ყურადღება და შეეცდება დაადგინოს მათი განწყობა ამ საკითხთან მიმართებაში.



**ჰილარი კლინტონი, ალბათ, დაინტერესდება, რა დამოკიდებულება აქვს საქართველოს სომხეთ-თურქეთის დიპლომატიური კავშირების აღდგენასთან.** როგორც ცნობილია, ამერიკამ დიდი ენერგია ჩადო ამ ორი სახელმწიფოს დასაახლოებლად, თუმცა შარშანდელი მიღწეული შეთანხმება ამ ორი სახელმწიფოს პარლამენტმა დაბლოკა. აქედან გამომდინარე, ამერიკის იმიჯიც შეირყა. ამდენი ენერგია დახარჯა სახელმწიფოების დასაახლოებლად, ეს ყველაფერი კი უშედეგო აღმოჩნდა.

**— ბოლო დროს შეიმჩნევა საქართველოს ინტერესი აფრიკის ქვეყნების მიმართ. ამას არც პრეზიდენტი სააკაშვილი მალავს. გურგენიძის ვიზიტებიც გახშირდა აფრიკულ ქვეყნებში. ცნობილია, რომ აფრიკის ქვეყნები საუკეთესო საშუალებაა შავი კაპიტალის დასაბანდებლად. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მალე ხელისუფლების არაკანონიერად დაგროვებული კაპიტალი სწორედ ამ ქვეყნებში გადაინაცვლებს?**

— აფრიკის კონტინენტი ყოველთვის ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. ფულის გათეთრება აფრიკის ქვეყნების მმართველების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. იქ დღესაც თავისუფლად შეიძლება ჩასვლა და ნებისმიერი გზით ნაშოვნი ფულის გათეთრება. იქ სჭირდებათ ფული და არ უყურებენ, რა გზითაა ნაშოვნი — შავია, თეთრია თუ ყვითელი. ამიტომ ინტერესდებიან, ალბათ, ჩვენი ქვეყნის მესვეურნი აფრიკის ქვეყნებით, ისეთით, როგორიცაა რუანდა. ამას წინათ სააკაშვილმა ბრძნული აზრიც კი გააჟღერა, რომ თურმე რუანდა ეკონომიური განვითარების დონით ბევრ ევროპულ სახელმწიფოს სჯობს. ეს, ალბათ, რუანდაში რომ გაიგონ, სიხარულით გულები დაუსკდებათ. არსად გამიგია, რომ რუანდა წარმატებული ქვეყანაა. შეიძლება სჯობდეს სენეგალს ან კოდ-დიუარს, ან აფრიკის სხვა ქვეყნებს, მაგრამ, საერთო ჯამში, არაფრით შეიძლება მისი შედარება ევროპის სახელმწიფოებთან არც დემოკრატიული და მითუმეტეს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამ განცხადების მიზანია, რომ ქართულ საზოგადოებაში მასზე კარგი აზრი შეიქმნას.

**პირველად აფრიკის ქვეყნების შესახებ ქართულმა საზოგადოებამ გამსახურდიას დროს შეიტყო, როცა სიგუამ კენიიდან ხორცის შემოტანა გადაწყვიტა. ახლა კი იმიტომ დაინტერესდნენ, რომ ფულია გასათეთრებელი.**

რუანდა შესანიშნავი ადგილია ამისათვის, თანაც ეს განხორციელდება იმ ბანკის მეშვეობით, რომელშიც გურგენიძე მუშაობს. და თუ ეს აღმოჩენა გურგენიძემ გააკეთა, ალბათ, აღარ გაუჭირდებათ არა მარტო რუანდასთან, არამედ სხვა მსგავს სახელმწიფოებთან კავშირის დამყარებაც. სამწუხაროდ, სააკაშვილი და მისი გუნდი, იმის მაგივრად რომ რამე გააკეთონ ქართული ეკონომიკისთვის, ნაძარცვი ფულის აფრიკულ ქვეყნებში გათეთრებას ცდილობენ.

**— ბოლო დროს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით გახმაურდა ფაქტები იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით. თქვენთვის თუ იყო რაიმე ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ის ფაქტი, რომ საქართველოში იარაღით ვაჭრობა აქტუალური იყო, ჩემთვის აღმოჩენა არ ყოფილა.

## იარაღით ვაჭრობა ჯერ კიდევ 1993-94 წლებიდან მიმდინარეობს. მას შემდეგ, რაც რუსებმა ბაზები დაგვიტოვეს, ქართველებმა კი ამ ტექნიკის გაყიდვა დაიწყეს.

მახსოვს,1997 წელს ამ საკითხით დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ოფიციალური განცხადებები,რომ თითქოს რუსეთი არ გვეხმარებოდა სამხედრო ძალების ჩამოყალიბებაში და იმიტომ გადავიხარეთ დასავლეთისკენ, სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ამასთან დაკავშირებით შევხვდი თავდაცვის ყოფილ მინისტრის მოადგილეს, რომელმაც იმ სამხედრო ტექნიკის სია მიჩვენა, რუსეთმა რომ გადმოგვცა. სია დაახლოებით 100-ფურცლიანი იყო. საქართველოში რუსებმა დიდძალი იარაღი დატოვეს და მისი გატანა შემდგომ ხდებოდა ნელ-ნელა. მე ფაქტსაც შევესწარი, როცა ნიკო ლეკიშვილის ძმას გამზადებული ჰქონდა იარაღით დატვირთული კონტეინერი ბათუმში, მაგრამ, ასლან აბაშიძემ გაიგო თუ არა, დაბლოკა. მაშინ პარლმენტის წევრიც ვიყავი, აჭარის წარმომადგენელიც და ჩემთან არა მარტო სატელეფონო, პირადი საუბრებიც მიმდინარეობდა, რომ ასლან აბაშიძესთან მეწარმოებინა მოპალარაკება ამ ტვირთთან დაკავშირებით. თუმცა ასლანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

**იარაღით ვაჭრობა და ნარკოტრეფიკი ერთ-ერთ სარფიან ბიზნესად ითვლება და, რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლებაც არ ამბობს უარს ამაზე.**

ამას წინათ იმასაც წერდნენ, რომ საქართველო ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრაზიტო ქვეყნად ითვლება ნარკოგადაზიდვების მხრივ. ეს სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ ამით არც არავინ დაინტერესებულა. ის სპეცოპერაციაც, რაც ცოტა ხნის წინათ ჩატარდა ვანო მერაბიშვილის უწყების მიერ, მხოლოდ აჟიოტაჟის ატეხვა იყო. საზოგადოებას მტვერს აყრიან თვალებში, თითქოს ნარკოტიკების შემოტანას ხელს უშლიან და მის წინააღმდეგ იბრძვიან.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კაპიტან გრანტის შვილები

**შავი ზღვის ტალღები ბობოყვათის ნაპირს ეფერებოდნენ. შეზლონგებში მჯდარი რამდენიმე მარტოსული ადამიანი სევდიანად ესაუბრებოდა ერთმანეთს.**

— ობლად დავრჩით, ვანიჩკა, მარტონი ვართ. ერთი ჯორჯი გვყავდა, ბუში, წავიდა, მიგვატოვა; მეორე ჯორჯი გვყავდა, სოროსი, ისიც დაიკარგა სადღაც. არავის ვუნდივართ ობლები, თავზე არავინ გვისვამს ხელს. მოვიდა ეს (შემდგომი პასაჟი გამოტოვებულია, რათა ავტორს არ დააბრალონ ქსენოფობიის, შუღლისა და კიდევ ათასი უბედურების გაღვივება), მოჯდა თეთრ სახლში ეს (გამოტოვებულია იმავე მიზეზით) და აღარ გვყავს ჩვენი ჯორჯები, ჩვენი მამა-მარჩენლები, დარჩა ჯორჯია ჯორჯების გარეშე... ტიტუ, ტიიიტუ! როგორ უყვარდა, ჩემი წითელი ჰალსტუხი... თქვი რამე, ვანო, რას გაჩუმებულხარ...

— ნუ...

— ის ლოგოპედი რომ გამოგიგზავნე, ციხეში რატომ ჩასვი?

— მუ...

— მოიცა, ვანო, მგონი ამოდის, ყველანი დაიშალეთ, კახა ამოდის.

**მომდევნო სცენა ერთობ მოაგონებდა აფროდიტეს ამოსვლას ტალღებიდან იმ მცირედი განსხვავებით, რომ სიყვარულის ღვთაების კუთვნილ ადგილს ორცენტნერიანი მამაკაცი იკავებდა. ტალღებმა და მხეფებმა დაფარეს ყველაფერი მის ირგვლივ ათიოდე მეტრის რადიუსში, თუმცა ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა. იგი ამაყად იღიმოდა, ზეცისკენ აპყრობილ ხელში ძველებური, მუქი შუშის ბოთლი ეჭირა.**

— ეს რა იპოვეთ, ბატონო კახა?

— პოშელ ნა...

— მართლა, ნიკა, რა ამბავია, რომ მიახტი, თმა დაივარცხნე, პრემიერი ხარ თუ პაპუასების შამანი? ეს რა არის კახა?

— ბავშვებო, „1001 ღამე“ წაკითხული თუ გაქვთ?

— ეგ ეროტიკაა?

— გაჩუმდი-მეთქი, ნიკა! გააგრძელეთ, ბატონო კახა, გისმენთ.

— ჰოდა, ეგ არის ბოთლი, რომელშიც ზის ჯინი; სამ სურვილს შეგვისრულებს.

— აუ, რა მაგარია. ისე, მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს.

— მეც...

— ოთხნი ვართ, სურვილი კი სამია, ზნაჩიტ ნიკა აფსაითშია.

— ისე, ვანიჩკა, ის შენი ერთი სურვილი რა არის?

— ნუ...

**(პაუზა. შემდეგ ესოდენ ნაცნობი ხმის სასოწარკვეთილი კივილი ისმის):**

— ხელი, ბოთლს ხელი გაუშვი-მეთქი, რას უყურებთ, გაკოჭეთ, დააპატიმრეთ!

— საკუთარ თავს თუ დააპატიმრებს, თორე... **(იწყება ჩხუბი, რომლის დროსაც ბოთლი ვარდება და ტყდება. მუშტი-კრივიც შესაბამისად ნელ-ნელა ცხრება).**

— ადექი, ველარ ვსუნთქავ; შენ, კახა, ადრე სუმოში ხომ არ ვარჯიშობდი?

— პრიზიორი გავხდი 76-ში. სპარტაკიადა მალიხ ნაროდოვ კრაინეგო სევერა.

— რა ჯინი, შევარდნაძის დრო ხომ არ გგონიათ? ჩვეულებრივი ბოთლია და შიგნით ქაღალდი, ინგლისური ვინ იცის? მიდი ნიკა, წაიკითხე, თან თარგმნე.

— ჩემო ძვირფასო შვილებო, თქვენი... **აქ, ეტყობა წყალმა წაშალა...** კატასტროფა განვიცადე... **ისევ წაშლილია...** კოორდინატები: 37-ე პარალელი... **აქაც არაფერი ჩანს** ...ო, როგორ მენატრებით, თქვენი მოსიყვარულე მამა, თქვენი ჯორჯი.

— ეგ სულ სხვა კინო ყოფილა, „დეტი კაპიტანა გრანტა“.

— ვიცი, ნანახი მაქვს, მანდ ბავშვებმა მიიღეს გრანტი, მაგრამ ლოთი მამა ჰყავდათ, რომელმაც გრანტი მოიპარა და...

— ნიკა გაჩუმდი, თორემ მოგხსნი. როგორ ვერ გაიგეთ, რომ ჩვენი ჯორჯი გვწერს. თეთრ სახლში რომ მოჯდა ეს (გამოტოვებულია), ჯორჯმა ისევ სმა დაიწყო, ზის ახლა სადღაც, წერილებს გვწერს და ბოთლებს ოკეანეში ისვრის.

— ბელაია აქვს?

— მერე რა? სასწრაფოდ უნდა ვუშველოთ. ჩვენ რომ ვუშველით, მერე ისიც გვიშველის. თანაც მარტონი აღარც ჩვენ ვიქნებით, არც ის.

— 37-ე პარალელი სადღაა?

— პერპენდიკულარში, გზაში გავარკვევთ. წამოდით, კახა, არ მოდიხარ?

— რაღა დროს ჩემი რომანტიკაა, თქვენ გაფრინდით, ბავშვებო, აბა, თქვენ იცით.

**პლაჟი დაცარიელდა. რამდენიმე წუთში მარტოდდარჩენილმა მამაკაცმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და რატომღაც პირთან მიიტანა.**

**- Центр, я „Одуванчик“, как слышно. Прием.**

**- „Одуванчик“, слышу Вас хорошо. Прием.**

**- Докладываю, операция „Папочка“, развивается по утвержденному ранее плану. Сиротки вылетели курсом на 37-ю параллель. Прием.**

**- Вас понял, „Одуванчик“. Подтверждаю, объект „Белый Медведь“ выдвинулся курсом на 37-ю параллель к месту встречи „Сердечное свидание“. Поздравляю с успешным выполнением задания и внеочередным званием. Конец связи.**

პლაჟზე სიჩუმე ჩამოვარდა. შეზლონგის ნამსხვრევებზე მჯდომი მამაკაცი მდუმარედ უყურებდა ზღვას და მორიდებულად იღიმებოდა.

**დიმიტრი მონიავა**

# ახმადინეჯადის ოცნება უკეთეს მსოფლიოზე და რეზოლუცია, როგორც «ნახმარი ქაღალდის პირსაწმენდი»

**10-11 ივნისს ტაშკენტში გაიმართა „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (გავრცელებული რუსული აბრევიატურით – შოსი) სხდომა. ამ ორგანიზაციაში შედიან რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, ხოლო დამკვირებლების სახით წარმოდგენილი არიან ირანი, ინდოეთი, პაკისტანი და მონღოლეთი.**

ირანის დელეგაცია სხდომას დაესწრო პრეზიდენტ ახმადინეჯადის გარეშე, რომელიც შანხაიში გაემართა „ექსპო-2010“-ზე დასასწრებად. ყველამ იცოდა, რომ ირანის პრეზიდენტი განაწყენდა რუსეთზე, რომელმაც გაეროს უშიშროების საბჭოში მხარი დაუჭირა ამერიკულ რეზოლუციას ირანისადმი სანქციების გამკაცრების შესახებ, რომლებიც, ჰილარი კლინტონის აზრით, **„ყველაზე უფრო მკაცრი სანქციებია, რაც ირანს უნახავს!“** რუსები, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ სანქციები შეეხება მხოლოდ საბანკო ანგარიშებს და არა ირანის უბრალო მოსახლეობას.

კონფლიქტი იყო შოსის შარშანდელ სხდომაზეც, რომელიც ეკატერინბურგში გაიმართა. მაშინ ირანში ახლადჩატარებული არჩევნებისა და მასობრივი არეულობების გამო გაუგებარი იყო, ახმადინეჯადი დაესწრებოდა თუ არა ამ სამიტს. იგი ერთი დღის დაგვიანებით ჩავიდა, რათა მედვედევს შეხვედროდა, როგორც დაგეგმილი იყო. მაგრამ მედვედევი მხოლოდ საჯარო ხელის ჩამორთმევით შემოიფარგლა, შეხვედრისთვის კი დრო არ მაქვსო (14 აპრილი ხომ არ გახსენდებათ, ობამასა და სააკაშვილის ასევე საჯარო ხელის ჩამორთმევა, ქართული ტელეარხების მიერ ასე რომ იყო ტირაჟირებული).

**გაეროს სხდომამდე ერთი დღით ადრე სტამბულში რეგიონალური ლიდერების სამიტზე ერთმანეთს შეხვდნენ ახმადინეჯადი და პუტინი. ასე რომ, ირანი უკვე ინფორმირებული უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთი სანქციებს მხარს დაუჭერდა.**

გაერომ, მართლაც, მიიღო ახალი რეზოლუცია (1929) ირანის ბირთვულ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელსაც ხმა მისცა უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივმა წევრმა, მათ შორის რუსეთმა და ჩინეთმაც, რომლებიც ადრე სანქციების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ სანქციების წინააღმდეგ მხოლოდ თურქეთი და ბრაზილია წავიდნენ, რომლებიც ცოტა ხნით ადრე, მაისში, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ახალი ინიციატივით გამოვიდნენ. ეს ამერიკელებმა აგდებით მიიღეს (ჩვენს საქმეებში ნუ ერევითო) და ამით ისინი გაანაწყენეს; არადა, ამერიკის ეს ორი სტრატეგიული მოკავშირე, მათი აზრით, კარგს აკეთებდნენ და, ალბათ, ამერიკისგან წახალისებასაც ელოდნენ და არა საჯარო დამცირებას!

**ამერიკის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა განმარტა, რომ გაეროს ახალი რეზოლუცია ქმნის ბაზას, რომელიც ცალკეულ ქვეყნებს მისცემს საშუალებას, კიდევ უფრო მკაცრი სანქციები შემოიღონ ირანის წინააღმდეგ.** გარდა ამისა, რეზოლუციის სამ დამატებაში ჩამოთვლილი არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, სულ 42 კაცი, რომლებიც შეტანილი არიან შავ სიაში და რომელთა აქტივებიც გაყინული იქნება, ასევე, მათ აეკრძალებათ საზღვარგარეთ გამგზავრება.

**რუსეთისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა, რომ ამ ახალი რეზოლუციით ის ველარ შეასრულებს ადრე ხელმოწერილ კონტრაქტს — ირანისთვის საჰაერო თავდაცვის სისტემების ს-300-ის მიწოდების შესახებ. არადა, წინა დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ირწმუნებოდა, რომ ეს რეზოლუცია ამ კონტრაქტს არ შეეხებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეეხებოდა და, ცოტა არ იყოს, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია სამხედრო წრეებში.**

მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ გაეროს რეზოლუცია სიტყვა-სიტყვით შესრულდება. ამავე დროს, სახელმწიფო დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევი ამბობს, რომ, თუ ირანი იგნორირებას გაუკეთებს გაეროს რეზოლუციას, ამას კიდევ უფრო მკაცრი სანქციები მოჰყვება. მისი აზრით, ეს ბოლო რეზოლუცია კარგი კომპრომისია ამერიკის მაქსიმალისტურ და ჩინეთის მინიმალისტურ მიდგომებს შორის.

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა „უოლ სტრიტ ჯორნალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამ თემასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის კმაყოფილია მიღებული ერთობლივი რეზოლუციით. ხოლო, თუ ამერიკა, ევროკავშირი ან ვინმე სხვა ცალმხრივ სანქციებს დაუწესებდა ირანს, ეს საქმეს მხოლოდ გააფუჭებდა.**

მისი აზრით, ამერიკისთვის ადვილი იყო ირანისთვის ეკონომიკური და ფინანსური სანქციების დაწესება, ვინაიდან მათ არავითარი შეხება არ აქვთ მასთან, მაგრამ რუსეთისა და, განსაკუთრებით ჩინეთისთვის, ეს ძალიან რთულია, ვინაიდან ორივესთვის ირანი უახლოესი ეკონომიკური პარტნიორია. **მედვედევის თქმით, ირანს სრული უფლება აქვს, ჰქონდეს მშვიდობიანი ბირთვული პროგრამა, მაგრამ, თუ ირანის ხელში აღმოჩნდება ბირთვული იარაღი, ეს მთელ შუა აღმოსავლეთს ააფეთქებს და ამიტომ ძალიან უნდა, რომ ირანმა კეთილგონიერება გამოიჩინოს და მაგატესთან ითანამშრომლოს.**

**ირანის პრეზიდენტმა გაეროს რეზოლუციას „ნახმარი ქაღალდის პირსაწმენდი“ უწოდა. „ჩვენს წინააღმდეგ მიიღეს რეზოლუცია, მაგრამ ჩვენ მას აღვიქვამთ როგორც ქაღალდის პირსაწმენდს, რომლითაც პირს მოვიწმენდთ და** ▶

## მოკლედ



### შაშკინს პრემიერობას უპირებენ

**როგორც ამბობენ, მთავრობას ახალი სისხლი დასჭირდა და საამისო ცვლილებების მოწმენი უახლოეს დღეებში გავხდებით — პრემიერ-მინისტრ გილაურს მალე ფინანსთა მინისტრის სავარძელში ვიხილავთ, მის ადგილს კი დიმიტრი შაშკინი დაიკავებს.**

თავად გილაური ამ თემებზე საუბარს კატეგორიულად გაურბის. სამაგიეროდ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი უარყოფს თავისი უწყების ეკონომიკურ სამინისტროსთვის მიერთების პერსპექტივას.



### რატომ „მაგი სტილი“?

**სააგენტო „პირველი“ კვლავაც უშედეგოდ ცდილობს იმის გარკვევას, თუ რა უფლებითა და პირობებით აშენებს „მაგი სტილი“ ქუთაისში პარლამენტის ახალ შენობას და ჩატარდა თუ არა შესაბამისი ტენდერი.** სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ „მაგი სტილის“ ერთ-ერთი მფლობელი კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანია, თანამფლობელები კი — თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი და მედიაჰოლდინგ “ჯორჯიან მედიაპროდაქშენ გრუპის” გენერალური დირექტორი გიორგი არველაძე.



### ამერიკელმა თავისი ოჯახი ამოხოცა

**ორი პისტოლეტით შეიარაღებული 56 წლის კალიფორნიელმა მამაკაცმა თავის შვილობილს, მის ქმარსა და ორ მცირეწლოვან ბავშვს მაშინ აუტეხა სრულა, როდესაც ოჯახი ქალაქის ერთ-ერთ კაფეში სადილობდა.**

დამნაშავის სიძე ადგილზევე გარდაიცვალა, 8 წლის ბავშვი — საავადმყოფოში, ქალი და მისი ხუთი წლის შვილი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მკვლელს საკუთარი ოჯახის ამოხოცვამდე მათთვის არაფერი უთქვამს, დანაშაულის მოტივები უცნობია, დამნაშავემ კი ადგილზევე მოიკლა თავი.



# ჯორჯ ბუშის ტრაგიკული მემკვიდრეობა ისტორიის სანაგვე ყუთიდანაც კიდევ ბევრ უბედურებას მოგვიტანს

◀ **ნაგვის ყუთში გადავაგდებთ“, — განაცხადა მან იმავე დღეს დუშანბეში.** საინტერესოა, რომ შანხაიში ჩასულმა ახმადინეჯადმა არც ერთხელ არ გააკრიტიკა ჩინეთი, რომელმაც, ასევე, მხარი დაუჭირა ამ რეზოლუციას. **„ჩინეთი და ირანი უძველესი ცივილიზაციებია და ჩვენ შეგვიძლია, რომ ერთად ვიმუშაოთ, რათა ჩვენი ოცნება უკეთეს მსოფლიოზე რეალობად იქცეს“,** — განაცხადა მან. ამავე დროს ირანის ახალი პროექტია პირდაპირი სარკინიგზო ხაზი, რომელიც ტაჯიკეთსა და ირანს დააკავშირებს და ავღანეთის იმ ტერიტორიაზე გაივლის, რომელიც ტაჯიკებითაა დასახლებული (მრავალეროვან ავღანეთში ტაჯიკები რაოდენობრივად მეორე ერია). ეს კი რაღაც ახალ სურათს გვაძლევს ავღანეთიდან ნატოს ჯარების გაყვანის შემდეგ ამ ქვეყნის შესაძლო დაშლასთან და ახალი სპარსულენოვანი ერთობის შექმნასთან დაკავშირებით.

**17 ივნისს ევროკავშირმა დაამტკიცა ახალი, გაეროს სანქციებზე გაცილებით უფრო მკაცრი საკუთარი სანქციები, რომლებიც მიმართულია ირანის ნავთობისა და გაზის მრეწველობის წინააღმდეგ. ეს მოხდა ზუსტად ერთი დღის შემდეგ, რაც ამერიკის ფინანსთა სამინისტრომ ირანული ბანკებისა და კომპანიების მიმართ შეზღუდვები შემოიღო.**

**მაგრამ ამერიკისა და ევროკავშირის მიერ ირანის მიმართ დაწესებული ახალი სანქციები გამოდის იმ შეთანხმებული სანქციების ჩარჩოებიდან, რომლებიც ერთიანად იყო მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ. ამან კი რუსეთში, როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკი აღშფოთება გამოიწვია. სულ ერთი დღით ადრე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მედვედევი აფრთხილებდა დასავლეთის ქვეყნებს, არ წასულიყვნენ ცალმხრივ სეპარატისტულ აქციებზე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის განცხადებაში ამერიკისა და ევროკავშირის ახალ სანქციებს მიუღებელი უწოდა და სასტიკად გააკრიტიკა ისინი, რომ თავის თავს აყენებენ გაეროს უშიშროების საბჭოზე მაღლა.**

ამ კრიტიკაზე ამერიკის ოფიციალურმა პირებმა უპასუხეს, რომ ეს ახალი სანქციები „ავსებენ“ გაეროს რეზოლუციას და ისინი მიმართულია მხოლოდ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ, ვინც ჩართულია ბირთვულ პროგრამებში. ეს დამატებითი ღონისძიებები არ გამოდის გაეროს რეზოლუციის „ჩარჩოებიდან“ და არ არის მიმართული ირანელი ხალხის წინააღმდეგ, ამტკიცებენ ისინი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დამატებითი სანქციები მიმართულია ირანის ეკონომიკის ძირითად სფეროებზე, ანუ ნავთობისა და გაზის მრეწველობებზე, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული, ცოტა ძნელი დასაჯერებელი ხდება ეს.

გაზეთ „კრისჩიან საინს მონიტორის“ აზრით, როგორც ამერიკის, ისე რუსეთის ბოლო განცხადებები მიმართულია შიდა მოხმარებისთვის, რომ აეცილებინათ კრიტიკა გაეროს რეზოლუციის მიმართ. **ასეთ დროს ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ამერიკის თავდაცვის მინისტრის — რობერტ გეიტსის, რბილად რომ ვთქვათ, არადიპლომატიური და „სალდაფონური“ განცხადება, რომ რუსეთის პოზიცია არის „შიზოფრენიული!“ და ეს ხდება ამ კვირის ბოლოს „რვიანისა“ და „ოცეულის“ სამიტების წინ, რომლებიც კანადაში გაიმართება, ასევე, მედვედევის ობამასთან ერთად კალიფორნიის სილიკონის ველზე გასეირნებამდე ერთი კვირით ადრე!**

ეს განცხადება გეიტსმა სენატში გამართულ მოსმენებზე გააკეთა. მისი თქმით, რუსეთი შეშფოთებულია რეგიონში ირანის გავლენის გაძლიერებით. როდესაც სამი წლის წინათ გეიტსი მაშინდელ პრეზიდენტ პუტინს შეხვედრია, რუსეთის ლიდერს მისთვის უთქვამს, რომ „მას ირანი მიაჩნია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მთავარ საშიშროებად“, — ამტკიცებს გეიტსი (გასაგები ხდება, თუ რა უნდა ირანისგან სააკაშვილს და რატომ იწვევს ახმადინეჯადს თბილისში. – რ.კ.). მიუხედავად ამისა, რუსეთს, უკვე ოცი წელია, ირანში სერიოზული კომერციული ინტერესები აქვს, უხსნიდა ის სენატორებს. და **როდესაც ერთ-ერთმა სენატორმა მიანიშნა, რომ რუსეთის პოზიცია წინააღმდეგობრივია, სწორედ აქ თქვა გეიტსმა: „ის, რასაც თქვენ ბრძანებთ, მიგვანიშნებს რუსული მიდგომის ერთგვარ შიზოფრენიას“. საინტერესოა, თუ იცის მან ამ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობა და ექნება კი რამე გაგრძელება ამ ინციდენტს?**

სენატის იმავე მოსმენებზე, რომელიც გაეროს ამ რეზოლუციას ეხებოდა და რესპუბლიკელების სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში იყო გატარებული, ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ მათ მოახერხეს, დაერწმუნებინათ რუსეთი და ამჟამად ისინი იზიარებენ ამერიკის შეშფოთებას ირანის ბირთვულ ამბიციებთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, **„დაგვჭირდა დრო, რომ რუსებისათვის დაგვემტკიცებინა – ირანი სინამდვილეში ბირთვული ენერგიის ათვისებას მშვიდობიანი მიზნებისთვის კი არ ცდილობს, არამედ, ჩვენი აზრით, აპირებს ბირთვული იარაღის შექმნას“.**

ყველაფერი ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენი რეგიონის უსაფრთხოებას ეხება. **საბედნიეროდ, ბუშის ერა ისტორიის კუთვნილებად გადაიქცა და ამერიკა აღარ აპირებს ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებას. ამისათვის კი მას საქართველო პლაცდარმად და სამხედრო აეროდრომად სჭირდებოდა, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.** მაგრამ მისი სხვა კატასტროფული სისულელეების გამოსწორება ძალიან ძნელი იქნება – გაისად კი აპირებენ ამერიკელები ავღანეთიდან და ერაყიდან ჯარების გაყვანას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ორივე ქვეყანა მრავალ მამრავლებად დაიშლება. მაგრამ **რას გააკეთებენ ახლადშექმნილი ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა, რათა საერთაშორისო არენაზე ყურადღება მიიქციონ? ცხადია, ერთმანეთს ტერიტორიულ პრეტენზიებს წაუყენებენ და ახალ რეგიონალურ ომებს დაიწყებენ. ასე რომ, ბუშის ტრაგიკული მემკვიდრეობა მარტო სააკაშვილი არ არის; ის ისტორიის სანაგვე ყუთიდანაც კიდევ ბევრ უბედურებას მოგვიტანს, და არა მარტო ჩვენ...**

**რამაზ კლიმიაშვილი**

# ვანოს ბედი საფრანგეთში

**მოგეხსენებათ, როგორ უყვარს ჩვენს „უეროვნულეს, უპატიოსნეს და ზეპროგრესულ“ ხელისუფლებას დასავლური მაგალითების მოყვანა. მაღალი გადასახადების მაგალითები გნებავთ? ა, ბატონო, ევროპა. კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე თანასწორობა? ისევ — ევროპა; ტარიფები? ევროპა და ამერიკა აგერ არაა? მართალია, როცა საქმე ხალხის კი არა, ხელისუფლების ვალდებულებებამდე მიდის და გვახსენდება, რომ დასავლეთში მაღალ ტარიფებსა და გადასახადებთან ერთად ძალიან მაღალი ხელფასებიცაა, ამის საპასუხოდ ხელისუფლებას თვალი ელამივით ახლა უკვე ყირგიზეთ-ავღანეთისკენ გაურბის და — აი, ნახეთ, იქ როგორი დაბალი ხელფასები და შიმშილიაო — გვაყვედრის.**


საფრანგეთის შს მინისტრი ბრის ორტეფე

როცა საუბარი კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას ეხება, ხელისუფლება არ უარყოფს, რომ „იქ“ კანონის წინაშე მართლაც ყველა თანასწორია. მართალია, ანალოგიური თემატიკის ადგილობრივი მაგალითები რატომღაც აღარ ახსენდება ხოლმე და, უკეთეს შემთხვევაში, საგადასახადო სამსახურის რომელიღაც ინსპექტორის ან პროკურატურის მიერ „მიჩმორებული“ სასამართლოს რომელიმე კლერკის დაპატიმრებას გვჩრის ხოლმე თვალში, მაგრამ ხალხი იმდენად ბნელი მაინც არ არის, რომ განსხვავებას ვერ ხედავდეს.

**ყველას გვახსოვს იმხანად ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშის უმცროსი ქალიშვილის ლოთობისა და პოლიციაში მიყვანის ფაქტები, რის შესახებაც მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა. ამაზე მეტი რაღა უნდა იყოს, არა?**

ამას წინათ ჩემი ერთი ახლობელი ნიცაში იმყოფებოდა თავისი საქმიანობის გამო. ადგილობრივი მერიის მიმდებარე ერთ-ერთ ქუჩაზე მასპინძელმა მას იქვე გაჩერებული ერთი ავტომანქანა დაანახა და უთხრა – ეს ჩვენი მერის პერსონალური მანქანააო. კი მაგრამ, მერიის წინ რატომ არ დგასო, გაუკვირვებია ჩემს ახლობელს. რას ამბობ, მერიის წინ გაჩერება აკრძალულია და მერი კანონს ხომ არ დაარღვევსო, მიუღია პასუხად ჩემს ახლობელს; მის მასპინძელს კი – ჩემი ახლობლის გაფართოებული თვალები.

**არცაა გასაკვირი – დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენი დღევანდელი მერი გიგი არჩეული-უგულავა ფეხბურთელ რატი ალექსიძისთვის პროკურატურის მიერ ჩამორთმეული და შემდგომ პროკურატურის ეზოდან მოპარული „იქს-5“-ით დასეირნობდა.**

რამდენიმე წლის წინათ ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრი მხოლოდ იმიტომ გადადგა თანამდებობიდან, რომ ერთ-ერთი ბელგიელი პოლიციელი ველოსიპედით პატარა ბავშვს დაეჯახა და უნებლიეთ მოკლა. ამ ამბავს ბელგიაში მასობრივი არეულობები არ გამოუწვევია. ყველასთვის თავისთავად ცხადი იყო, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან ჰქონდათ, რომელიც ყველას შეიძლება მოუვიდეს; ისიც თავისთავად ფაქტად ჩაითვალა, რომ ამ ინცინდენტის გამო ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა თავი ვალდებულად ჩათვალა, დაკავებული თანამდებობიდან გადამდგარიყო.

**რამდენიმე დღის წინათ კი პარიზის სასამართლომ „რასისტული შინაარსის გამონათქვამისთვის“, არც მეტი, არც ნაკლები, საფრანგეთის ვანო (იქაური შინაგან საქმეთა მინისტრი) დააჯარიმა. №1-მა ფრანგმა პოლიციელმა ბრის ორტეფემ მმართველი პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრის მიმართ არაეთიკური (ფრანგული საზომებით) შინაარსის გამონათქვამი იხმარა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩათ „ლე მონდის“ ჟურნალისტებს. სკანდალიც აგორდა და პარიზის სასამართლომ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი და ნიკოლა სარკოზის ახლო მეგობარი ბრის ორტეფე სამი ათასი ევროთი დააჯარიმა.**

ბატონო? გირგვლიანი ახსენა აქ ვინმემ?

ეჰ, არ იციან უბედურმა ევროპელებმა, როგორც ჩანს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყნის ხერხემალია...

**სალვადორ დვალი**

## მოკლედ



### გილაურს ტემპი არ მოსწონს

**ის იყო პრემიერ-მინისტრმა გილაურმა იგრძნო, რომ საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის ტემპით უკმაყოფილოა, უმალ მოძებნა გამოსავალიც.**

**მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, რომ ტემპის დასაჩქარებლად დამატებითი ძალების ფუნქციას კერძო სექტორი შეასრულებს.**

ამისათვის ეკონომიკის სამინისტრო კერძო სექტორის წარმომადგენლებთან — ბროკერებთან ხელშეკრულებებს გააფორმებს, ეს უკანასკნელნი კი სახელმწიფოს კლიენტებისა და ინვესტორების მოძიებაში დაეხმარებიან.



### დახარჯულის „გაპრავება“

**როგორც საპარლამენტო ოპოზიციამ დაასკვნა, 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის მიხედვით მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების 25-25-დან 55-55 მილიონამდე გაზრდის მიზანი „უკვე გახარჯული თანხების გაპრავებაა“.** ოპოზიციის არგუმენტი უმტკიცესია: „ფონდებიდან თანხების ხარჯვა სრულიად გაუმჭვირვალედ ხორციელდება და რაში იხარჯება თანხები მხოლოდ მთავრობამ და კახა ბაინდურაშვილმა იციან“. ამ უკანასკნელის თქმით, ფონდები აქამდე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამო არ იზრდებოდა.




### ადამიანის თავებით სავსე ყუთი

**არკანზასის დედაქალაქის აეროპორტში აღმოაჩინეს კონტეინერი, რომელშიც 60-მდე ადამიანის თავი იდო.** კონტეინერს სათანადო იარლიყები არ ეკრა. უსაფრთხოების სამსახური არკვევს, ტვირთი არალეგალურია თუ სამედიცინო კვლევებისთვის იყო განკუთვნილი. არკანზასში ადამიანის სხეულის ნაწილებით ვაჭრობის არაერთი ფაქტია დაფიქსირებული, თუმცა, ამჯერად ტვირთის ადრესატი ტეხასური კომპანია „Medtronic“ აცხადებს, რომ ადამიანის თავები მას სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო პრაქტიკისათვის გაეგზავნა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ჯიმი ჯალიაშვილი:

# მრჩება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილს თავი პატარა საქართველოს მმართველად კი არა, უდიდესი იმპერიის ბელადად წარმოუდგენია

**„გადატვირთვის პოლიტიკა“, რომელიც მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს — რუსეთსა და ამერიკას — შორის, ძირითადად, ბირთვული უსაფრთხოების სფეროში ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს, საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. დასავლელი ექსპერტები დღეს უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ ამ პოლიტიკის ფარგლებში კრემლსა და ვაშინგტონს შორის შეთანხმება შედგა, რითაც დღის წესრიგში უკვე ამ სახელმწიფოთა შორის გავლენის სფეროების ხელახლა გადანაწილების საკითხი დგება.**



**იგივე ექსპერტები („ვაშინგტონ პოსტში“, „ნიუ იორკ ტაიმსში“, „ნიუსვიკში“ და სხვა გავლენიან გამოცემებში) ყურადღებას საქართველოს საკითხზეც ამახვილებენ და ცალსახად აღნიშნავენ, რომ საქართველო გადატვირთვის მსხვერპლი ხდება, ამერიკა საქართველოს დანაწევრებას დათანხმდა, დასავლეთი ოფიციალურ თბილისს წინაღობად განიხილავს და ა.შ.**

**...რამდენად საგულისხმოა ჩვენთვის მსგავსი შეფასებები, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ჩვენს ქვეყანაში რუსეთ-ამერიკას შორის „გადატვირთვის პოლიტიკის“ კვალდაკვალ და, საერთოდ, რას უნდა ველოდოთ მომავალში — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.**

**— ბატონო ჯიმი, ამ რამდენიმე ხნის წინათ გავლენიან ამერიკულ გამოცემა „ნიუსვიკში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „გადატვირთვის მსხვერპლი“, რომელშიც ავტორი ოუენ მეთიუსი წერს: „რუსეთსა და ამერიკას შორის დაწყებულ „გადატვირთვის პოლიტიკას“ ერთი აშკარა მსხვერპლი ჰყავს — საქართველო“... მსგავსი შეფასებები დასავლურ პრესაში ბოლო დროს სულ უფრო ხშირად კეთდება. რამდენად დამაფიქრებელი უნდა იყოს ეს საქართველოსთვის, ანუ რეალურად რას ნიშნავს „გადატვირთვის მსხვერპლი“, რაშიც მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები ამერიკის მხრიდან ჩვენს მიმართ ღალატს გულისხმობენ?**

— დავიწყოთ იმით, რომ დასავლეთი და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, პირდაპირ თუ ირიბად, დიდი ხანია, მოგვიწოდებენ საგარეო პოლიტიკური კურსის მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეცვლისაკენ... თავის მხრივ, ბარაკ ობამამ ინაუგურაციის დღესვე განაცხადა, რომ მისი ერთი მთავარი პრიორიტეტი თეთრი სახლის წინა ადმინისტრაციის პოლიტიკის ფუნდამენტურად შეცვლა და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება იქნებოდა... მაშინ ბევრმა ექსპერტმა და პოლიტიკოსმა მას ეს სისუსტედ ჩაუთვალა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ასე არ არის...

## არსებობს ალბათობა, რომ ვაშინგტონმა აღიაროს საქართველოს კონფლიქტური რეგიონები...

**დღეს ამერიკა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსოფლიოს სამოცდათხუთმეტ ქვეყანაში მას სამხედრო ბაზები აქვს განლაგებული და გავლენას ახდენს უზარმაზარ ტერიტორიაზე. ეს მისთვის თავისთავად უმძიმესი ტვირთია, რომელიც დღითიდღე კიდევ უფრო მძიმდება და ერთ მშვენიერ დღეს ეს ტვირთი შეიძლება იმდენად რთულად სატარებელი გახდეს, რომ ქვეყანამ, მიუხედავად თავისი სამხედრო-ეკონომიკური ძლიერებისა, ველარც კი შეძლოს მისი ზიდვა.**

ეს ყველაფერი ნათლად აქვს გაცნობიერებული ობამას ადმინისტრაციას და სწორედ ამიტომ სჭირდება მას „გადატვირთვის პოლიტიკა“, ვინაიდან, როგორც გითხარით, ერთადერთი გზა, გამოსავალი იმ ჩიხური მდგომარეობიდან, რომელშიც ამერიკა ბუშის შეცდომების წყალობით აღმოჩნდა, სწორედ ასეთ დაბალანსებულ და რაციონალურ პოლიტიკაშია...

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ „გადატვირთვის პოლიტიკით“ თეთრი სახლი საქართველოს ღალატობს, ვფიქრობ, ეს იმ ბავშვურ ილუზიაზე დაფუძნებული შეხედულებაა, რომლის თანახმადაც ვაშინგტონი მისთვის ისეთი უმნიშვნელო პარტნიორი ქვეყნის საკეთილდღეოდ, როგორიც საქართველოა, რუსეთს პრობლემებს შეუქმნის და თუ საჭირო გახდება, თავსაც შეაკლავს. ვინც ამ მოსაზრებას იზიარებს, მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ამერიკა ჩვენი გულისთვის ზედმეტ თავსატეხს არ გაიჩენს და ვერც გაიჩენს, მას თავისი ინტერესები აქვს და, როცა ამ ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ნუ გვეჩვენება, რომ ეს ჩვენ მიმართ განხორციელებული პოლიტიკური ღალატია.

დღეს ჩვენივე პრობლემების სათავე ისევ და ისევ ჩვენშია. მისი გასაღებიც ჩვენშივე უნდა ვეძებოთ. სწორედ ამაზე უნდა მუშაობდეს დღეს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას უკვე აღარაფერი შეუძლია; ის მოქცეულია სრულ იზოლაციაში და, როგორც პოლიტიკურ სუბიექტს, ყველა რესურსი ამოწურული აქვს. ასევეა ოპოზიციაც — ისიც, ხელისუფლების მსგავსად, აბსოლუტურად უუნარო, უსუსური და ყოველგვარ შესაძლებლობებს მოკლებულია. ამიტომ დღეს საქართველოში პოლიტიკური სპექტრი (როგორც ოპოზიციური, ისე სახელისუფლო) იმდენად ღარიბი და უფერულია, რომ აქ რამე რაციონალური გადაწყვეტილების მიმღებ ძალაზე ლაპარაკიც კი ზედმეტად მიმაჩნია...

**— თქვენ იზოლაცია ახსენეთ და აქვე სააკაშვილის სარკოზისთან შეხვედრაზეც გკითხავთ, როგორ ფიქრობთ, გაქარწყლდა თუ არა ამ ვიზიტით ხელისუფლების ოპონენტთა ის არგუმენტი, რომ ჩვენი ქვეყნის პირველ პირს ხელს არავინ ართმევს?**

— ის, რომ სააკაშვილს სადღაც პატიჟებენ და იწვევენ, თანაც ამდენი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, არ ნიშნავს, რომ მის მიმართ, როგორც პოლიტიკოსისადმი, დაინტერესება დიდია, როგორც ამაში ხელისუფლების წარმომადგენლები გვარწმუნებენ...

მოდი დავსვათ კითხვა: რას მივაღწიეთ ამ ვიზიტით, ანუ რა შედეგი მოჰყვა მას? ჩვენ ვხედავთ, რომ ვერაფერი. ყოველ შემთხვევაში, არც სარკოზისა და არც სააკაშვილს ოფიციალურ განცხადებაში არ უთქვამთ, რომ ვიზიტის ფარგლებში რამე მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს, ან ამისთვის რამე კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს. მაშ, რა მიზანს ემსახურებოდა ეს შეხვედრა? პასუხი მარტივია — სააკაშვილის გაპიარებას და იმას, რომ ვიღაცვიღაცებისთვის ეჩვენებინათ — აი, საფრანგეთის პრეზიდენტი ჩვენთან ლაპარაკს არ თაკილობსო... ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არავითარი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ამ ვიზიტს არ ჰქონდა, უბრალოდ, ეს იყო სარკოზის მხრიდან სააკაშვილის მომაბეზრებელი თხოვნის აღსრულება.

ახლა რაც შეეხება იმას, კონკრეტულად თუ რაზე შეიძლება ესაუბრათ პრეზიდენტებს.

## ვფიქრობ, სააკაშვილის მხრიდან ერთ-ერთ მთავარ განსახილველ საკითხად დაყენებული იქნებოდა „მისტრალის“ თემა. ის, ალბათ, შეეცდებოდა, დაერწმუნებინა სარკოზი, რომ, თუ ხომალდს რუსეთს მიჰყიდიან, ამით საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონს საფრთხე დაემუქრება...

**ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა რეაქცია შეიძლება ჰქონოდა ამაზე ფრანგულ მხარეს. ისინი, ალბათ, იფიქრებდნენ, რომ ეს კაცი სრულ ჭკუაზე ვერ არის, რადგან ის დამოკიდებულება, რაც მას „მისტრალის“ საკითხთან დაკავშირებით გააჩნია, აბსოლუტურად ალოგიკური და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.**

ვგულისხმობ იმას, რომ, შეიძენს თუ არა რუსეთი სამხედრო ხომალდს, ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მას „მისტრალის“ გარეშეც თავისუფლად შეუძლია საქართველოზე გავლენის მოხდენა და ჩვენ ეს უკვე დავინახეთ 2008 წლის აგვისტოში, როცა ომი ორ დღეში წავაგეთ...

**— „ნიუსვიკში“ გამოქვეყნებულ იმავე წერილში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, ავტორი ასევე წერს: „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა სხვა ქვეყნების მხრიდან აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას ვერ მიაღწია, ამერიკა, ფაქტობრივად, დათანხმდა საქართველოს დანაწევრებას“... თქვენი აზრით, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მომავალში იმავე ამერიკისგანაც უნდა ველოდეთ ამ ორი რეგიონის აღიარებას?**

— ყოველ შემთხვევაში, თქმა იმისა, რომ ეს გამორიცხულია, არ შეიძლება. პოლიტიკაში ყველაფერი ხდება და, რა თქმა უნდა, არსებობს ალბათობა, რომ ვაშინგტონმა აღიაროს საქართველოს კონფლიქტური რეგიონები. ბუშის ადმინისტრაციის პირობებში ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ დღეს თეთრი სახლის პოლიტიკა ძირფესვიანად შეცვლილია. ობამა რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად ყველა ღონეს ხმარობს, ამიტომ კითხვაში, რომელიც თქვენ დასვით, თავისთავად არსებობს გარკვეული ლოგიკა.

**მოცემულ ვითარებაში ბევრი რამ ჩვენზეცაა დამოკიდებული — თუ სწორად მოვიქცევით, შეიძლება კონფედერაციის შექმნა ან რამე მსგავსი შემოგვთავაზონ, ოღონდ, რა თქმა უნდა, უკეთეს შემთხვევაში; უარეს შემთხვევაში კი ის, რაც დავკარგეთ, ვერასოდეს დაგვიბრუნდება და დავდგებით სხვა ტერიტორიების დაკარგვის საშიშროების წინაშეც.**

მე ამ საფრთხეს ძალიან ახლოს ვხედავ და ყველაზე შემაშფოთებელი, საგანგაშო ამაში ის არის, რომ ჩვენი ხელისუფლება აბსოლუტურად არაადეკვატურია მის მიმართ. ეს არაადეკვატურობა გამოიხატება იმაში, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ერთადერთ გამოსავალს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დაქცევაში ხედავს, რაც პირადად ჩემთვის, გამაოგნებელია...

**რუსეთის დამხობა რომ ადვილი ყოფილიყო, ეს აქამდე მოხდებოდა, მაგრამ გადავხედოთ ისტორიას და დარწმუნდებით, რომ ასე არ არის. გამომდინარე აქედან, ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენათასიანი არმია უნდა გვყავდეს, რომ მოსკოვს პრობლემები შევუქმნათ, დიდი სიბეცეა, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი პოლიტიკოსების ტვინიდან გამქნალია ყოველგვარი რაციონალიზმი.**

...რუსეთს ვერავინ ამოაგდებს ამ სივრციდან, ვერავინ წაართმევს იმას, რაც მას ეკუთვნის, ამიტომ ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინაიდან, თუ ვინმე წამგებიან პოზიციაში ▶

## დღეს ჩვენი ოპოზიცია აბსოლუტურად უსუსური, უუნარო და ყოველგვარ შესაძლებლობებს მოკლებულია

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ იმყოფება ამ ვითარებაში, თუ ვინმე კარგავს ახლა ტერიტორიებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვართ...

**— დავუბრუნდეთ ისევ ოუენ მეთიუსის სტატიას, ავტორი წერს: „ის სახელმწიფოები, რომლებიც ადრე საქართველოს სტრატეგიულ პლაცდარმად თვლიდნენ, ახლა მას წინაღობად განიხილავენ და მოსკოვს აგრძნობინებენ, რომ დასავლეთი უპირატესობას ანიჭებს დიპლომატიურ გარიგებებს“... თქვენი აზრით, რა მოხდა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი, რომ მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის ჩვენმა პარტნიორმა უკრაინამ, ბალტიისპირეთმა და პოლონეთმაც პოზიციები ესოდენ რადიკალურად შეცვალეს?**

— ის, რაც თქვენ მიერ ჩამოთვლილ სამ ქვეყანაში მოხდა და რამაც, ჩემი აზრით, მათი პოზიციების შეცვლა განაპირობა, ყველამ დავინახეთ — უკრაინაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა და ქვეყნის სათავეში საღად მოაზროვნე ხელისუფლება მოვიდა, პოლონეთმა უმძიმესი ტრაგედია განიცადა — ქვეყანამ პოლიტიკური ელიტა დაკარგა და ამან, ბუნებრივია, მას ბევრ რამეზე მიანიშნა; ბალტიისპირეთი კი თავისთავად უკვე ინტეგრირებულია დასავლურ სტრუქტურებში და მას მოხსნილი აქვს მთელი რიგი პრობლემები. ასე რომ, ჩვენს დასაცავად, რა თქმა უნდა, ზედმეტ დაბრკოლებებს არ შეიქმნის. ასევეა ევროპის სხვა ქვეყნებიც, რომელთა მხრიდან ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვესმის მოწოდებები, რჩევები იმის თაობაზე, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა ძირფესვიან კორექტირებას საჭიროებს...

**ერთი სიტყვით, დასავლეთი გონს მოვიდა, დაინახა, რომ გზა, რომელსაც ის საკმაოდ დიდხანს ადგა, ტაძრამდე არ მიდის. ერთადერთი, ვინც ჯერ ამას ვერ ხედავს, ჩვენ ვართ და ამიტომაც გვეჩვენება, რომ, ვინც რუსეთთან დიალოგს იწყებს, ყველა ჩვენი მოღალატეა...**

**— რაც შეეხება იარაღით უკანონოდ ვაჭრობას, ეს ერთ-ერთია იმ ბრალდებათა შორის, რასაც ხელისუფლებას, როგორც შიდა ოპოზიციური, ისე გარე ძალები არცთუ იშვიათად უყენებენ. ახლა კიდევ ერთი სკანდალია ამ თემაზე ატეხილი და როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ქვეყნისთვის და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის ამის გამო სასჯელი?**

— ეს ძალიან სათუთი და, მე ვიტყოდი, საფრთხილო თემაა. გეთანხმებით, რომ ამაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ ცალკე საკითხია, რა შეიძლება იყოს სასჯელი. დიპლომატიურ დონეზე ამას, ალბათ, გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს;

**უარეს შემთხვევაში კი დიდი შანსია, მივიღოთ ის, რაც რამდენიმე ხნის წინათ ტელეკომპანია „იმედმა“ იმიტირებული სახით გვიჩვენა, ანუ იძულებული გახდება რუსეთი, გადამწყვეტ ზომებს მიმართოს.**

ამასთან, არ გამოვრიცხავ, რომ ამის გამო იმავე დასავლეთმაც სერიოზული სანქციები დაგვიწესოს, რაც ისედაც ეკონომიკურ იზოლაციაში, ბლოკადაში მყოფი საქართველოსთვის ნამდვილად კატასტროფა იქნება.

**ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის არის, რომ ჩვენს ხელისუფლებას ეს არ ესმის ან არ უნდა, რომ ესმოდეს; ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილის გამოსვლებს რომ ვუსმენ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას თავი არა პატარა საქართველოს მმართველად, არამედ უდიდესი იმპერიის ბელადად წარმოუდგენია და ჰგონია, სერიოზულ პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობაც შეუძლია.**

აი, სწორედ ეს არის ის მთავარი პრობლემა, რომელიც სხვა დანარჩენ პრობლემებს წარმოშობს, რაც სულ უფრო რთულდება და რაც, დროზე თუ არ მოგვარდა, დაქცევასა და დაღუპვას უქადის საქართველოს...

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

# ტრაგიკომედია უგმიროთ, ანუ ჟურნალიზმი საქართველოში

**მართალი გითხრათ, აღარ მეგონა, პოლიტიკაში იძულებით წასვლის შემდეგ ინგაზე, როგორც ჟურნალისტზე, თუ მომიხდებოდა წერა, მაგრამ ამასწინათ ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ სწორედ ამის გაკეთება გადამაწყვეტინა (თანაც, როგორც პოლიტიკოსზე, ამ საამო ხმის ტემბრის მქონე ქალბატონზე საწერი ჯერ არაფერია).**



**მკითხველისთვის თემა უფრო გასაგები რომ გახდეს, ჯერ სწორედ ამ ინფორმაციას შემოგთავაზებთ სათაურით „ინგა გრიგოლიას კომედიური ჟანრის ქართულ ფილმში გადაიღებენ“.**

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, ინგა გრიგოლიას კომედიური ჟანრის ქართულ ფილმში გადაიღებენ. ამის შესახებ გრიგოლიამ რადიო „პალიტრის“ ეთერში, გადაცემა „ცენტრში“ სტუმრობისას განაცხადა.

**„ამ ფილმის გმირად ქცევაზე მაშინვე დავთანხმდი, როგორც კი სცენარს გავეცანი. სცენარის დასაწყისშივე წავაწყდი ერთ ეპიზოდს, სადაც ჩემი გმირია აღწერილი. საუბარია საკმაოდ ცუდად ჩაცმულ, უცნაურ ფერად შეღებილი თმის, ბევრი მაკიაჟისა და არც თუ ისე კარგი გარეგნობის ჟურნალისტზე, რომელიც საინფორმაციო ოთახში შედის, უნდა, რომ კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. როგორც კი ეს წავიკითხე, მაშინვე მივხვდი, რომ ავტორი სცენარის წერისას სწორედ მე მგულისხმობდა. როდესაც ბასა ჯანიკაშვილს დავურეკე, მითხრა, რომ, როდესაც ჟურნალისტის კარიერა დავიწყე, სწორედ ასეთი ვიყავი,“** — განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

მისივე თქმით, „ფილმს რომლის ერთ-ერთ მთავარ როლს ის შეასრულებს, ბასა ჯანიკაშვილის სცენარის მიხედვით დუტა სხირტლაძე გადაიღებს.“

აი ასე, პატივცემულო მკითხველო. არც მეტი, არც ნაკლები.

**„ჟურნალისტის კარიერა როცა დავიწყე, სწორედ ასეთი ვიყავიო,“** — თქვა პატივცემულმა ინგამ.

და ვინ თქვა, რომ ახლა სხვანაირია?

გარეგნობა იქეთ იყოს, არავის საქმე არ არის ამა თუ იმ ადამიანის გარეგნობა, გნებავთ, ჟურნალისტი იყოს ის და გნებავთ მეხანძრე. მოსწონს ვინმეს გრიგოლია ფიზიკურად თუ არა, ეს მისი პირადი საქმეა და, როგორც იტყვიან, „ყეპლჯუ ნე აპმკთდეშტ“; არც უგემოვნობის მაჩვენებელი წითელი პომადა თუ, ხშირ შემთხვევაში, კატასტროფული ჩაცმულობაა ტრაგედია; ტრაგედია ისაა, რომ თავად გრიგოლიას კი ძალიან უნდა, რომ ასეთივე „კარგ პოლიტიკოსად“ მიიჩნიონ... ძალიან ბევრ ადამიანს გრიგოლია კარგ ჟურნალისტად მიაჩნია. რას იზამ, ადამიანებს ხშირად ესმით, რომ „არ გათეთრდების ყორანი“ და რომ არ შეიძლება გადაცემისგან მხოლოდ შოუს გაკეთება გაინტერესებდეს და მეტი არაფერი; რომ მატვეი განაპოლსკისთან დებატებში შესვლამდე რუსული ენის მასწავლებლისგან რამდენიმე გაკვეთილი მაინც უნდა აიღო და მთლად „მაიატვაია“ რუსულით არ იყო „შეიარაღებული“, როცა უკიდეგანო განათლებისა და ინტელექტის მქონე, მსოფლიო დონის ჟურნალისტს ეკამათები და ვერც კი ხვდები, როგორ დაგცინის და გეუბნება – „Девочка, вы в третий раз меня об этом спрашивайте“-ო და რომ ჟურნალისტობა არ ნიშნავს პროკურორობას...

**როგორც ჩანს, გრიგოლია კარგად ხვდება, რომ მას გემოვნებაც და ბევრი სხვა რამეც არ უვარგა, მაგრამ იმას ვეღარ ხვდება, რომ ეს ცუდია... თუმცა საქართველოში ხომ ყველაფერი შეიძლება და, თუკი დუტა სხირტლაძე რეჟისორი ხდება, რატომ არ შეიძლება, რომ გრიგოლიას ჟურნალისტი ერქვას?!**

პროვინციალმა (ამ სიტყვის ცუდი გაგებით ვამბობ, თორემ მე შატილს იქეთ ადამიანები მინახავს, ბევრ „ვაკელს“ რომ არ დაესიზმრება) ხომ ყველაფერი უნდა იკადროს და რქებით გაიკვალოს გზა „ოლიმპისკენ“, თორემ დაიკარგება „მტრულ გარემოში.“

ამიტომ იმოქმედა ასე მწარედ გრიგოლიას თავმოყვარეობაზე ახლადარჩეული საკრებულოს პირველივე სხდომაზე გახმიანებულმა ფრაზამ, როცა **ვიღაც გაურკვეველი წარმოშობის დეპუტატმა ქალბატონმა განაცხადა, არ ვიცი, ვინ არის ინგა გრიგოლია, არც გამიგია ოდესმეო. ისიც რა კარგად იყო, როგორც ჩანს, უბედური... აი, გრიგოლიამ კი ჩათვალა, რა ტყუილად მიწვალია ამდენიო, მაგრამ რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. როცა ჟურნალისტიკას კი არა, ჟურნალიზმს ემსახურები, ყოველთვის აღმოჩნდება ადამიანი, რომელსაც შენი მრავალწლიანი დიდი მცდელობების მიუხედავად, პირველად ესმის შენი სახელი.**

გახსოვთ, ალბათ, კობა ბექაურისა და შალვა რამიშვილის სკანდალი — როგორ გადასცა ბექაურმა 70 000 დოლარი რამიშვილს ვინმე ირმა სტეფნაძის ბინაში. თავის დროზე სტეფნაძე, ინგა გრიგოლიასთან ერთად, „მოქკავშირის“ დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა. მაგრამ ეს ინცინდენტი სხვა რამის გამო გამახსენდა – იმ დღეებში „ტელეიმედის“ მორბენალ სტრიქონში ვიღაც ღვთისნიერმა ასეთი შეტყობინება გაგზავნა: **„ამ ქვეყნის საქმე მაშინ წავიდა ცუდად, ირმა სტეფნაძეს ვაკელი რომ დაერქვა და ინგა გრიგოლიას – ვერელიო“.** სწორედ მაშინ გადაიქცა საქართველოში ჟურნალისტიკა ჟურნალიზმად.

**ერთადერთი თხოვნა მაქვს – ნუ ჩაიდენთ მკრეხელობას და ნუ დაარქმევთ დუტა ვისკონტის მიერ გადაღებულ „ფილმს“ კომედიას, ტრაგიკომედია მაინც დაარქვით, ვინაიდან სწორედ ტრაგიკომედიაა ის, რაც დღევანდელ საქართველოში და, კონკრეტულად, ქართულ ჟურნალისტიკაში ხდება.**

**სალვადორ დვალი**

## მოკლედ



### ბიუჯეტი გაგვეზარდა

**ევროპის ქვეყნები ბიუჯეტების დეფიციტებს უშედეგოდ ებრძვიან და ჯერ ძვრაც ვერ უყვეს, საქართველოს ბიუჯეტი კი იზრდება.**

პარლამენტმა დაამტკიცა 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტში დამატებით 215 მილიონი ლარი შედის. მთავრობა ირწმუნება, რომ ბიუჯეტის მატება „ქვეყნის ეკონომიკურმა წინსვლამ და დამატებითი გრანტების გამოყოფამ განაპირობა“. აღნიშნული ნამატიდან 150 მილიონს გადასახადებიდან შემოსული თანხა წარმოადგენს.



### რუსული საშველი ამერიკისთვის

**„ჩვენ მხოლოდ რუსული ვერტმფრენი თუ გადაგვარჩენს“, — განაცხადა გენერალმა მაიკლ ბოერამ. პენტაგონი დაჟინებით მოითხოვს ავღანური ოპერაციისათვის „მი-17“-ის ტიპის საბრძოლო ვერტმფრენების შეძენას.**

იმ მიზეზით, რომ 2006 წლიდან დღემდე რუსეთმა აღნიშნულ ვერტმფრენებზე ფასები სამჯერ, 6-დან 18 მილიონ დოლარამდე, გაზარდა. ამერიკელი კონგრესმენები, მათ შორის დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც, პენტაგონს ამ გადაწყვეტილების გამო მწვავედ აკრიტიკებენ.



### სად წავიდა 7 მილიონი?

**სამართლებრივი დადასტურება, რის მიხედვითაც მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 7 მილიონ ლარამდე გაიხარჯა, ვერ აღმოაჩინეს.**

კონტროლის პალატის მიერ გამოქვეყნებულ 2009 წლის ანგარიშში ფინანსთა სამინისტროს მიმართ გამოთქმულ ამ ბრალდებას ბოლო რევიზიაც დაემატა. შედეგად კახა ბაინდურაშვილი და ლევან ბეჟაშვილი თავიანთი უწყებებიანად საშვილიშვილოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საქმე კარგად რომ ვერ არის, ალბათ, ის ერთადერთი საკითხია, რაზეც ამ ეტაპზე ჩვენი პარლამენტი თანხმდება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა საჭიროა სიტყვები, ანუ შეცდომაა «ოპოზიცია»...

**საქართველოს დღევანდელმა ყოველმხრივ გაუკულმართებულმა ცხოვრებამ სხვა „სიკეთეებთან“ ერთად ისიც მოიტანა, რომ სიტყვებმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა ან ისე იცვალა სახე, უფროს თაობებს აზრადაც რომ არ მოუვიდოდათ. ეს ყველაფერში აისახა — ყოველდღიური ცხოვრებიდან დაწყებული, პოლიტიკით დამთავრებული.**

**ვაჟკაცი** თუ ადრე ქალის დამცველი და ხიფათთან შეუპოვრად მებრძოლი ადამიანი იყო, ახლა ისაა, ვინც „ჩემი დედას...“ ამბობს და მაგიდაზე ფეხებს აწყობს. თუ დიდი ჯიპით დადის და დაცვაც დაჰყვება, მაშინ ხომ სამმაგად ვაჟკაცი გამოდის.

**პატრიოტი** ადრე იმას ერქვა, ვისაც სამშობლო უყვარდა და მისთვის რაღაცას მაინც აკეთებდა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. შემდეგ პატრიოტი პროფესია გახდა და, ვინც სრული არარაობა იყო ყველაფერში, ე.წ. ეროვნულ მოძრაობას შეაფარა თავი, პატრიოტი დაირქვა. დღეს კი **პატრიოტი პიონერის** სინონიმი გახდა და ბუჩქებთან ასოცირდება.

არც სიტყვა **ხელისუფლებას** შერჩენია პირვანდელი მნიშვნელობა. ადრე თუ ამ ტერმინით ის ძალა აღინიშნებოდა, რომელსაც პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული სახელმწიფოს მართვაზე და შესაბამისადაც იქცეოდა, ახლა ხელისუფლება ქვეყნის დაქცევის, ტერიტორიების დაკარგვის, დღენიადაგ ტაშფანდურის გამართვისა და სრული უზნეობის სიმბოლო გახდა.

რაც შეეხება **ოპოზიციას**.

**ოპოზიცია** – ლათინურად *oppositio* – რაღაცის დაპირისპირება – ჯგუფი ან პიროვნება, რომელიც არგუმენტირებულად გამოდის გაბატონებული აზრის წინააღმდეგ, რომლის რეალიზაცია ხდება ძალადობის საშუალებით ან მაკროჯგუფის უმრავლესობის მხარდაჭერით. პოლიტიკაში **ოპოზიცია** ნიშნავს **ძალაუფლების მქონე დაჯგუფების მიერ გატარებული კურსის ოპონირებას, მისი შეცვლის მიზნით.**

ჰგავს ვითომ ახლა ეს ჩვენი ოპოზიციის ქმედებებს?

დაპირისპირება და ოპონირება – იცოცხლეთ! მაგრამ ეს მხოლოდ საჯაროდ. რეალურად? თანაც, ოპონირებაც ხომ არის და ოპონირებაც. ოპონირება რომ „არგუმენტირებულიც“ უნდა იყოს, დაგვავიწყდა? თუ ბენდუქიძე ცუდია, იმიტომ რომ ბენდუქიძეა?

გახსოვთ, ალბათ, 5 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამართული ტელედებატები სალომე ზურაბიშვილსა და ლადო გურგენიძეს შორის. გურგენიძის მიერ დასმულ ეკონომიკური ხასიათის ერთ-ერთ შეკითხვაზე სალომემ მომაკვდინებელი პასუხი გასცა – „ეს მე არ მაინტერესებსო“. ესეც თქვენ „არგუმენტირებული ოპონირება“.

**ამიტომ მოდი შევეცადოთ, ტერმინებს თავ-თავიანთი მნიშვნელობა დავუბრუნოთ და ამ საქმეში ლევან ღვინჯილიასეული მეთოდიკა მოვიშველიოთ.**

**ლევან გაჩეჩილაძე** – შეცდომაა: ოპოზიციონერი, სწორია: ფულის ზედმეტად მოყვარული, კოლაბორაციონისტი და ღამ-ღამობით შავნაბადაზე ვიზიტების მოტრფიალე;

**ინგა გრიგოლია** – შეცდომაა: ყოფილი ჟურნალისტი და ოპოზიციონერი, სწორია: ჟურნალისტობის მცდელობის მქონე პროვინციელი და ნებისმიერ ფასად — კარიერისტი;

**გიორგი თარგამაძე** – შეცდომაა: ყოფილი ჟურნალისტი და ამჟამად ოპოზიციონერი, სწორია: პროფესიით მოღალატე, ვანო მერაბიშვილის დავალებათა უსიტყვოდ შემსრულებელი და არასრულფასოვნების კომპლექსის განსახიერება;

**ზურაბ ნოღაიდელი** – შეცდომაა: ყოფილი პრემიერი და ამჟამად ოპოზიციონერი, სწორია: ქობულეთიდან ცალ-ცალი კალოშით ჩამოსული, აქ გამდიდრებული და ამჟამად მავანთა დავალებით ოპოზიციაში შეგზავნილი;

**კახა კუკავა** – არა, კუკავა თავისთავად შეცდომაა...

**მეტით თავს არ მოგაწყენთ. დღევანდელი ცხოვრება ცხადყოფს, რომ ამ ჩამონათვალის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. თუ საზოგადოება ოდესმე მიხვდება, რომ, მაგალითად, ე.წ. ქრისტიან-დემოკრატებს ყველაფერი შეიძლება ერქვათ ქრისტიან-დემოკრატების გარდა, მაშინ იმედიც გაჩნდება, რომ ოდესმე შეიძლება რაღაც გვეშველოს.**

**სალვადორ დვალი**

# მალე ათასობით მასწავლებელი უმუშევარი დარჩება

**მასწავლებლებს, რომლებსაც სკოლაში 18–საათიანი დატვირთვა არ აქვთ, განათლების სამინისტრო უმუშევრად დატოვებას უპირებს. ცნობილი გახდა, რომ რესურს-ცენტრებმა უკვე მიიღეს დავალება განათლების სამინისტროსგან. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შეფასებით, ეს მასწავლებლების პოლიტიკური ნიშნით დევნაა, რადგან დღეს 18 საათი მხოლოდ ადმინისტრაციასთან დაახლოებულ და ხელისუფლების ერთგულ მასწავლებლებს აქვთ. თუმცა განათლების მინისტრი პედაგოგების მასობრივი დათხოვნების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. მინისტრის მტკიცებით, არანაირი ბრძანება მასწავლებლების გათავისუფლების შესახებ არ არსებობს. „განათლების ლიგის“ პრეზიდენტის — მანანა ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, დიმიტრი შაშკინმა რესურსცენტრების ხელმძღვანელებს დაავალა, მასწავლებლების შემცირება დაიწყონ.**



უკვე დაგვიკავშირდნენ სკოლიდან განთავისუფლებული მასწავლებლები. ცოტა ხანში მათი რიცხვი ათასებს რომ მიაღწევს, მაშინ ხომ დაიჯერებს ყველა. უკვე დღეისათვის გვაქვს ინფორმაცია, რომ გაათავისუფლეს მასწავლებლები. ყველას ჰყავს, ალბათ, ნათესავი მაინც პედაგოგი და იქედან მაინც გაიგებს მასწავლებელთა განთავისუფლების ამბავს.

2005 წლამდე არსებობდა ბრძანება, რომლის მიხედვითაც სკოლებში უნდა მოწესრიგებულიყო საათების პრობლემა. სავალდებულო იყო, ყველას ჰქონოდა სრული განაკვეთი, ანუ 18 საათი. არავის ჰქონდა უფლება, სკოლაში ახალი მასწავლებლი მიეღო ისე, თუ ძველ მასწავლებლებს თავიანთი განაკვეთი არ ჰქონდათ შევსებული. მაგრამ 2005 წელს გამოიცა ბრძანება №576, რომელიც მასწავლებელს უფლებას აძლევდა, ჰქონოდა 18 საათზე ნაკლები.

**ახლა კი ათავისუფლებენ მასწავლებლებს და არ ითვალიწინებენ არც გამოცდილებას, არც სკოლაში მუშაობის ხანგრძლივობას, არც პროფესიონალიზმს. ეს მასწავლებელთა პოლიტიკური ნიშნით დევნაა, რადგან დღეს, რეალურად, 18 საათი ხელისუფლების მეხოტბე მასწავლებლებს აქვთ მხოლოდ. ჩვენ გვყავს უამრავი იურისტი, ექსპერტი და, როდესაც მასწავლებელი რაღაც პრობლემით გვაკითხავს, მორალური უფლება არ მაქვს, არ დავეხმარო. ყველანაირად ვეცდებით, დავიცვათ მასწავლებლები.**

ყოველივე ამას შედეგად განათლების ხარისხის დაცემა და მასწავლებლებს შორის დაპირისპირება და უკმაყოფილება მოჰყვება. ამბობენ, რომ სკოლას არ სჭირდება ზედმეტი პერსონალი. არადა, ხელში ჩამივარდა ერთ-ერთი სკოლის საშტატო სია და, როდესაც გავეცანი, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ჰყავდათ ოფისმენეჯერი, ოფისმენეჯერის თანაშემწე, დირექტორის ორი მოადგილე და მოადგილეების თანაშემწეები. მერე გამოვა მინისტრი შაშკინი და იტყვის, სკოლებში შტატები გაბერილია და რაში სჭირდება სკოლას მებაღეო. მითხარით ერთი, თუ სკოლას აქვს ბაღი, იმ ბაღს ვინ უნდა მოუაროს, მასწავლებელმა თუ დირექტორმა? შაშკინის აზრით, თურმე სკოლას არც ლოგოპედი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი სჭირდება. არადა, სწორედ რომ აუცილებელია სკოლაში იყოს ფსიქოლოგი, ერთი კი არა რამდენიმეც. პრობლემა, რაც დღეს სკოლებშია, სწორედ რომ ფსიქოლოგების დახმარებით უნდა აღმოიფხვრას და არა მანდატურების შეყვანით, შიშითა და იძულებით. სკოლა უნდა ჰგავდეს სკოლას და არა სასჯელაღსრულების ადგილს.

**ლილი მიროტაძე**

## დირექტორებს დავალებული აქვთ მასწავლებელთა შემცირება

**არჩევნებამდე მინისტრი შაშკინი აქტიურად დადიოდა რეგიონებში მასწავლებლებთან შესახვედრად. სწორედ აქედან ჩანს მათი „ზნეობა“ და „მორალი“: მასწავლებლებს ხვდებიან, დაპირებებით ავსებენ და მერე სამსახურიდან მიერეკებიან.**

**ვრცელდება ინფორმაცია, რომ სამინისტრო გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილებზე ახალგაზრდა კადრებს მიიღებს; სავარაუდოდ, — „ნაციონალური მოძრაობის“ სრულიად გაუნათლებელ აქტივისტებს. დღევანდელ სკოლებში ახალგაზრდები არ მიდიან სამუშაოდ. ანაზღაურება ძალიან დაბალია და, შესაბამისად, უპერსპექტივოდ მიაჩნიათ მასწავლებლის პროფესია. ამიტომაც გვყავს მრავლად ასაკოვანი მასწავლებლები.**

**სამინისტროს, წესით, არასასურველი მასწავლებლები სერტიფიცირებაზე უნდა „დაეფერთხა“, რომელიც სულ რაღაც ერთ კვირაში დაიწყება, მაგრამ ამასაც არ დაელოდნენ.**

**პედაგოგს, სურვილიც რომ ჰქონდეს, დღეს უჭირს პროფესიული კუთხით განვითარდეს, რადგან არ აქვს ახალი ლიტერატურა, ხელი არ მიუწვდება ხარისხიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. მასწავლებლების ტრეინინგი ძვირი ღირს (ერთი კურსი მინიმუმ 150 ლარი, ასეთი კი მინიმუმ 3-4 უნდა გაიარონ). ამ დროს ხელფასი დაბალი აქვთ.**

**სოფლებში, ალბათ, გამოთავისუფლებულ 2000 ადგილს იმ ამერიკელებით ჩაანაცვლებენ, სულ მალე ინგლისურის მასწავლებლებად რომ დაუსვამენ ბავშვებს. თურმე საქართველოში მასწავლებლად მუშაობის მსურველი ამერიკელისათვის 6 თვე კოლეჯში სწავლაც საკმარისია. ვიღაც გაუნათლებელმა ამერიკელებმა უნდა ასწავლონ ქართველ ბავშვებს, გამოცდილ პედაგოგებს კი სახლში უშვებენ. გასაოცარი მიდგომაა საკითხისადმი. ასე აპირებს განათლების დონის აწევას ქვეყანაში მინისტრი შაშკინი?!**

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ, როდესაც მასწავლებელთა განთავისუფლების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, თბილისის №4 საჯარო სკოლის რამდენიმე პედაგოგი განათლების მუშაკთა პროფკავშირში მივიდა, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. ამის შემდეგ ყველა ის მასწავლებელი, რომელიც პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა, სკოლის დირექტორებმა დაიბარეს და სასტიკად აუკრძალეს მათ ამ თემაზე საუბარი. საკითხის უფრო დეტალურად წარმოსაჩენად გადავწყვიტეთ, გავსაუბრებოდით ქალბატონ ელზა ხუციშვილს, რომელიც №4 სკოლის კათედრის გამგეა და რომელსაც უშუალოდ დაავალეს გასათავისუფლებელ მასწავლებელთა სიის შედგენა.

ქალბატონ ელზას ტელეფონით დავუკავშირდით. როდესაც ვკითხეთ, სკოლის დირექტორისგან მართლა ჰქონდა თუ არა მიღებული ბრძანება, რომ გასათავისუფლებელი მასწავლებლების სია შეედგინა, ხმას აუწია და გაღიზიანებულმა კატეგორიულად მოგვთხოვა, მეორედ აღარ შეგვეწუხებინა.

ამის შემდეგ ვცადეთ, დავკავშირებოდით ამავე სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს — მანანა ბარბაქაძეს. ქალბატონ მანანას უფრო მწვავე რეაქცია ჰქონდა. საერთოდ არ გამიგია მსგავსი რამ აქამდეო... და ტელეფონი გაგვითიშა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, №4 სკოლის მასწავლებლები დირექტორის ზეწოლისა და წნეხის ქვეშ არიან. მას შემდეგ, რაც მასწავლებლები მედიის საშუალებით ღიად ალაპარაკდნენ მოსალოდნელი გათავისუფლებების შესახებ, დირექტორმა ყველა დაიბარა და დაემუქრა, თუ მომავალში რაიმე კომენტარს გააკეთებდნენ ამ თემასთან დაკავშირებით, პრობლემები შეექმნებოდათ; დუმილის სანაცვლოდ კი დაჰპირდა, რომ გათავისუფლებულებს რაიმე სხვა სამსახურს „გამოუძებნიდა“ სკოლაშივე.

**ქალბატონი მარინა უტიაშვილი №175-ე სკოლის უკვე ყოფილი პედაგოგია. აი, რა გვითხრა მან:**

— ეს ინფორმაცია სრული სიმართლეა. მე თვითონ ვარ ამის მაგალითი, რადგან შემამცირეს. გასული პარასკევიდან უმუშევართა რიგებს შევუერთდი. მხოლოდ იმის გამო, რომ 12-საათიანი დატვირთვა მქონდა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამათავისუფლეს. საშინელება ტრიალებს ჩვენს სკოლაში. 9 ფილოლოგი გაგვიშვეს უკვე. იმ მასწავლებლებთან, რომლებიც სამსახურში დატოვეს, პრეტენზია არ მაქვს. 18 წელია, სკოლის პედაგოგი ვარ. არ ვიცი, რა უნდა ვქნა. მოულოდნელად აღმოვჩნდი უსამსახუროდ და უიმედოდ.

**ამ თემასთან დაკავშირებით ყველაზე მძაფრი პროტესტი პროფკავშირების ხელმძღვანელს — მანანა ღურჭუმელიძეს ჰქონდა. პოფკავშირები იყო პირველი, ვინც მასწავლებელთა შესაძლო განთავისუფლებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა.**

**მანანა ღურჭუმელიძე, პროფკავშირების პრეზიდენტი:**

— ახლახან ჟენევაში ვიმყოფებოდი, სადაც სარჩელი მქონდა შეტანილი პროფკავშირების საქმიანობაში ხელისუფლების უხეშად ჩარევის გამო. საქართველოდან დამირეკა რამდენიმე დირექტორმა და ჩემმა თანამშრომელმა, რომ განათლების სამინისტრომ დაავალა რესურსცენტრებს, შეედგინათ იმ მასწავლებელთა სია, რომელთა დატვირთვაც 18 საათი არაა. იგეგმებოდა მათი სამსახურიდან გაშვება. შემდგომში გვიკავშირდებოდნენ დირექტორები, გვეუბნებოდნენ, რომ რესურსცენტრებისგან მიიღეს ასეთი დავალება. ზუსტად ვიცი, რომ საქართველოში 10-15 ათასი მასწავლებელი დარჩება უმუშევარი. რამდენიც არ უნდა უარყოს ეს ინფორმაცია მინისტრმა შაშკინმა, პროცესი უკვე დაწყებულია.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბოლო ლურსმანი «100 ახალი საავადმყოფოს» კუბოში

**სამშენებლო კომპანია შპს „ბლოკ-ჯორჯიასთვის“ საავადმყოფოების ჩამორთმევით არ დასრულებულა ბლეფი, რომელიც, ჰოსპიტალური სექტორის თითქოსდა განვითარების მიზნით, „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტის ფარგლებში 2007 წელს იმჟამინდელ სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძისა და ჯანდაცვის ექსმინისტრ ლადო ჭიპაშვილის თაოსნობით დაიწყო და აღნიშნული კომპანიისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, 100 სამედიცინო დაწესებულების სიმბოლურ ფასად გადაცემით გაგრძელდა. იმთავითვე გაჩნდა ვერსია, რომ სამშენებლო ბაზარზე მოულოდნელად გამოჩენილ კომპანიას, რომელსაც სამედიცინო სფეროში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა, სახელისუფლო ეშელონებში საკმაოდ გავლენიანი ლობი ჰყავდა. „ბლოკ-ჯორჯიას“ ლობისტთა სიაში საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსიც დასახელდა და არც თუ უსაფუძვლოდ.**

სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელ ჯანაშვილებს გავლენიანი ფიგურა რომ ლობირებს, თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ მათთვის ჩამორთმეულ ქონების ნუსხაში არ მოხვდა ცალკეულ რეგიონებში არსებული საავადმყოფოები, მათ შორის „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“, „პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი“ და ზუგდიდის უახლესი აპარატურით აღჭურვილი კლინიკა.

საგულისხმოა ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირებს გარკვეულ ბარიერებს უქმნის და საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს იმ ფაქტს, რომ მათივე შუამდგომლობით საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 4 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება (განკარგულება №699), შპს „ბლოკ-ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები შპს „ბლოკ-ინვესტი“, შპს „მედიმექსი“, შპს „პატრია მედიკა“ ნასყიდობის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული ყველა სახის სანქციისგან (ჯარიმა, პირისგასამტეხელო) იმ პირობით გათავისუფლდნენ, რომ მათ სახელმწიფოს აღნიშნული ქონება უსასყიდლოდ გადასცენ. ამ გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აწერს, ბიუჯეტმა მილიონობით ლარი დაკარგა. აღნიშნულ კომპანიებს ხომ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ერთჯერად პირისგასამტეხლოსთან ერთად შესაქმნელი საწოლების რაოდენობის მიხედვით ყოველ გადაცილებულ დღეზე 5 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმა უნდა გადაეხადა.

საინტერესოა, „ბლოკ-ჯორჯიას“ რატომ მოუხსნეს ყველა სანქცია და სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა რატომ ჩაუთვალეს გმირობად, როდესაც ჯანაშვილებმა 1500 დოლარად ნაფეშქაშები სამედიცინო დაწესებულებები ვალდებულებების შესრულების ნაცვლად გაძარცვეს, საავადმყოფოების კუთვნილი ქონება გაიტანეს და გაყიდეს. ცალკეულ საავადმყოფოებს კი კოლოსალური ვალები დაუტოვეს. მაგალითად, სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ ტერიტორიაზე „ბლოკ-ჯორჯიას“ არმატურის დამამზადებელი საამქრო ჰქონდა გახსნილი. მისი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური — 30 ათასი ლარი კლინიკას დააწერეს. სამშენებლო კომპანიის მესვეურები აღნიშნული დავალიანების გადახდას არ ჩქარობენ. შპს „ქ. თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფო“ კი, როგორც საჯარო რეესტრის მონაცემებით ირკვევა, სამჯერ დაუტვირთავთ იპოთეკით, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

**ჩნდება კითხვა — ქონების ჩამორთმევის დროს რა პრინციპით იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობამ, როცა „ბლოკ-ჯორჯიას“ სახელმწიფო სახსრებით გარემონტებული და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ზუგდიდის კლინიკა დაუტოვა და მშენებლების მიერ დანგრეული, უმოწყალოდ გაძარცვული და აგურ-აგურ გაყიდული „№5 სამშობიარო სახლი“ ჩამოართვეს? რატომ არ მოხვდა დასაბრუნებელი ქონების ნუსხაში „პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი,“ რომელიც ასევე სახელმწიფო სახსრებით რემონტდება?** თუმცა ხელისუფლება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა და „ბლოკ-ჯორჯიას“ რამდენჯერმე გადაუწია ჩამორთმეული საავადმყოფოების დატოვების ერთთვიანი ვადა. დღემდე ჯანაშვილების მიერ დანიშნული პიროვნებები განაგებენ აწ უკვე სახელმწიფო საკუთრებას.

არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ **ეკონომიკის სამინისტრო ახალი ტენდერის გამოცხადებამდე შეგნებულად წელავს დროს და „ბლოკ-ჯორჯია“, რომელიც პოზიციების დათმობას სულაც არ აპირებს, არაა გამორიცხული, სულ სხვა სახელწოდებით მოგვევლინოს ამ სამედიცინო ობიექტების მესაკუთრედ.**




## გამორიცხული არ არის, «ბლოკ-ჯორჯია» სულ სხვა სახელწოდებით მოგვევლინოს ამ სამედიცინო ობიექტების მესაკუთრედ

**ჯანაშვილებს ყველაზე მეტად მე-4 კლინიკური საავადმყოფო არ ეთმობათ. როგორც თავად აცხადებენ, აღნიშნულ კლინიკაში ქირურგიული ბლოკის რემონტი 500 ათასი დოლარი დაუჯდათ, ხოლო ლაბორატორიისა — 70 ათასი. ამას გარდა, შეიძინეს საკმაოდ ძვირადღირებული უახლესი სამედიცინო აპარატურა.**

არადა, როგორც გავარკვიეთ, ლაბორატორია მე-4 სართულიდან, სადაც 3 დიდი და ნათელი ოთახი ეკავა, პირველ სართულზე ერთ პატარა ოთახში განათავსეს, რომელსაც მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარეს და ხელსაბანიც კი არ დაუყენეს, რაც ასე საჭიროა ნებისმიერი ლაბორატორიისთვის. ადამიანს ანალიზისთვის შარდის ჩაბარება რომ უნდოდეს, ლაბორატორიას საპიფარეშოც არ აქვს. მათ მიერ გაკეთებულ საოპერაციოს კი ფანჯრები არ აქვს და არც ნიავდება. რაც შეეხება ვითომდა ძვირადღირებულ უახლეს აპარატურს, მათ 3 ათასად 1995 წელს გამოშვებული „ჯონსონის“ ბიოქიმიური ანალიზატორი შეიძინეს, როდესაც, ხელშეკრულების მიხედვით, 1998 წელზე ადრე გამოშვებული სამედიცინო აპარატურის ყიდვის უფლება არ ჰქონდათ. ასევე მოიტანეს რეზუსისა და სისხლის ჯგუფის დასადგენი მოძველებული აპარატი, რომელიც სისხლის ანალიზისას ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს იძლევა, რის გამოც ვერ ამუშავებენ.

ჯანაშვილები მე-4 კლინიკური საავადმყოფოს დატოვებას რომ არ აპირებენ, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სისხლი ანალიზისთვის კვლავ ჰემატოლოგიის ინსტიტუტში მიაქვთ. **მე-4 კლინიკური საავადმყოფოს ყოფილი გამგის — *ნანა მაჭავარიანის*** თქმით, თავის დროზე ლაბორატორია ერთ ოთახში იმიტომ განათავსეს, რომ სისხლის შემგროვებელი პუნქტი სჭირდებოდათ.

„ამ ოთახში აგროვებდნენ იმ პაციენტების სისხლს, რომლებიც მკურნალობისთვის ნაღდ ფულს იხდიდნენ. მოგროვილი სისხლი კი გამოსაკვლევად ჰემატოლოგიის ინსტიტუტში მიჰქონდათ. ამ გზით ნაღდ ფულს ჰემატოლოგიის ინსტიტუტში ქაჩავდნენ და, როგორც ინფორმაცია მაქვს, დღემდე ასეა. ადგილზე მხოლოდ იმ პაციენტების ანალიზები კეთდება, რომელთა მკურნალობის ხარჯებს სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ. ეს ლიკა ჯანაშვილის პრაქტიკაა, მას არ აინტერესებს პაციენტის ჯანმრთელობა, მთავარია, გადახდისუნარიანი იყოს. ვისაც გადახდა არ შეუძლია, იმ ავადმყოფის ბედი ელის, ვისი მიზეზითაც ჩემსა და მზია ჯანაშვილს შორის პირველი უთანხმოება მოხდა.

**— რაზე საუბრობთ, მზია ჯანაშვილის მიზეზით ვინმე დაზარალდა?**

— საავადმყოფოში 32 წლის მამაკაცი მოიყვანეს, გვარს არ დავასახელებ, ამის შეტყობა დედისთვის მეორე სიკვდილის ტოლფასი იქნება, ბრმა ნაწლავი ჰქონდა გამსკდარი და პერიტონიტი იყო წასული. მის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა დიაბეტი. სასწრაფოდ სისხლის ანალიზი სჭირდებოდა, რომლითაც უნდა გარკვეულიყო სისხლში საერთო ცილისა და კალიუმის მაჩვენებელი.

ანალიზები ჩვენს ლაბორატორიაში უნდა გაეკეთებინათ. ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ გავიგე, რომ სისხლი ანალიზისთვის სათანადო პირობების დაცვის გარეშე ჰემატოლოგიის ინსტიტუტში წასაღებად გაამზადეს. **ავადმყოფი უმძიმეს მდგომარეობაში იყო, ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ჰემატოლოგიის ინსტიტუტიდან კი მეორე დღემდე არ მოვიდოდა პასუხი.**

გულმა არ მომითმინა, მზია ჯანაშვილს დავურეკე და ვკითხე: „ სად არის სისხლი?“ „სისხლი ჰემატოლოგიაში გავუშვით,“ — მიპასუხა. „რატომ გაუშვით, ის ხომ სახელმწიფო სტანდარტი იყო, ნაღდ ფულს არ იხდიდა?“ — კითხვა შევუბრუნე. მზიამ, როგორც კი გაიგო, რომ ფულს არ იხდიდნენ, მითხრა: „ახლავე ჩამოგიტანენ ამ სისხლს“. სამწუხაროდ, ეს სისხლი ანალიზისთვის უკვე აღარ ვარგოდა და ნაგავში ჩააგდეს. ავადმყოფი კი გარდაიცვალა.

**— ნაგავში რატომ ჩააგდეს?**

— რატომ გადააგდეს, იციით, ის ციტრატიანი სინჯარით იყო აღებული, მე-4 კლინიკური საავადმყოფოს აპარატი კი ციტრატით არ ზომავს და სისხლის აღება მეორეჯერ იყო საჭირო. მეორეჯერ აღება ვეღარ მოასწრეს. ეს იყო ბოლო წვეთი. მზიას ვუთხარი, ვუთხარი კი არა ვუკივლე: „შენ ხარ ექიმი? შენი შვილი რომ ყოფილიყო მის ადგილზე, ამას იზამდი? ღმერთის არ გეშინია?“ ამ დღის მერე დევნა დამიწყეს. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ კალიუმმა აიწია და 32 წლის ახალგაზრდას გული გაუჩერდა.

**— ანალიზი დროზე რომ ჩატარებულიყო, ეშველებოდა?**

— პასუხი რომ სცოდნოდათ, კალიუმის დასაწევ პრეპარატს მისცემდნენ და არაა გამორიცხული, გადარჩენილიყო. ისე უამრავი შემთხვევაა, როდესაც უმძიმეს ავადმყოფებს უფულობის გამო ქუჩაში უშვებენ. ასეთი ფაქტიც მოხდა, როდესაც დიაბეტიანი ავადმყოფი ანალიზების გარეშე შეიყვანეს საოპერაციოდ და კომაში ჩაუვარდათ. ჯანაშვილებს ფეხებზე ჰკიდიათ და შაქრის ანალიზის გარეშე ატარებინებენ ოპერაციებს, რაც ზოგჯერ ფატალურად მთავრდება. თანხების დაზოგვის მიზნით, აპარატის კალიბრაციას არ აკეთებენ; არადა, ბიოქიმიურ აპარატს მინიმუმ თვეში ერთხელ სჭირდება ეს, რათა შემოწმდეს, რამდენად კარგად მუშაობს აპარატი. შემოწმების გარეშე შესაძლოა სტენოკარდიული შეტევის დროსაც კი აპარატი ინფარქტის მაჩვენებლებს იძლეოდეს, რაც ხდება კიდეც. წარმოგიდგენიათ, სანიტრის შტატი გააუქმეს და ჭურჭელს ექიმ-ლაბორანტებს არეცხინებენ! ის, ვინც ვენაში შედის და სისხლს იღებს, სისხლიან და შარდიან ჭურჭელს არ უნდა რეცხავდეს. თან ამას უფასოდ აკეთებინებენ.

**— ამის გამო პროტესტს არ გამოთქვამენ?**

— როდესაც გააპროტესტეს, რატომ უნდა ვრეცხოთ სისხლიანი და შარდიანი ჭურჭელიო, უთხრეს, თუ ასე არ გინდათ, მაშინ თქვენს გამგეს მიყვებითო. სამსახურის დაკარგვას ერიდებიან და ჩუმად არიან.

სხვათაშორის, ჯანდაცვის სამინისტროს, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტს წერილობით ვაცნობეთ მე-4 კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის თაობაზე. ყველა უწყებიდან აბსურდული პასუხი მოგვივიდა. ფრუიძის მიერ მოწერილი პასუხის თანახმად, თურმე სანიტარული ნორმები აღარ ყოფილა სავალდებულო და ლაბორატორიას არ სჭირდება ლიცენზია. სიტყვიერად მითხრეს, რომ შემიძლია ავტოფარეხშიც გავხსნა ლაბორატორიაო.

**ნანა მაჭავარიანი იმ ექიმების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ვერ შეეგუენ ჯანაშვილების უკანონო საქციელს, ხმა აიმაღლეს და დაუმორჩილებლობის გამო სამსახურიდან დაითხოვეს. ერთ დღეს კლინიკაში მისულ ქალბატონ ნანას კაბინეტის კარები დალუქული დახვდა. მას საშუალება არ მისცეს, ოთახიდან გამოეტანა პირადი ნივთები, მათ შორის კომპიუტერი, მიკროსკოპი და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სერთიფიკატები.**

სხვათაშორის, **„ბლოკ-ჯორჯიამ“ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მაშინაც დაარღვია, როდესაც მედპერსონალის დიდი ნაწილი უმუშევარი დატოვა. ხელშეკრულების მიხედვით, მათ არც ერთი თანამშრომელი არ უნდა გაეშვათ სამსახურიდან; მით უმეტეს — იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებსაც ისინი ბოლო პერიოდში მიმართავდნენ (უჭედავდნენ ოთახის კარებებს, აშანტაჟებდნენ და მათ წინააღმდეგ კომპრომატებს აგროვებდნენ).**

**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# გრავიტაციადარღვეული ოპოზიციური ორბიტა

## ოქრუაშვილ-ნოღაიდელ-ბურჯანაძე- გაჩეჩილაძის ერთობა და დაშლილი «ალიანსი»

**ახლახან ახალი ოპოზიციური გადანაწილების მომსწრენი გავხდით: ალასანიას „ალიანსი" დაიშალა; სამაგიეროდ, ოქრუაშვილმა ნოღაიდელს მიუნხენში გააცნო და შემდეგ ამ უკანასკნელმა საზოგადოებას ამცნო ახალი, მძლავრი პოლიტიკური ერთობის შესახებ, რომელმაც ხელისუფლება უნდა შეცვალოს და რომელშიც ნოღაიდელი, ოქრუაშვილი, გაჩეჩილაძე და, შესაძლოა, ბურჯანაძეც გაერთიანდნენ.**
**გადაადგილებები არა მარტო ხელისუფლებაში, ოპოზიციაშიც მოდაშია, ასევე მოდაშია რღვევა და დაპირისპირება. ოპოზიციის ლიდერებსაც სააკაშვილივით უჭირთ ერთიანი გუნდის შენარჩუნება. შესაძლოა იმიტომ, რომ, კონსტანტინე გამსახურდიას თუ დავესესხებით, იქნებ, „ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა", „რომ ყველა ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა".**



საქართველოში ოპოზიციის ლიდერობა პირდაპირაა დამოკიდებული ფულზე. ლევან გაჩეჩილაძე ოპოზიციის გამოკვეთილი ლიდერი მანამდე გახლდათ, სანამ ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა ოპოზიციას. პატარკაციშვილთან ერთად გარდაიცვალა ლევან გაჩეჩილაძის პოლიტ-ლიდერობაც.

**დღეს პოლიტიკურ ორბიტაზე რამდენიმე ლიდერია ან, უბრალოდ ლიდერობას ესწრაფვის: ლევან გაჩეჩილაძე, ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გაეროში ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანაია.** აღნიშნული ხუთეულის გარშემო, პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით, ერთიანდებოდნენ და შემდეგ ისევ ირღვეოდნენ დავითაშვილ-ძიძიგურები, უსუფაშვილ-ბერძენიშვილები, ზურაბიშვილ-სუბარები, გამყრელიძე-სანიკიძეები და ა.შ. მათი ბოლო გაერთიანება არჩევნების შემდეგ დაირღვა.

საკრებულოში ფეხი შედგმული არ ჰქონდათ ოპოზიციურ დეპუტატებს, რომ ალასანიას გუნდიდან არჩევნებამდე გაქცეულ სოზარ სუბარს ჯერ კოკა გუნცაძე მიჰყვა და შემდეგ საბოლოოდ ჩამოშორდნენ „მემარჯვენეები" და „რესპუბლიკელები". მოტივი ძალიან ბანალური დასახელდა: „ალიანსში" შემავალმა პარტიებმა საკუთარი რესურსების გაძლიერება გადაწყვიტეს.

**„ალიანსი" კი დაიშალა, მაგრამ ახლა ახალი გაერთიანება ჩნდება პოლიტიკურ ორბიტაზე. ერთ გუნდად ყალიბდებიან ოქრუაშვილი, გაჩეჩილაძე, ნოღაიდელი და ბურჯანაძე. ამ ოთხეულიდან, გაჩეჩილაძის გარდა, ხელისუფლებაში ყველა გვყავს ნანახი და გამოცდილი.**

სანამ დანარჩენებზე ვისაუბრებთ, ცოტა ხნით ლევან გაჩეჩილაძეზე შევჩერდეთ. მან რევოლუციის დროს „მემარჯვენეები" სწორედ იმიტომ მიატოვა, რომ ისინი მხარს არ უჭერდნენ მიხეილ სააკაშვილს და თავის მომღერალ ძმასთან ერთად სააკაშვილს დაუმშვენა მხარი.

ახლა რაც შეეხება დანარჩენ სამეულს: დავიწყოთ იმით, რომ რამდენიმე წლის წინათ ბურჯანაძე, ოქრუაშვილი და ნოღაიდელი, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთმანეთის პირადი მტრები იყვნენ.

**ყველას გვახსოვს, ალბათ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ნოღაიდელის პრემიერობის დროს მთავრობის სხდომებსაც კი არ ესწრებოდა და შეურაცხყოფილი ნოღაიდელი პრეზიდენტთან ჩიოდა ძალოვანი მინისტრები არად მაგდებენ და მთავრობის სხდომაზე არ მოდიანო. მათი დაპირისპირება კი იქიდან დაიწყო, რომ ნოღაიდელი ირაკლი ოქრუაშვილმა ლამის ფინანსთა სამინისტროში, საკუთარ კაბინეტში დააპატიმრა, რომ არა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის — ზურაბ ჟვანიას დიდი ძალისხმევა, ახლა, შესაძლოა, ნოღაიდელი ისევ გისოსებს მიღმა ყოფილიყო.** საქმე ეხებოდა აქციზების თემას, რომლის გამოც მაშინ „ომეგას" მეპატრონეს — ოქუაშვილს მიადგნენ. ამ საქმის ძიების დროს საქმე ნოღაიდელამდე და მიხეილ მაჭავარიანამდე მივიდა (იგულისხმება ნოღაიდელის ფინანსთა მინისტრობის პერიოდი). ოქრუაშვილი კაბინეტში მიუვარდა ნოღაიდელს (მაშინ კაბინეტებში ხალხის დაპატიმრება პოპულარული იყო), ზურაბ ნოღაიდელმა, მის მეგობარ ზურაბ ჟვანიასთან დარეკვა მოახერხა. საზღვარგარეთ მყოფი ჟვანია სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და ტრაპიდან პირდაპირ ცხელ წერტილში გაემართა. სწორედ მან იხსნა ლამის პატიმრობაში მყოფი ნოღაიდელი. ამ ფაქტის გამო დაიძაბა ურთიერთობა ჟვანიასა და ოქრუაშვილს და, შესაბამისად, სააკაშვილის თანაგუნდელებსა და ჟვანიას თანაგუნდელებს შორის.

**ნოღაიდელიცა და ბურჯანაძეც, ხელისუფლების მეორე და მესამე პირის სტატუსით სარგებლობდნენ, როცა ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს, არც ერთ მათგანს მაშინ ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრი არ გამოუთქვამს, რადგან ბურჯანაძემ ჯერ არ იცოდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სიაში რომ არ ჩაუსვამდნენ ხალხს, ნოღაიდელმა კი იცოდა, რომ გაგდების კანდიდატი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც ცდილობდა პოსტის შენარჩუნებას და თან თავის პატივმოყვარეობას იკმაყოფილებდა ოქრუაშვილის მიმართ.** თავად განაცხადა ნოღაიდელმა, რომ მას ოპოზიციაში წასვლა, პოსტის დაკარგვის შემდეგაც კი, აზრად არ ჰქონია და ოქრუაშვილის დაკავების გამო რატომ შეიქმნიდა პრობლემებს ხელისუფლებაში ყოფნის დროს გამდიდრებული არშემდგარი ფიზიკოსი? მითუმტეს, რომ კარგი გამოცდილება ჰქონდა. როცა საქმე მის პროტეჟეებს ეხებოდა, მაშინ პრემიერი მეტისმეტად პრინციპული იყო.

ნოღაიდელის პრემიერობის დროს დააკავეს მისი ცოლის დეიდაშვილი, რკინიგზის დეპარტამენტის მაღალჩინოსანი დავით გრძელიძე. გრძელიძე გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო რეგიონული საბაჟო „დასავლეთის" უფროსის, ნოღაიდელის პროტეჟე ჯონი ბაბილოძის დაკავების დროს ნოღაიდელი ამერიკაში იმყოფებოდა და იქიდან წამოაყენა ულტიმატუმი, თუ ბაბილოძეს არ გაათავისუფლებთ, აქ გავაკეთებ გადადგომის შესახებ განცხადებასო. პრემიერის მუქარამ გაჭრა და თანაც ისე, რომ მალე ბაბილოძე ნოღაიდელმა სახელმწიფო ხაზინის უფროსადაც კი დანიშნა. ნოღაიდელის ხელისუფლებიდან წამოსვლის შემდეგ ბაბილოძეც წამოვიდა ხაზინიდან და ლექციებს კითხულობდა ბათუმის უმაღლეს სასწავლებელში. მოკლე ხანში იგი სამართალდამცავებმა პირდაპირ აუდიტორიიდან აიყვანეს.

**ოქრუაშვილისა და „მემარჯვენეების" დამოკიდებულება, ალბათ, ყველას გვახსოვს, მართალია, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ „მემარჯვენეების" ლიდერს, დავით გამყრელიძეს მან სახალხოდ „სუტინიორიც" კი უწოდა. ეს ყველაფერი კი იმას მოჰყვა, რომ თავდაცვის მაშინდელ მინისტრს „მემარჯვენეები" მწვავედ აკრიტიკებდნენ თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებული ფონდებისა თუ ამ სტრუქტურაში მიმდინარე სხვა დარღვევების გამო.**

რაც შეეხება კობა დავითაშვილს, იგი პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე იწვევდა და ოქრუაშვილს პარლამენტში იბარებდა იმაზე პასუხის გასაცემად, თუ რატომ გააუქმა ოქრუაშვილმა თავდაცვის სამხედრო აკადემია და სამხედრო დაზვერვის სამსახური, რითაც ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნა და მკვეთრად აკრიტიკებდა მის მოღვაწეობას თავდაცვის სფეროში.

**არანაკლებ საინტერესო იყო გოგა ხაინდრავასა და ირაკლი ოქრუაშვილის ურთიერთობაც. ახალი არავისთვისაა, რომ ოქრუაშვილის გამო შეექმნა პრობლემები სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას. ამ ორი ადამიანის შეხედულებები, სხვა საკითხებთან ერთად, ტერიტორიების დაბრუნების გეგმების თვისობრივი სხვაობა იყო, ოქრუაშვილის საომარი რიტორიკა და იარაღის ჟღარუნი ხაინდრავას ხშირად აგდებდა უხერხულ მდგომარეობაში.**

ვისაც არ მოსწონს ამ ხელისუფლებაში ყოფნა და მისი კურსი, ჩემოდნები ჩაალაგოს და წავიდესო, — განაცხადა მაშინ ოქრუაშვილმა და, მართლაც, ჩაალაგებინეს ჩემოდნები ხაინდრავას, რომელიც სიტუაციის გასარკვევად ყელმოღერებული ევედრებოდა სააკაშვილს შეხვედრას.

**პოლიტიკურ ორბიტაზე მნიშვნელოვანი ფიგურა არ გახლავს, მაგრამ ხსენებას მაინც იმსახურებს „ალიანსიდან" ახლახან გაქცეული კოკა გუნცაძე.** სხვათა შორის, როცა მისი 22 წლის ძმა ხულიგნობის ბრალდებით ციხეში გაისტუმრეს, მაშინ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იყო, პარლამენტის თავმჯდომარე კი — ნინო ბურჯანაძე, მაგრამ მაშინ მათთვის ასეთი ფაქტები პოლიტიკურ დევნად არ ფასდებოდა.

**თერჯოლის რაიკომის პირველი მდივნის — ანზორ ბურჯანაძის ასულსაც უწევს პოზიციებისა და შეხედულებების რადიკალური შეცვლა. შევარდნაძის მეგობრის ქალიშვილი პარლამენტის წევრი „მოქალაქეთა კავშირის" სიით გახდა. პარლამენტსაც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს თავმჯდომარეობდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, პოლიტიკური კარიერა მოეწყო, მამამისის გამამდიდრებელ შევარდნაძეს დაპირისპირებოდა და რევოლუცია მოეწყო.**

ხელახლა, უკვე რევოლუციის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პოსტი მას შემდეგ დაკარგა, „ნაციონალებმა" საპარლამენტო არჩევნების დროს სიებიდან ხალხი რომ ამოუყარეს. წასვლის მოტივზე თავად ბურჯანაძემ განაცხადა (და ეს არ იყო მასობრივი დაპატიმრებები, ხალხის წამება, რეპრესიები, ოქრუაშვილის დაკავება, ნოემბრის აქციების დარბევა):

**„ხანგრძლივი და არა მარტივი კონსულტაციების მიუხედავად, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ იქნა მიღწეული კონსესუსი „ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო სიის ფორმირების პროცესში. მე ვცდილობდი, საპარლამენტო სიაში მოხვედრილიყვნენ ახალი ადამიანები, ახალი სახეები, რომლებიც, ჩემი აზრით, ნამდვილად გამოადგებოდნენ ქვეყანას".**

სასაცილოა, როცა დღეს ამდენ უსამართლობაზე მოლაპარაკე ქალბატონს ხელისუფლებიდან წამოსვლის მიზეზად სიის ფორმირება მოჰყავს. თუმცა, არა მგონია, დღეს ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ ხელისუფლებიდან წამოსვლის გადაწყვეტილება, ბურჯანაძეს კი არა, სააკაშვილს ეკუთვნის.

**ისე, ბურჯანაძის ოჯახს ორი ბატონის სამსახურში ყოფნა სჩვევია, რევოლუციის დღეებში ნინო აქციებზე იდგა, მისი მეუღლე კი ბოლო დღემდე იმ მთავრობის გენერალური პროკურორის მოადგილე იყო, რომელსაც მისი ცოლი ებრძოდა.** მან მხოლოდ ბოლო დღეს დაწერა განცხადება და ნინიკოსავით ბოლოს განაცხადა, ზეწოლით ვმუშაობდი და ბევრი უკანონობა მიკეთებია ხელისუფლების დაკვეთითო. რა ექნა ბიწაძეს, რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, აბა, პოსტს ხომ ვერ დაკარგავდა?

ასე იყო ამჯერადაც, ბურჯანაძე სააკაშვილის ხელისუფლებას აკრიტიკებდა, მისი ქმარი კი სასაზღვრო პოლიციის უფროსი და შს მინისტრის მოადგილე იყო, სანამ იქიდან კუდით ქვა არ ასროლინა მერაბიშვილმა. **აღნიშვნას იმსახურებს ისიც, რომ სააკაშვილმა ბურჯანაძეს ერთ ლარად გადასცა 31.696 კვ.მ მიწის ნაკვეთი წყნეთში და ბურჯანაძემ ეს საჩუქარი უხმაუროდ მიიღო. მხოლოდ მაშინ აყვირდა, ოპოზიციაში გადასვლის დროს მისი წართმევა რომ გადაწყვიტეს.**

მოწინააღმდეგეების მოსათაფლად ძვირადღირებული საჩუქრები რომ კარგად მოქმედებს, ბურჯანაძემ კარგად იცის. როგორც ამბობენ, სწორედ ამ მოტივით გადასცა „პრადოს" ჯიპი „პარიზული ყაიდის" ქალბატონს და მასზე წარმოდგენა ამით შეაცვლევინა სალომე ზურაბიშვილს, თუმცა, როგორც ჩანს, მანქანა მოძველდა და ზურაბიშვილსაც ისევ გაახსენდა, რა შეხედულებები აქვს „ფქვილის დედოფალზე".

**კრიტიკის დროს ზომაზე მეტად თავშეკავებულია. როგორც პოლიტიკური ოპონენტები ამბობენ, სწორედ ამის გამო გაექცნენ გუნდიდან პოლიტიკოსები ირაკლი ალასანიას, თუმცა კულუარებში საუბრობენ, რომ ალასანია ისეთივე პროექტია, როგორიც სააკაშვილი იყო და პროცესებიც იმავე სცენარით ვითარება. ის სახელისუფლო გუნდს გამოეყო და თანდათან მისი ხელისუფლებაში მოსვლის გეგმა იხვეწება.**

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ევროსასამართლოში საჩივრების რაოდენობით საქართველო მეშვიდე ადგილზეა

**ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს წინააღმდეგ 4050 ადამიანი ელოდება. „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტისა და პროექტის კოორდინატორის — თამუნა გაბისონიას განცხადებით, საქართველო დარღვევათა რაოდენობით, ევროსასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მეშვიდე ადგილზეა. არ არსებობს სტატისტიკა, თუ რა თანხა აქვს ანაზღაურებული საქართველოს ევროპის სასამართლოს მიერ დაკისრებული ზარალის გამო, მაგრამ ვიცით, რომ ყველაზე სოლიდური თანხა — 150 000 ევრო ჩვენს ქვეყანას სტრასბურგში ასანიძის საქმეზე დააკისრეს.**

**თამუნა გაბისონია, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" პროექტის კოორდინატორი, იურისტი**:

— დღეს ევროპის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ 4050 განმცხადებელი, მომჩივანი ელოდება გადაწყვეტილებას, ანუ 4050 მომჩივანის განცხადება-საჩივარია შესული. დარღვევების მიხედვით, პირველია რუსეთის ფედერაცია, შემდგომ თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი, იტალია, პოლონეთი და მეშვიდე — საქართველო (ევროპის დანარჩენი 47 წევრი სახელმწიფოებიდან). ეს 2010 წლის პირველი იანვრის მონაცემია. საჩივრების რაოდენობამ კი 2008 წლის ომის შემდეგ იმატა. ამავე მონაცემებით, საქართველოს წინააღმდეგ მიღებულია 39 გადაწყვეტილება.

**— ომის შემდეგ რატომ გაიზარდა საჩივრების რაოდენობა?**

— საჩივრებს შორის არის საქართველოს ოსი ეროვნების იმ მოქალაქეების საჩივრები, რომლებიც ცხინვალში ცხოვრობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ქართულმა მხარემ დაარღვია მათი უფლებები ომის დროს განვითარებული მოვლენების შედეგად.

**— ჩვენ გაცილებით მცირერიცხოვანი ერი ვართ, ვიდრე შვიდეულში შესული სხვა ქვეყნები; შესაბამისად, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები?**

— ასე ვერ ვიტყოდი. როგორც აღვნიშნე, ეს უკავშირდება ომს, დაახლოებით 3000 განაცხადი შევიდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ჩემი აზრით, ბევრი მათგანი იქნება დაუშვებლად ცნობილი, მაგრამ დღესდღეობით ისინი რეგისტრირებულია და მათზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

**— როცა საჩივარი მიდის სტრასბურგში, მომჩივანი გარკვეულწილად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პროცესს მოიგებს, რადგან საქმისწარმოება სტრასბურგში დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.**

— რა თქმა უნდა, ეს დაკავშირებულია ხარჯებთან. ეს არ არის მარტივად შესავსები სარჩელი, მას აქვს სპეციალური ფორმა, რომელიც შემდგომ ფოსტით უნდა გაიგზავნოს... შესაბამისად, მომჩივანი უნდა იყოს დარწმუნებული მოგებაში, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც მიაჩნია, რომ, თუ კი მათ წინააღმდეგ გამოვიდა გადაწყვეტილება ქვეყნის შიგნით, ყველა შემთხვევაში, ადგილი აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. ჩემს მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ კონსულტაციაზე ყოველდღიურად მოდიან ადამიანები, რომლებსაც მიჩნიათ, რომ გარკვეულწილად ირღვევა მათი უფლებები; ხშირ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. არის შემთხვევები, როცა ვიღებთ საქმეს, რადგან დარღვევები რეალურია. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გასაჩივრების ყველა შესაძლო საშუალება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიგნით უნდა ამოიწუროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიმართო ევროსასამართლოს.



## სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ქვეყნის რეიტინგსა და იმიჯზე საერთაშორისო დონეზე აისახება

**— დაახლოებით რა თანხებს აკისრებს ევროსასამართლო საქართველოს და, ძირითადად, რა სახის დარღვევებია გამოვლენილი?**

— ევროსასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ათი წლის განმავლობაში,

**2010 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაზე აქვს 10 გადაწყვეტილება გამოტანილი, არაეფექტური გამოძიების წარმოებაზე 5 გადაწყვეტილება, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაზე — 11, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე — 9, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე — 2, გამოხატვის თავისუფლებაზე და გაერთიანებებისა და მანიფესტაციის თავისუფლებაზე თითო-თითო გადაწყვეტილებაა გამოსული. დისკრიმინაციაზე არის 1 გადაწყვეტილება, საკუთრების უფლებაზე — 3 გადაწყვეტილება, გასაჩივრების ეფექტური საშუალებების არარსებობაზე — 4, არჩევნების უფლებაზე — 1 გადაწყვეტილება.**

ყველაზე მეტი გადაწყვეტილება არის არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ეს ის მუხლებია, რომლებიც ყველაზე ხშირად ირღვევა საქართველოში.

**— რამდენად ხდება ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება?**

— ევროსასამართლოს თავის არსში არ აქვს ფუნქცია, ქვეყანას პირის პატიმრობიდან გათავისუფლება დაავალოს. ეს მოხდა მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, ასანიძის დროს და ეს იყო პრეცედენტული გადაწყვეტილება, როდესაც პირდაპირი მოთხოვნა იყო, რომ ეს ადამიანი არის უკანონო პატიმარი და გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან. სხვა შემთხვევაში, როდესაც ევროპული სასამართლო ადგენს დარღვევას და აკისრებს სახელმწიფოს კომპენსაციას, აქვე ამ გადაწყვეტილებაში შესაძლებელია მიუთითოს, რომ განიხილოს საქმე ხელახლა ან გადასინჯოს კონკრეტული გარემოებები. ამის უფლება აქვს და ხშირ შემთხვევაში ამას აკეთებს, მაგრამ პირდაპირი მითითება პირის პატიმრობიდან გათავისუფლებისა არ შედის ევროპული სასამართლოს კომპეტენციაში. მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, როგორც წესი, სახელმწიფო ახდენს. პრობლემა თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება ევროსასამართლოს მიერ კანონმდებლობის ხარვეზის გამოვლენა ან რაიმე პრაქტიკის შეცვლაზე მითითება. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ნიკოლაიშვილის საქმე საქართველოს წინააღმდეგ. ამ ბიჭის სურათი სამართალდამცავებმა ძებნილის სტენდზე ისე გამოაკრეს, რომ მასზე ძებნა არ იყო გამოცხადებული, შემდგომ ეს ადამიანი დაიჭირეს კიდეც და ა.შ. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამგვარი ქმედება პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან საზოგადოებას ცუდ შთაბეჭდილებას უქმნის. შესაბამისად, ამ მიმართულებით პრაქტიკა უნდა შეცვალონ, რათა საზოგადოების ნდობა მოიპოვონ.

**— ევროპის სასამართლოში შესული საჩივრები და შესაბამისი გადაწყვეტილებები რამდენად აისახება ქვეყნის იმიჯზე?**

— საერთოდ, ევროსასამართლოს წევრმა სახელმწიფოებმა თუ იკისრეს ვალდებულება ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების რატიფიკაციის შესახებ და მათ ხელი მოაწერეს, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან, შეასრულონ ამ კონვენციითა და ოქმებით გათვალისწინებული მოთხოვნები. სწორედ მათი შეუსრულებლობაა მიზეზი აღნიშნული საქმეების ევროსასამართლოში გაგზავნისა. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ქვეყნის რეიტინგსა და იმიჯზე საერთაშორისო დონეზე აისახება.

**— რა დროა საჭირო, საჩივრის დარეგისტრირების შემდეგ, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის?**

— მას შემდეგ, რაც მომჩივანი გააგზავნის საჩივარს ევროპის სასამართლოში, დაახლოებით ერთ კვირაში ან ათ დღეში სასამართლო აცნობებს მას, რომ საჩივარი მიღებული და რეგისტრირებულია და აგზავნის სარეგისტრაციო ნომერსა და ე.წ. სტიკერებს, რომლითაც უნდა იწარმოებოდეს ყველა შემდგომი კორესპონდენცია. ხშირად ეშლებათ, რომ რეგისტრაცია თავისთავად ნიშნავს მისაღებობას. ევროპულ სასამართლოში მისაღებობის პროცედურას ზოგ შემთხვევაში 4-5 წელიც კი სჭირდებოდა.

**აქამდე რუსეთის ფედერაცია არ აწერდა ხელს მეთოთხმეტე ოქმის რატიფიცირებას, რუსეთის ფედერაციის ხელმოწერის შემდგომ, უკვე პირველი ივნისიდან, ეს ოქმი ამოქმედდა (სრულად მის ამოქმედებას დაახლოებით ერთი წელი სჭირდება), აქვე შეიცვალა კრიტერიუმები, ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან არ არსებობს პრაქტიკა, რამდენ ხანში განიხილავს დასაშვებობას და რამდენ ხანში დაადგენს გადაწყვეტილებას სასამართლო, თუმცა ეს გაცილებით შემჭიდროებული ვადები უნდა იყოს, ანუ, თუ ადრე 4-5 წელი ელოდებოდა განხილვას, მეთოთხმეტე ოქმის რატიფიცირების შემდეგ, პროცედურა უნდა დაჩქარდეს.**

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

### ქრონიკა

# თბილისში მეტეხის ტაძრის ყულაბა გაქურდეს



**ღვთის პირიდან გადავარდნილებმა ეს ცოდვა 21 ივნისს, გვიან ღამით ჩაიდინეს. მძარცველებმა ტაძრის კარი გატეხეს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც „ინტერპრესნიუსი" იტყობინება, მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.**

გასაგებია პოლიციელების თავშეკავების მიზეზი: კომენტირება რომ დაეწყოთ, გვერდს ვერ აუვლიდნენ გლდანში ტაძრის კარის შენგრევის პირველ აქტს და პირველ მაგალითს, რომლის ჩამდენნი დღევანდელი მაღალჩინოსნები იყვნენ და რასაც ეკლესიების დარბევის მთელი ციკლი მოჰყვა. ფერიის მთიდან დაწყებული და მთავრობის აქტივისტი იმ დედაკაცის ანტიმართლმადიდებლური გამოხდომებით დამთავრებული, ვისი ხსენებაც კი სირცხვილია.

ახლა მათი „ჟამია და სიბნელის ძალაუფლება" (ლუკა 22,53). ამ ძალის შემადგენელია „ძალოვანი სტრუქტურები", და იქითამც გზა ჰქონიათ!

საწუხარი ისაა, რომ ბოლო დროს გახშირებული ფაქტები (15 ივნისს რუსთავში წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელზე აგებული ტაძარი გაძარცვეს) შედეგია ქართული სულიერების გახრწნისა და დაკნინების იმ პოლიტიკის, რომელსაც პატრონების საამებლად ხელისუფლება განახორციელებს.

**ჩვენ კი, საზოგადოებრიობა ეკლესიების ხელყოფას მხოლოდ კრიმინალურ ფაქტებად აღვიქვამთ. ან სურთ, რომ ასე აღვიქვათ.**

**ეს უფრო „არს საწუხარი და სადარდებელი".**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ევროპა მედვედევის პოლიტიკით კმაყოფილია

**ამ ბოლო დროს საზოგადოებრივი აზრის მკვლევარები სულ უფრო ხშირად და კატეგორიულადაც კი გამოთქვამენ შეხედულებას მსოფლიოში მიმდინარე ცვალებად ურთიერთობათა შესახებ, რაც საბოლოო ჯამში მსოფლიო ახალი წესრიგის, თუნდაც მისი კონტურების, თვალშისაცემ რეალობად ყალიბდება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კაცობრიობა „ცივი ომის“ შემდეგ თვისებრივ ცვლილებათა მასშტაბური ეტაპის კარიბჭესთან დგას. გზა ხსნილია და პირველი ნაბიჯებიც — გადადგმული.**



ანგელა მერკელი მედვედევს სანდო პარტნიორად მიიჩნევს

ექსპერტების აზრით, ამ ტენდენციის ნიშნები, უწინარეს ყოვლისა, გამოჩნდა **ორი ანტაგონისტური ძალის, ორი მთავარი პოლუსის დაპირისპირების შესუსტებაში,** უფრო მეტიც, კონსესუსის ერთობლივად ძიების მცდელობაში. ლაპარაკია აშშ-რუსეთის ურთიერთობაში შეთანხმებული თუ არა, მსგავსად აქცენტირებული პოლიტიკის განხორციელებაზე.

ამ მიმართულებით ყველაზე თვალსაჩინო ირანთან დაკავშირებული იდენტური პოზიციების დაფიქსირებაა.

აშშ-რუსეთის თანამშრომლობისთვის საქართველო დაბრკოლება რომ არ არის, ესეც ერთ-ერთი მაგალითია.

და ასე შემდეგ.

ასეთი რადიკალური ცვლილებები საზოგადოებრივ აზრზეც უნდა ასახულიყო და აისახა კიდეც.

წარმოგიდგენთ საზოგადოებრივი აზრის ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგებს და ჩვენი მკითხველი თავად დარწმუნდება, რომ ის, რაც ზემოთ ითქვა, ფუჭი სიტყვები არ არის.

დავაზუსტოთ: **აღნიშნული გამოკვლევის მთავარი საკითხი მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებში რუსეთისადმი, მისი ხელმძღვანელებისადმი დამოკიდებულების გარკვევა იყო.**

გაირკვა (ოღონდ, არ გაიკვირვოთ), რომ **ევროპა რუსეთის პრეზიდენტის — მედვედევის საგარეო პოლიტიკით კმაყოფილია. ეს დასტურდება აშშ კვლევითი ცენტრის — პიუს მიერ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებით, რომლებიც პრაიმტასსმა გასულ ხუთშაბათს გაავრცელა.**

გამოკვლევის მიხედვით, რომელიც **22 ქვეყანაში წლეულს, აპრილსა და მაისში ჩატარდა,** დიმიტრი მედვედევი ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს **გერმანიაში**, სადაც მას **მხარს უჭერს რესპონდენტების ნახევარი**. ეს ნდობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება — **2009 წელს — 32 პროცენტი, წლეულს — 50 პროცენტი.**

**მეორე ადგილზეა კენია — 45 პროცენტი, შემდეგ — ინდოეთი, ჩინეთი** და **ნიგერია (შესაბამისად, 44, 43 და 41 პროცენტი).**

თუ გერმანიის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი განპირობებულია ამ ქვეყნისა და რუსეთის მჭიდრო, უწინარესად, ეკონომიკური თანამშრომლობით, ჩინეთისა და ინდოეთის მხარდაჭერის ფესვები, ამასთან ერთად, ტრადიციული ურთიერთობებიდან გამომდინარეობს და თანასწორობის, პარტნიორული თანამშრომლობის ახალ პრინციპებზეა დამყარებული, კენიისა და ნიგერიის ნდობის ფაქტორი, ალბათ, საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთის პოპულარობის გაზრდით უნდა იყოს განპირობებული.

ნუ გამოვრიცხავთ აშშ-ის რუსეთისადმი დამოკიდებულების ახალი აქცენტების გავლენასაც.

**თვით შეერთებულ შტატებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის რეიტინგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. შარშან დიმიტრი მედვედევისადმი სიმპათიით იყო გამსჭვალული ამერიკელების 30 პროცენტი, წლეულს ეს მაჩვენებელი 38 პროცენტამდე გაიზარდა.**

ამ მაჩვენებლის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებშიც შეიმჩნევა. ყველაზე მეტად ეს ითქმის **პოლონეთზე** (კვლავ — არ გაგიკვირდეთ!), სადაც **შარშან რუსეთის პრეზიდენტს გამოკითხულთა მხოლოდ 17 პროცენტი ენდობოდა, ამჟამად უკვე — 36 პროცენტი.**

ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, პოლონეთი, როგორც ცნობილია, ანტირუსული და ანტისაბჭოთა განწყობილებით ყოველთვის გამორჩეული იყო, ხოლო პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ტრაგიკულ დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე ნეგატივის დონემ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

**საფრანგეთში 2009 წელს ეს მაჩვენებელი 17 პროცენტის დონეზე იყო, ამჟამად 30 პროცენტია, დიდ ბრიტანეთში, შესაბამისად, იყო 27, ამჟამად 36 პროცენტია, ესპანეთში — 9 და 15 პროცენტი.**

იზრდება დადებითი დამოკიდებულების პროცენტული მაჩვენებელი **რუსეთის მიმართაც.** ყველაზე მეტი — **12 პუნქტით ზრდა გამოიკვეთა იმავე პოლონეთში, შემდეგ მოდის საფრანგეთი და გერმანია — 8-8 პროცენტი და ამერიკის შეერთებული შტატები — 6 პროცენტი.**

საფრანგეთ-რუსეთის თანამშრომლობა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით პროდუქტიულია. თუ, ერთის მხრივ, მეხუთე რესპუბლიკა რუსეთს „მისტრალის“ ტიპის შვეულმზიდებს მიჰყიდის, ახლახან გაფორმებული დამატებითი კონტრაქტით საფრანგეთი რუსეთისგან 16 მილიარდი რუბლის ღირებულების რაკეტებს — Союз-СТ-ს შეიძენს. რაკეტების მიწოდება 2014 წელს დაიწყება, — იუწყება „როსკოსმოსი“ (**Mignews.com.va**).

კონტრაქტი გაფორმებულია ფრანგულ კომპანია **Azianespace**-სთან: რუსული რაკეტები გამიზნულია საფრანგეთის კოსმოსური პროგრამის განსახორციელებლად.

ასეთი კონტრაქტების დადება სახელმწიფოთა შორის მხოლოდ მაღალი ნდობის პირობებშია შესაძლებელი.

**ყველაზე მეტად რუსეთს ენდობიან ლიბანში — 55 პროცენტი (ეს შარშანდელზე 2 პროცენტით ნაკლებია); ნიგერიაში — 53 პროცენტი, საფრანგეთსა და ინდოეთში — 51 პროცენტი. გერმანიაში ყოველ მეორე გამოკითხულს ანალოგიური დამოკიდებულება აქვს; ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთში რუსეთის რეიტინგი 49 პროცენტია.**

გუშინ დაიწყო დიმიტრი მედვედევის ვიზიტი აშშ-ში, რომელიც, ამერიკელების წინადადებით, „ინოვაციის სამიტად“ მონათლეს. **პრეზიდენტ ობამას განცხადებით, მას და მედვედევს ელოდება „ბევრი სამუშაო და დიდი თანამშრომლობა“.**

# ობამას არ აქვს უფლება ეს ენერგეტიკული მოკავშირე დაკარგოს

**ვისაც არ დაეზარა, დაწერა, რომ ნათლია ბუშის „დემოკრატიის შუქურა“ ნაყალბევი გამოდგა. თუ უწინ მიხეილ სააკაშვილის ტელებრწყინვალებით მაინც გვიმღვრევდნენ გონებას, ახლა ისიც არ ბჟუტავს. თუმცა ცდილობს. დემოკრატია, როგორც არ იყო, ისევე არ არის. სამაგიეროდ არის მისი აღმატებულება მიხეილი, ვის ხელშიც საქართველოს აღმატებული არ ეთქმის: გოშია ძაღლივით ყველას ფეხებში ვუგორდებით და კუდს ვუქიცინებთ. ოღონდ ვინმემ შეგვამჩნიოს და სახელმწიფოდ ჩაგვაგდოს. ეს ვინმეებიც რომ არ ჩანან...**



ილჰამ და მეჰრიბან ალიევები



ბარაკ ობამა

დიდი-დიდი სარკოზი ელისეს სასახლის ვერანდაზე რამდენიმე წუთით დაგველაპარაკოს და იმ წუთების გასვლასაც ისე ელოდოს, როგორც ამ მსოფლიო პირველობაზე საფრაგეთის ნაკრების ულიმლამო მატჩის სასწრაფოდ დამთავრებას.

**ან ავღანეთში პირველსავე მოთხოვნაზე ტალიკ-ტალიკი ქართველი ჯარისკაცები გააგზავნო და სხვები კიდევ რიგში ჩააყენო — ჩვენ თქვენთვის არაფერი გვენანება, მით უფრო, — ჯარისკაცების სიცოცხლე.**

თუ ლატაკი წიწილას მიირთმევს, ორში ერთია — ან ავადაა თვითონ, ან წიწილია ავად. ებრაული ანდაზაა.

რა დაკარგა, რას ეძებს?

აზერბაიჯანმა აშშ-ის ავღანურ სამხედრო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად 90-კაციანი სიმბოლური რაზმი გააგზავნა.

რატომ მეტი არა? იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თავისი მოქალაქეების სიცოცხლეს ქატოსავით არ ფანტავს და, მეორე, სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა უფლებას არ აძლევს, რომ ვინმეს ხელის ბიჭად გადააქციოს სუვერენული ქვეყანა.

იცის აზერბაიჯანმა თავისი ფასი და წონა საერთაშორისო პოლიტიკაში.

შეიძლება, მისი, ზოგჯერ დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევით გადადგმული ნაბიჯები ზედმეტად ხისტად და გამომწვევად მოეჩვენოს „რბილი“ ურთიერთობების მომხრე პოლიტიკოსებს, მაგრამ ასეთია მისი არჩევანი და პრინციპული პოზიცია. იმისთვის, რომ რასმუსენმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა, შეაქოს, ილჰამ ალიევი აზერბაიჯანელ ახალგაზრდა მუჯაჰედებს არ შეაკლავს.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი კრიჭაში უდგას შეერთებულ შტატებს.

**თომას გოლცი**, პოლიტოლოგი, მონტანას შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტის ლექტორი, წიგნის „აზერბაიჯანული დღიური“ ავტორი, ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: **„ეს კავკასიური რესპუბლიკა ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს და ბაქო უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სატრანსპორტო მარშრუტს: მან ნატოს საკუთარი საჰაერო სივრცე გაუხსნა, საზღვაო პორტები და სარკინიგზო ხაზები დაუთმო“.**

ალიევმა ეს გააკეთა აზერბაიჯანის, როგორც საკვანძო ქვეყნის მნიშვნელობის სრული შეგნებით და სხვასაც აგრძნობინა თავისი გადაწყვეტილების სერიოზული მნიშვნელობა.

მაგრამ ხომ შეიძლება, რომ საკუთარ თავში დარწმუნებულმა პრეზიდენტმა უარი თქვას აშშ-სთან ამგვარ თანამშრომლობაზე?

შეიძლება, თქვას.

მაგრამ არა იმიტომ, რომ ილჰამ ალიევი არაპროგნოზირებადი ხელმძღვანელია და მისგან მოსალოდნელია საერთაშორისო შეთანხმების უპარდონო დარღვევა, არამედ იმიტომ, რომ ავტორიტეტია, თანაც მძიმეწონოსანი, აშშ ადმინისტრაცია შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რათა მას პატივისცემა დაუდასტუროს.

თუნდაც სატრანზიტო ფუნქციასთან დაკავშირებით.

**როგორც ჩანსო, — წერს თომას გოლცი, — პენტაგონის სტრატეგებს ისე აწუხებს თუნდაც თეორიული შესაძლებლობა დერეფნის გადაკეტვის, „რომ გადაწყვიტეს, ბაქოს მიმართ თავიანთი პატივისცემა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევისადმი პრეზიდენტ ბარაკ ობამას პირადი წერილის სახით გამოეხატათ“.**

ამ წერილის გადაცემა აზერბაიჯანის ხელმძღვანელისათვის, რის შესახებაც ინფორმაცია **Associated Press**-მა და **Reuters**-მა გაავრცელა, **„საერთაშორისო და, ფაქტობრივად, ყველა ამერიკული გაზეთის პირველ გვერდებზე აღმოჩნდა“.**

აი, ასეთი მნიშვნელობა მიენიჭა ობამას წერილს ალიევისადმი, ვისთანაც აშშ ადმინისტრაციას მაინც და მაინც დათაფლული ურთიერთობა არ აქვს.

გსმენიათ მსგავსი რამ წერილის შესახებ, რომელიც ობამას სააკაშვილისთვის გამოეგზავნა, თანაც ასეთი მნიშვნელობა მიენიჭებინა?

არა.

ამასობაში ბარაკ ობამა ილჰამ ალიევს წერდა: **„მესმის, რომ ჩვენს ურთიერთობებში სერიოზული პრობლემებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მათ მოწესრიგებას შევძლებთ“.**

გინდა რუსეთისთვის მიუმართავს, გინდა — აზერბაიჯანისთვის!

დონეა!

შეიფერა აზერბაიჯანმა ასეთი გამორჩეულობა, როგორც თომას გოლცი წერს, „აშკარა პირფერობა“ აშშ-ს მხრიდან. უფრო მეტიც:

**„ალიევი სულაც არ მოხიბლულა ობამას წერილით... ურთიერთობებში დაღმა სვლა გრძელდება. ალიევმა გეითსი (აშშ თავდაცვის მინისტრი. — ა.ს.) პრეზიდენტთან სადილზე არ მიიწვია და მასპინძლის ვალდებულება აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრს გადაულოცა... თავის მხრივ, გეითსმა უარი თქვა მიწვევაზე, რითაც ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როცა ამერიკელები კავკასიურ ტრადიციებს არად აგდებენ.**

**აზერბაიჯანელების აზრით, ამერიკელების მხრიდან შეურაცხყოფათა სია გრძელია და ეს სია დღესაც გრძელდება“.**

აქვს თუ არა აზერბაიჯანს ყავარზე კუდის გადების უფლება? აქვს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, თუ როგორ სერიოზულ საფუძველს ეყრდნობა აშშ-ში რუსეთისადმი ნდობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი.

„დიდმა თანამშრომლობამ“, უპრიანი იქნება, დიდად დააფიქროს საქართველოს ხელისუფლება ჩრდილოელ მეზობელთან რეალისტური და, რაც მთავარია, შედეგიანი პოლიტიკის ჯერ გამოსამუშავებლად და შემდეგ ოპერატიულად განსახორციელებლად.

სამწუხაროა, რომ ამ ფონზე საქართველოს ლიდერისადმი დამოკიდებულება მკვეთრად ნეგატიურია.

ჩეჩნეთის პრეზიდენტ **რამზან კადიროვს** „რუსეთის ახალი ამბების სამსახურმა“ მორიგი ინტერვიუ ჩამოართვა. კორესპონდენტი ეკითხება: „როცა მაღალი თანამდებობის პირს, პრეზიდენტს, დავუშვათ, მიხეილ სააკაშვილს ბრალს სდებენ კორუფციაში, მკვლელობებში, აუცილებელი არ არის, პრეზიდენტი იყოს, ვთქვათ, პირია, რომელსაც გააჩნია“... კადიროვმა ჟურნალისტ ქალს აზრის დამთავრება არ აცალა და გააოგნა შეკითხვით: **„სააკაშვილი ვინ არის?“**

**როცა აუხსნეს, რომ იგი საქართველოს პრეზიდენტია, შეურაცხყოფილმა კადიროვმა ითხოვა, არ შეადარონ სააკაშვილს...“**

ასეთია გაშიფრული ამონარიდი ამ რადიოინტერვიუდან.

კადიროვს აიტანდა კაცი, მაგრამ, როცა **The New York Times** საქართველოს მოიხსენიებს დამჭკნარ რევოლუციათა ჩამონათვალში, ეს უკვე ჩეჩნეთის პრეზიდენტის უტაქტობა კი აღარ არის, არამედ — დასავლეთის მიერ სააკაშვილის რეჟიმზე ხელის ჩაქნევის აშკარა დემონსტრაცია. გაზეთი მიიჩნევს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ვითარება რადიკალურად შეიცვალა:

**„რაგინდ სამწუხაროც იყოს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვენ უკვე შევეჩვიეთ რევოლუციების ჭკნობას, იქნება ეს „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უკრაინაში, „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში და ახლა „ტიტების რევოლუცია“ ყირგიზეთში“.**

უფრო მკაცრია **The Huffington Post**-ის შეფასება: **„ჩვენი“ კარგი ბიჭები — მიხეილ სააკაშვილი საქართველოში, ვიქტორ იუშჩენკო და იულია ტიმოშენკო უკრაინაში, ყურმანბეკ ბაკიევი ყირგიზეთში ან აჰმედ ჩალაბი ერაყში ძალაუფლების ისეთივე მოყვარე და ისეთივე ხარბები აღმოჩნდენ, როგორც მათი წინამორბედები, ძალაუფლების შესანარჩუნებლად არად აგდებდნენ დემოკრატიის პრინციპებს“.**

ძალიან შორს ნუ გაიქცევიო, ამბობს ხალხური სიბრძნე, რადგან უკან დაბრუნებისას იგივე მანძილის გავლა მოგიწევსო.

**ვერ გეტყვით, იცნობს თუ არა ამ შეგონებას მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ უკან დაბრუნების პერსპექტივაზე აუცილებლად მოუწევს დაფიქრება.**

გაივლის?

თუ — უკვე ძალიან შორსაა გაქცეული?

**თომას გოლცი აღნიშნავს: „სახელმწიფო, რომელიც ილჰამმა ჰეიდარ ალიევის სიკვდილის შემდეგ 2003 წელს „მემკვიდრეობით“ ჩაიბარა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც 1990-იან წლებში ჰეიდარ ალიევი მართავდა. მას შემდეგ ნავთობითა და გაზით მიღებული ფულის მწირი ნაკადი გარდაიქმნა ფინანსურ ნაკადებად (მაგალითად, 2006 წელს მშპ-ს წლიურმა ნამატმა 36 პროცენტს გადააჭარბა, და ახლა პატარა კავკასიური ქვეყანა, სადაც 8 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ისეთი აშკარა პირფერობის ობიექტი ხდება, რომ ჩემი აზერბაიჯანელი მეგობრები, ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვისაც მოვლენებზე საღი შეხედულება ჯერ არ დაუკარგავთ, იმაზე ნერვიულობენ, ხომ არ ჩათვლის ბაქო, რომ ახლა ამერიკას აზერბაიჯანი უფრო სჭირდება, ვიდრე პირიქით“.**

ასეა თუ არა, თავს ვერავინ დადებს, მაგრამ აშკარაა, რომ შექმნილ ვითარებას, აზერბაიჯანი შესანიშნავად იყენებს და მისი ოფიციალური პოზიცია მოქნეული სლოგანის სახით ყალიბდება: „ჩვენ პატივისცემას ვითხოვთ“.

აზერბაიჯანი პატივისცემას ითხოვს თუნდაც იმიტომ, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემა კვლავ შორსაა მოგვარებისგან, რადგან აშშ-ის, როგორც შუამავლის, როლს საჭირო ეფექტი არ მოჰყოლია, თანაც, ამერიკა ამ როლში „გულწრფელი არ არის“.

ითხოვს პატივისცემას იმიტომაც, რომ აშშ-მა თურქეთ-სომხეთის შერიგება თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნით ისე გადაწყვიტა, რომ არ დაელოდა სომხების მიერ ოკუპირებული მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის ნაწილის დატოვებასაც კი. ეს აზერბაიჯანული მხარის მოთხოვნების აშკარა იგნორირება იყო.

ითხოვს იმიტომაც, რომ აშშ თავს უფლებას აძლევს **Washington Post**-ის გვერდებზე მოარულ ხმებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს პროვოკაციული წერილი, თითქოს ილჰამის და მეჰრიბანის 11 წლის ვაჟი დუბაიში მილიონობით დოლარის ღირებულების უძრავი ქონების მფლობელია და ამით პრეზიდენტს და მის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენოს.

აშშ უკან იხევს.

2008 წლის ივლისში აზერბაიჯანიდან გაწვეული ელჩის სანაცვლოდ სულ ახლახან ელჩად მეთიუ ბრაიზას ნიშნავს.

ან გაწვევა რა იყო, ან საქართველოში სახელგატეხილი ბრაიზას დანიშვნა რა არის?!

ფრიად საინტერესოა თომას გოლცის დასკვნითი პასაჟი, რომელშიც ნათქვამია:

**„ვაშინგტონი ბაქოს მხოლოდ ქაბულის გზაზე გაჩერებად აღიქვამს, მაგრამ ეს აუცილებელი გაჩერებაა, და, თუ ალიევი მოისურვებს, ძალიან გაურთულებს ცხოვრებას ამერიელ სამხედროებს... ეს რომ არ მოხდეს, აზერბაიჯანში ვიზიტად ჩამოსვლას ჩქარობს ჰილარი კლინტონი, რომელიც მათი მისამართით მეტ პატვისცემას გამოავლენს“.**

სამაგიეროდ თბილისში, როგორც ამბობენ, სტივ უანდერი ჩამოდის: საქართველოში კიდევ ერთი, ძალიან ძვირადღირებული კონცერტი გაიმართება.

და ჩვენ გავიმარჯვებთ!

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძე**

## გელა ნიკოლეიშვილი: როცა ეს რეჟიმი შეიცვლება, დამნაშავე პირები კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან...

**გასულ კვირაში, ოთხშაბათს (16 ივლისს), საქართველოს სახალხო სასამართლოს მიერ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე გამოტანილი დასკვნის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა უფლებადამცველი, ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი.**



**— ბატონო გელა, როგორ აფასებთ სახალხო მოსამართლის მიერ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე მიღებულ დასკვნას, რომელიც ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა მე-2, მე-3, მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევაში ადანაშაულებს?**

— უპირველესად, ვიტყვი იმას, რომ სასამართლოს ასეთი მოწყობა, ანუ სახალხო სასამართლო, თავისთავად საინტერესო და უნიკალური ფაქტია. აქამდე ეს არსად ყოფილა და ამიტომ ამას უკვე მოჰყვა მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან უამრავი გამოხმაურება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გასაკვირი და, მით უფრო, შემთხვევითი არ არის, ასეთი პრეცენდენტი პირველად ჩვენს ქვეყანაში რომ შეიქმნა, პირიქით, გამომდინარე იქიდან, რომ დღესდღეობით საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი კატასტროფულად დაბალია, სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია. სწორედ სამართლებრივი სტრუქტურებისადმი უნდობლობაა სახალხო სასამართლოს შექმნის საფუძველი, რაც იმას გულისხმობს, რომ, როცა ქვეყანაში არ არსებობს ლეგიტიმური ორგანო, რომელიც ობიექტურად და მიუკერძოებლად განსჯის ამა თუ იმ საქმეს, პროცესში ერთვება პირდაპირი დემოკრატია, ანუ ხალხი თავის თავზე იღებს მსაჯულის ფუნქციას და მას თვითონვე გამოაქვს ესა თუ ის განაჩენი.

**...ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის წევრები ამ ოთხი წლის განმავლობაში მუდმივად ცდილობენ, რომ მიაღწიონ სამართლიანობას და დაისაჯონ კონკრეტული დამნაშავეები, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სასამართლოებში, ვერც ერთ ინსტანციაში და ვერც სამართალდამცავ სტრუქტურებში მათ სამართალი ვერ იპოვეს. ამიტომაც მიმართეს ჯერ სტრასბურგის სასამართლოს, რომელიც მალე განიხილავს ამ საქმეს, ხოლო მანამდე კი საჩივარი შემოიტანეს სახალხო სასამართლოში.**

ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხალხი უკანონო ქვეყანაში. თუ რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, როცა მართლმსაჯულება რეალურად არ არსებობს და ყველა სამართალდამცავი სტრუქტურა მოქცეულია ერთი პიროვნების, რეჟიმის ტყვეობაში...

**— სახალხო მოსამართლის დასკვნაში წერია: „ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეში“ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია „ევროპული კონვენციის“ მე-2 (მატერიალური და პროცესუალური მხარე), მე-3 („არაადამიანური მოპყრობის“ სახით), მე-6 მუხლებითა და პირველი (დამატებითი) ოქმის პირველი მუხლით დაკისრებული საერთაშორისო სამართლებრივი მოვალეობანი (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური)“. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად, რა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ეს ბრალდება?**

— საქმე ისაა, რომ ევროპის სასამართლო არ იხილავს კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხს. ის ადგენს, არის თუ არა სახელმწიფო დამნაშავე მოქალაქის მიმართ. ამიტომ იქ ამ და სხვა მსგავს საქმეებს ასე ჰქვია „ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ვთქვათ, „გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ და ა.შ. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანას, სახელმწიფოს წარმოადგენს ხელისუფლება, ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ეს სწორედ ხელისუფლების გამტყუნებას ნიშნავს.

**რაც შეეხება სასჯელს, მაქსიმუმ, რისი მისჯაც ხელისუფლებისთვის ევროპის სასამართლოს შეუძლია, არის ფულადი ჯარიმა, ანუ გარკვეული თანხის გადახდის დაკისრება დაზარალებული მხარისთვის, თუმცა იგივე ხელისუფლებას დღემდე არ გააჩნია, უფრო სწორად, არ შეუმუშავებია იმის მექანიზმი, რომ პიროვნება, რომელიც, ვთქვათ, იმყოფება ციხეში და რომელსაც, გაამართლებს სტრასბურგის სასამართლო, გაათავისუფლოს პატიმრობიდან.** ამიტომ, სამწუხაროდ, ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა მოქალაქე უგებს დავას სახელმწიფოს, ანუ ხელისუფლებას, თავის მხრივ, ხელისუფლებაც იხდის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაკისრებულ ფულად ჯარიმას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაზარალებული მაინც რჩება ციხეში... ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რაც უკვე მოგახსენეთ, — არ არსებობს ქვეყანაში თავისუფალი სასამართლო, არ არსებობს კანონი და ყველაფერი დამოკიდებულია ერთი სუბიექტის — ხელისუფლებისა და მის სათავეში მყოფი ადამიანების სურვილზე.

**— იმ კონკრეტული პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც ბრალი ედებათ უშუალოდ მკვლელობაში, როგორ და რა ფორმით შეიძლება დადგეს?**

— როგორც გითხარით, სტრასბურგის სასამართლო ამას არ განიხილავს, ვინაიდან ეს შედის ჩვენი ეროვნული მართლმსაჯულების ორგანოთა პრეროგატივაში, თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, დღეს ჩვენი სასამართლო და ყველა სამართალდამცავი სტრუქტურა ოკუპირებულია ხელისუფლების მიერ და აქედან გამომდინარე, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, რომ კონკრეტული პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

**— იგივე სტრასბურგის სასამართლოსა და სხვა უფლებადამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს თუ შეუძლიათ, ჩვენს სამართალდამცავ სტრუქტურებს მისცენ მითითება, რომ მოხდეს ამ საქმის ობიექტურად გამოძიება?**

— სამწუხაროდ, ასეთი პრაქტიკა არ არსებობს. სტრასბურგის სასამართლო ამტყუნებს მხოლოდ ხელისუფლებას და შემდეგ, თუ ამ ხელისუფლებას აქვს იმის კეთილი ნება, რომ იყოს სამართლიანი და დემოკრატიული, თვითონ უნდა მოახდინოს ამა თუ იმ საქმის ობიექტურად გამოძიება. თუმცა რა დამოკიდებულება აქვს დღეს იგივე დემოკრატიისა და სამართლიანობისადმი ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ყველამ კარგად ვიცით...

**— სახალხო მოსამართლის დასკვნა სტრასბურგში უახლოეს რამდენიმე დღეში გადაიგზავნება. პირადად თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად ობიექტურად განიხილავენ იქ ამ დასკვნას, ანუ ვიხილავთ თუ არა ხელისუფლებას საბრალდებო სკამზე?**

— დარწმუნებული ვარ, ზუსტად იმ გადაწყვეტილებას მიიღებს სტრასბურგის სასამართლოც, რაც სახალხო მოსამართლემ მიიღო, ანუ დასკვნაში არსებული ყველა მუხლის მიხედვით გაამტყუნებს ხელისუფლებას და თან დააკისრებს საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდას.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სახალხო სასამართლო არ არის ლეგიტიმური სტრუქტურა, კლასიკური გაგებით, მაგრამ მორალური თვალსაზრისით, მის მიერ დადებულ დასკვნას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

...რაც შეეხება კონკრეტულ დამნაშავეებს, არსებული რეჟიმის პირობებში, მე იმის იმედი არ მაქვს, რომ ვინმე პასუხს აგებს და დაისჯება, იმიტომ, რომ მაშინ ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს სულ მთლად თავიდან — პირველ რიგში, შინაგან საქმეთა მინისტრიდან და ასე, მიყოლებით, უნდა დასვას საბრალდებო სკამზე თანამდებობის ის პირები, რომლებსაც რაიმე წვლილი მიუძღვით ამ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში.

ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება, მაგრამ, როცა შეიცვლება ეს რეჟიმი და მოვა ხელისუფლება, რომელიც არ იქნება ამ ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული, დარწმუნებული ვარ, კონკრეტული დამნაშავეები კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან.

**— თქვენ თქვით, რომ სახალხო სასამართლო არ არის ლეგიტიმური ორგანო. თუ ასეა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს მის მომზადებულ დასკვნას?**

— ამას უფრო მორალური ძალა აქვს, ვინაიდან ეს დასკვნა მომზადებულია ხალხში დიდი ავტორიტეტის, ნდობის მქონე პიროვნებების მიერ. რა თქმა უნდა, ეს არ არის კანონიერი დასკვნა, იურიდიული თვალსაზრისით; მაგრამ, როცა მოვა დრო, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით, მხედველობაში მაქვს ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობა, დაიწყოს ხელახალი გამოძიება და შედგეს ლეგიტიმური სასამართლო, ის ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს მართლმსაჯულებას...

**— ისე, დღეს, ალბათ, ბევრს უჩნდება კითხვა, რატომ აქამდე არ შედგა ეს სასამართლოო...**

— როგორც გითხარით, თვითონ სახალხო სასამართლოს იდეა ახალია, ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც ამაზე ლაპარაკობენ.

**პირადად მე, დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინათ, პრესაში გამოვაქვეყნე საბრალდებო დასკვნა მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რომელშიც, როგორც ამ ქვეყნის რიგითმა მოქალაქემ, მას ბრალი დავდე კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებში.**

**ალბათ, ნაწილობრივ ესეც და კიდევ სხვა უამრავი მოტივი გახდა საფუძველი იმისა, რომ მომწიფდა სახალხო სასამართლოს შექმნის იდეა, რომელიც მიზნად ისახავს, დაიდოს ობიექტური დასკვნა და დამტკიცდეს, რომ ამ ხელისუფლებას ჩადენილი აქვს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები...**

ვიმეორებ, დღესდღეობით ამ დასკვნას შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, დადგება დრო, როცა ლეგიტიმური სასამართლო მას გამოიყენებს და დამნაშავე პირები კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან.

ესაუბრა
**ჟაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

24 ივნისს გამოჩენილი ქართველი პოეტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის — რეზო ამაშუკელის დაბადების დღეა. ხვალ ჩვენს თანამემამულეს, ქართული ლექსისა და ორლესული ქართული სიტყვის ამაგდარსა და მოჭირნახულეს, პოეტური აზროვნების დიდოსტატს, პოეზიის რაინდს,
ჩვენს მეგობარს რეზო ამაშუკელს 74 წელი უსრულდება.
სულითა და გულით ულოცავს „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ბატონ რეზოს დაბადების დღეს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს ქართველი ერის, მკითხველთა დიდი არმიის გასახარად.

**რეზო ამაშუკელი**

## დაღმართი



...გარშემო უდაბნოა,
უნდათ ერის დაბნევა!
— ჩამოშვებულ ფარდებზე
შავი ვარდის დაბნევა!
სიბერე უდაფნოა —
— გარშემო უდაბნოა...

ვიცი, არ არის პოეზია,
მაგრამ სათქმელი
ნაღვერდალივით გულს
ღადრავს და
ხორხში ხრიალებს!..
...ამოიფშვინა,
ჩუმად ჩაქრა ბოლო სანთელი...
— აღსარება და ზიარება
დავაგვიანე!

ბრიალებს ანძა მთაწმინდაზე
და ჩიჩხლებს ისვრის,
შემარყევს ფიქრი: —
დელგმამ წარღვნით
გადაგვიარა!..
არ აგვცდებოდა ამათ ხელში
მოტეხა კისრის,
ვიცოდი,
ვგრძნობდი,
ვერ ვფარავდი გახსნილ იარას!..

რით შეიცვალა, მიპასუხე,
მღვრიე სამყარო?!
წვერგაბურძგნულო
საჭურისო,
სულით საპყარო!..
ჩემს ფესვს და წარსულს,
ზნეს და რწმენას, გინდა,
გამყარო,
რომ ჩამოთესლო უცხო ჯიში
და ახარხარო!

როგორ გარბოდით
„წითელ ხიდზე“
ჯორკიდებულით?!
უკანალის და ოქრო-ვერცხლის
გადასარჩენად???
— „მაგარიაო!“
კვლავ შესძახებს ვინმე, დებილი,
თავქუდმოგლეჯილ,
თქვენს ფერწასულ
„მამა-მარჩენალს“...

ნუღარ ბუქნაობთ,
ნუღარ ტკეპნით ყრმათა
საფლავებს,
ჩუმად უსმინეთ
სამებიდან მწუხრის გალობას!..
— დავარდით მუხლზე,
პატიება სთხოვეთ ახლავე
ერსა და მამულს,
აწმყოსა და შთამომავლობას!..

ვერ შეიფერე,
რაც მოგართვეს შორიდან სინით,
თრთი და იგონებ
„კუდიანებს“, „ჭინკებს“ და
„ქაჯებს“!
თუ მართლა ეძებ,
მანდ არა გყავს ეგ ხორცის
ზვინი???
ეგ სოვდაგარი,
— აიღე და სახალხოდ საჯენ!

მაგრამ, ვერ იზამთ,
შეკრული გაქვთ,
რადგანაც პირი!
გაანადგურებთ,
თუ დაგცალდათ,
რაც დაგვრჩენია!..
— დღეს გალახული
საქართველო
ბავშვივით ტირის...
და ეს ცრემლები
თქვენი ბოლო განაჩენია!..

— შენ გეუბნები,
მწვალებლების ძმავ და
შეგირდო: —
თუ არ გსურს ხალხი
ქვების სროლით გამოგეკიდოს,
რომ ცოდვის ლოდი
სიკვდილამდე გულზე გეკიდოს,
— მოინანიე!
იქნებ ერმა მართლა შეგინდოს!

თორემ სხვაგვარად ყოველივე
ყალბი ფიცია!
— ვაი რომ, უკვე,
ყველაფერმა ერთად გიწია!..
...და სანამ კიდევ
მოიხოცავ მაგ ცხვირს, ბიძია,
— სამშობლო ჩემი
ნახევარი მინდვრის სიგრძეა!

2008 წლის 7 სექტემბერი

# გულაობის 120 დღე

**დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს — ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის ოფიციალურ გახსნამდე მას თბილისის, ასევე, არჩევნებში გამარჯვებული მერი, გიგი უგულავა თავის 120-დღიანი გეგმით ეწვია. უგულავას განცხადებით, უახლოესი 120 დღის განმავლობაში მთავარი პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა და თბილისელების დასაქმება იქნება.**

გარდა ამისა, სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მერია დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების პროგრამებს განახორციელებს. კერძოდ, გაგრძელდება ინგლისურისა და კომპიუტერის უფასო სწავლების პროგრამა. თბილისში მცხოვრები დევნილები სხვადასხვა პროგრამებში ჩაერთვებიან. დედაქალაქის არჩეული მერი თბილისის მოსახლეობას უწყვეტ სასმელ წყალსაც შეჰპირდა. მისი თქმით, უახლოეს პერიოდში სხვადასხვა ბანკების დახმარებით, კერძოდ, „აზიის განვითარების ბანკის“ მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტები განხორციელდება; კერძოდ, „ვეფხისა და მოყმის“ ძეგლთან ახალი ხიდის მშენებლობა იგეგმება, ასევე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აშენდება გვირაბი, რკინიგზას დედაქალაქიდან გარეუბანში გადაიტანენ და თბილისის ზღვაზე რეკრეაციულ ზონას მოაწყობენ.

რა მშვენიერი დაპირებებია. წარმომიდგენია, როგორ გაუხარდათ „საყვარელი“ მერის ესოდენ მზრუნველობა თბილისელებს, ზოგიერთმა შეიძლება თვალებიც დახუჭა და ეს ყველაფერი ნათლად წარმოიდგინა. ოცნებებს არავის ვუმსხვრევ, მაგრამ ასეთი დაპირებები და ზღაპრები არა ერთი გვახსოვს მერისგანაც და პრეზიდენტისგანაც; ასე რომ, შორსაც ნუ გაჰყვებით ოცნებას. მიშაც გვპირდებოდა, რომ მოკლე დროში საქართველოს ააყვავებდა, მაგრამ იმ პოლიტიკური სიტუაციისა და მძიმე სოციალური პირობების ფონზე, რაც დღეს საქართველოშია, რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, სულაც არ ვგრძნობ თავს ბედნიერად. ვერც ჩემ გარშემო მყოფთ ვატყობ დიდ სიხარულსა და ბედნიერებას. არადა, ბრმაც არ უნდა ვიყო. აღარ მჯერა, ბატონო, თქვენი ზღაპრების:

**ზღაპარი №1: „უგულავას განცხადებით, უახლოესი 120 დღის განმავლობაში მთავარი პრიორიტეტი იქნება სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა და თბილისელების დასაქმება“.** ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გვპირდებიან „ნაცები“, რომ დასაქმებისთვის ხელსაყრელ პირობებს შევქმნითო, მაგრამ აქამდე არ შეუსრულებიათ და გიგი 120 დღეში მოაგვარებს ამ პრობლემას? გამორიცხულია!

**ზღაპარი №2:**

„დედაქალაქის არჩეული მერი თბილისის მოსახლეობას უწყვეტ სასმელ წყალსაც დაჰპირდა“. მინიმუმ 2 წელი სჭირდება ამ პროექტის განხორციელებას და ისიც უწყვეტი დაფინანსების პირობებში. 120 დღეში ამის განხორციელება შეუძლებელია. თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წყალს კი დაგვპირდა მერი, მაგრამ უფასოდ ვერ მოგართვითო, როგორც ეს „ქრისტიან–დემოკრატებს“ სურდათ. ასევე გამოირიცხა მათ მიერ აქტუალურ საკითხად ქცეული იაფი შუქისა და გაზის დაპირების განხორციელების შესაძლებლობაც. უგულავამ განმარტა, რომ სატარიფო პოლიტიკის გადახედვა არც თბილისის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაშია და არც 120-დღიან გეგმაში შედის.

ეს უკვე ორი ზღაპარი!

რაც შეეხება ხიდისა და გვირაბის მშნებლობას, ეს რომ გააკეთონ, არ გამიკვირდება, რადგან ამ ბოლო დროს „შენება“ (ხშირ შემთხვევაში, არც თუ ესთეტური კონსტრუქციების) ჩვენი ხელისუფლების ერთგვარ ჰობად იქცა. ეს დაპირება შეიძლება რეალობადაც აქციონ, მაგრამ არ მინდა, ისევ ჩვენს ხარჯზე აშენდეს ეს გვირაბი და არცთუ საჭირო ხიდი.

**ისე, საინტერესოა, რა დაგვიჯდება 120-დღიანი გეგმის შესრულება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მხოლოდ ერთი ცნობილი „მშვიდობის ხიდი“, ოფიციალური მონაცემებით, 12 მილიონი და არაოფიციალური მონაცმებით 40 მილიონი დაჯდა, უგულავას 120-დღიანი „გულაობა“ საკამოდ ძვირი სიამოვნება იქნება თბილისელებისთვის.**

მერე რა, თუ დოლარის ფასი 2 ლარს მიაღწევს, ყველაფერი გაძვირდება და ისედაც ულუკმაპუროდ დარჩენილი მოსახლეობა პურსაც ვეღარ იყიდის. ჩვენ მიერ „არჩეული“ მერი ყველა უმუშევარს 120 დღეში დაასაქმებს და ყველა პრობლემა „მოგვიგვარდება“.

**ნინა ხატისკაცი, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დირექტორი:**

— ის დაპირებები, რომლებიც გიგი უგულავამ 120 დღეში უნდა განახორციელოს, არა მგონია, ბიჯეტში ყოფილიყო ჩადებული. მშენებლობები ჯერ არ დაწყებულა და როგორ უნდა დამთავრდეს 120 დღეში? ძირითადად, ჩვენი ბიუჯეტის პრობელმა არის ის, რომ ახორციელებენ ისეთ პროექტებს, რომლებიც წინასწარ არაა გათვლილი. მნიშვნელოვანი მომენტია ისიც, თუ რა იქნება ამ 120-დღიან გეგმაში პრიორიტეტული. საინტერესოა, ასევე, რა თანხა მოხმარდება ამ გეგმის შესრულებას.

იმის გაგება, თუ რა თანხას ახმარს მერია ამა თუ იმ პროექტს, ყოველთვის გაუმჭვირვალე და მიუწვდომელია, ჭორების დონეზე თუ ვრცელდება ხოლმე ინფორმაცია. სავარაუდოდ, არ ახმაურებენ იმის გამო, რომ ეს თანხები საკმაოდ სოლიდურია. თითქმის ნახევარ წელზე მეტია, ვითხოვთ მერისგან ინფორმაციას, რა დაჯდა თბილისის ახალი მერიის შენობის რემონტი. მხოლოდ 5 თვის შემდეგ მივიღეთ პასუხი, რომ 10 მილიონამდეა დახარჯული. დეტალური ინფორმაცია კი არ მოგვაწოდეს. დარწმუნებული ვარ, ეს არაა ზუსტი ციფრი.

იმ პირობების გათვალისწინებით, რაც ქვეყანაშია (ვგულისხმობ მძიმე სოციალურ პირობებს), ასეთ პროექტებზე ამხელა თანხების ხარჯვა, ჩემი აზრით, მიღებელია. როგორც ჩანს, ხიდები და რაღაც კონსტრუქციების მშენებლობები უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ჩვენი ხელისუფლებისთვის, ვიდრე გაჭირვებულ მოსახლეობაზე ზრუნვა. ამ 120-დღიან გეგმაში ნახსენებია, რომ განხორციელდება დასაქმების პროგრამები, მაგრამ ყველაზე ნაკლებად ამ მიმართულებით გადაგმული ნაბიჯები ჩანს. გზების, ხიდების მშენებლობაზე დასაქმება ამ პრობლემის მოგვარებას არ ნიშნავს, რადგან ეს არის დროებითი სამუშაო. რამდენიმეთვიანი დასაქმება არაფერს ცვლის მოსახლეობისათვის. ასეთი ტიპის ღონისძიებები რეალურად არ ქმნის სამუშაო ადგილებს. ამისთვის საჭიროა, ქვეყანაში პროდუქციის წარმოება, საწარმეობის ამუშავება. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, როგორ აპირებს თბილისი მერი 120 დღეში ამ პრობლემის მოგვარებას.

**თეო ტაბატაძე**

**P.S. ის „ბურჟუაზიული სიკეთე“, რასაც უგულავას 120 დღე გულისხმობს, აერთიანებს რიგითი ქართველების თითქმის 20-წლიან ოცნებას... მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, აგერ უკვე მესამე პრეზიდენტი, ვინ იცის, მერამდენედ გვპირდება იმას, რის გაკეთებასაც თბილისის მერი 120 დღეში აპირებს... ბატონებო, ჯერ ერთი, ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ ვინძლო ხალხმა დაგიჯერათ — თუ მართლა 120 დღეში შეგიძლიათ „გიგის საგულაო პროგრამაში“ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება, ან აქამდე რას აკეთებდით, ან ამ 120 დღის შემდეგ, ანუ 2013 წლამდე ხელისუფლებაში რაღა უნდა აკეთოთ?!**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მსოფლიო მმართველობის ამერიკული ოცნება

**სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიოში სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა. სახეზეა მცდელობა, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ცნობიერების მანიპულირების გზით თავს მოახვიონ ქცევის ალგორითმი, რომლის ამოცანაც ტერორისტულ აქტებზე წინასწარ მკაცრად განსაზღვრული რეაქციების მიღებაა. ყველაფერი საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. მთელი რიგი ექსპერტების აზრით, ამ დროისათვის მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაციის ძლევამოსილებამ მიაღწია იმ საბედისწერო ზღვარს, რომლის შემდეგაც გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილება გარდაუვალია.**



**სწორედ ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მოაწყვეს 11 სექტემბრის პროვოკაციული აქტი, რათა აშშ-ის ნაციონალური ხელისუფლება ამჟამინდელ ურთულეს მდგომარეობაში ჩაეყენებინათ.**

სწორედ 2001 წლის ზაფხულში, მიუხედავად მთელი რიგი ქვეყნების მიერ საკუთარი ეროვნული ეკონომიკის უგუნურად წარმართვის გამო დახვავებული კრიტიკისა, **საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მიზანმიმართული ქმედებების შედეგად მიზანს მიაღწია და ყველა უმსხვილესი სახელმწიფოს ეკონომიკა ერთდროულად აღმოჩნდა კრიზისის ზღვარზე.** საკრედიტო-ფინანსურ სფეროში განხორციელებული ზემოხსენებული მზაკვრული ოპერაცია მხოლოდ მოსამზადებელი ღონისძიება იყო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა გლობალური ტრანსფორმაციის დასაწყებად. **სწორედ ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მოაწყვეს 11 სექტემბრის პროვოკაციული აქტი, რათა აშშ-ის ნაციონალური ხელისუფლება ამჟამინდელ ურთულეს მდგომარეობაში ჩაეყენებინათ.**

უკანასკნელ დრომდე ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და ეროვნული ხელისუფლებების ადმინისტრაციებს ძალზე რთული და დაძაბული ურთიერთობები ჰქონდათ. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს არ სურდათ გადასახადების გადახდა, თავიანთ შიდა სტრუქტურებში საგადასახადო ინსპექციების შეშვება და ასე შემდეგ. მათი მენეჯმენტი ცდილობდა, აბსოლუტურად თავისუფალი ყოფილიყო ეროვნული ადმინისტრაციების წინაშე ყველანაირი პასუხისმგებლობისაგან.

**აშშ-ის ეროვნული ხელისუფლებაც დიდი სიამოვნებით გაიფართოვებდა უფლებამოსილებებს, მსოფლიო მმართველის მანტიას მოირგებდა და ყველასა და ყველაფრის წინაშე პასუხისმგებლობას ერთხელ და სამუდამოდ ჩამოიფერთხავდა მხრებიდან, მაგრამ ეროვნულ ხელისუფლებებს ეს ერთი უბრალო მიზეზის გამო არ გამოსდით — მათ ხალხი ირჩევს და პასუხისმგებლობიდან გაქცევა შეუძლებელია.**

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს კი ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ. ადამიანების ზომბირების ტექნოლოგიებით აღჭურვილ ტოტალიტარულ სექტებთან მჭიდროდ დაკავშირებული მთელი რიგი ქვეყნების სპეცსამსახურებისა და ძალოვანი სრუქტურების წარმომადგენლებთან სათანადო კავშირების დამყარებისა და მათი გადაბირების შემდეგ მართვა ძნელი არაა.

**ბუნებრივია, ზემოხსენებული მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი იყო რესპუბლიკური ადმინისტრაციის შიგნით მოქმედი მეხუთე კოლონა, მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა გამოეყენებინა შექმნილი მდგომარეობა იმ საკითხთაგან ერთ-ერთი უმთავრესის მოსაგვარებლად, რომელიც, უკვე კარგა ხანია, აწვალებს ამერიკას — ჰყავდეს ნაციონალური ხელისუფლება, რომელიც იმავე დროს მსოფლიო ხელისუფლებაც იქნება.**

ამგვარი სიტუაცია გულისხმობს არაფორმალური ლიდერის როლის მოპოვებასა და შენარჩუნებას. ეს აუცილებლად განაპირობებდა უამრავი და გამუდმებით მზარდი რაოდენობის ძნელად პასუხგასაცემ გამოწვევებს, რომელთა მოგერიებაც ნამდვილად არ იქნებოდა იოლი საქმე. გამოწვევები იქნებოდა ჩინეთიდან, ისლამური სამყაროდან, სხვა მრავალი მხრიდანაც. ასეთ მდგომარეობაში გაცილებით ადვილია, გახსნილად დაამყარო დიქტატურა და ერთდროულად მოხსნა ყველა გამოწვევა, ვიდრე არაფორმალურ რეჟიმში იბრძოდე და სათითაო შემთხვევაზე ცდილობდე პასუხის გაცემას.

**ამიტომ გაჩნდა ახალი იდეა, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობდა: ინდოეთი, ჩინეთი და რუსეთი ერთმანეთს უნდა დაერიონ, რომ ავღანიზაციამ მთელი ევრაზია მოიცვას. შემდეგ კი დაბომბვებისგან სასურველ კონდინციამდე გაპარტახებულ სახელმწიფოებში აშშ მაშველად მოვა, გლობალური არბიტრივით ბოლო სტადიაზე გამოჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამი უდიდესი ზესახელმწიფო აღიგვება პირისაგან მიწისა. ამგვარი მექანიზმით აშშ ეროვნული სახელმწიფოს სახელისა და მსოფლიო პოლუსობის მისწრაფებას შორის წინააღმდეგობის დაძლევასა და ორივე სტატუსის შეთავსებას, ანუ თავისი მრავალწლოვანი ოცნების ასრულებას აპირებს.**

მაგრამ ეს — აშშ-ის მისწრაფებების გამოყენება — ინტრიგის მხოლოდ ერთი ნაწილია. მეორე ნაწილი ისაა, რომ **აშშ-ს რეზინის ხელკეტივით ატრიალებს ახალი საერთაშორისო ბიუროკრატიისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისგან შემდგარი კორუმპირებული საერთაშორისო საზოგადოება. ხელკეტის ფუნქციები ამოიწურება თუ არა, ეს საზოგადოება აშშ-ს გვერდზე მოისვრის და მის ძალოვან რესურსს დაეპატრონება.** კიდევ არსებობს ნატო, რომელსაც, როგორც სუპერნაციონალურ სტრუქტურას, პოლიტიკური კრახის შემდეგ შეუძლია აშშ-ის ძალოვანი რესურსი აითვისოს. პოლიტიკური კრახი კი აშშ-ის ამჟამინდელი ხელისუფლების კურსის მიხედვით ცალსახად გარდაუვალია. ამჟამად აშშ საგულდაგულოდ შეკოწიწებული შოკის პირობებში ცხოვრობს — თეთრი ფხვნილი, ციმბირის წყლული, ახალი ტერაქტების გაუთავებელი საფრთხეები, უდიდესი ზეწოლა მასმედიის საშუალებებზე. ამგვარი პროცესი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. **პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოება ყველა ამ დაჯგუფებას შორის მკვეთრად გამწვავებული წინააღმდეგობის გამო რღვევას იწყებს. გარდა ამისა, ხელისუფლებაში დიქტატურის მოსვლა ავტომატურად გულისხმობს ცხოვრების დონის დაქვეითებას.**

**ამერიკულ საზოგადოებაში მზარდი კონფლიქტი უკვე სახეზეა. სოციალური მხარდაჭერა დაკარგულია. აშშ-ს დღითიდღე უფრო მკაცრი ზომების გატარება მოუწევს.**

**ის, რაც ახლა ხდება ამერიკაში, ფაშისტური გადატრიალებაა. კონსტიტუციური სტრუქტურების უფლებამოსილება უკვე იზღუდება. ეროვნული ტერიტორიის უშიშროების კომიტეტი, ფაქტობრივად, ალტერნატიული მთავრობაა.**

უკანასკნელ პერიოდში ინფორმაციული ომის წარმოების ექსპერტთა შორის დამკვიდრდა თეზისი, რომლის თანახმადაც მასიური საინფორმაციო აგრესიის მზადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება სამართლებრივი საფუძვლის მომზადებით უნდა დაიწყოს. საინფორმაციო აგრესიის წარმატებას სწორედ აგრესორისათვის მოსახერხებელი სამართლებრივი ველი განაპირობებს.

საინფორმაციო სფეროში აშშ-ისთვის აუცილებელი პრიორიტეტების ფორმირებისთვის პირველი ნაბიჯი 2000 წელს გადაიდგა. ამას მოჰყვა ტერორიზმთან ბრძოლის ახალი კანონი, რომლის თანახმადაც, კომპიუტერული სისტემების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებიც ტერორისტულ აქტებს უთანაბრდება.

ამის შემდეგ ხელი მოეწერა საერთაშორისო შეთანხმებას კიბერდამნაშავეობის შესახებ: ოცდაათმა ქვეყანამ (ევროპის ქვეყნები, აშშ, კანადა, იაპონია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიზანია ერთობლივი საერთაშორისო კანონმდებლობისა და აქტიური თანამშრომლობის სტიმულირებით საზოგადოების კიბერდანაშაულებებისგან დაცვა.

გატარებული ზომების ქმედუნარიანობა მიღწეულ იქნა იმის წყალობითაც, რომ პრეზიდენტმა ბუშმა ქვეყანაში სამხედრო ტრიბუნალის სისტემა დაამკვიდრა. როგორც ცნობილია, **ტრიბუნალები განკუთვნილია ტერორიზმში ეჭვმიტანილი სხვა ქვეყნების მოქალაქეებისა და მათი დამხმარე პირების გასასამართლებლად. ბრალდებულისთვის განაჩენის გამოტანის შემდეგ, ეს განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება არც აშშ-ის სამოქალაქო სასამართლოებში და არც საერთაშორისო სასამართლოებში. მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლია ან თავად პრეზიდენტს, ან თავდაცვის მინისტრს, პრეზიდენტის ნებართვით. ამრიგად, პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, დაამკვიდრა ტერორისტების უსასტიკესად დასჯის მკაცრი სისტემა. ეს სიმკაცრე კიდევ ერთი ფაქტით დასტურდება: აშშ გაეროს ეგიდით საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას მხოლოდ იმიტომ არ თანხმდება, რომ ეს ორგანიზაცია უარს აცხადებს სასიკვდილო განაჩენების გამოტანაზე. ეს აშშ-ს საშუალებას მისცემს, დაასრულოს საერთაშორისო სისტემის ნგრევა და მათი მოქალაქეობის გაუთვალისწინებლად პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები, რომლებიც შტატების საინფორმაციო სისტემაში შეღწევას ცდილობენ. ეს ყველაფერი კი ერთადერთ მიზანს ემსახურება: ნაციონალური ინტერესების პრიორიტეტულ სფეროში სამართლებრივი ბაზის უნიფიკაცია. ჰააგის ტრიბუნალი მხოლოდ მილოშევიჩის იყო.**

გარდა ამისა, აშშ აქტიურად ცდილობს, სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიებზე „მოღვაწე" თავის აგენტებს უფლებები გაუზარდოს. მაგალითად, **ლატვია აშშ-თან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღკვეთის თაობაზე შეთანხმების გაფორმებისას დაეთანხმა მის ერთ-ერთ პუნქტს, რომელშიც წერია, რომ ლატვიის ხელისუფლება დამნაშავედ არ თვლის და ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს აშშ-ის ხელისუფლებას, მის თანამშრომლებსა და წარმომადგენლებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შეთანხმებით გათვალისწინებული ქმედებების შედეგად ლატვიის რესპუბლიკაში ზარალი მიადგა ქონებას, დაიჭრა ან გარდაიცვალა ნებისმიერი პირი.**

უფრო მეტიც, ლატვიამ ამ აქტის მატერიალური უზრუნველყოფაც საკუთარ თავზე აიღო. შეთანხმების მიხედვით, აშშ-დან ჩასული ნებისმიერი ადამიანი და ტრანსპორტი ავტომატურად თავისუფლდება ყველანაირი გადასახადისაგან.

**ამით ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომლებს უფლება აქვთ, ლატვიის ტერიტორიაზე ნებისმიერი დანაშაული ჩაიდინონ.**

ჯერ კიდევ ბუშის პრეზიდენტობისას სომალის ერთადერთი ინტერნეტკომპანია და უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო ოპერატორი იმის გამო დაიხურა, რომ დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე ტერორიზმის მხარდამჭერთა სიაში აღმოჩნდნენ. ინტერნეტის გათიშვის გამო უდიდესი შეზღუდვები ამოქმედდა საერთაშორისო სატელეფონო კავშირსა და ფულად გადარიცხვებზე. „ალ-ქაიდასთან" ფინანსურ კავშირებში დამნაშავე 62 ორგანიზაციის სია ბუშის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა. სომალის იზოლირება საინფორმაციო სფეროში დანაშაულთან საერთაშორისო ბრძოლის პირველი მაგალითი იყო. მისი მსხვერპლი სუვერენული სახელმწიფო გახდა.

ახალი კანონებისა და ახალი შეთანხმებების მიღებისას ყოველთვის არ ჩანს, რამდენად მიუახლოვდა ხელისუფლება საინფორმაციო სფეროზე სრული კონტროლის დაწესების მიზანს. მიუხედავად ამისა, ექსპერტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამგვარი მცდელობები ძალიან აწყობს მმართველ ელიტას, ვინაიდან საზოგადოებას უფრო მართვადს ხდის. ინფორმაციული საზოგადოება მართვადი ქაოსის საზოგადოებაა.

*imperiya.by*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ჩვენ რატომ არ შეგვიძლია?



**აზერბაიჯანმა გამოუშვა ჯავშნიანი მანქანების — „Matador“-ისა და „Marauder“-ის პირველი პარტია, რომელსაც სამხრეთ-აფრიკულ Paramount Group-თან ერთობლივად აწარმოებს.** წლის ბოლოსთვის მეზობელი ქვეყნის შეირაღებულ ძალებს 50 ასეთი საბრძოლო მანქანა გადაეცემა. ამ ორ მანქანას ერთნაირი ძრავა, ტრანსმისია და უნიფიცირებელი დეტალები აქვთ; „Matador“-ს 14 მებრძოლის გადაყვანა შეუძლია, „Marauder“-ს კი — ათის, თუმცა იგი უფრო მანევრულია, კომპაქტური და, შესაბამისად, ქალაქის პირობებისთვის გამოსადეგი.

## როდესაც დრო არ ითმენს



**თურქეთი აპირებს, სასწრაფოდ შეიძინოს 9 მოიერიშე ვერტმფრენი „A129 Mangusta“. როგორც Defence News-ი ვარაუდობს, ეს ქურთი სეპარატისტების მკვეთრ გააქტიურებას უკავშირდება.** მართალია, 2008 წელს თურქეთმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებდა ამ იტალიური ვერტმფრენის თურქული მოდიფიკაციის „T129“ 50 ვერტმფრენის აწყობას თურქეთში, თუმცა ამ პროგრამის ფარგლებში პირველი საფრენი აპარატების შეირაღებული ძალებისთვის გადაცემა 2014 წლამდე ვერ მოხდება, დამატებითი მოიერიშე ვერტმფრენები კი თურქებს, როგორც ჩანს, დაუყონებლივ სჭირდებათ.

## ამერიკელებს რემბო თუ უშველით



**პაკისტანის მთიანეთში ამერიკელი გერი ბრუკს ფოლკნერი დააკავეს, — წერს „Military Times“, მას თან ჰქონდა პისტოლეტი, ღამის ხედვის ხელსაწყო და... ხმალი.** მისი თქმით, 51 წლის, ადრე რამდენიმე გზის ნასამართლევმა მშენებელმა გადაწყვიტა, ბინ ლადენი საკუთარი ხელით მოეკლა. ჩიტრალის რეგიონის პოლიციის უფროსი მუმტაზ აჰმად ხანის თქმით, იგი ავღანური საზღვრის სიახლოვეს ტყეში დააკავეს, მას შემდეგ, რაც სიცილით გული იჯერეს პაკისტანელმა სამართალდამცავებმა ახალ „რემბოს” იარაღი ჩამოართვეს.

## კარგად დავიწყებული ძველი



**კომპანიამ „Northrop Grumman“ მიიღო აშშ-ის სახმელეთო ძალების შეკვეთა სამი გიგანტური დირიჟაბლის „LEMV“ (Long Endurance Multi-Intelligence Vehicle) შექნაზე. დირიჟაბლებმა სადაზვერვო და სამეთაურო პლატფორმების როლი უნდა შეასრულონ.** აპარატის ზომაა 110X70 მ., ავტონომიური საბრძოლო მორიგეობა 3 კვირის განმავლობაში უნდა შეეძლოს. ექსპერიმენტული ნიმუშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დირიჟაბლი იმოქმედებს სიმაღლეზე არა ნაკლებ სამი კილომეტრისა, მისი სიჩქარე 40 კმ/სთ, მოკლე ხნით კი 160 კმ/სთ იქნება.

# ვინ ჩამოაგდო ჯონ მაკეინი ვიეტნამში?

**სენატორი ჯონ მაკეინი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელია, მის პოლიტიკურ განცხადებებთან ერთად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად მისი წარსულიც ექცევა, კერძოდ, მონაწილეობა ვიეტნამის ომში. ვინ ჩამოაგდო ჯონ მაკეინი? არცთუ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ვეტერანი იური ტრუშეჩკინი ამტკიცებდა, რომ ამის გაკეთება სწორედ მან მოახერხა. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ბევრი ვერსია არსებობს, ასე რომ, ურიგო არ იქნება, მათ თავი მოვუყაროთ და, ამასთანავე, გავარკვიოთ, რა ხდებოდა მაშინ ვიეტნამის ცაში.**



მარჯვნივ ქვევით — ჯონ მაკეინი

**„სინ ჯუნ ვან ხუნ!“ — ეს, ჩვენთვის ყოვლად გაუგებარი, ფრაზა, ამერიკული თვითმფრინავების მოახლოებას ნიშნავდა. ოპერაციას „Roliing Thunder“, რომლის ფარგლებშიც, ამერიკელები მასირებული დაბომბვებით ცდილობდნენ, მოწინააღმდეგე გაეტეხათ, 20000 ვიეტნამელი სამხედრო და 72000 სამოქალაქო პირი შეეწირა. ჯონ მაკეინის საბრძოლო გაფრენა 1967 წლის 26 ოქტომბერს და მისი ჩამოგდება ამ ოპერაციის ერთ-ერთი რიგითი ეპიზოდი იყო.**

საბჭოთა კავშირმა ჩრდილოეთ ვიეტნამის საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა და ბევრი (იმ დროისათვის) თანამედროვე ტექნიკაც გადასცა. ასე, 1965 წლიდან ომის ბოლომდე, სსრკ-მა მოკავშირეს მიაწოდა 95 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „C-75“ და 7500-მდე რაკეტა მათთვის; ვიეტნამში სპეციალისტებიც გაიგზავნენ, რომლებსაც თან უნდა ესწავლებინათ ადგილობრივებისთვის „C-75“-ის გამოყენება, თან, (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე) ეომათ. პირველი ბრძოლა, როდესაც ერთმანეთს ამერიკელი მფრინავები და საბჭოთა მეზენიტეები შეხვდნენ, 1965 წლის 24 ივლისს გაიმართა. საბჭოელების ცნობით, მომდევნო თვის განმავლობაში მათ ჩამოაგდეს 14 თვითმფრინავი, ისე, რომ მხოლოდ 18 რაკეტა დახარჯეს. ამერიკელები ირწმუნებოდნენ, რომ მხოლოდ 3 თვითმფრინავი დაკარგეს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მათ ტაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაკარგები მათთვის საგრძნობი იყო.

**პილოტებს შეასწავლეს რიგი მანევრები რადარებისა და რაკეტის „მოტყუებისთვის”, ხოლო ავიაციის მოქმედება ახალ 5-ეშელონიან სქემაზე გადააწყვეს: 1 ეშელონი მოქმედებდა ჩრდილოეთ ვიეტნამის გამანადგურებლების წინააღმდეგ, მე-2 — საზენიტო დანადგარების წინააღმდეგ, მე-3 — საზენიტო-სარაკეტო (უმეტეს წილად „C-75“-ის) კომპლექსების წინააღმდეგ, მე-4 ეშელონი გამოიყენებოდა უშუალოდ მთავარი სამიზნეების დაბომბვისათვის, ხოლო მეხუთე მის უკანდახევას უზრუნველყოფდა.**

ამერიკული სარდლობის ამ ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ეფექტურობა დაეცა 10-14 რაკეტამდე ერთ თვითმფრინავზე. თუმცა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კონსტრუქტორებმა „C-75“-ში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს, ხოლო სამხედროებმა მისი გამოყენების ტაქტიკა დახვეწეს, ეფექტურობა კვლავ გაიზარდა 3-4 რაკეტამდე ერთ თვითმფრინავზე.

**1967 წლის 26 ოქტომბერს ჯონ მაკეინის „A-4E Skyhawk“-ი ავიამზიდ „Oriskany“-დან აფრინდა. სულ მისიაში 20 თვითმფრინავი მონაწილეობდა, მათ ამოცანას წარმოადგენდა ჰანოის ცენტრში მდებარე თბოელექტორსადგურ „იენ ფუ“-ს დაბომბვა. კაპიტანი იური ტრუშეჩკინი თავის „C-75“-თან ამ დროს, სხვა ადგილას სტრატეგიული ხიდის „ხამ ჟონგ“-ის მიდამოებში იმყოფებოდა. მაკეინი ჩამოაგდეს უკვე დაბომბვის შემდეგ, როდესაც იგი ავიამზიდზე დაბრუნებას ცდილობდა.**

ტრუშეჩკინის თქმით, მათ დაინახეს ორი თვითმფრინავი, ხიდს რომ უახლოვდებოდა. ერთ-ერთი პილოტი მანევრირებდა, ცოტა შორი, მაგრამ შედარებით უსაფრთხო გზა აირჩია და ახლოს მდებარე გორაკის შემოვლა გადაწყვიტა. მეორე, პირდაპირ ხიდისკენ გაემართა. თუ ეს ეპიზოდი სიმართლეს შეესაბამება, ის მაკეინის ხასიათსა და გონიერებაზე, საკმაოდ მკაფიოდ მიანიშნებს. ყველამ იცოდა, რომ სტრატეგიული ხიდი საიმედოდ დაცულია და მასზე გადაფრენა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვითმფრინავი ცარიელია, და არც ხიდისთვის, არც მეზენიტეებისთვის არანაირი ზიანის მიყენება არ შეუძლია, ძალიან წინდაუხედავი ნაბიჯია. **თუმცა გამორიცხული არაა, მაკეინი მეორე, ფრთხილი და, ალბათ, გამოცდილი, მფრინავისგან განსხვავებით, უბრალოდ დაიბნა.** დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო.

ტრუშეჩკინის მონათხრობში არის რამდენიმე შეუსაბამობა, რომელიც გაანალიზებას მოითხოვს. **ვიეტნამელებმა მაკეინის ჩამოგდებისთვის დააჯილდოეს კაპიტანი ნგუენ ლანი და ლეიტენანტი ნგუენ სიან დაი.** ნგუენ ლანმა ამასთან დაკავშირებით შემდეგი რამ თქვა: **„დიახ, მე ჩამოვაგდე მაკეინის თვითმფრინავი, მაგრამ ეს ხომ საბჭოთა რაკეტის მეშ- ▶**

# «ПРЕЗИДЕНТ-С»: ახალი რუსული გამოცანა

**საფრანგეთში შეიარაღების დიდი საერთაშორისო გამოფენა „Eurosatory 2010“ დასრულდა. სხვადასხვა ქვეყნებმა უამრავი საინტერესო ექსპონატი წარმოადგინეს. ყველას რა ჩამოთვლის, თუმცა ურიგო არ იქნება, ზოგიერთი „გემრიელი ლუკმა” ჩევნც შევათვალიეროთ.**

LEOPARD-2A7+



მას შემდეგ, რაც ისრაელის სატანკო ნაწილებს ლიბანის ბოლო კამპანიის დროს დიდი ზიანი მიადგა, ცხადი გახდა, რომ „Merkava“-ს ყურადღების მიქცევა სჭირდებოდა. კონსტრუქტორების მოწადინებამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო, ახალ „Merkava-Mk4“-ს აქტიური დაცვის კომპლექსით „Trophy“, მისი შემქნელების მტკიცებით, შეუძლია ნებისმიერი ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტისგან მომავალი საფრთხის განეიტრალება. საინტერესო იქნებოდა მისი შედარება „Арена“-სთან, თუმცა მისი ტექნიკური მახასიათებლები დღემდე საიდუმლოდ რჩება. ასე რომ, ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ შავი და თეთრი, ალბათ, უდაბნოში გამოჩნდება.

შეხვედრა ძველ მეგობართან, ყოველთვის სასიამოვნოა; სასიხარულოა, რომ „ლეო” დაბრუნდა. „Leopard-2A7+“: კონცერნ „IBD“-ს მიერ შექმნილი ახალი მოდულური დაცვის სისტემა, ბატალიონის დონის ავტომატიზირებული მართვის სისტემა „INIOCHOS“, ცეცხლის მართვის მოდერნიზებული სისტემა მეთაურის პანორამული სამიზნითა და შეტყობინებებით თავდასხმისა და რადიაციული გამოსხივების შესახებ, ტყვიამფრქვევის მართვის დისტანციური სისტემა, ახალი დიაგნოსტიკური სისტემა და ა.შ. მოკლედ, ყველას, ვინც „ლეო”-ს მიმართ გულგრილი არაა, აღტაცებისთვის დამატებითი საბაბი მიეცა.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება „IVECO“-ს მსუბუქმა ჯავშანავტომობილებმა დატოვეს; გააზრებული კონსტრუქცია, 75 მმ. ქვემეხი რადი- ▶

◀ ვეობით გავაკეთე". ტრუშეჩკინის თქმით, ვიეტნამელებმა მასზე ადრე ისროლეს და ააცილეს. მისი მონათხრობიდან გარკვევით არ ჩანს, საუბრობს იგი ორ „C-75"-ზე (ერთიდან ვიეტნამელები ისვრიან, ხოლო მეორედან თავად ტრუშეჩკინი) თუ ერთზე. ზოგადად, იმ დროს დანაყოფები, ძირითადად, შერეული იყო.

ტრუშეჩკინი იხსენებს, რომ თვითმფრინავი იყო „Phantom"-ი, რომელიც გარეგნულად, ისევე, როგორც რადარზე საკმაოდ განსხვავდება „A-4E Skyhawk"-ისგან, ამ შემთხვევაში იგი ან ორ საბრძოლო ეპიზოდს ერთმანეთში ურევს ან კიდევ, სხვა თვითმფრინავი ჩამოაგდო. დაზუსტება სამწუხაროდ შეუძლებელია, შარშან იური ტრუშეჩკინი გარდაიცვალა.

**მომავალ სენატორს რამდენჯერმე გაუმართლა; იგი გადარჩა, როდესაც რაკეტა თვითმფრინავს მოხვდა და კატაპულტირება მოახერხა; ტბაში ჩავარდა და იგი დროულად ამოიყვანეს, თანაც ბევრი სხვა მფრინავისგან განსხვავებით მაკეინი ვიეტნამელებს არ შემოაკვდათ, რაც გასაკვირი არც იქნებოდა, იმ (ზემოთ მოყვანილი) დანაკარგების გათვალისწინებით, რომელიც „Roliing Thunder"-ის დროს მიადგათ. დღემდე დაუდასტურებელი ინფორმაციით, თავისი მოკრძალებული როლი ვიეტნამელების დამშვიდებაში საბჭოთა დაზვერვის ორმა პოდპოლკოვნიკმა — ივანე შპროტმა და ეგორ ლეგოსტაევმა შეასრულეს, რომლებიც იმ დროს რატომღაც აღნიშნული ტბის მიდამოებში დასეირნობდნენ.**

პირველი სამედიცინო დახმარება ჯონ მაკეინს მედდამ, ნგუენ თხი თხანმა აღმოუჩინა. „ძალიან თეთრი კანი ჰქონდა, მაშინ გამხდარი, სიმპატიური ბიჭი იყო. მე მოვეპყარი მას არა როგორც მტერს, არამედ როგორც ადამიანს, რომელსაც დახმარება სჭირდება. აი პრეზიდენტი რომ გახდება, — ამბობდა 90 წლის თხი თხანი 2008-ში, — აუცილებლად ჩამოვა ჩემთან და ნახავს როგორ ვცხოვრობ"; თუმცა, როგორც ცნობილია, ჯონ მაკეინი ვერც პრეზიდენტი გახდა და ვერც მასთან ჩასასვლელად მოიცალა.

**მაკეინის ვიეტნამური ისტორიის გაგრძელება ცალკე საუბრის თემაა, ბევრი ვეტერანის თქმით, ტყვეობაში იგი ვაჟკაცურად იქცეოდა, თუმცა ვიეტნამის ომის გმირი, პოლიციელი ფინიქსიდან ჯეკ მაკლემბი საპირისპიროს ამტკიცებს: „იგი ყველაფერს იტყუება თავისი ვიეტნამური გმირობების შესახებ. მას არავინ არასდროს თითითაც არ შეხებია. ბიჭებმა ნახეს, როგორ მოიყვანეს იგი ბანაკში. მაშინვე „აჭიკჭიკდა", რადგან ეშინოდა, არ ეწამებინათ. ვიეტნამელმა კომუნისტებმა მას „მოჭიკჭიკე ჩიტი" შეარქვეს".**

ჭეშმარიტების დადგენა რთულია, რადგან იმ მოვლენების ბევრი მონაწილე ცოცხალი აღარ არის, ხოლო ზოგიერთი დოკუმენტი დღის სინათლეს, ალბათ, ვერასოდეს იხილავს. თუმცა, სამხედრო ასპექტს თუ მივუბრუნდებით, ერთი გარემოება უდავოდ უნდა აღვნიშნოთ: **საბჭოთა კავშირის დახმარებით შექმნილმა საჰაერო თავდაცვის სისტემამ და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებმა „C-75" ვიეტნამელთა საბოლოო გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.**



კატაპულტირებული მაკეინის დატყვევება

◀ ოსალოკაციო სამიზნით, დაცვის ორიგინალური სისტემა... ვერაფერს ვიტყვით, ბელისიმო!

**თუ მხოლოდ ჯავშანტექნიკით არ შემოვიფარგლებით და თვალს სხვა ექსპონატებსაც გადავავლებთ, ვნახავთ, რომ რუსები მათთვის ჩვეული რევოლუციური გზით წავიდნენ და ნატოს სამხედროებს მორიგი თავსატეხი შესთავაზეს. კომპლექსი მოკრძალებული სახელით „Президент-С" შეიქმნა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისგან (ვულგარულად რომ იტყვიან, „სტინგერებისგან") საფრენი აპარატების დასაცავად.**

როგორც ჩანს, მსგავსი დანიშნულების სისტემების „Липа"-ს და „Сухогруз"-ის მომდევნო საფეხურზე, განვითარების ახალ ეტაპზე ვსაუბრობთ. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი ნახევარი მეტრის დიამეტრის სფეროა, ოპტიკო-ელექტრონული სადგური, რომლის პროგრამული უზრუნველყოფა უნიკალურ მათემატიკურ ალგორითმებს ეფუძნება. რუსების პრეზენტაციამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც ამ სისტემით აღჭურვილ ვერტმფრენს სულ რაღაც 1000 მეტრიდან გამოშვებულმა **„Игла"-მ ვერაფერი დააკლო. თვითმხილველთა თქმით, რაკეტის მიახლოებისთანავე ვერტმფრენის სიახლოვეს გაჩნდა რაღაც უცნაური ელვა, კომპიუტერული სპეცეფექტების მაგვარი ნათება და რაკეტამ, რომელიც მისი ძრავისკენ მიემართებოდა, მოულოდნელად ტრაექტორია შეიცვალა.**



კონსტრუქტორების თქმით, ეს მოხდა ოპტიკური ეფექტის გამო, რომელიც მოდულირებულმა გამოსხივებამ შექმნა. რაკეტის მართვის სისტემამ ვერტმფრენის ნაცვლად მისი ფანტომური ანარეკლი აღიქვა, გეზი მისკენ აიღო და, შესაბამისად, მიზანს აცდა.

**დიმიტრი მონიავა**

# ოპერაცია «ღვთის რისხვა»

## გოლდა მეიერი: ჩვენ მკვლელები გავანადგურეთ!

**გოლდა მეიერმა მიუნხენში დაღუპული ებრაელი სპორტსმენებისთვის შურისძიება „მოსადის" დირექტორს — ცვი ზამირსა და სამხედრო დაზვერვის უფროსს, გენერალ-მაიორ აარონ იარივუს დაავლა. ებრაელებისთვის არცთუ იოლი იყო იმის დადგენა, ვისი ხელი ერია მიუნხენში მომხდარ მკვლელობაში. პალესტინელები კი ამის აღიარებას არ ჩქარობდნენ. ამიტომ თავდაპირველად ებრაელი სპორტსმენების დაღუპვის გარემოებათა გამოძიება ჩატარდა. გამოძიებას პინჰას კოპელი, შინ-ბეტის ყოფილი თანამშრომელი ხელმძღვანელობდა.**



გოლდა მეიერი

„მოსადის" დირექტორმა ცვი ზამირმა შურისძიების ოპერაციის განხორციელება 46 წლის მაიკ ჰარარის დაავალა. ჰარარი სხვის სახელზე აღებული პასპორტით მაშინვე ევროპაში გაემგზავრა. საოპერაციო ბაზად მან პარიზი აირჩია.

ამბობენ, რომ საბრძოლო ჯგუფი სულ 15 კაცისგან შედგებოდა. **ჯგუფში იყვნენ ყალბი დოკუმენტებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადების სპეციალისტები, თითოეული მათგანი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა და აუცილებლობის შემთხვევაში დამოუკიდებლად მოქმედება შეეძლო.**

თავიდან პალესტინელ ბოევიკებს ურეკავდნენ და გამართული არაბულით დაბეჯითებით აფრთხილებდნენ, რომ მონაწილეობა აღარ მიეღოთ ტერაქტებში. ებრაელები საუბრისას ბოევიკებს მიანიშნებდნენ, რომ ხელი ნებისმიერი მათგანზე მიუწვდებოდათ. შემდეგ **არაბულ გაზეთებში ბოევიკთა ნეკროლოგებიც გამოჩნდა, თუმცა ისინი ჯერ ცოცხლები იყვნენ, ხოლო როცა გამოქვეყნდა სტატია იმის შესახებ, რომ „მოსადი" მიუნხენში მომხდარი ტერაქტის მონაწილეებზე ნადირობდა, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია ნამდვილმა პარანოიამ შეიპყრო.**

**მიუნხენის ტრაგედიიდან 11 დღის შემდეგ ებრაელი სპორტსმენების მკვლელობისთვის პასუხი პირველმა ვაელ აბუ ცვაიტერმა აგო.** იუწყებოდნენ, რომ მიუნხენში ტერორისტები იარაღით სწორედ ცვაიტერმა უზრუნველყო. 22-კალიბრიანი „ბერეტათი" შეიარაღებული ისრაელის ოპერატიული ჯგუფის წევრები სათითაოდ ჩავიდნენ იტალიაში...

1972 წლის 16 ოქტომბერს, ღამის 11-ის ნახევარზე ღვინის ბოთლებით დატვირთულმა ცვაიტერმა თავის სადარბაზოში შეაბიჯა, სადაც უკვე ელოდებოდა ორი ოპერატიული მუშაკი. ერთმა მაინც დააზუსტა: „ვაელ აბუ ცვაიტერი ხარ?" და როცა მსხვერპლმა თავის დაქნევით დასტური მისცა, ებრაელებმა მთელი ჯერი დააცალეს. შემდეგ მშვიდად დატოვეს სადარბაზო და თვალს მიეფარნენ.

**1972 წლის დეკემბერში „მოსადის" აგენტებს შეატყობინეს მაჰმუდ ჰამშარის მისამართი, რომელიც პალესტინელთა საბრძოლო ოპერაციებს საფრანგეთის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობდა.** ერთ-ერთმა ოპერატიულმა მუშაკმა ჰამშარს დაურეკა, თავი იტალიელ ჟურნალისტად წარუდგინა, ინტერვიუ სთხოვა და თანხმობაც მიიღო, მაგრამ გააფრთხილა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაურეკავდა, რათა საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ შეხვედრის ადგილსა და დროზე.



იასირ არაფატი



ალი ჰასან სალამეი

როცა შინ არავინ იყო, ჰამშარის ბინაში სპეციალისტები შეიპარნენ და ძლიერი ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩაუმონტაჟეს მაგიდაში, სადაც ტელეფონი იდგა. მეორე დღეს, 8 დეკემბრის დილას. 08.45 საათზე სახლში სატელეფონო ზარი გაისმა. ჰამშარმა ყურმილი აიღო. „მაჰმუდ ჰამშარი ხართ?" — დააზუსტა ჯგუფის უფროსმა. „დიახ, მე ვარ," — მიუგო ჰამშარმა, რომელიც იტალიელი ჟურნალისტის ზარს ელოდებოდა. ოპერატორმა დისტანციური მართვით დეტონატორი აამოქმედა.

**ახლო აღმოსავლეთში დაირხა ხმა იმის შესახებ, რომ „შავი სექტემბრის" წევრებს ერთიმეორის მიყოლებით ხოცავენ.**

ჰუსეინ აბდ ალ-შირი (იგივე ჰუსეინ ბაშირი და აბდ ალ-ჰირი) არაფატის ორგანიზაციის — „ფაჰთის" წარმომადგენელი იყო კვიპროსზე. მიიჩნეოდა, რომ მიუნხენში ჩასული ტერორისტები დოკუმენტებითა და ბილეთებით ბაშირმა აღჭურვა.

**ებრაელებმა სასტუმროს ნომრის საწოლში ალ-შირს ასაფეთქებელი ნივთიერება დაუმონტაჟეს.** 1973 წლის 24 იანვარს სასტუმრომდე იგი „მოსადის" ინფორმატორმა მიაცილა და ოპერაციის ხელმძღვანელს შეატყობინა, რომ ალ-შირი ოთახში მარტო დარჩა. საძინებელში სინათლის ჩაქრობისთანავე, ოპერატიულმა მუშაკმა ოპერატორს ნიშანი მისცა. აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ ნომრის კარ-ფანჯარა ჩამოიღო.

**პარიზში „მოსადმა" იმხანად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტი, მოუხელთებელი და ძალზე ფრთხილი მუჰამედ ბუდია აღმოაჩინა, რომელიც გამუდმებით იცვლიდა გარეგნობას, ადგილსამყოფელსა და სახელებს.** 1973 წლის 27 ივნისს „მოსადის" აგენტებმა ბუდიას მანქანა მისი ერთ-ერთი სატრფოს სახლთან შენიშნეს და მძღოლის სავარძლის ქვეშ ასაფეთქებელი მოწყობილობა დაუმონტაჟეს. **დილით, მანქანაში ჩაჯდომამდე ბუდიამ გულდასმით შეამოწმა თავისი „რენო," ჩაიხედა საბარგულსა და კაპოტის ქვეშ, საეჭვო ვერაფერი შენიშნა, სავარძელზე მოთავსდა და... ჰაერში აფრინდა.**

**მიუნხენში სიკვდილს გადარჩენილი სამი ბოევიკი რამდენი წლის განმავლობაში იმალებოდა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, „მოსადმა" ისინიც გაანადგურა, ოღონდ ალი ჰასან სალამეჰთან დაკავშირებით მარცხი მოუვიდა.**

**სალამეჰი არაფატის ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი იყო და მის პირად დაცვას ხელმძღვანელობდა. სალამეჰს არაფატის სავარაუდო მემკვიდრედაც კი მიიჩნევდნენ. იგი რთული სამიზნე გამოდგა, რადგან ძალიან კარგად იცავდნენ.** 14 ივლისს ჯგუფის ხელმძღვანელმა მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სალამეჰი ნორვეგიაში იმყოფებოდა და შიკრიკს ელოდებოდა, რომელიც „მოსადის" აგენტების თვალთახედვის არეში მოხვდა და ქემალი ერქვა. იგი თავდაპირველად ოსლოში იმყოფებოდა, შემდეგ კი პატარა ქალაქ ლილეჰამერში გაემგზავრა. „მოსადის" ოპერატიული ჯგუფის რამდენიმე თანამშრომელმა მანქანა დაიქირავა და უკან გაჰყვა. შიკრიკი ქალაქის ცენტრში, კაფე „კაროლინაში" აღმოაჩინეს — ქემალი ვიღაც არაბს ელაპარაკებოდა. ებრაელებმა თვალებს არ დაუჯერეს — გამოდიოდა, რომ სალამეჰს მიაგნეს! არადა, მწარედ შეცდნენ: **მაროკოდან ნორვეგიაში სამუშაოდ ჩამოსული ოფიციანტი აჰმედ ბუჩიკი გასაოცრად ჰგავდა სალამეჰს. ღამის 11-ის ნახევარზე თანმხლებ ქალთან ერთად შინისკენ მიმავალი კაცი, რომელიც სალამეჰად მიიჩნიეს, 14 ტყვიით ჩაცხრილეს...**

ებრაელები სალამეჰისთვის თვალყურის დევნებას განაგრძობდნენ. 1978 წლის ნოემბერში „მოსადის" აგენტი, რომელიც თავს ინგლისელ ერიკა ჩემბერსად ასაღებდა, ბეირუთში ჩავიდა. სამეთვალყურეო ჯგუფის მონაცემებით, სალამეჰი გამუდმებით ერთი და იმავე მარშრუტით მოძრაობდა — ცოლის ბინიდან „ფაჰთის" შტაბბინამდე. ერიკას მიერ დაქირავებული ბინის ფანჯრები სწორედ ამ ქუჩას გადაჰყურებდა.

ერთი კვირის შემდეგ ბეირუთში „მოსადის" კიდევ ერთი აგენტი ჩავიდა ყალბი კანადური პასპორტით. ბინა და „ფოლკსვაგენი" დაიქირავა და მთელი დღეები ქალაქში დასეირნობდა. მოკლე ხანში მათ კიდევ ერთი აგენტი შეემატა.

რამდენიმე დღის შემდეგ აგენტებმა დაქირავებულ „ფოლკსვაგენში" 5 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება „ჰექსოგენი" ჩადეს და მანქანა დააყენეს ბეკაა-სთრითზე, სადაც რეგულარულად მგზავრობდა სალამეჰი. თვითონ მოშორებით ჩასაფრდნენ და დაელოდნენ.

1979 წლის 22 იანვარს, ოთხს რომ 15 წუთი აკლდა, სალამეჰი ცოლს დაემშვიდობა და „შევროლეში" ჩაჯდა. **როცა მისმა მანქანამ ბეკაა-სთრითზე შეუხვია და „ფოლკსვაგენს" გვერდით ჩაუარა, „მოსადის" აგენტმა, რომელიც ერიკა ჩემბერსის მიერ დაქირავებულ ბინაში იმყოფებოდა, რადიოსიგნალის ღილაკს ხელი დააჭირა. გაისმა აფეთქების ხმა...**

**მიუნხენის ტერაქტის ორგანიზატორებიდან ცოცხალი მხოლოდ აბუ აიადი, არაფატთან ერთად ორგანიზაციების: „ფაჰთისა" და „შავი სექტემბრის" დამფუძნებელი გადარჩა. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ტერორისტებს მიუნხენში.** აიადს ძალიან ეშინოდა „მოსადის" გრძელი ხელების, მაგრამ ებრაელებმა მასზე ნადირობა შეწყვიტეს და მანაც დაასკვნა, რომ ებრაელებთან შეიარაღებულ ბრძოლაზე უარის თქმა და მოლაპარაკებების დაწყება იყო საჭირო. **მაშინ, 1991 წლის 14 იანვარს, იგი თავისიანებმა მოკლეს ტუნისში. გაირკვა, რომ მკვლელი აბუ ნიდალზე მუშაობდა, კაცზე, რომელმაც საიქიოს იმაზე მეტი პალესტინელი გაისტუმრა, ვიდრე „მოსადმა." ხმა დაირხა, რომ მკვლელობის შემკვეთი სადამ ჰუსეინი იყო...**

მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ალ-ბაშირი – თანამედროვეობის უსასტიკესი დიქტატორი

**2010 წლის 27 მაისს მარშალი ომარ ჰასან ალ-ბაშირი ოფიციალურად გახდა სუდანის ახალი პრეზიდენტი. ნაციონალური კონგრესის პარტიის ლიდერმა ალ-ბაშირმა 24 წლის განმავლობაში პირველად გამართული საყოველთაო არჩევნების პირველივე ტურში ხმათა 68 პროცენტით გაიმარჯვა. იგი პირველი პრეზიდენტია, რომელზეც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ დაპატიმრების ორდერი რომ გასცა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის დარფურში, სადაც 2003 წლიდან სუდანის არმიასა და მეამბოხეთა დაჯგუფებებს შორის სამხედრო შეტაკებები მიმდინარეობს.**



ალ-ბაშირი უწინდებურად პოპულარულია ჩრდილოეთ სუდანში

იმ პოსტის მისალოცად, რომელიც ალ-ბაშირს უკვე 21 წელი უკავია, აფრიკის სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები ჩავიდნენ...

ომარ ჰასან აჰმად ალ-ბაშირი 1944 წლის 1 იანვარს დაიბადა არაბეთის სოფელ ჰოსე ბანაგაში, სუდანის დედაქალაქის — ხართუმის მახლობლად, რომელიც იმხანად ინგლის-ეგვიპტის ადმინისტრაციის მიერ იმართებოდა. ბაშირი საკუთარ თავს არაბული ტომის — ჯაალის შთამომავლად მიიჩნევდა, თუმცა მისი ბაბუა ნიგერიული ფალატას ტომის შვილი იყო. დაწყებითი განათლება ალ-ბაშირმა მშობლიურ სოფელსა და ჰართუმში მიიღო. 1960 წელს სუდანის არმიაში დაიწყო სამსახური, სამხედრო აკადემიაშიც სწავლობდა, რის შემდეგაც 1967-დან 1969 წლამდე დასავლეთის შტაბის პილოტი იყო. 1969 წელს საპარაშუტო ჯარებში მედესანტედ გადაიყვანეს. 1973 წლის ოქტომბერში ეგვიპტის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ისრაელის წინააღმდეგ იბრძოდა. 1975 წელს სუდანის სამხედრო ატაშედ დანიშნეს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ხოლო 1979 წლიდან 1981 წლამდე საპარაშუტე ბრიგადის გარნიზონის მეთაური იყო. 80-იან წლებში სამხედრო მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი მიიღო სუდანსა და მალაიზიაში.

**სუდანში სამოქალაქო ომის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, რომლის მიზეზიც ნავთობმოპოვებიდან მოგების განაწილება და მთავრობის მიერ სამხრეთ პროვინციების მკვიდრი ქრისტიანი და კერპთაყვანისმცემელი მოსახლეობისათვის შარიათის კანონების თავსმოხვევა იყო, 1987 წელს ალ-ბაშირი მე-8 სახმელეთო ბრიგადის მეთაურად დაინიშნა და სუდანის გათავისუფლების სახალხო არმიის მოჯანყეთა წინააღმდეგ იბრძოდა.**

1989 წლის დასაწყისში ალ-ბაშირმა 15 გენერალთან ერთად ნაციონალური ხსნის რევოლუციური სამეთაურო საბჭო ჩამოაყალიბა და რადიკალური ნაციონალური ისლამური ფრონტის ლიდერს — ჰასან ალ-თურაბის დაუახლოვდა, რომელიც სამხედროებს პოლიტიკურ დასაყრდენად ესაჭიროებოდათ.

**1989 წლის 30 ივნისს ალ-ბაშირმა მის მიერ ორგანიზებული გადატრიალების შედეგად დაამხო პრეზიდენტი სადიყ ალ-მაჰდი, რომელსაც სუდანის გათავისუფლების სახალხო არმიასთან დაზავება სურდა. გადატრიალების შემდეგ ალ-ბაშირმა შეცვალა კონსტიტუცია, ქვეყნის ტერიტორიაზე დააკანონა შარიათი, ხოლო 1990 წლის ბოლოს სუდანი ისლამურ სახელმწიფოდ გამოაცხადა...** მეამბოხეთა მხარდაჭერის ბრადლებით, ქვეყნიდან გააძევა ჰუმანიტარული მისიის თანამშრომლები და ნავთობკომპანია Chevron-ის სპეციალისტები, რომლებიც ნავთობსაბადოების დამუშავებას მონოპოლიურად აწარმოებდნენ.

1989 წლის დეკემბერში ალ-ბაშირმა ბრძანება გასცა, არაბული ტომების შეიარაღებისა და მოხალისეთა ისლამური რაზმების შექმნის შესახებ, რამაც ქვეყნის სამხრეთით კონფლიქტი გაამწვავა. 1990 წლის აპრილში, შეიარაღებული გადატრიალების მცდელობის აღკვეთის შემდეგ, ალ-ბაშირმა მთავრობის რეორგანიზება მოახდინა და მეტი ძალაუფლება ისლამისტების ხელში მოაქცია ალ-თურაბის ხელმძღვანელობით, რომელიც „ნაციის სულიერ მამად“ იქცა. **1990 წლის მაისში ალ-ბაშირმა ქვეყნის სამხრეთით ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდება დაიწყო: მისდამი დაქვემდებარებული ჯარები დასახლებულ პუნქტებში შეიჭრნენ და მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა დაიწყეს. გადარჩენილები კი მეზობელ ქვეყნებში გააძევეს. 1990 წელს სუდანი „ალ-ქაიდას“ ბოევიკთა ბაზად იქცა, ხოლო**



ზავზე ხელის მოწერის შემდეგ

**1991-დან 1996 წლამდე იქ უსამა ბინ ლადენი იმყოფებოდა.**

1993 წლის 16 ოქტომბერს ნაციონალური ხსნის რევოლუციურმა კომიტეტმა თვითდაშლა გამოაცხადა და ალ-ბაშირი პრეზიდენტად დანიშნა. 1993 წლიდან სუდანი გაერომ ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების ნუსხაში ჩართო, ხოლო 1996 წელს სუდანის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო. იმის შიშით, რომ ქვეყანაში საერთაშორისო ჯარები შევიდოდნენ, ალ-ბაშირი დათმობებზე წავიდა: ქვეყანა დატოვა ბინ ლადენმა, 1996 წელს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ხმების 75,7 პროცენტით ალ-ბაშირმა გაიმარჯვა. მან მოკავშირეების გამოძებნაც მოახერხა ნაციონალური ხსნის რევოლუციურ საბჭოში. 1997 წელს შეტაკებები ლოკალიზებული იქნა და ნავთობსაბადოების დამუშავება დაიწყო. საერთაშორისო სანქციების მიუხედავად, სუდანმა ნავთობის ექსპორტირებას მიჰყო ხელი.

1990 წლის იანვარში ალ-ბაშირმა ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა და პოლიტიკური პარტიების ლეგალიზება მოახდინა. 1990 წელს ალ-თურაბმა, რომელმაც შენიშნა, რომ ალ-ბაშირი რადიკალურ ისლამურ პოზიციებს თმობდა და საზოგადოების მოდერნიზაციის დაწყებას აპირებდა, სცადა, შემოეტანა კანონი, რომელიც პარლამენტს პრეზიდენტის გადაყენებისა და პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლებას მისცემდა.

**13 დეკემბერს ალ-ბაშირმა ქვეყანაში სამთვიანი საგანგებო მდგომარეობა შემოიღო და პარლამენტი დაითხოვა.** მას შემდეგ ალ-თურაბი არაერთხელ მოხვდა ციხეში სამხრეთ სუდანელი და დარფურელი მეამბოხეების მხარდაჭერის ბრალდებით. **2000 წელს ალ-ბაშირმა ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 89,5 პროცენტით გაიმარჯვა.**

ნავთობმოპოვებამ სუდანს ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების საშუალება მისცა. **ნავთობის გაყიდვიდან მიღებული მოგების 45 პროცენტი არაბი ბოევიკების შეიარაღებასა და აღჭურვას ხმარდებოდა, რის გამოც კონფლიქტმა სამხრეთ სუდანში ახალი ძალით იფეთქა.** სუდანი იარაღს, უპირატესად, ჩინეთიდან და ბელორუსიდან იღებდა, გაეროს სანქციების გვერდის ავლით, თუმცა თავად ეს სახელმწიფოები იარაღის მიწოდების ბრალდებას უარყოფდნენ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ალ-ბაშირი კარგ დამოკიდებულებას 1992 წლიდან ინარჩუნებდა და, მისი თქმით, სწორედ ჩინეთი უზრუნველყოფდა სუდანის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

2001 წლის თებერვალში ალ-ბაშირი სუდანის გათავისუფლების სახალხო არმიასთან დაზავდა, თუმცა შეტაკებები 2004 წლამდე გრძელდებოდა, მერე კი გაეროს ზეწოლით მოლაპარაკებები დაიწყო მეამბოხეებთან, რაც საზავო ხელშეკრულებით დაგვირგვინდა და **დასრულდა 21-წლიანი ომი, რომელმაც 2 მლნ კაცის სიცოცხლე შეიწირა.**

ზავის ხელშეკრულებისა და 2005 წელს მიღებული ახალი დროებითი კონსტიტუციის თანახმად, სამხრეთ სუდანს 6-წლიანი ავტონომია მიენიჭა, რის შემდეგაც სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი უნდა გამართულიყო, ამასთან, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებს ნავთობმოპოვებიდან მოგება თანაბრად უნდა გაეყოთ.

სამოქალაქო ომი დარფურში 2003 წლის თებერვალში დაიწყო. მის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კლიმატის ცვალებადობას ასახელებენ, რამაც მიწების გახრიოკება და შიმშილი გამოიწვია. როგორც სამხრეთსუდანური კონფლიქტისას, ალ-ბაშირმა ამჟამადაც ჩამოაყალიბა არაბ მოხალისეთა რაზმი „ჯანჯავიდი“ და **ბოევიკებს ნება დართო, გაენადგურებინათ ადგილობრივი მოსახლეობა ან მეზობელი ჩადისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაედევნათ.** კონფლიქტის დაწყებისას ჯანჯავიდელები შავკანიანთა ტომებს სასოფლო-სამეურნეო მიწების გასათავისუფლებლად დევნიდნენ, 2005 წელს კი, სამხრეთ დარფურში ნავთობსაბადოების აღმოჩენის შემდეგ, მათ მთავარ მიზნად ნავთობსაბადოების გარშემო „სანიტარული ზონების“ შექმნა იქცა. ამბობენ, რომ **ალ-ბაშირი პირადად გასცემდა ფურების, მასალიტებისა და ზაგჰავას მშვიდობიანი ხალხების გაჟლეტის ბრძანებებს.** „ჯანჯავიდის“ გარდა, კონფლიქტში პერიოდულად მონაწილეობდნენ სამთავრობო ჯარებიც. 2007 წელს კონფლიქტის ზონაში აფრიკული სამშვიდობო კონტინგენტთან ერთად, გაეროს ჯარებიც შევიდა. სულ დარფურში 400.000 კაცი დაიღუპა, ხოლო 2.7 მლნ კაცი ლტოლვილად იქცა.

ალ-ბაშირს ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ **ყველა შეიარაღებულ კონფლიქტს სუდანში თან ახლდა მკვლელობები, ძარცვა, წამება, გაუპატიურება, ბავშვების გატაცება. იგი არ უშვებდა ჟურნალისტებს კონფლიქტის ზონასა და ლტოლვილთა ბანაკებში და ირწმუნებოდა, რომ მთავრობას არავითარი ხელი არ ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდთან და ამაში აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ძალებს ადანაშაულებდა.**

ალ-ბაშირს თანამედროვეობის ერთ-ერთ უსასტიკეს დიქტატორს უწოდებენ. 2008 წლის 14 ივლისს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მთავარმა პროკურორმა ლუის მორენო-ოკამპომ შესაბამისი პალატისგან ალ-ბაშირის დაკავების ორდერი მოითხოვა და 2009 წლის 4 მარტს მიიღო კიდეც, მაგრამ სუდანმა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება აინუნშიც არ ჩააგდო.

2010 წლის გაზაფხულზე სუდანში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, რომელთა შედეგადაც ალ-ბაშირი კვლავ სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს.

დიქტატორს ორი ცოლი ჰყავს: ფატიმა ჰალდიდი და ვიდადი, მაგრამ შვილი არ შესძენია.



ალ-ბაშირი პარადზე, ხარტუმში



დარფური, სამხრეთ სუდანი



დარფური

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვაშინგტონელი სნაიპერი



**2002 წლის 3 ოქტომბერს, დილის 5 საათზე მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოს პოლიციის შეფმა ჩარლზ მურმა თავისი ცოლი სენდი აეროპორტში გააცილა. სენდი მინეაპოლისში, შერიფთა ყოველწლიურ კონფერენციაზე მიემგზავრებოდა, თავად მური იქ ოდნავ მოგვიანებით უნდა ჩასულიყო. წინა დღეს საგრაფოში უცნაური მკვლელობა მოხდა. საერთოდ, მონტგომერი წყნარი ადგილია, მკვლელობა ძალზე იშვიათად ხდება და მოტივებიც ყოველთვის ნათელია. ამჯერად კი დეტექტივებს თავგზა აებნათ.**



ჯონ მუჰამედი

მინეაპოლისის აეროპორტში სენდიმ ტაქსი დაიქირავა და გზაში მძღოლს უამბო, თუ ვინ იყო და რატომ ჩამოვიდა. „თქვენი ქმარი იმ საგრაფოს პოლიციის შეფია, სადაც ხალხს ხოცავენ?“ — იკითხა ტაქსის მძღოლმა. „ვინ ხოცავს? რატომ?“ — გაოგნდა მური და მძღოლმაც უამბო, რაც იცოდა. სენდიმ მანქანა შემოაბრუნებინა და აეროპორტში დაბრუნდა, საიდანაც ქმარს დაურეკა. **„სენდი, ეს ნამდვილი კოშმარია! — შესჩივლა ქმარმა, — აქაურობა გვამებითაა სავსე! წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება.“**

**სროლა დღისით-მზისით ატყდა. 16 საათის განმავლობაში მურმა მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე 5 გვამი აღმოაჩინა...**

პირველი მკვლელობა 2 ოქტომბერს, ქალაქ უინტონში მოხდა. 55 წლის ჯეიმს მარტინი სუპერმარკეტთან, ავტოსადგომზე ჩაცხრილეს. 3 ოქტომბერს მკვლელმა 39 წლის ჯეიმს ბიუიკენენი იმსხვერპლა, რომელიც გაზონს კრეჭდა ოფისის წინ ქალაქ როქუილში. ნახევარი საათის შემდეგ, ქალაქ ასპენ-ჰილში, ბენზინგასამართ სადგურზე მოკლეს ტაქსის მძღოლი პრენკუმარ ვალეკარი. კიდევ ნახევარი საათის შემდეგ ქალაქ სილვერსპრინგში, ფოსტის შესასვლელთან დაიღუპა 34 წლის სარა რამოსე. მეხუთე მსხვერპლი 25 წლის ლორი-ენ ლუისრივერა იყო ქალაქ კესინგტონში. ყველა ეს დასახლებული პუნქტი ერთმანეთის შორიახლოს, დაახლოებით 5-5 მილის მოშორებით მდებარეობს. ხუთშაბათს საღამოს ვაშინგტონში 72 წლის პასკალ შარლო მოკლეს.

**ჩარლზ მური სათავეში ჩაუდგა საგამოძიებო ჯგუფს. ბოროტმოქმედის ანდა ბოროტმოქმედთა დაკავებისთვის ჯილდოც კი დაწესდა — 50.000 დოლარი. ექსპერტ-ბალისტიკოსებმა დაადგინეს, რომ გასროლა სნაიპერული შაშხანიდან ან 22.3-კალიბრიანი სანადირო თოფიდან მოხდა.** წარმოიშვა ვერსია, რომ მკვლელი პროფესიონალი სამხედრო ან სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი იყო. ამავე დროს, ბოროტმოქმედის მიერ მსხვერპლის შერჩევა არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა.

**4 ოქტომბერს მსხვერპლთა სია 55 წლის ფრედერიქსბერგელმა ქალმა შეავსო. უცნობმა პირმა მას ზურგში ესროლა. უქმე დღეებმა მშვიდად ჩაიარა. ორშაბათს კი, დილის 9 საათზე, მერილენდის შტატის ქალაქ ბოუიში სნაიპერმა ორჯერ ესროლა 13 წლის მოზარდს. საბედნიეროდ, ბიჭი გადარჩა.**

დამნაშავეთა ფსიქოლოგიის სპეციალისტებმა — პროფაილერებმა, რომლებიც უაღრესად რთულ ამოცანას წააწყდნენ, გამოთქვეს ვარაუდი, რომ უცნობმა სნაიპერმა რაღაც ტრავმა გადაიტანა — ცოლს გაშორდა ანდა სამსახურიდან დაითხოვეს, რაც მან უსამართლობად მიიჩნია. ასეთი კაცისთვის კი მკვლელობა, შესაძლოა, დეპრესიიდან თავის დაღწევის მცდელობა ყოფილიყო.

სპეციალისტთა დისკუსიები ახალი მკვლელობის შესახებ ცნობამ შეწყვიტა. **მერილენდში 9 ოქტომბრის დილას ბენზინგასამართ სადგურზე ვიეტნამის ომის გმირი, 53 წლის დინ ჰაროლდ მეიერსი დაიღუპა, ხოლო 11 ოქტომბერს ფრედერიქსბერგის მახლობლად „სნაიპერმა“ ახალ მსხვერპლს მიაგნო — ბიზნესმენ კენეტ ბრიჯესს ტყვია ზურგში მოხვდა.** თვითმხილველთა ჩვენებებზე დაყრდნობით პოლიციამ გამოაქვეყნა თეთრი ავტოფურგონის ფოტო შავი წარწერით, რომლის შინაარსიც ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაიმახსოვრა. ცნობილი შეიქნა, აგრეთვე, რომ **გამოძიების განკარგულებაში აღმოჩნდა დამაინტრიგებელი სამხილი — მკვლელობის ადგილზე ნაპოვნი ტაროს კარტი გზავნილით: „ძვირფასო პოლიციელო, მე ღმერთი ვარ!“**

ჯონ ალენ უილიამსი დაიბადა და გაიზარდა ლუიზიანაში, ქალაქ ბატონ-რუჟის შავ კვარტლებში. სამი წლისას დედა გარდაეცვალა, მამას კი ისედაც არ იცნობდა. ბავშვს ბაბუა და დეიდა ზრდიდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯონი ლუიზიანის შტატის ნაციონალურ გვარდიაში მოეწყო, 1981 წელს ცოლი შეირთო — კეროლ კეგლირი. წყვილს ვაჟი შეეძინა. 1985 წელს ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა. განქორწინების შემდეგ უილიამსი სამხედრო-საინჟინრო ბრიგადის მექანიკოსი გახდა და დასავლეთ სანაპიროზე, ვაშინგტონის შტატის ქალაქ ტაქომას მახლობლად მდებარე ფორტ-ლუისის ბაზაზე მსახურობდა. სწორედ ტაქომაში გაიცნო მილდრედ გრინი, რომლისგანაც სამი შვილი შეეძინა.

ვაშინგტონიდან უილიამსის ბრიგადა ჯერ გერმანიაში, 1990 წელს კი საუდის არაბეთში გადაიყვანეს, სადაც მზადდებოდა ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში.“ სრუტეში ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სერჟანტ ბერენტსონსა და 16 ჯარისკაცს ცეცხლწაკიდებულ კარავში გაეღვიძათ — ვიღაცამ კარავში თერმული ყუმბარა შეაგდო. სერჟანტმა ეჭვი რატომღაც უილიამსზე მიიტანა, თუმცა სამხედრო გამომძიებლებმა დაასკვნეს, რომ იგი უდანაშაულო იყო. არმია ჯონმა 1994 წელს დატოვა, რეგალიებითა და საუკეთესო მსროლელის ნიშნით. ომის შემდეგ მან ისლამი მიიღო და მუჰამედი დაირქვა, თუმცა ოფიციალურად გვარი მოგვიანებით შეიცვალა. 1995 წელს დედაქალაქში ჩავიდა ამერიკის შავკანიან მუსლიმანთა ლიდერი, „ისლამის ნაციის“ ბელადი ლუის ფარაჰანი იქ „მილიონი კაცის მარშს“ აწყობდა და მუჰამედიც მჭევრმეტყველი მქადაგებლის უსაფრთხოების სამსახურში ჩადგა.



სნაიპერის მეორე ცოლი მილდრედი

იმავე წელს მილდრედმა და ჯონმა ახალი ბიზნესი წამოიწყეს — მანქანების სასწრაფო რემონტი, ავტოსახელოსნო კი სახლში მოაწყვეს. თუმცა ჩინებული მექანიკოსი უილიამსი ერთობ უხეირო ბიზნესმენი გამოდგა. ოჯახურ ფირმასთან ერთად დაინგრა თავად ოჯახიც. განქორწინებაზე სარჩელი მილდრედმა შეიტანა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ქმარი „ზედმიწევნით ირაციონალური კაცია“.

ორდღიანი შესვენების შემდეგ სერიულმა მკვლელმა კვლავ აიღო ხელში იარაღი. 14 ოქტომბერს ვირჯინიის შტატის ქალაქ ფოლს-ჩერჩში სნაიპერის ტყვიით 47 წლის ლინდა ფრენკლინი დაიღუპა. თვითმხილველები თეთრ მიკროავტობუსსა და მუქკანიან მამაკაცზე ალაპარაკდნენ, რომელიც გარეგნულად ლათინო-ამერიკელს ანდა არაბს ჰგავდა. მაგრამ მათი ჩვენების დეტალები იმდენად ურთიერთგამომრიცხავი იყო, რომ გამოძიება ჩიხში მოექცა. უწინდებურად გამოცანად რჩებოდა დანაშაულის მოტივაციაც. მაშინ აშშ-ის ხელისუფლებამ იმედი დაამყარა სადაზვერვო თვითმფრინავზე, რომელიც თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა გამოძიებას გადასცა.

**თვითმფრინავის ბორტზე დამონტაჟებული იყო სენსორები, რომლებსაც სროლის დაფიქსირება და ზუსტი კოორდინატების განსაზღვრა შეეძლო. მაგრამ, ტექნოლოგია რომ ამოქმედებულიყო, სნაიპერს კიდევ ვინმე უნდა მოეკლა.**

ბელინგემში ჯონ-მუჰამედმა იამაიკელი უმა ჯეიმსი გაიცნო. უმას 16 წლის ვაჟი ჯონ ლი მალვო ჰყავდა, რომლის აღზრდაც თავისი მეთოდებით უილიამსმა იტვირთა. დილაობით ისინი ერთად დარბოდნენ, ვარჯიშობდნენ და დიეტას იცავდნენ — მხოლოდ კრეკერებით, თაფლითა და ვიტამინებით იკვებებოდნენ. მალვო ჯონს მამას ეძახდა.

შობის წინ ჯონ-მუჰამედმა და უმამ სერიოზულად იჩხუბეს. საქმე პოლიციის გამოძახებამდეც მივიდა. ივლისში კი ორივე ჯონი მოულოდნელად ბატონ-რუჟში გამოჩნდა, მუჰამედის ნათესავის, შარლინ ანდერსონის სახლში. ისინი მშივრები, ჭუჭყიანები და დაქანცულები იყვნენ. ჯონმა შარლინს 22-კალიბრიანი „ბუშმასტერი“ უჩვენა და უთხრა, რომ სპეცდანიშნულების ძალების ჯგუფში მუშაობდა, რომელიც სამხედრო ბაზიდან ნარკომოსაქმეების მიერ გატაცებულ ასაფეთქებელ ნივთიერებას ეძებდა. ეს დავალება კი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ დასახმარებლად ადგილობრივ ხელისუფლებას ვერ მიმართავდა.

ლუიზიანიდან უცნაური წყვილი ალაბამაში ჩავიდა და ქალაქ მონტგომერში სპირტიანი სასმელების მაღაზიის გაძარცვა სცადა, მოკლა ერთი ქალი და მძიმედ დაჭრა მეორე. ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ კამდენში მუჰამედმა 250 დოლარად „შევროლე“ შეიძინა და წყვილმა აშშ-ის დედაქალაქისკენ აიღო გეზი.

19 ოქტომბრის საღამოს ვირჯინიის შტატის ქალაქ ეშლენდში მძიმედ დაჭრეს მამაკაცი, რომელიც ცოლთან ერთად რესტორან Ponderosa Steakhouse-დან გამოდიოდა. პოლიცია შემთხვევის ადგილზე ორ წუთში გამოცხადდა და მაგისტრალებიც გადაკეთა, მაგრამ საეჭვო მანქანა ვერ აღმოაჩინა.

20 ოქტომბერს ჩარლზ მურმა ჟურნალისტებს სთხოვა, მისი სიტყვები ზედმიწევნითი სიზუსტით გადაეცათ ეთერში: **„თქვენ ტელეფონ-ავტომატის ნომერი დაგვიტოვეთ, — მიმართა მან უხილავ სნაიპერს, — თქვენთან დალაპარაკება გვინდა. დაგვირეკეთ თქვენ მიერვე მოცემულ ნომერზე. გმადლობთ.“** როგორც მოგვიანებით გაირკვა, შაბათს, რესტორანთან მომხდარი მკვლელობის შემდეგ, სამართალდამცავებმა მკვლელის მიერ ხეზე მიკრული ბარათი აღმოაჩინეს და დაადგინეს, რომ წერილში მითითებული ტელეფონ-ავტომატის ნომერი არ მუშაობდა, ამიტომ ტელეფონისტებს გამოუძახეს და ხაზი გაასწორეს. სნაიპერმა ორშაბათს, დილაუთენია დარეკა. მუზმა სნაიპერს სთხოვა, ცუდი სმენადობის გამო, ხელახლა დაერეკა. პოლიციის რეპორტიორებმა კი უმალ იყნოსეს, რომ **რესტორანთან დატოვებულ სამგვერდიან ბარათში ბოროტმოქმედი მკვლელობების შეწყვეტის სანაცვლოდ 10 მილიონ დოლარს ითხოვდა.**

**ხელახლა დარეკვის ნაცვლად, სამშაბათს, დილით სნაიპერმა სარეისო ავტობუსის მძღოლს, 35 წლის კონრად ჯონსონს ესროლა.**

24 ოქტომბერს ჩარლზ მურმა კამერების წინ კიდევ ერთხელ მიმართა სერიულ მკვლელს. იმავე დღეს კი გფბ-ის აგენტებმა ტაქომაში კერძო სახლის ჩხრეკა დაიწყეს. საღამოს კოლუმბიის ფედერალური ოლქის პოლიციამ ავტომანქანა Chevy Caprice-ის ძებნა გამოაცხადა, ხოლო ტელეარხებმა გადმოსცეს, რომ სამართალდამცავები ორ პირს ეძებდნენ, რომელთაგან ერთმა სამხედრო მომზადება ფორტ-ლუისის ბაზაზე გაიარა. მოგვიანებით მათი ვინაობა და მანქანის ნომერიც დაასახელეს.

სამშაბათ ღამეს მერილენდის შტატის ქალაქ მეიერსვილის მახლობლად საბარგო ავტომანქანის მძღოლმა რონ ლანცმა ძებნაში გამოცხადებული „სედანი“ შენიშნა, რომელშიც მძღოლსა და მგზავრს ეძინათ. ლანცმა თავისი მანქანით ავტოსადგომიდან გამოსასვლელი გზა გადაკეტა და პოლიციას დაურეკა. დილის 3.19 საათზე ჯონ ალენ მუჰამედი და ჯონ ლი მალვო დააპატიმრეს...



ჯონ ლი მალვო, სნაიპერის თანამზრახველი



პოლიციის შეფი ჩარლზ მური

გვერდები მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მიიტაცა თუ არა თიბისი ბანკმა «ელიტელექტრონიქსი»?!

**კარგა ხანია, „ელიტელექტრონიქსის“ ყოფილ გუნდსა და თიბისი ბანკს შორის დავა მიმდინარეობს. მტყუან-მართალს სასამართლო გაარჩევს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის მძიმე ტენდენცია, რომელიც დღეს მსოფლიოში ბანკების მხრიდან დამკვიდრდა — ისინი, გარკვეული მაქინაციების წყალობით, მსხვილი კომპანიების მეწილეები თუ მეპატრონეები ხდებიან. არ ვიცით რა მეთოდით, მაგრამ ინგლისის ერთ-ერთმა უძველესმა ბანკმა „ბერინგსმა“ ამ ეკონომიკური კრიზისის დროს ერთი კომპანია ერთ დოლარად შეიძინა.**

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

Head Office
სათავო ოფისი

500/106-27
19.03.2010

ბატონ ანზორ ქოქოლაძეს

ბატონო ანზორ,

მოგეხსენებათ, რომ სს "თიბისი ბანკსა" და სს "ელიტ ელექტრონიქსს" შორის 2006 წლის 13 ივნისს დაიდო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №659646, ხოლო 2008 წლის 1 თებერვალს - საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №659646/1 (შემდგომში "ძირითადი ხელშეკრულებები"). რომელთა საფუძველზეც 2009 წლის 17 ივნისს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №659646-1038927 (შემდგომში "დამატებითი ხელშეკრულება"), რომლის მიხედვითაც სს "თიბისი ბანკმა" სს "ელიტ ელექტრონიქსს" საბანკო კრედიტის სახით მისცა სესხი 8 052 549 (რვა მილიონ ორმოცდათორმეტი ათას ხუთას ორმოცდაცხრა) აშშ დოლარის ოდენობით.

სს "ელიტ ელექტრონიქსის" მიმართ სს "თიბისი ბანკის" მოთხოვნის მოცულობა 2009 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით დამტკიცებული მოთხოვნათა რეესტრის საფუძველზე შეადგენდა 13 686 450.43 (ცამეტი მილიონ ექვსას ოთხმოცდაექვსი ათას ოთხას ორმოცდაათი მთელი ორმოცდასამი მეასედი) ლარს, ხოლო 2010 წლის 19 მარტის მდგომარეობით შემცირებულია 3 537 000 (სამი მილიონ ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარით და შეადგენს 10 149 450.43 (ათი მილიონ ას ორმოცდაცხრა ათას ოთხას ორმოცდაათი მთელი ორმოცდასამი მეასედი) ლარს. ამასთან, სს "თიბისი ბანკთან" გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების №659646-1096187, №659646-1099824 და №659646-1115004 საფუძველზე სს "ელიტ ელექტრონიქსს" საბანკო კრედიტების სახით მიღებული აქვს ჯამში 2 083 000 (ორი მილიონ ოთხმოცდასამი ათასი) ლარი და სს "სახალხო ბანკთან" 2010 წლის 17 თებერვალს დადებული მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე სს "თიბისი ბანკმა" სს "სახალხო ბანკისგან" შეიძინა 1 676 119.67 ლარის მოცულობის მოთხოვნა სს "ელიტ ელექტრონიქსის" მიმართ.

2010 წლის 15 მარტს სს "ელიტ ელექტრონიქსმა" დაარღვია 2010 წლის 20 იანვარს დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით №659646-1099824 ნაკისრი ვალდებულება (არ გადაიხადა გრაფიკით გათვალისწინებული თანხა) და გაფრთხილების მიუხედავად დღემდე არ დაფარულა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების №659646-1099824 საფუძველზე წარმოქმნილი მიმდინარე დავალიანება, რომელიც 2010 წლის 19 მარტის მდგომარეობით შეადგენს 559 575.64 (ხუთას ორმოცდაცხრამეტი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი მთელი და სამოცდაოთხი მეასედი) ლარს.

გაცნობებთ, რომ სს "ელიტ ელექტრონიქსის" მიერ ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო სს "თიბისი ბანკი" აპირებს 2007 წლის 18 ივლისის გირავნობის ხელშეკრულებით №659646-7 და 2007 წლის 3 აგვისტოს გირავნობის ხელშეკრულებით №659646-8 მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებას, რაც გულისხმობს გირავნობის საგნების (სს "ელიტ ელექტრონიქსის" აქციათა 55%-ის) რეალიზაციას ზემოხსენებული ხელშეკრულებებით, სს "ელიტ ელექტრონიქსის" რეაბილიტაციის გეგმითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

პატივისცემით,

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

საქართველო, 0102 თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №7 | 7, Marjanishvili St. 0102 Tbilisi, Georgia | ტელ/Tel: (+995 32) 27 27 27 ფაქსი/Fax: (+995 32) 77 27 74 | info@tbcbank.com.ge www.tbcbank.ge

„ელიტელექტრონიქსსა“ და თიბისი ბანკს შორის კი მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

2010 წლის 19 მარტს თიბისი ბანკმა კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ მფლობელს, **ანზორ ქოქოლაძეს** გაუგზავნა წერილი, რომელშიც ბანკის გენერალური დირექტორი, **ვახტანგ ბუცხრიკიძე** ატყობინებდა „ელიტელექტრონიქსის“ მიერ 15 მარტს კრედიტის გადახდის გრაფიკის დარღვევის თაობაზე, ბრალს სდებდა კომპანიის ყოფილ მმართველს საბანკო ვალდებულების შეუსრულებლობაში და საკრედიტო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გამოყენებით კომპანიის გასხვისებას აპირებდა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც კომპანიის მმართველი გუნდი 23 თებერვალს, ანუ საბანკო ვალდებულების დარღვევამდე სამი კვირით ადრე გაათავისუფლეს. შესაბამისად, აღნიშნული საკრედიტო ვალდებულება **„ელიტელექტრონიქსის“ ახალმა მენეჯმენტმა თიბისი ბანკის მმართველობისას ხელოვნურად დაარღვია!!!**

„ახლა გასაგებია, თუ რატომ სჭირდებოდა თიბისის მმართველი გუნდის გათავისუფლება! 2008 წელს იმავე თიბისი ბანკმა კომპანია „ელიტელექტრონიქსი“ 80 მილიონ აშშ დოლარად შეაფასა. ამ დროს კომპანიას საკრედიტო ვალდებულება ერთხელაც არ დაურღვევია. — აცხადებს კომპანიის ყოფილი მმართველი ანზორ ქოქოლაძე, — დღეს კი „ელიტელექტრონიქსს“ თიბისი ბანკის მიერ დანიშნული ხალხი მართავს და აღნიშნული საკრედიტო ვალდებულება მათ მიერ ხელოვნურადაა დარღვეული, რათა ბანკს საშუალება მიეცეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება გამოიყენოს და კომპანია გაასხვისოს“.

შეგახსენებთ, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში კომპანიის ამჟამად უკვე გათავისუფლებულმა მმართველმა გუნდმა მოახდინა ხარჯების ოპტიმიზაცია და რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებულ შემოსავალს 40%-ით გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, თიბისი ბანკმა სრულებით აბსურდული ბრალდებით 23 თებერვლის ღამეს „ელიტელექტრონიქსის“ მმართველი გუნდი გადააყენა.

ამჟამად კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელი და ყოფილი მენეჯმენტი კომპანიის შენარჩუნებისათვის ბრძოლას სასამართლოში აგრძელებს.

## 10 არგუმენტი და ფაქტი, რომლებიც ადასტურებს, რომ თიბისი ბანკმა „ელიტელექტრონიქსი“ არაკეთილსინდისიერი გზით მიიტაცა

თიბისი ბანკმა 5,5 მილიონ აშშ დოლარად დაგირავებული „ელიტელექტრონიქსის“ 55%-იანი წილი არაკეთილსინდისიერად, თითქმის უფასოდ, 116 ათას ლარად ოფიციალურად გადაიფორმა:

1. ჯერ კიდევ 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომამდე ვგეგმავდით „ელიტელექტრონიქსის“ საფონდო ბირჟაზე გატანას; ამ პროცესში თიბისი ბანკი აქტიურად იყო ჩართული. მაშინ მის მიერ „ელიტელექტრონიქსი“ 80 მილიონ აშშ დოლარად შეფასდა. ასე რომ, თიბისი ბანკისთვის დეტალურად იყო ცნობილი კომპანიის რეალური შესაძლებლობები და პოტენციალი;

2. ჯერ კიდევ 2009 წლის მაისში თიბისი ბანკმა გამოთქვა სურვილი, შეესყიდა „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციების 51%, თუმცა საკონტროლო პაკეტის გაყიდვაზე უარი ეთქვათ. ამ ფაქტის შემდეგ უკვე აშკარა გახდა, რომ თიბისი ბანკს „ელიტ ელექტრონიქსის“ დაპატრონება სურდა. აგვისტოში, როდესაც „ელიტელექტრონიქსი“ დროებით დაიკეტა, თიბისი ბანკმა ისარგებლა მომენტით და „ელიტელექტრონიქსის“ გადახდისუუნარობაზე აღძრა საქმე, მაშინ, როცა დაკეტილ მდგომარეობაშიც კი არ დარღვეულა კრედიტის დაფარვის გრაფიკი და აქციების 55 %-ზე მართვის უფლება უსაფუძვლოდ მოიპოვა;

3. მიუხედავად იმისა, რომ „ელიტელექტრონიქსს“ 14 წლის არსებობის მანძილზე არც ერთი ვადაგადაცილება არ ჰქონდა კრედიტის დაფარვის გრაფიკზე, ხოლო ყველა კრედიტორთან დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა 40%-ის გადაჭარბებით სრულდებოდა, ამის ყველა დოკუმენტი არსებობს, თიბისი ბანკმა მაინც გამოიყენა საკონტროლო პაკეტის უსაფუძვლოდ მოპოვებული მართვის უფლება და **23 თებერვალს გადააყენა „ელიტ ელექტრონიქსის“ კანონიერი მმართველი გუნდი და კომპანიის მმართველობაში თიბისი ბანკის თანამშრომლები მოიყვანა;**

4. თიბისი ბანკის თანამშრომლებით ძველი გუნდის ჩანაცვლება კი იმიტომ **სჭირდებოდა, რომ შეექმნა აქციების დასაკუთრებისთვის ხელსაყრელი ნიადაგი, რაც დადასტურდა კიდეც მენეჯმენტის ცვლილებიდან 20 დღეში, როცა თიბისი ბანკის მიერ ხელდასმულმა „ელიტელექტრონიქსის“ მენეჯმენტმა დაურღვია კრედიტის გადახდის გრაფიკი თავად თიბისი ბანკს** (23 თებერვლიდან კომპანიაში ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას მხოლოდ ახალი მენეჯმენტი იღებს **თიბისი ბანკის დაკვეთით) და 500 ათასი ლარი შეგნებულად არ გადაიხადა!!!** ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ თიბისი ბანკს სწორედ ამის **საფუძველზე მოეხდინა დაგირავებული აქციების დასაკუთრება,** მაშინ, როცა 500 ათასი ლარი „ელიტ ელექტრონიქსის“ მხოლოდ 2-3 დღის ნავაჭრია!

5. ანზორ ქოქოლაძის პროგნოზით, ამ ქმედებით თიბისი ბანკს „ელიტელექტრონიქსის“ აქციების მითვისება ჰქონდა განზრახული და ყველა მისი ქმედება ამ მიზანს ემსახურებოდა. „ელიტელექტრონიქსის“ ახალმა მენეჯმენტმა ამას უსაფუძვლო ცილისწამება უწოდა და საპასუხოდ განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ აპირებს აქციების გასხვისებას და, მით უმეტეს, დასაკუთრებას. თუმცა 2010 წლის 7 მაისს თიბისი ბანკის შვილობილმა კომპანიამ „თიბისი ბროკერმა“ ფარულად მოახდინა 5,5 მილიონ დოლარად დაგირავებული **„ელიტელექტრონიქსის“ აქციების 55%-ის თითქმის უფასოდ — 116 ათას ლარად გასხვისება თიბისი ბანკზე და ამის შესახებ მას მხოლოდ 28 მაისს აცნობეს!!!**

6. რაც შეეხება იმას, ჰქონდა თუ არა თიბისის აქციების მისაკუთრების უფლება, საკრედიტო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკს ნამდვილად ჰქონდა კანონიერი უფლება, აქციები გაესხვისებინა, მაგრამ „ელიტელექტრონიქსს“ ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია, ამას ყველა დოკუმენტი ადასტურებს. შესაბამისად, თიბისიმ უსაფუძვლოდ მიითვისა აქციები. ამ ფაქტთან დაკავშირებით უკვე შეტანილია სარჩელი სასამართლოში, რომლითაც „ელიტელექტრონიქსი“ ამ უსაფუძვლო გარიგების გაბათილებას მოითხოვს!

7. აქციების 55% ნამდვილად იყო სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ „ელიტელექტრონიქსის“ 55% დაგირავებული იყო 5,5 მილიონ დოლარად, რომელიც თიბისი ბანკმა მიზერულ ფასად — 116 ათას ლარად შეიძინა. „თიბისი ბროკერის“ მეშვეობით მიკერძოებულად, ისე, რომ იგი რეალური მესაკუთრისთვის არც კი შეუთავაზებია.

8. თუ თიბისი ბანკის მიზანი საკუთარი კრედიტის შემცირება იყო, ის მხოლოდ უმნიშვნელოდ — 116 ათას ლარად შეამცირა, ხოლო კრედიტი კრედიტად დაიტოვა. უფრო მეტიც, დამატებითი კრედიტიც კი გასცა „ელიტ ელექტრონიქსზე“, რითაც აშკარაა, რომ თიბისი ბანკს თავიდანვე ჰქონდა განზრახული ამ აქციების მისაკუთრება, რასაც ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი ადასტურებს;

9. 2010 წლის 15 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილია სარჩელი კომპანიის აქციების გასხვისების აკრძალვის მოთხოვნით, თუმცა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე თიბისი ბანკმა აქციები მიისაკუთრა. აშკარაა, რომ თიბისი ბანკი საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებს!

10. ამჯერად კიდევ ერთი სარჩელია შეტანილი აქციების გასხვისების შესახებ გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე და იმედია, სასამართლოს გზით სამართლიანობა აღდგება.

* * *

„საგანგაშოა, რომ თიბისი ბანკი სურვილების ასრულებას პარტნიორების ქონების დატაცებით იწყებს“, — აცხადებს „ელიტელექტრონიქსის“ ყოფილი მმართველი ანზორ ქოქოლაძე.

კომპანიის ყოფილი მმართველი გუნდის ცნობით, თიბისი ბანკმა 5,5 მილიონ აშშ დოლარად დაგირავებული „ელიტელექტრონიქსის“ 55%-იანი წილი არაკეთილსინდისიერად, თითქმის უფასოდ, 116 ათას ლარად **ოფიციალურად** გადაიფორმა!

„ელიტელექტრონიქსის“ ყოფილი მმართველი და დამფუძნებელი **ანზორ ქოქოლაძე** აცხადებს, რომ მისი პროგნოზი თიბისის მიერ კომპანიის წილის მითვისების თაობაზე, გამართლდა. ამიტომ ის საქართველოში მოღვაწე ყველა ბიზნესმენს აფრთხილებს, რომ „თიბისი“ ბანკი არასაიმედო პარტნიორია და საკუთარ სურვილებს პარტნიორების ქონების დატაცებით ისრულებს.

მისივე თქმით, მისი 14-წლიანი მმართველობის დროს „ელიტელექტრონიქსს“ ბანკებთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულებები არასოდეს დაურღვევია. კრედიტის პირობები თიბისი ბანკის მიერ **მენეჯმენტის საკუთარი თანამშრომლებით ჩანაცვლებიდან 20 დღის ახალმა მენეჯმენტმა შეგნებულად 15 მარტს დაარღვია!**

„ელიტ ელექტრონიქსის“ დაპატრონებას რომ წინასწარ გეგმავდა თიბისი ბანკი, ამას ისიც ადასტურებს, რომ მან **„ელიტელექტრონიქსს“ 500 000 ლარის სესხის ვითომდა გადაუხდელობის შემდგომ მისცა ახალი სესხი, რომელიც უზრუნველყო იგივე ანზორ ქოქოლაძის წილით მისი დასტურის გარეშე, რაც ალოგიკურია, რადგან, თუ „ელიტელექტრონიქსმა“ ვერ მოახერხა არსებული სესხის დაფარვა, მასზე დამატებითი, ახალი სესხი რატომ გაიცა?**

მიუხედავად იმისა, რომ „ელიტელექტრონიქსის“ ყოფილ მმართველსა და დამფუძნებელს — ანზორ ქოქოლაძეს 15 მარტს საქალაქო სასამართლოში შეტანილი ჰქონდა სარჩელი აქციების გასხვისების აკრძალვის მოთხოვნით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე **თიბისი ბანკმა აქციების 55% 7 მაისს ფარულად მაინც გადაიფორმა** და ამის შესახებ ანზორ ქოქოლაძეს **მხოლოდ 28 მაისს ამცნო მიზანმიმართულად, რათა არჩევნების ხმაური გადაეფარა!** ამჟამად ანზორ ქოქოლაძემ სასამართლოში ახალი სარჩელი შეიტანა, რომელშიც აქციების 55%-ის გასხვისების შესახებ გარიგების გაბათილებას მოითხოვს.

**საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ თიბისი ბანკს.**

**ნათია გოცაძე, თიბისი ბანკის პიარ-მენეჯერი:**

— თიბისი ბანკი, დიდი ხანია, ისმენს ანზორ ქოქოლაძის უსაფუძვლო ბრალდებებს, თუმცა ბოლო ხანს ის ზედმეტად შეეხო ჩვენს საქმიან რეპუტაციას, ამიტომ ვალდებული ვარ, საზოგადოებას ვამცნოთ რეალური სურათი.

იმ მომენტში, როდესაც კრედიტორმა ბანკებმა გადაწყვიტეს, „ელიტელექტრონიქსის“ მართვა ხელში აეღოთ, მაშინ ეს კომპანია იყო გადახდისუუნარო. კერძოდ, **მას ჰქონდა ჯამური დავალიანება 49 მილიონი ლარი!** აქედან 7,5 მილიონი იყო სახელმწიფოს ვალი, 25 მილიონი კი ბანკების და 12 მილიონი უცხოელი პარტნიორების მიმართ დავალიანება. გარდა ამისა, მას ჰქონდა ბალანსგარეშე ვალდებულებები 20 მილიონზე მეტი.

**შესაბამისად, ამხელა დავალიანების მქონე კომპანიის ბალანსი იყო უარყოფითი!** (ვალდებულებები აღემატებოდა შემოსავლებს) ამ დროს კომპანია იყო ფაქტობრივად გაკოტრებული და **მისი ღირებულება იყო არა 116 ათასი ლარი, არამედ 0 ლარი!** მტკნარი სიცრუეა ა. ქოქოლაძის განცხადება, რომ ვითომ მისი კომპანია ომამდე (იგულისხმება 2008 წ. აგვისტოს მოვლენები), 80 მილიონ ლარად იყო შეფასებული თიბისი ბანკის მიერ, რეალურად, ომამდე ეს შეფასება გაცილებით ნაკლები იყო, ომის შემდეგ კი ბევრად შემცირდა.

გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კრედიტორი ბანკების მიერ თავის დროზე „ელიტელექტრონიქსისათვის“ მიცემული სესხი ა. ქოქოლაძემ არამიზნობრივად გამოიყენა და ეს თანხა მოხმარდა მისი პირადი ქონების შექმნას, რაც ცოტა ხნის წინათ გამოიხატა ახალი პარალელური ბიზნესის შექმნით (იგულისხმება კომპანია „ტექნო ბუმი“ — ე.კ.).

ჩნდება კითხვა, რომ ნაცვლად „ელიტელექტრონიქსის“ საბრუნავი საშუალებების შეძენისა, ხომ არ განახორციელეს სხვადასხვა არამიზნობრივი ინვესტიცია?

**ანზორ ქოქოლაძე:**

— ცრუ ბრალდებებით, ყოვლად გაუმართლებელი და არაკეთილსინდისიერი გზებით თიბისი ბანკი ყველაფერს კადრულობს „ელიტელექტრონიქსის“ მითვისების გასამართლებლად, თუმცა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გაუჭირდება, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ „ელიტ ელექტრონიქსი“ იყო რეაბილიტაციის რეჟიმში და კრედიტორების მიერ (მათ შორის თიბისი ბანკის მიერ) დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა გადაჭარბებით სრულდებოდა და კომპანია 2016 წლის ნაცვლად 2011 წლის ბოლომდე დაფარავდა ყველა ვალდებულებას. სწორედ აქ იგრძნო საშიშროება თიბისი ბანკმა, რადგან დაინახა, რომ სხვა დროს აღარ მიეცემოდა კომპანიის მითვისების შესაძლებლობა.

**თიბისი ბანკს შავ ზოლად გაჰყვება ასეთი გზით „ელიტელექტრონიქსის“ მითვისება,** რადგან არასაიმედო პარტნიორთან ურთიერთობისას ყველა ბიზნესმენი იქნება ფრთხილად, ჩვენ კი არ დავიღლებით ბრძოლით და თიბისი ბანკს თავს ისე დავამახსოვრებთ, რომ აღარასოდეს გაბედავს სხვისი ქონების არაკეთილსინდისიერი გზებით დასაკუთრებას, სამართალი აუცილებლად გაიმარჯვებს.

მოამზადა
**ეთერ კასრელიშვილმა**

# მამა გიორგი სხირტლაძე: ნარკომანიით დაავადებული ორივე ფეხით სულიერ ჭაობშია ჩაფლობილი

**21-ე საუკუნეში საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა ნარკომანიაა. ცალკეული კვლევების მიხედვით, შარშან საქართველო ჰეროინის მოხმარების მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო (ყოველ 1000 მოსახლეზე 17 მომხმარებელი). ნარკოდამოკიდებულება ფიზიკურად სპობს და ანადგურებს ღვთის ქმნილ არსებას, მის სულს კი აზიანებს და უფსკრულისკენ მიაქანებს. რამდენად მძიმე ცოდვაა ნარკომანია და შეუძლია თუ არა მას სოციალური კატასტროფა გამოიწვიოს, ერი დაღუპვამდე მიიყვანოს, გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი მამა გიორგი სხირტლაძე.**



— ნარკომანია მომაკვდინებელი ცოდვაა. ის ადამიანის სხეულს დაავადებების უფსკრულში მიაქანებს და აზიანებს. ამავე დროს მის სულს ღმრთისაგან აშორებს და ცენტრიდანულ ძალებს უქვემდებარებს. უნდა ითქვას, რომ ნარკომანია კრიმინალურ ცნობიერებასთანაა ახლოს, კრიმინალის მომიჯნავე სფეროა. ეს ორი ცოდვა ადამიანს უკარგავს პიროვნების განცდას. ამით ღვთის სამართალს და ღვთის ჭეშმარიტებას ვერ ამრუდებს, მაგრამ ქმნილ არსებაში ღვთის ხატებას შლის და ამსხვრევს. არავითარ ძალას არ შეუძლია ადამიანში ისე ეფექტურად ჩააქროს ღვთის მიერ ანთებული კანდელი, როგორც ნარკომანიასა და კრიმინალურ ცნობიერებას.

**ნათლობის დროს ადამიანს ეძლევა შვიდი ნიჭი, რომელიც ცხრა ნაყოფის გამოღებას გულისხმობს და რომელი ნაყოფის გამოღებაზეა ლაპარაკი, როცა ნარკომანიით დაავადებული (ეს ეხება ალკოჰოლოზმსაც) ორივე ფეხით სულიერ ჭაობშია ჩაფლობილი.**

ჰგონია, რომ „მყარად დგას," სინამდვილეში კი შეუმჩნევლად, თანდათანობით იძირება ამ ჭაობში და საბოლოოდ როგორც პიროვნება საერთოდ ქრება. ადამიანი, რომელიც ნარკომანიით მადლის მიღების არხებს კეტავს, ანუ პათოლოგიურ მდგომარეობაშია, აზიანებს არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ყველას, ვისთანაც ურთიერთობა აქვს.

**— პიროვნება სანამ ნარკოდამოკიდებული გახდება, მანამდე ნარკოტიკების მომხმარებელია. რის ილუზიას უქმნის მათ ნარკოტიკული თრობა?**

— ადამიანის დანიშნულება ღვთის დიდება და განღმრთობის, თეოზისის პროცესში მონაწილეობაა. იმ ირაციონალური სიამოვნებების, „კანონზომიერებების" დაქვემდებარება, რომელიც ნარკოტიკულ ზემოქმედებას მოაქვს და ამ ზემოქმედების შედეგად გონების, სულის, გულისა და სამშვინველის არანორმალური ცვლილება, ერთი შეხედვით „ცრუ ნეტარება" (ნარკომანის სიმშვიდესა და ნეტარებას არანაირი საერთო არ აქვს ქრისტიანულ სიმშვიდესთან და ქრისტესმიერ ცხრა ნეტარებასთან), ადამიანს უქმნის სინამდვილის მწვავე და რეალური აღქმის ილუზიას; ილუზიას იმისას, რომ მან უკვე სულიერ ჭვრეტას მიაღწია. აღარ არსებობს თითქოს შიში სიკვდილისა, ითოკებიან გარკვეული წადილები, შემოდის ცრუ სიმშვიდე, ცრუ სიწყნარე, ზებუნებრივი გრძნობა საკუთარი სიმართლისა. მისი სხეული მოდუნებულია, მისი სული განიცდის სექსუალური კმაყოფილების მსგავს კმაყოფილებას. სხვათა შორის სექსუალური, პორნოგრაფიული, მრუშული ვნება ნარკომანიის ვნებას ჰგავს, რადგან ორივე შემთხვევაში ადამიანზე ძალაუფლების მოსაპოვებლად მიდის ბრძოლა. შავი ძალებისათვის ადამიანის სულისა და გულის დასაპყრობად ყველაზე დიდი იარაღი ნარკომანია, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი და კრიმინალია. ეს ყოველივე ფულისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლას უკავშირდება და ნარკომანია პირდაპირ დაკავშირებულია მამონას მექანიზმებთან.

**ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას იხსნება ის სარქველები, პორტალები, საიდანაც ადამიანში დაცემული სულები შედიან. მონათლულ, მართლმადიდებელ, ქრისტეს მიერ დაცულ ადამიანს ისინი ძალით ბლოკირებას ვერ უკეთებენ. როდესაც ნარკომანი ამ სარქველებს შეგნებულად ხსნის და თავის ცხოვრებაში ქრისტეს მიერ კურთხეულ დროისა და სივრცის უწყვეტ კონტინიუმში შეაქვს რღვევა და გლეჯა, მასში შედიან ბოროტი ძალები და თარეშობენ, რაც შეპყრობილობის სახით ვლინდება. ადამიანი შეიძლება ერთი ან ორი ბოროტი სულით, ან ლეგიონითაც კი იყოს შეპყრობილი. უამრავ ასეთ შემთხვევას ვაწყდებით, რომელიც სამედიცინო მკურნალობას აღარ ექვემდებარება. მას მხოლოდ და მხოლოდ ეკლესია კურნავს.**

ნარკოტიკები ასევე არასწორი სწავლებებისა და სექტების საშუალებით შემოდის. ისინი ნარკოტიკებს გონების შესაცვლელად და პარანორმალური მოვლენების მისაღებად ეფექტურად იყენებენ. ის სულიერი კოლონიზაცია, რომელიც აღმოსავლეთიდან სხვადასხვა ოკულტური სწავლებებისა და ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი ავადმყოფური მიდრეკილების სახით გვაქვს დღეს და რომელმაც დაიპყრო მთელ მსოფლიო, დაწყებული ამერიკით და დამთავრებული ევროპით, აღნიშნავს ერთს, რომ ერების დასამორჩილებლად ყველაზე ეფექტური საშუალებაა არა რომელიმე ქიმიური ან ბაქტერიული იარაღით ბრძოლა, არამედ — ნარკოტიკული შხამითა და ნარკოტიკული ტოქსინებით.

ამ გზით შეგიძლია დაიპყრო და დააბეჩავო ერი, მუხლებზე დააჩოქო და გაანადგურო; გახსნა ისეთი დემონური განზომილება, რომ ნაციამ თავისი სულიერი მისია ველარ შეასრულოს, ვერც ჯვარი იტვირთოს და, რაც ნატვირთი ჰქონდა, ისიც დაკარგოს. ჯამში გამოვიდეს სინთეზისა და ანალიზის უნარს მოკლებული, ცხოვრების საზრისის გარეშე მყოფი რაღაც რუდიმენტი, რომელიც ფასეულობების გარეშე შემთხვევით შემორჩა. ასე მრავალი ბოროტება შემორჩენილა. შემორჩენა არგუმენტი არაა, ამიტომ დიდი საშიშროება ახლავს ნარკოტიკული საშუალებების მიღებას, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია შამანიზმთან.

აქ უნდა ითქვას, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები და მათ შორის თამბაქო შემოსულია წითელი ინიციაციის პირამიდების კულტურიდან, ანუ ინდიელთა წითელი რასის შავი მაგიიდან, რომელიც მას ეფექტურად იყენებდა ადამიანის ფსიქიკის შეშლილ მდგომარეობაში გადასაყვანად. შამანიზმი პირდაპირ კავშირშია ადამიანის ცნობიერების იმ ფანჯრებში, პორტალებში შესვლასთან, რომლებშიც აუცილებლად მონსტრებს გადააწყდებიან. ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას იხსნება ის პარალელური განზომილებები, რომლებიც ადამიანისთვის ბუნებრივ მდგომარეობაში ღვთისაგან დაფარულია.

**მართლმადიდებელი ეკლესია განა არ იცნობს ამას და არ იცის, რომ ჰაერის მცველი სულები არსებობს, მაგრამ ამას ხედავენ მორალური წინსვლითა და სულიერი ასკეზით. წმიდა მამების მიერ ამ რეალობის ხილვის უამრავი შემთხვევაა, თუმცა, როდესაც ადამიანი ამას უკანონოდ, ცოდვილი, ხელოვნური, მაგიური, შამანური საშუალებებით აკეთებს, მისი ფსიქიკა ვერ უძლებს და ცუდი შედეგით მთავრდება.**

**— სოციალური გარემო რამდენად უწყობს ხელს ადამიანის განარკომანებას?**

— სატუსაღოს მსგავს სახელმწიფოში ცხოვრებამ, რკინის ფარდის ხელოვნურად შექმნილმა სივიწროვემ ცრუ ფასეულობები გააიდეალა. პოსტსაბჭოთა სივრცეში რომანტიზირებული იყო კრიმინალი, ნარკომანია, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, ქონებისა და სიმდიდრის მოხვეჭა, ევროპული თავაშვებული ცხოვრება წინსვლასთან და პროგრესთან იგივდებოდა, ქრისტიანობა სისუსტედ და უძლურებად მიიჩნეოდა, ზოგჯერ არანორმალურადაც კი (დაწყებული პოლიტიკური დისიდენტებიდან დამთავრებული რელიგიური დისიდენტებით, ყველა არანორმალურად იყო გამოცხადებული). ამ სულიერი სივიწროვის, სიღატაკისა და უბადრუკობის შემდეგ აღმოვჩნდით რა თავისუფლების სპექტრში, ადამიანებს დაებნათ გზა, თუმცა არ შეიძლება ნარკომანია ვინმეს გადავაბრალოთ, რადგან ეს ამა თუ იმ ადამიანის თავისუფალი არჩევანია.

**მორწმუნე ურწმუნოსაგან იმით განსხვავდება, რომ მორწმუნე საკუთარ თავს თვლის დამნაშავედ. ურწმუნო კი — საზოგადოებას, დედას, მამასა და მეგობრებს ადანაშაულებს. ვინმეს თუ ცუდის გაკეთება უნდა, ვერავინ შეუშლის ხელს, იმიტომ, რომ უფალი ადამიანის თავისუფალ ნებას გადახრის, მოუწოდებს, მაგრამ არ ძალადობს. ადამიანი ბიორობოტად არ შეუქმნია ღმერთს. თავისუფალი ნება ხატად და მსგავსად მისცა.**

ცოდვა და ბოროტება კი შედეგია თავისუფალი ნების უკუღმა გამოყენებისა. ის, რაც ნარკომანს ემართება, პირველ რიგში, სულიერი, ღვთაებრივი კანონების დარღვევაა, რამაც შეუძლებელია დაუზიანებლად ჩაუაროს ადამიანს გვერდით. ბუნების, ღვთის მიერ ქმნილ კანონებს ვერავინ შეეწინააღმდეგება. ნარკომანიის ბოლო ფაზაა, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს ველარ უბრუნდება და პიროვნებას კარგავს. ნებისმიერი რამ, რისი გაკეთებაც სურს, ბოროტი გამოსდის. აბსოლუტურ ბოროტებაშია და ფუნდამენტალურად დემონიზირდება. მას ცდუნება აღარ სჭირდება, რადგან თვითონაა სხვების მაცდუნებელი. უაზრობაა, ჰკითხო ადამიანს, რატომ ჭამს ბევრს, როდესაც ნივთიერებათა ცვლა ერღვევა და სუქდება; რატომ სვამს ბევრს, როდესაც ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი აწუხებს და სამედიცინო პრეპარატების გარეშე მისი მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლებელია; რატომ იკლავს თავს ნელა, თანდათანობით იმ ყოველივეთი, რაც მის გარშემო ატმოსფეროს სპობს, წამლავს და რაც თავად მას ვნებს, რადგან პასუხს ველარ გცემს.

ყველა ადამიანმა თავად უნდა გააცნობიეროს მისი ადგილი ამ სამყაროში. ნარკოტიკის მოჩვენებითი სიამოვნება იმდენად მწარე სიამოვნებაა, რომ ადამიანს ხანგრძლივ შვებას თუნდაც მარტო მიწიერ ცხოვრებაში ვერ მოუტანს. ადამიანი, რომელიც ცდილობს, რომ ვითომ ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრებით იცხოვროს და დრო და დრო თავი შეაფაროს „ნარკოტიკების ჩრდილს," ადრე თუ გვიან ჩიხში მოექცევა.

**— 2009 წლის გაეროს მონაცემებით, საქართველო ჰეროინის მოხმარების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ყოველ 1000 მოსახლეზე 17 მომხმარებელი საკმაოდ შემაშფოთებელია. მამაო, შეიძლება ამან ქვეყანაში სოციალური კატასტროფა გამოიწვიოს?**

— ცალკეული ადამიანების მიერ მასობრივად ღვთის სიმართლის უარყოფამ არ შეიძლება დადებითი შედეგი გამოიღოს. როგორც ცალკეული ადამიანები, ისე მასები, რომლებიც ხვდებიან ამა თუ იმ ვნების კლანჭებში, იქნება ეს ნარკომანია, კრიმინალი, ალკოჰოლიზმი და პროსტიტუცია, ღვთის სიმართლეს ეწინააღმდეგებიან.

ღვთის სიმართლე მარადიულია და ასეთი ხალხი საშინლად ისჯება, რაც აგერ საბჭოთა კავშირისა თუ სხვა იმპერიების მაგალითზე ვნახეთ. ამ სენით დაავადებული მრავალი ადამიანი ცხოვრობს და ვიტყოდი, რომ ისინი, პირველ რიგში, საკუთარ თავზე ძალადობით გამოირჩევიან. ღმერთი ყველას სწყალობს და ღვთის მადლი ცოდვილებსა და მართლებს თანაბრად აწვიმს.

**მზე ერთნაირად უნათებს ყველას, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ზოგისთვის მზე ნათელია, სითბოსა და სიხარულის მიმცემი, ზოგისთვის პირიქით — დამსჯელი და დამწველი ძალაა. ასევეა ღვთის მადლი, მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მცხოვრები ადამიანისთვის თუ წყალობა და სიყვარულია, ცოდვილთათვის დამსჯელი ძალაა. მნიშვნელობა არ აქვს, ერთი ცოდვილი იქნება თუ ცოდვილთა ჯგუფები, მასები და ჯამში — ერი (ჯვარი წერია ჩვენს ერს).**

სულიერად ბრმა ადამიანები, რომლებიც ამ ცოდვაში იმყოფებიან, თავადაც თხრილში გადავარდებიან, თუ გონს არ მოეგებიან და ვისაც აიყოლიებენ, მათაც გადაიყოლებენ, როგორც სახარებაში წერია. ამ კატასტროფული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ქრისტეს მცნებების ზედმიწევნითი აღსრულებაა. ქრისტეს მცნებები გვასწავლის, თუ რაოდენ უძლურნი ვართ ღვთის მადლის, ღვთის ნების, უფლის შეწევნის გარეშე.

ნარკოტიკით დაბლაგვებულ-დაჩლუნგებული გონების ადამიანები ამას ვერ ხვდებიან. ჰგონიათ, რომ საკუთარ არსებას თავად განაგებენ. სიცოცხლის ბოლო წლებში, თვეებში, დღეებში კი, როცა მათი ფსიქიკური და ფიზიკური კონსტრუქცია ველარ იტევს სხეულის მონობას, (ადამიანში სული უნდა მართავდეს სამშვინველს, სამშვინველი — სხეულს, მაგრამ, როდესაც სხეულის ქიმია მართავს სამშვინველსა და სულს, სული და სამშვინველი სხეულის მონა ხდება), ადამიანური შემადგენლობა იცვლება, ხდება ფიზიკური სიკვდილი და ნარკოტიკების მონობაში მყოფი ადამიანი პირდაპირ ღვთის სამსჯავროზე წარსდგება, თვით უფალი ასამართლებს ასეთ ადამიანს.

**უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის, პატრიარქისა და სამღვდელო დასის დამსახურებაა, რომ საქართველოს არ გაცლია ღვთისმშობელი, წმიდა გიორგი, წმიდა ნიკოლოზი, თორემ ამდენი დესტრუქციისა და უბედურების შემდეგ უნდა გავმქრალიყავით. უფალი ისე, რომ ყურადღებას არ იპყრობს, ყოველდღიურ ცხოვრებაში, წუთისოფლის სიბნელეებში გვიფარავს, ხელში გვიყვანს, გვეხმარება, არ გვშორდება. ღმერთმა წმიდა წერილი მოგვცა. წმიდა წერილის კითხვაც კი ათავისუფლებს ნარკომანიისაგან, მის ამომწურავ გააზრებაზე აღარ ვლაპარაკობ.**

**— საპატრიარქოს ინიციატივით, გაიხსნა ნარკომანთა დახმარების ცენტრი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად რამდენად მნიშვნელოვანია ეკლესიის აქტიურობა?**

— ღვთის მადლითა და უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეცადინეობით, ეკლესია ცდილობს, მორჩილებაში მოიყვანოს ის ადამიანები, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ ამ უძლურებასა და სენს დაექვემდებარნენ; ცდილობს, ამ ადამიანებს მიუთითოს მთავარ ფასეულობებზე უხეში ჩარევის, მათი ნაკლის ძიების, კიცხვისა და ძალადობის გარეშე. ეკლესია მიმართავს ადამიანის გონებას, სულს, რათა ავადმყოფობას უწოდოს ავადმყოფობა და ამ მდგომარეობიდან გამოვიდეს. **სიკეთისა და ბოროტის გარჩევა ისწავლოს. ყოველჟამს სწორი ორიენტაცია დაიჭიროს და ზღუდე დაუდოს იმ ბოროტებას, რაც ასე მასიურად გვხვდება და ზოგჯერ მისი გადალახვაც კი შეუძლებელია ხოლმე. ყველა ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, პირველ რიგში, ამ მძიმე სენისაგან განკურნებას ვუსურვებ, მათში ხატად და მსგავსად ჩადებული უნარები ლოცვით რომ დაიბრუნონ; გაწონასწორებული, მხიარული გულით, გონებითა და სულით შეუდგნენ უხილავ ღმერთს.**

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

---

**მერაბ ახობაძე, პეტრე ბერაია, მერაბ ბაბუხადია, კოტე ბასილაშვილი, თემო გოცაძე, იულონ გაგოშიძე, კოტე ვარდელი, ბორის იმნაძე, ოთარ ზუმბურიძე, თამაზ კალანდაძე, ბესიკ კილასონია, ნუგზარ ფოფხაძე, სულხან ქემოკლიძე, იგორ ჩხეიძე გულწრფელ პატივს მიაგებენ და დიდი გულისტკივილით ეთხოვებიან „კუს ტბის" სამეგობროს გამორჩეულ წევრს — ცნობილ ექიმს, ჭეშმარიტ საზოგადო მოღვაწეს, პატრიოტსა და მოქალაქეს, ღირსეულ ოჯახისშვილსა და თავადაც ჩინებული ოჯახის თავკაცს**

**მერაბ საყვარელიძეს**

**და თანაგრძნობით უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახსა და საახლობლოს.**

23 — 29 ივნისი, 2010 წელი. №23 (66)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ნაცნობი და უცნობი მაშენებლები

## ზურტაკეტი

**მკითხველს შევპირდით, რომ ქვემო ყარაბულახის „სარკის წმიდა გიორგის“ საყდრის წარწერაში ნახსენები დიდგვაროვანი მამა-შვილის — ნიკოლოზისა და ივანეს საეკლესიო ღვაწლის კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთის სახილველად მეზობელ სოფელ ბახჩალარსაც მივაკითხავდით. ასეც მოვიქეცით, მაგრამ ბახჩალარამდე ყიზილაჯლოსა (წითელი სოფელი) და საჯას გავლა მოგვიხდა.**
**ვახუშტი ბატონიშვილისა და თანამედროვე რუკებს ერთმანეთს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ქვემო ყარაბულახს ადრე ლიპი ერქვა, ყიზილაჯლოს — ნაპალატევი, საჯას — საჭე, ხოლო ბახჩალარს — მაშინაც ბახჩალარი. საჯასა და საჭეს შორის ის განსხვავებაა, რომ ახლომახლო მცხოვრები თურქმანულენოვანი მოსახლეობა ბგერა „ჭ“-ს ვერ გამოთქვამს და სოფელს საჯას უხმობს.**



საჭის მეორე ეკლესია და მელქისედეკ კათალიკოსის წარწერიანი ქვა



**საჭეში** კარგა ხანს გვიწევს გაჩერება. სოფელი ორი მდინარის — ყარაბულახისა და დაგერმანდერესის შესართავთან არსებობს და თითქოს, საცხოვრებლად ურიგო არაა, მაგრამ თურქმანულენოვან მოსახლეობას სახლების 60% მიუტოვებია და სოფელი ნაომარს ჰგავს. ამ ნანგრევებში უფრო ძველი ნანგრევების ნახვა არ გაგვჭირვებია. ერთი ნაეკლესიარი სოფლის ცენტრშია და ხეებშია ჩამალული. უხეშად გათლილი საშუალო ზომის კვადრების წყობა ჰორიზონტალურთან მიახლოებულია. ერთადერთი, სამხრეთის კარი, გარედან არქიტრავულია, შიგნიდან — თაღოვანი. სახურავი სრულიად მორღვეულია და დარბაზში ხეებია ამოსული. როგორც ვარაუდობენ, ეს მცირე საყდარი X საუკუნის ნაგებობაა.

**აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთი, მდ. ყარაბულახის მარჯვენა სანაპირო ფლატის პირზე დგას XI საუკუნის დაქცეული საყდარი, რომელიც დიდი, სუფთად გათლილი მოწითალო კვადრების პერანგში მჯდარა. შემორჩენილია მხოლოდ ნაეკლესიარის აღმოსავლეთ კედელი, 30 წლის წინათ კი სამხრეთ კედლის ნაწილიც მდგარა კარის სიმაღლეზე. ამ კარის თავზე იდო ძალიან დიდი ბალავრის ლოდი რელიეფრი ჯვრით და ასომთავრული წარწერით.**

ძეგლის ასაკი სწორედ ამ წარწერით დადგინდა. ჯვრის ბაზისზე არსებული დაქარაგმებული წარწერა ბევრს არაფერს გვეუბნება — **„ქრისტე შეიწყალე გალატოზნი“**, მაგრამ მეორე, ვრცელი წარწერა საქართველოს პირველ კათოლიკოს-პატრიარქს, მელქისედეკს გვახსენებს: **„ქრისტე, ადიდე მელქიზედეკ ქართლის კათალიკოზი. ქორონიკონი იყო...“** როგორც ქვემო ქართლის ცნობილი მკვლევარი დევი ბერძენიშვილი ფიქრობდა, სოფელი საჭე 1029 წლამდე იყო დამტკიცებული სვეტიცხოვლის საკათალიკოსო სოფლად, რადგან 1029-1033 წლებში „სვეტიცხოვლისადმი დაწერილში“ ეს სოფელი მცხეთის კუთვნილ ახალ დასახლებებში არ არის მოხსენიებული. სამაგიეროდ, ამავე საბუთში ნათქვამია:

**„და რომელნი სოფელნი ძუელად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს, და მე მოვახსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კუროპალატსა და შეუვალად გამიხადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისა და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დავდგენ ყოველგან სახლნი და ავაგენ ეკლესიანი რიცხვით ყოველნივე“.**

მელქისედეკი საქართველოს (ქართლის) კათალიკოსი 1010 წელს გახდა და, როგორც ჩანს, საჭის ეს ეკლესია 1014 წლამდე ააგო, სანამ ბაგრატ III ცოცხალი იყო. ტაძარი რომ 1014 წლის მერე იყოს აგებული, მაშინ სოფელს ბაგრატი კი არ დაუმტკიცებდა, არამედ მომდევნო მეფე გიორგი I. სხვათაშორის, საჭის მეზობლად მდებარე სოფელ კიროვისში მომდევნო მწყემსთავრის იოანე V-ის სახელსაც ვხვდებოდით აქაური ეკლესიის ბალავრის ქვაზე, მაგრამ, ტაძრის განადგურების შემდეგ, ორთავე წარწერიანი ქვა — საჭისაც და კიროვისისაც — დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზეა გადატანილი და დაცული.

საჭის ეკლესიის ნანგრევები — ერთადერთი, წითლად მოელვარე აფსიდის კედელი — იქვე მიმობნეულ, გალეულ საფლავის ქვებთან ერთად, თითქოს, წარსულის დარაჯად დგას ყარაბულახის მარჯვენა ფლატეზე. იგი აქედან თვალს უსწორებს გაღმა ნაპირზე მდგარ ეგრისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას. საჭედან სოფელ კიროვისში შევდივართ, საიდანაც ერთი გზა დმანისში დაგვაბრუნებს, მეორე კი ბახჩალარში, ორმაშენში, ყიზილქილისაში, განთიადში ან, სულაც, ბოლნისის რაიონში ჩაგვიყვანს გეტის ხეობის გავლით. გზაგასაყარზე არსებული კიროვისი ის სოფელია, რომელზეც ახლახან გვქონდა საუბარი, მაგრამ არ გვითქვამს ერთი საინტერესო ამბავი: თავდაპირველად ორმაშენი სწორედ ამ სოფელს ერქვა და ვახუშტი ბატონიშვილსაც ასე აქვს მონიშნული თავის რუკაზე. ამ ორმაშენშიც XVIII საუკუნიდან თურქმანულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, მაგრამ მოგვიანებით, თუ არ ვცდები, გერმანელი კოლონისტების გამოჩენის გამო, აქედან აიყარნენ, აღმოსავლეთით მდებარე ნასოფლარში (წარბასუბანსა თუ ზურტაკეტის ხახალჯვარში) გადასახლდნენ და სოფლის სახელწოდება „ორმაშენიც“ იქ გადაიტანეს. მათგან დაცლილ სოფელს გერმანელებმა ახალი სახელი — **ვალდჰაიმი** დაარქვეს. გერმანელთა წასვლის შემდეგ სოფელს კიროვისი ეწოდა და რაოდენ უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, ასე ჰქვია დღემდე.

ქვემო ყარაბულახის „სარკის წმინდა გიორგიდან“ ბახჩალარამდე მოგზაურობა ძალიან კი გავუჭიმეთ მკითხველს, მაგრამ ეს დრო, ალბათ, საინტერესო ამბების თხრობას მოვანდომეთ.

კიროვისიდან **ბახჩალარამდე** 4 კილომეტრია. ეს სოფელიც სანახევროდაა დაცლილი.

თემშარას პირდაპირ დანიშნულების ადგილზე მივყავართ. ბახჩალარის ცენტრიც ესაა... ნატაძრალიდან ზეზეულად მხოლოდ აღმოსავლეთ კედლის ფრაგმენტი დაგვხვდა. დანარჩენი კედლები დაწოლილია და დაშლილი. თლილი ქვების უმეტესობა გატანილია, ნაწილი მიწაში თვლემს და ნაწილიც მიწის ზევით... ჩუქურთმა არცერს არ უჩანს. და აი, ქვის ამ გროვაში, ნაეკლესიარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, თითქოს, დევმა მუხლზე გადაიმტვრიაო, ორ ნაწილად გახეთქილი ბალავრის ლოდი განისვენებს. შუაგულში მედალიონში ჩასმული ლამაზი ჯვარი ყოფილა.

მის ორსავ მხარეს, ბალავრის ორ ნაწილზე, არსებული ასომთავრული წარწერა დევი ბერძენიშვილმა ასე წაიკითხა: **„ქრისტე, შეიწყალენ ნიკოლოზ და ივანე. შეწევნითა ღმრთისაითა დაიდვა ბალავარი ესე ქორონიკონსა (1018 წ.) ხელითა ცოდვილისა მიქაელისითა“.**

ქვემო ყარაბულახის „სარკის წმინდა გიორგისა“ და ბახჩალარის ნატაძრალის ბალავრის ქვათა წარწერების ერთმანეთთან დაკავშირება ბუნებრიუია: საერთო სახელები, ტერიტორია და ეპოქა. ტექსტში ნახსენები არიან თრიალეთ-ზურტაკეტის რომელიღაც ცნობილი ფეოდალური სახლის წევრები: პაპა ნიკოლოზი, შვილი ივანე და შვილიშვილი ნიკოლოზი. ბახჩალარის ტექსტში გვხვდებიან პაპა ნიკოლოზი და ძე ივანე, 22 წლის შემდეგ „სარკის წმინდა გიორგის“ ტექსტში კი მათ შვილიშვილი ნიკოლოზიც ემატებათ. ამ დროს, 1040 წელს, პაპა ნიკოლოზი ცოცხალი აღარ არის და ახალ ტაძარს უკვე ივანე აგებს მამა ნიკოლოზის სულის და შვილი ნიკოლოზის დღეგრძელობის შესავედრებლად.

...ხომ არ არის ეს ოჯახი ბაღვაშთა ძირი სახლის მეორე განშტოება?

ბახჩალარიდან გზას სამხრეთ-აღმოსავლეთით ვაგრძელებთ და ამ მიმართულებაზე ზურტაკეტის ბოლო სოფელში, იმ **ორმაშენში** შევდივართ, რომელსაც ადრე წარბასუბანი ან ხახალჯვარი ერქვა. ეს სოფელი ადგილმდებარეობით ერთ-ერთი საუკეთესოა არათუ ზურტაკეტში, არამედ მთელ დმანისის რაიონში. იგი სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან დიდი, ფოთლოვანი, ტყის მასივებით და მდინარეთა ხეობებითაა შემოსაზღვრული. ამ სოფელშიც თურქმანულენოვანი მოსახლეობაა და გზის გაკვალვაში ერთ-ერთი მათგანი ელიზბარ კარალოვი გვეხმარება. მისაგნები, თითქოს, დიდი არაფერია, რადგან ძველი საყდარი სოფლის ერთ-ერთ უბანში დგას, მაგრამ კარალოვი ორმაშენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტყეში მდგარი უცნობი საყდრის გადაღებას გვთავაზობს. მანქანა ტყის სიღრმეში მიიკვლევს გზას. ელიზბარი ხანდახან, გზის შერჩევის მიზნით, მანქანიდან ჩადის და წინ ისე მიგვიძღვის ხტუნვით, იფიქრებ მიწაზე ფეხს არ ადგამსო. ჩია ტანის, შუახნის კაცია კარალოვი, ალალი ბიძაშვილი აზერბაიჯანის გენერალური პროკურორი ჰყოლია, რომელიც წარმოშობით ზურტაკეტიდანაა, მაგრამ ჩვენს ეტიკს მისი მხარდაჭერა მაინცადამაინც არ ეტყობა.

ტყეში რკინა-ბეტონის ვიწრო სამანები გვხვდება. ელიზბარი გვიხსნის, რომ ეს დმანის-ბოლნისის პირობითი საზღვარია. ჩვენ ხან იქით მოვექცევით მიჯნას, ხან აქეთ. ბოლო კილომეტრს ფეხით გავდივართ და ქცის ერთ-ერთი შენაკადისკენ თავქვე ვეშვებით. აქა-იქ მაღალის ხეები გვხვდება და ჩვენც ამ ადგილას სიმბოლურად ვაშლოვანს ვარქმევთ. ერთ-ერთ კორომში გვიანი შუასაუკუნეების ნატაძრალს წავადექით. გარკვევით მხოლოდ აღმოსავლეთ აფსიდის და კონქის ნაწილი ჩანს. დანარჩენი კედლები 1-1,5 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. დარბაზი ნაშალი ლოდებითა და ბუჩქნარით არის სავსე. ელიზბარ კარალოვის დასტურის დასტვენილზე მენახირე მამა-შვილი გამოჩნდება საიდანღაც. მამამ საყველპურო ქართული იცის და გვიამბობს, თუ რამდენჯერ უნახავს ამ ტაძარში თავშეფარებული შველები. წარმოიდგინეთ, რომ ძაღლები შველებს არას ერჩიან და არც შველები უფრთხიან ძაღლებს, — გვეუბნება ხნიერი მენახირე და მერე ჩაიზე გვეპატიჟება კარავში. დრო არ გვაქვს, სადაცაა შებინდდება და შეიძლება ორმაშენის ძირითადი ეკლესია გადაუღებელი დაგვრჩეს. მასპინძელს მიპატიჟებისათვის მადლობას ვეუბნებით და სოფელში ვბრუნდებით.

**ორმაშენის ეკლესიაც დარბაზულია, იგი ნაგები ყოფილა რუხი ტუფის სუფთად გათლილი კვადრებით და წყობის თარაზულობაც ყველგან დაუცავთ, მაგრამ ახლა, რაც კი კედლებია შემორჩენილი, მათი პერანგი გაძარცულია. ამდენად ეკლესია შიგნით უფრო სახიერია. ნატაძრალი სიგრძეში 10,5, ხოლო სიგანეში 5,5 მეტრია. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია, მაგრამ ახლა კარი მორღვეულია, ხოლო მისი ბალავარი იქვე დამხობილი. შესაძლოა, მასზე რაიმე წარწერაც კი იყოს, მაგრამ მის გადასაბრუნებლად არც ძალა გვაქვს, არც საშუალება და არც დრო. სანაცვლოდ პირაღმა გდია დასავლეთ ფრონტონიდან ჩამოვარდნილი გაცილებით პატარა ქვა, რომელსაც სავარაუდოდ, ასეთი 2-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა აქვს: „ქრისტე შეიწყალე ხეჭიჭ შერისძე“. ნატაძრალი XI საუკუნისა უნდა იყოს.**

ორმაშენიდან აღმოსავლეთით გზა, გეტისწყლის ხეობით, ბოლნისის რაიონში გადადის, სამხრეთის მიმართულებას კი სოფელ განთიადში ჩავყავართ. გეტის ხეობას მკითხველი, ასე თუ ისე, უკვე იცნობს ჩვენი ნარკვევებით, განთიად-დმანისში ჩასვლა კი ჩვენს გეგმებში არ შედის, რადგან ჯერ ზურტაკეტში მოგზაურობა არ დაგვისრულებია. ამიტომ უკან, ყარაბულახისკენ ვბრუნდებით, რათა გომარეთის ზეგანზე გადავინაცვლოთ.



ბახჩალარი, წარწერიანი ლოდი





ორმაშენი. ტაძრის ფრაგმენტი და წარწერიანი ქვა

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენერალი პეტრე ბაგრატიონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-22

**ახალი მთავარსარდალი მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა. მან არმია ჩაიბარა უკანდახევის დროს. მოახლოებული იყო ომის კრიზისი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სამშობლოს სიცოცხლის, მისი დამოუკიდებლობის ბედი. კუტუზოვის წინ ნაპოლეონის უზარმაზარი ჯარი იდგა. ფრანგი იმპერატორი მოსკოვისკენ ისწრაფვოდა. რუსი სარდალი ხედავდა, რომ ძალთა შეფარდება ჯერ კიდევ ფრანგების სასარგებლოდ იყო და ამიტომ თავის უპირველეს ამოცანად არმიის გაძლიერებას თვლიდა. სწორედ ამიტომ იგი თავს არიდებდა გენერალურ ბრძოლას, იცოდა, რომ ჯერჯერობით მოწინააღმდეგის შანსები უკეთესი იყო. ამასთანავე, მთავარსარდალს კარგად ესმოდა, რომ გენერალური ბრძოლის მომენტიც მოახლოებული იყო. ეს მომენტი ბოროდინოსთან დადგა.**



პოზიცია, რომელიც რუსებმა დაიკავეს, მდინარე კოლოჩას (მდ. მოსკოვის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე იყო. არმიის მარჯვენა ფლანგი კოლოჩას ბორცვიან ნაპირს ებჯინებოდა სოფელ გორკთან. მარცხენა ფლანგი განლაგდა სოფელ სემიონოვსკაიასთან. რადგანაც ეს ადგილი ღია ვაკეს წარმოადგენდა, მასზე სახელდახელოდ აგებულ იქნა მიწის სიმაგრეები, რომელთაც „ბაგრატიონის ფლეშები“ ეწოდა. მარცხენა ფლანგის შუა ნაწილი, რომელიც განლაგდა გორაკზე, წინ იყო წამოწეული. ამ გორაკს შემდგომში „რაევსკის ბატარეა“ დაერქვა. რუსი ჯარების წინა ხაზზე, სოფელ შევარდინოსთან აღმართულ იქნა „ავანგარდული სიმაგრე“, რომელიც ისტორიაში შევიდა „შევარდინოს რედუტის“ სახელწოდებით. „შევარდინოს რედუტი“ ფაქტიურად რუსების მარცხენა ფრთის საბოლოო წერტილი იყო.

**მარჯვენა ფრთას სარდლობდა გენერალი მილორადოვიჩი. ცენტრში იდგა ინფანტერიის გენერალი დოხტუროვი. მათი მოქმედების კოორდინაციას ბარკლაი დე ტოლი ახორციელებდა. მარცხენა ფრთას მეთაურობდა პეტრე ბაგრატიონი. ბრძოლის საერთო ხელმძღვანელი რუსეთის ჯარების მთავარსარდალი მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი იყო. ძალების შეფარდება ასეთი იყო: რუსების — 120000 კაცი და 640 ქვემეხი; ფრანგების შესაბამისად — 135000 და 587. ბაგრატიონის განკარგულებაში რეზერვის ჩათვლით 34100 კაცი იყო.**

ბოროდინოს ეპოპეას წინ უძღოდა ბრძოლა, რომელიც დაიწყო 24 აგვისტოს შევარდინოს მძაფრი იერიშებით. რედუტს იცავდა გენერალი ანდრია ივანეს ძე გორჩაკოვი 11, რომელსაც თერთმეტათასკაციანი შენაერთი ჰყავდა. შევარდინოს ფრანგების ორი ცხენოსანი კორპუსი და ფეხოსანთა სამი დივიზია უტევდა. მოწინააღმდეგეთა რიცხვი 35 ათას კაცს აღემატებოდა. მიუხედავად ძალების ასეთი უთანასწორობისა, რუსები ლეგენდარული სიმტკიცით იცავდნენ სიმაგრეს. რედუტისათვის ბრძოლა სულ უფრო მძაფრდებოდა. იგი გაგრძელდა მთელ დღეს და რუსი მეომრების არაჩვეულებრივი სიმტკიცე და მამაცობა გამოამჟღავნა.

**ფრანგები თავგანწირვით უტევდნენ რედუტს. „ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგის იქიდან განდევნას, — ამბობდა ნაპოლეონი, — ეს უფრო მოხერხებულს გახდიდა რუსების მთავარი პოზიციების დაზვერვას და მათზე იერიშის მიტანას“.**

ახალი მთავარსარდალი მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა. მან არმია ჩაიბარა უკანდახევის დროს. მოახლოებული იყო ომის კრიზისი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სამშობლოს სიცოცხლის, მისი დამოუკიდებლობის ბედი. კუტუზოვის წინ ნაპოლეონის უზარმაზარი ჯარი იდგა. ფრანგი იმპერატორი მოსკოვისკენ ისწრაფოდა. რუსი სარდალი ხედავდა, რომ ძალთა შეფარდება ჯერ კიდევ ფრანგების სასარგებლოდ იყო და ამიტომ თავის უპირველეს ამოცანად არმიის გაძლიერებას თვლიდა. სწორედ ამიტომ იგი არიდებდა თავს გენერალურ ბრძოლას, რადგანაც იცოდა, რომ ჯერჯერობით მოწინააღმდეგის შანსები უკეთესი იყო. ამასთანავე, მთავარსარდალს კარგად ესმოდა, რომ გენერალური ბრძოლის მომენტიც მოახლოებული იყო. ეს მომენტი ბოროდინოსთან დადგა.

პოზიცია, რომელიც რუსებმა დაიკავეს, მდინარე კოლოჩას (მდ. მოსკოვის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე იყო. არმიის მარჯვენა ფლანგი კოლოჩას ბორცვიან ნაპირს ებჯინებოდა სოფელ გორკთან. მარცხენა ფლანგი განლაგდა სოფელ სემიონოვსკაიასთან. რადგანაც ეს ადგილი ღია ვაკეს წარმოადგენდა, მასზე სახელდახელოდ აგებულ იქნა მიწის სიმაგრეები, რომელთაც „ბაგრატიონის ფლეშები“ ეწოდა. მარცხენა ფლანგის შუა ნაწილი, რომელიც განლაგდა გორაკზე, წინ იყო წამოწეული. ამ გორაკს შემდგომში „რაევსკის ბატარეა“ დაერქვა. რუსი ჯარების წინა ხაზზე, სოფელ შევარდინოსთან აღმართულ იქნა „ავანგარდული სიმაგრე“, რომელიც ისტორიაში შევიდა „შევარდინოს რედუტის“ სახელწოდებით. „შევარდინოს რედუტი“ ფაქტიურად რუსების მარცხენა ფრთის საბოლოო წერტილი იყო.

მარჯვენა ფრთას სარდლობდა გენერალი მილორადოვიჩი. ცენტრში იდგა ინფანტერიის გენერალი დოხტუროვი. მათი მოქმედების კოორდინაციას ბარკლაი დე ტოლი ახორციელებდა. მარცხენა ფრთას მეთაურობდა პეტრე ბაგრატიონი. ბრძოლის საერთო ხელმძღვანელი რუსეთის ჯარების მთავარსარდალი მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი იყო. ძალების შეფარდება ასეთი იყო: რუსების — 120000 კაცი და 640 ქვემეხი; ფრანგების შესაბამისად — 135000 და 587. ბაგრატონის განკარგულებაში რეზერვის ჩათვლით 34100 კაცი იყო.

**ბოროდინოს ეპოპეას წინ უძღოდა ბრძოლა, რომელიც დაიწყო 24 აგვისტოს შევარდინოს მძაფრი იერიშებით. რედუტს იცავდა გენერალი ანდრია ივანეს ძე გორჩაკოვი 11, რომელსაც თერთმეტათასკაციანი შენაერთი ჰყავდა. შევარდინოს ფრანგების ორი ცხენოსანი კორპუსი და ფეხოსანთა სამი დივიზია უტევდა. მოწინააღმდეგეთა რიცხვი 35 ათას კაცს აღემატებოდა. მიუხედავად ძალების ასეთი უთანასწორობისა, რუსები ლეგენდარული სიმტკიცით იცავდნენ სიმაგრეს. რედუტისათვის ბრძოლა სულ უფრო მძაფრდებოდა. იგი გაგრძელდა მთელ დღეს და რუსი მეომრების არაჩვეულებრივი სიმტკიცე და მამაცობა გამოამჟღავნა.**

ფრანგები თავგანწირვით უტევდნენ რედუტს. „ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღდეგის იქიდან განდევნას, — ამბობდა ნაპოლეონი, — ეს უფრო მოხერხებულს გახდიდა რუსების მთავარი პოზიციების დაზვერვას და მათზე იერიშის მიტანას“.

**მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ფრანგების რამდენიმე იერიში უშედეგო გამოდგა — დიდი მსხვერპლის ფასად რუსებმა მტერი უკუაგდეს. მთელი დღის განმავლობაში ფრანგები განუწყვეტლივ ცდილობდნენ რედუტის აღებას, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ საღამოს, როდესაც რუსთა რიგები საგრძნობლად შეთხელდა, ისინი დაეუფლნენ სიმაგრეს**. მამაცმა დამცველებმა არც ამის შემდეგ დაყარეს იარაღი. ისინი შეუპოვრად განაგრძობდნენ ბრძოლას, რათა უკუეგდოთ მტერი და დაებრუნებინათ დათმობილი პოზიცია. ბაგრატიონმა, როგორც კი მიიღო ცნობა გენერალ ნევეროვსკის კორპუსის უზარმაზარი დანაკლისის შესახებ, მას მაშველი ძალა გაუგზავნა. ბრძოლა განახლდა, მაგრამ შუაღამისათვის მიიღეს კუტუზოვის ბრძანება რედუტის დატოვებისა და მთავარი პოზიციისაკენ უკანდახევის შესახებ. ბრძანება შესრულებულ იქნა.

მეორე დღეს, 25 აგვისტოს, მზადებაში განვლო. ამინდი უხეირო იყო, ზოგჯერ წვიმა წამოცრიდა ხოლმე. ორივე მხარე კარგად გრძნობდა, რომ ხვალ არნახული ძალისა და შეუპოვრობის ბრძოლა გაჩაღდებოდა. ამას კარგად ხედავდნენ კუტუზოვიცა და ნაპოლეონიც. საფრანგეთის იმპერატორი ომის მიმდინარეობის ანალიზის საფუძველზე ასკვნიდა, რომ რუსები ხვალ მას ჯერ არნახულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ. მან შესაბამისად იცოდა რომ რუსები, ჯარისკაცები იქნებოდა თუ ოფიცერი, ცოცხლად არ ნებდებოდნენ მოწინააღმდეგეს. იგი ამაში დარწმუნდა დაშკოვკასთან, სალტანოვკასთან, კრასნისთან, სმოლენსკთან გამართული ბრძოლების დროს. ბოროდინოს ბრძოლამ კიდევ უფრო განუმტკიცა მას ეს რწმენა. „ვერც ერთი ტყვე ვერ ჩავიგდეთ“, — ეუბნებოდნენ იმპერატორს შევარდინოს რედუტისთვის მებრძოლნი და დასძენდნენ, რომ რუსები ცოცხლადსაერთოდ არ ნებდებიანო. ამიტომაც ნაპოლეონმა მათი სრული ამოწყვეტა დაისახა მიზნად.

**25 აგვისტოს, საღამოს ფრანგებს წაუკითხეს ნაპოლეონის შემდეგი ბრძანება: „მებრძოლნო“ აი ბრძოლა, რომელსაც თქვენ ამდენ ხანს ელოდით, გამარჯვება თქვენზეა დამოკიდებული. იგი აუცილებელია ჩვენთვის. იგი მოგვიტანს ყველაფერს, რაც გვჭირდება: კეთილმოწყობილ ბინებს და სამშობლოში დაბრუნებას. იმოქმედეთ ისე, როგორც მოქმედებდით აუსტერლიცთან, ფრიდლანდთან, ვიტებსკთან, სმოლენსკთან. დე, შთამომავლობამ სიამაყით გაიხსენოს თქვენი დღევანდელი გმირობა. დე, თქვან ყოველ თქვენგანზე: იგი მოსკოვთან დიდ ბრძოლაში მონაწილეობდა“.**

ბრძანებებს კითხულობდნენ რუსეთის ჯარშიც. მაგალითად, არტილერისტებს წაუკითხეს მათი უფროსის გრაფ კუტაისოვის ბრძანება: „გადაეცით ჩემი სახელით ყოველ ასეულს, რომ პოზიცია არ დატოვონ, ვიდრე მოწინააღმდეგე მათ ზარბაზნებზე არ ამხედრდება... არტილერიამ თავი უნდა გაწიროს. დე, თქვენს ქვემეხებთან ერთად თქვენც დაგატყვევონ, მაგრამ უკანასკნელი გასროლა მტერს შუბლში უნდა მოახვედროთ“.

**გაგრძელება
შემდეგ ნომერში**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეშვიდე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ყველაზე სექსუალური «კინომკვლელები»




**ჩამონათვალში მე-11 ადგილზეა ულმობელი მკვლელი მიჰო (ფილმიდან „ცოდვების ქალაქი“), რომლის როლსაც მსახიობი დევონ აოკი ასრულებს.** ცოდვების ქალაქი საცხოვრებლად საშიში ადგილია. აქ სულ ერთი და იგივე ისმის: „მოიცა, ის ხომ მკვდარია... ჰკითხეთ, რა ჰქვია... თავმოჭრილია? მაშინ არა უშავს...“ ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, თუკი ამ 150 სმ სიმაღლის აზიელ გოგონას ცოცხლად შეუძლია დამარხოს ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგეც კი, ესე იგი ჩვეულებრივი გოგო ნამდვილად არაა. მკვლელებისა და მეძავების სამყაროში იგი, ალბათ, ყველაზე სასტიკია.




**მეცხრე ადგილი ერგო სასტიკ ლამაზმანს — ეონ ფლაქსს შარლიზ ტერონის შესრულებით.** ეონ ფლაქსი ვირტუოზული და ყინულივით ცივი მკვლელია, რომელიც მსხვერპლს უბრალოდ კისერს კი არ მოუგრეხს, არამედ აიძულებს, შეემუდაროს, კისერი მომიგრიხეო.

**მერვე პოზიცია აგენტ სივერს ერგო ლუსი ლიუს შესრულებით ფილმში — „ექსი სივერის წინააღმდეგ“.** სივერი სიტყვაზუნწი ქალია, თუმცა ბევრი მეთოდი აქვს ადამიანის ასალაპარაკებლად.




**მეათე ადგილზეა დიდებული ელექტრა ჯენიფერ გარნერის შესრულებით.** ძნელია ელექტრა ვინმეს შეადარო — ერთდროულად ტუჩის საყვარლად აბზუება და ვინმესთვის ანგარიშის ულმობლად გასწორება, ალბათ, ძნელია. საკვირველი ისაა, რომ მისი პარტნიორი საბრძოლო ხელოვნების ბრმა მასწავლებელი სტიკია, რომელსაც ელექტრას მშვენიერების შეფასება არ შეუძლია.







**მეშვიდე ადგილი ნუსხაში ფილმ „ფორმულა 51“-ის შეუდარებელ გმირს — დაკოტა პარკერს ხვდა ემილი მორტიმერის შესრულებით.** იგი ძალიან საშიში სნაიპერია, მაგრამ იმდენად თავაზიანი, რომ შიშსაც ვერ გრძნობ.

**ჯორჯია საიქსი ფილმიდან „კოზირის ტუზი“ მეექვსე პოზიციაზე აღმოჩნდა.** ამ ფილმში მსახიობმა ალიშა ქეისმა ყველას დაუმტკიცა, რომ ისევე კარგად ფლობს იარაღს, როგორც ფორტეპიანოს.







**თავისთავად ცხადია, რეიტინგი გვერდს ვერ აუვლიდა ისეთ მომხიბვლელ დაქირავებულ მკვლელს, როგორიც ენ პარიოს ნიკიტაა.** საერთოდ, ფრანგ ქალებს სულაც არ სჭირდებათ რაიმე კურსების გავლა, მკვლელებად რომ იქცნენ, თუკი ისე გამოიყურებიან, როგორც ენ პარიო...

**უმა თურმანის შავ მამბას ფილმიდან „მოკალი ბილი“ რეიტინგში მეოთხე ადგილი უჭირავს.** შავ მამბას ძალიან ეწყინა, როცა ყოფილი დამქირავებელი ქორწილში გამოეცხადა და იქ სასაკლაო მოუწყო, ამიტომ ახლა თავად ღვრის სისხლის მდინარეებს.




**ქალი-ქამელეონი მისტიკი რებეკა რომინის შესრულებით ნუსხაში მესამე პოზიციაზეა.** მართალია, სხეული ქერცლით აქვს დაფარული და ადამიანებიც სძულს, მაგრამ მუდამ შიშველი და მუდამ მგზნებარეა, თან ზედმეტი შეკითხვები არ უყვარს...







**ახალი თაობის ტერმინატორი, რომლის როლსაც კრისტინა ლოკენი ასრულებს, მეორე ადგილზე აღმოჩნდა.** ფილმის პირველ ნაწილში მომავლის მეცნიერებმა უზარმაზარი რობოტი-მკვლელი გამოიგონეს, შემდეგ — უფრო წარმოსადეგი, ოღონდ არანაკლებ საშიში, აი მესამე ნაწილში კი კონვეიერიდან ჩამოდის ლამაზმანი, რომელიც წინამორბედებზე გაცილებით მშვენიერი და სახიფათოა.




ყველაზე სექსუალური მკვლელი კი მაინც ჯეინ სმიტი აღმოჩნდა ფილმიდან „მისტერ და მისის სმიტები“. თუკი ვინმეს სიყვარულის პრელუდიად ცემა და ტყვიებით დაცხრილვა მიაჩნია, მაშინ ასეთი ქალი მისთვის ზედგამოჭრილია.

# ყველაზე უჩვეულო ექსპერიმენტები

**ბუდაპეშტის ლორანდ ეტვეშის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, მიიღებდნენ თუ არა ძაღლები თავის „კოლექტივში“. დასკვნა შემდეგნაირი იყო: არა, არ მიიღებენ.**

ნევროლოგმა ხოსე დელგადომ იელის უნივერსიტეტიდან დისტანციურად მართვადი ელექტროდები ხარს ტვინში ჩაუნერგა, რათა დაემტკიცებინა, რომ სოციალური ქცევის საფუძვლები ელექტრობაშია საძიებელი. რინგზე „მოდიფიცირებული“ ხარი მეცნიერს დაეძგერა, მაგრამ ღილაკზე თითის დაწერის შემდეგ მყისიერად დაკარგა მისდამი ინტერესი.

ფსიქოლოგი ჯეიმს ვიკარი 1960-იან წლებში მშობიარე ქალისა და ტორტის მცხობელი ქალის ფსიქოლოგიური მდგომარეობის სერიოზულ შედარებით ანალიზს ატარებდა...

თუმცა, ისტორიაში იგი 25-ე კადრის ექსპერიმენტის წყალობით შევიდა. ვიკარი ირწმუნებოდა, რომ 25-ე კადრით კინოთეატრებში უჩვენებდა შეტყობინებას: „დალიე კოკა-კოლა“ და „გშია? მიირთვი პოპკორნი“, რამაც სასმელისა და პოპკორნის გაყიდვის მაჩვენებელი უმალ გაზარდა კინოთეატრების ჰოლებში. მოგვიანებით ვიკარიმ აღიარა, რომ ეს ცდა მთლიანად გამოიგონა.

პროფესორ ზიმბარდოს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი სტუდენტებზე, რომლებიც „ციხობანას“ თამაშობდნენ, ფსიქიკური აშლილობითა და კანონთან სერიოზული პრობლემებით დასრულდა.

სიზმრის კვლევის პიონერი ნათანიელ კლეიტმანი და მისი სტუდენტი ერთი თვის განმავლობაში 28-საათიანი დღის რეჟიმში ცხოვრობდნენ. 9 საათს ეძინათ, 9 საათს მუშაობდნენ და 9 საათს ისვენებდნენ. მეცნიერმა გაუძლო, სტუდენტმა — ვერა!


ფილიპ ზიმბარდო

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე მზიური მუსიკა



**შეფილდის უნივერსიტეტის ასტრონომებმა პირველად ისტორიაში ჩაწერეს ზებუნებრივი მუსიკალური ჰარმონია, რომელსაც მზის გარე ატმოსფეროში არსებული მაგნიტური ველი ქმნის. მკვლევარები გაოგნდნენ, როცა მზის მუსიკა მოისმინეს და ირწმუნებიან, რომ მას შემდეგ თავიანთი კვლევის ობიექტს სულ სხვაგვარად აღიქვამენ.**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მზის ატმოსფეროს გარე ფენებში არსებული უზარმაზარი მაგნიტური რგოლები მუსიკალური ინსტრუმენტის სიმებივით ვიბრირებენ და ზოგჯერ სასულე ინსტრუმენტში გამავალი ბგერითი ტალღებივით ჟღერენ. დედამიწიდან 60 ათასი მილით დაშორებული ამ კორონალური რგოლების თანამგზავრული ფოტოების გამოყენებით მეცნიერებმა აწარმოეს ჟღერადობა — ვიზუალური ვიბრაცია ბგერითში გადაიყვანეს იმ სიხშირემდე, რომელსაც ადამიანის ყური აღიქვამს.

პროფესორი ფეი-ზიბენბიურგენი დარწმუნებულია, რომ მზის მუსიკის მოსმენა იმ კოლოსალური მზის ქარიშხლის დასაწყისის დადგენაში დაეხმარებათ, რომელიც ნასას სპეციალისტებმა 2013 წლისთვის იწინასწარმეტყველეს. მეცნიერის აზრით, ამ ბგერებს მზისა და მისი გვირგვინის ფიზიკურ ბუნებაზე ბევრი რამის თქმა შეუძლია.



**ყველაზე გრძელი წვერი**

**მსოფლიოში ყველაზე გრძელი წვერი ბჰაი სარვან სინგჰს აქვს.** როგორც თავად ამბობს, წვერი არასდროს გაუპარსავს. სარვანი ღრმად მორწმუნე კაცია და მართალია, მისი მრწამსი წვერ-ულვაშის ტარებას უკრძალავს, მაგრამ 2,43 სმ-იან წვერს მაინც ვერ შეელია.

# უზარმაზარი გოგრა

გიგანტური ბაღჩეული 558 კგ-ს იწონის. კალიფორნიაში გამართულ სასოფლო-სამეურნეო ფესტივალზე გოგრის ჩასატანად ფერმერ ჯოელ ჰოლაბდს პატარა საბარგო მანქანა და უამრავი პირსახოცი დასჭირდა, რათა გიგანტური ნაყოფი მცხუნვარე მზისგან დაეცვა. ჰოლანდმა გოგრა 6145 დოლარად გაყიდა.





# ყველაზე სახიფათო ვულკანები

**მოქმედი ვულკანების რეესტრის მიხედვით, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეადგინეს, დადგინდა, რომ 1500 საშიში კრატერიდან 50 ამოიფრქვევა, ხოლო 11 განსაკუთრებით საშიშია.** ისლანდიური ვულკანი ეიაფიატლაიოკუდლი, რომელმაც რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი ევროპის ცა ღველფით დაფარა, მსოფლიოში მეორეხარისხოვან სახიფათო ვულკანად ითვლება.

ყველაზე სახიფათო ვულკანების სიაში მოხვდა ფილიპინების პინატუბო, რომელმაც 1991 წელს ატმოსფეროში იმდენი გაზი და ფერფლი ამოაფრქვია, რომ ორი მომდევნო წლის განმავლობაში პლანეტის კლიმატში ცვლილებები შეინიშნებოდა. ამ ჩამონათვალშია იტალიის ვულკანები — სტრომბოლი და ეტნა.

ევროპის კოსმოსური სააგენტოს მონაცემებით, ვულკანების სიახლოვეს 500 მლნ კაცი ცხოვრობს. 1500 აქტიური ვულკანის 90 პროცენტი კი წყნარი ოკეანის რაიონში, „ცეცხლოვანი რგოლის“ 40 ათას კმ ფართობზეა კონცენტრირებული.

ყველაზე დიდი ამოფრქვევა ფიჯისა და სამოას რაიონში, წყალქვეშ 1500 მ-ის სიღრმეში დაფიქსირდა. ამოფრქვევა, ჩვეულებრივ, „ღრმა სუნთქვით“ იწყება — მიწა ვულკანის გარშემო თითქოს იჭიმება, შემდეგ მთა რყევას იწყებს, რასაც კრატერის სიღრმიდან გრგვინვა მოჰყვება.

მართალია, ეიაფიატლაიოკუდლი არც ისე საშიშია (მისი მოქმედება უკვე სტაბილურს ჰგავს), მაგრამ შეშფოთებას იწვევს მისგან 20 კმ-ში მდებარე ვულკანი კატლა. ის 100-ჯერ უფრო ძლიერია და წამში მილიარდი კუბ.მეტრის ლავის ამოფრქვევა შეუძლია. მეცნიერები შიშობენ, რომ კატლა მალე გაიღვიძებს. მისი ამოფრქვევის შემთხვევაში მოსალოდნელია ფენომენი, სახელწოდებით „ვულკანური ზამთარი“: ფერფლი მზის სხივებს მიწის ზედაპირამდე მოღწევის საშუალებას არ მისცემს.



# ყველაზე უჩვეულო გაჩერება

**ჩრდილოეთ ბრიტანეთში, კუნძულ Unst-ზე ავტობუსის უჩვეულო გაჩერებაა.** იქ შეიძლება საათობით იჯდე ავტობუსის მოლოდინში, რომელიც შესაძლოა არც მოვიდეს. არც სამგზავრო განრიგი არსებობს, რადგან საჭიროც არაა. აქ მხოლოდ ერთი გზაა და ავტობუსსაც ამ გზაზე მიმავალი ხალხი აჰყავს.



# ყველაზე უცნაური პროფესიები



**საღებავის გაშრობის სპეციალისტი**

**ეს პროფესია ითვალისწინებს საღებავის გასაშრობად საჭირო დროისთვის თვალყურის დევნებას.** სპეციალისტს ტაიმერი უჭირავს და ამოწმებს, გაშრა თუ არა საღებავი, შემდეგ კი მონაცემებს იწერს. არცთუ სახარბიელო პროფესიაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რაიმე კარიერულ წინსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.



**ქოქოსის პალმების უსაფრთხოების სპეციალისტი**

**დიახ, იმისათვის, რომ ვირჯინიის კუნძულების მაგვარი სამოთხე ნამდვილად უსაფრთხო იყოს, გარკვეული ძალისხმევაა საჭირო.** მაგალითად, პალმებიდან ქოქოსის კაკლების დროულად ჩამოყრა, რათა ისინი მოულოდნელად თავზე არ დააცვივდეს ტურისტებს.



**კვერცხების „მტვრეველი“**

**ერთობ უჩვეულო პროფესიაა, მაგრამ აუცილებელი, რადგან არც ერთ მანქანას მსოფლიოში ამის გაკეთება ადამიანზე უკეთ და ხარისხიანად არ შეუძლია.**



**კოღოების დამჭერი**

**ამ საქმის სპეციალისტი უბრალოდ კი არ იჭერს კოღოებს, არამედ აცლის, სანამ ისინი მისი სისხლით გაძღებიან და მხოლოდ ამის შემდეგ სპეციალური „კოღოების შემწოვით“ იჭერს.** ამას იმიტომ აკეთებს, რომ მეტი ინფორმაცია მოაგროვოს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ადამიანის დასნეულება მალარიით, რათა შემდეგ ამ დაავადებასთან საბრძოლველად უფრო ეფექტიანი წამლების შექმნა მოხერხდეს.

**ყველაზე პატარა სახლი**

**ტორონტოში (კანადა) 172 ათას დოლარად იყიდება ყველაზე პატარა სახლი მსოფლიოში.** ის 1912 წელს ააგეს. 28 კვ.მ-იან შენობაში ერთი საძინებელი, პატარა სამზარეულო, სასტუმრო ოთახი და სააბაზანოა. უწინ სახლს ავტოფარეხად იყენებდნენ, ხოლო დროთა განმავლობასი ის საცხოვრებლად გადააკეთეს. ერთი ხანობა აქ ოთხსულიანი ოჯახი ცხოვრობდა და, მეზობლების თქმით, თავს ჩინებულად გრძნობდა.



23 — 29 ივნისი, 2010 წელი. №23 (66)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## ჰონკონგის ვირტუალური სასაფლაო



**ჰონკონგელებმა გარდაცვლილთათვის სპეციალური საიტი შექმნეს და მისამართზე — memorial.gov.hk განათავსეს. საიტზე გარდაცვლილი ჰონკონგელების შესახებ ინფორმაცია და მათი მოსაგონარი განთავსდება, ასევე — გარდაცვლილთა ფოტოები და ვიდეორგოლები. ამ ეტაპზე საიტზე მხოლოდ 100 ათასი მიცვალებულის ადგილია.**

საიტის საშუალებით ადამიანებს შეეძლებათ, ვირტუალურად მივიდნენ ახლობელი მიცვალებულის საფლავზე, მიუტანონ ყვავილები და ხილი.

საიტის შემქმნელები აცხადებენ, რომ ახალი ვებგვერდის საშუალებით ადამიანებს საშუალება ექნებათ, სადაც არ უნდა იყვნენ, ნებისმიერ დროს მისწერონ თავიანთ გარდაცვლილ ახლობელს. საიტი ჰონკონგის ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიქმნა. პირველადმა ხარჯებმა 130 ათას დოლარს გადააჭარბა, ყოველწლიურად კი საიტის მუშაობა დაახლოებით 100 ათასი დოლარი დაჯდება.

## ჰომოსექსუალების „მკურნალებს“ დასჯიან




**კატალონიის ჯანდაცვის სამმართველომ ბარსელონის იმ კლინიკის შემოწმება დაიწყო, რომელიც პაციენტებს ჰომოსექსუალიზმისაგან განკურნებას სთავაზობს. სათანადო მეთოდიკა ტაბიდაბოს კლინიკის პსიქიატრს ხოაკინ მუნიოსს შეუმუშავებია.**

მუნიოსი თავისი კლიენტების სექსუალური ორიენტაციის კორექტირებას სქესობრივი ლტოლვის დამაქვეითებელი ფსიქოთერაპიისა და პრეპარატების მეშვეობით ცდილობდა. მის კლიენტებს ძირითადად მღვდლების მიერ სამკურნალოდ გამწესებული ახალგაზრდა მამაკაცები წარმოადგენდნენ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ჰომოსექსუალიზმს არ განიხილავს დაავადებად, რომელიც სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. გარდა ამისა, ქვეყნის კანონმდებლობა იცავს სექსუალური უმცირესობების უფლებებს და ამგვარ მკურნალობას ეწინააღმდეგება. კლინიკას შემოწმების შემდეგ სერიოზული ჯარიმები ელის.

## გონიერი საცვლები

**სულ ცოტა ხანში ამერიკელი ჯარისკაცები მიხვდებიან, რომ მათი სიცოცხლე ქვედა საცვლებზეა დამოკიდებული. საქმე ისაა, რომ მეცნიერებმა ჯარისკაცებისათვის გამოიგონეს სპეციალური საცვლები, რომლის ქსოვილშიც ნახშირბადის ელექტროდებია ჩამონტაჟებული. ეს ელექტროდები ბიოსენსორების ფუნქციას ასრულებს — ამოწმებს სისხლის წნევას, პულსს და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პარამეტრებს.**

ინოვაციის ავტორი კალიფორნიის უნივერსიტეტის ნანოინჟინერი ჯოზეფ ვანი გახლავთ. მისი წყალობით შესაძლებელი გახდება, ჯარისკაცების ჭრილობებისა და სასიცოცხლო მაჩვენებლების გაკონტროლება მუდმივად, მაშინაც კი, როდესაც ისინი ბრძოლის ველზე იქნებიან. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება დაჭრილი ჯარისკაცების ადგილმდებარეობის უშეცდომოდ დადგენა და მათი ჭრილობების შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიღება.

ჭკვიანი საცვლები შესაძლოა შეიცავდეს გამაყუჩებელ საშუალებებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ორგანიზმში მოხვდება.

სავარაუდოდ, ჭკვიან ტრუსებს მალე სამოქალაქო ცხოვრებაშიც ფართოდ გამოიყენებენ, განსაკუთრებით ხანდაზმული ადამიანებისათვის, მათი გულის, ინსულტისწინა ნიშნების, წნევის, დიაბეტური მდგომარეობისა და სხვა მონაცემების საკონტროლებლად.

# ავღანეთი — ნატოს ნარკოტიკების ფაბრიკა და 100 ათასი მსხვერპლი წელიწადში



**9-10 ივნისს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი სახელწოდებით „ავღანური ნარკოწარმოება — მსოფლიო საზოგადოების გამოწვევა“. ღონისძიებაში მონაწილეობდა რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, რომელმაც აღნიშნა, რომ „უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ოპიატების წარმოება მსოფლიოში ორჯერ გაიზარდა. და დღეს, სამწუხაროდ, ოპიატების მთავარი მომწოდებელი სწორედ ავღანეთია“.**



მანამდე, 7 ივნისს, რუსეთის სახელმწიფო ნარკოკონტროლის ხელმძღვანელი ვიქტორ ივანოვი აცხადებდა, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მსოფლიოში ავღანური ჰეროინის მოხმარებისაგან გარდაცვლილთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა: **„ახალი ასწლეულის პირველ ათ წელიწადში ავღანური ნარკოტიკებისაგან მილიონზე მეტი ადამიანი მოკვდა, 16 მილიონზე მეტმა კი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გამოიმუშავა“. მხოლოდ რუსეთში ავღანურ ჰეროინს 2009 წელს 30 ათასი ადამიანი ემსხვერპლა.**

დაახლოებით ერთი თვის წინ რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით უჩვენეს დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ჰეროინი. სამხრეთის ქარი“, რომელიც სწორედ ავღანური ნარკოტიკების პრობლემას ეძღვნებოდა. მასში ციტირებული იყო გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულებათა სამმართველოს უფროსი ანტონიო მარიო კოსტა, რომელიც ამბობდა, რომ **ავღანური ნარკოტიკების გაყიდვების საერთო შემოსავალი წელიწადში 60 მილიარდ დოლარს აღწევს. ეს თანხა უკრაინის ორი წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ტოლია.**

**ავღანეთი მსოფლიო ოპიუმის ბაზრის 90 პროცენტს ამარაგებს, ის მისი უმთავრესი კომპონენტების — ჰეროინისა და ჰაშიშის მსოფლიოში მთავარი მომწოდებელია. ამ დროისათვის ეს ქვეყანა წელიწადში უფრო მეტ ჰეროინს აწარმოებს, ვიდრე ათი წლის წინ მთელი მსოფლიო აწარმოებდა.**

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ **აშშ-ის მიერ ავღანეთის ტერიტორიაზე 2001 წელს დაწყებულმა „მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლამ“ ეს ქვეყანა მსოფლიო მნიშვნელობის ნარკოტიკების მწარმოებელ ფაბრიკად აქცია.** და ჯერ კიდევ საკითხავია, რა უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსათვის — თალიბანის რელიგიური ფანატიკოსების რეჟიმი (რომელმაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ავღანურ ნარკოწარმოებას) თუ ავღანეთის ამჟამინდელი, ნატოს ხიშტებზე დაფუძნებული ხელისუფლება, რომლის მმართველობისასაც ნარკობარონების საქმიანობას ხელს არაფერი უშლის. **თუ შეწირული სიცოცხლეების რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ტერორისტები ბევრად უფრო ნაკლებსაშიშნი არიან, ვიდრე ნარკომოვაჭრეები.**

იმის მიხედვით, თუ როგორ აისახა ავღანეთის ამჟამინდელი მდგომარეობა მსოფლიო ტერორიზმის პრობლემაზე, ძნელი მისახვედრი არაა, რომ **ავღანელი ნარკოკარტელების მიერ მიღებული სუპერშემოსავლებიდან და იმავე ზემოხსენებული 60 მილიარდი დოლარიდან „ნარკოტიკული“ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი ავღანეთში, ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და მთელს დანარჩენ მსოფლიოშიც იმავე ტერორიზმის დასაფინანსებლად იხარჯება.**

ავღანეთი ნატოს პასუხისმგებლობის ზონაა. 2003 წლის 11 აგვისტოდან ალიანსმა საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა ავღანეთში უსაფრთხოების ხელშემწყობ საერთაშორისო ძალებზე (ISAF). უკვე ხუთი წელია, 2006 წლის ოქტომბრიდან ISAF-ი ვალდებულია, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოს უსაფრთხოება.

სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ მოსკოვი (ჯერჯერობით ხმამაღლა მხოლოდ ის აყენებს ავღანური ნარკოტიკების პრობლემას) ნარკოტიკების საკითხთან დაკავშირებით პრეტენზიებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უყენებს. მაგრამ, ერთი შეხედვით, რაც უნდა უცნაური იყოს, **ნატო ჩანასახოვან დონეზეც კი არ ებრძვის ავღანეთში ნარკოტიკების წარმოებას.**

**23 მაისს რუსეთის ნარკოკონტროლის სააგენტოს ხელმძღვანელმა ვიქტორ ივანოვმა განაცხადა, რომ თავის ამერიკელ კოლეგას ჯილ კერლიკოვსკის ავღანეთსა და შუა აზიაში მოქმედი ცხრა უმსხვილესი ნარკომოვაჭრის შესახებ ინფორმაცია გადასცა. „მე მას ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში მცხოვრები და ნარკოტიკების მთელი პარტიებით მოვაჭრე ცხრა ადამიანის სია გადავეცი“.**

**ივანოვმა აღნიშნა ისიც, რომ ეს წლეულს მათი მეოთხე შეხვედრა იყო და მან აშშ-ს უკვე გადასცა 25 სხვა ნარკომოვაჭრისა და ავღანეთის 175 ნარკოლაბორატორიის შესახებ დეტალური ინფორმაცია.** „ამ ლაბორატორიების განადგურება გადაუდებელი ამოცანაა, იმიტომ, რომ ეს უკვე დაწყობილი კარტელებია მტკიცე იერარქიითა და სტრუქტურით, ფინანსირების წყაროებითა და ნარკოტიკების წარმოების ტექნიკური აღჭურვილობით“, — აღნიშნა მან. იმის გათვალისწინებით, რომ ავღანელები მსოფლიოს მთელი ჰეროინის 95%-ს აწარმოებენ, ივანოვი თვლის, რომ ამ ლაბორატორიების განადგურება გაცილებით ეფექტური იქნება, ვიდრე უკვე ბაზარზე გატანილი საქონლის დევნა.

რუსეთი რეგულარულად გადასცემს დასავლეთის (კონკრეტულად კი ამერიკის) სპეცსამსახურებს აუცილებელ ინფორმაციას, მაგრამ რეაქცია ნულია. არადა, **ძნელი წარმოსადგენია, რომ მონაცემები, რომელთა მოპოვებაც რუსულმა სპეცსამსახურებმა შეძლეს, ათობით ნარკობარონისა და ასობით ნარკოლაბორატორიის შესახებ, მიუწვდომელი იყო ნატოს წევრი ქვეყნების, კონკრეტულად კი ამერიკის სპეცსამსახურებისათვის. ამ უკანასკნელთ ხომ თავად ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედების გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვთ.**

24 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ტელეეთერით განაცხადა: „ჯერჯერობით ოპიუმის ყაყაჩოს მინდვრების განადგურებასთან დაკავშირებით ზოგიერთ ევროპელ კოლეგასთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ“.

**მართლაც, ნატო არა მხოლოდ ნარკომწარმოებლებს არ ებრძვის და ნარკოლაბორატორიებს არ ანადგურებს, არამედ აბსოლუტურად არაფერს აკეთებს ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების გასანადგურებლად.** ჯერ კიდევ მარტის ბოლოს ივანოვისა და ნატოს წარმომადგენელთა შეხვედრისას ბრიუსელში ამ უკანასკნელებმა კატეგორიულად უარყვეს რუსეთის მხრიდან საამისო მოწოდებები. **ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, რომ ნარკოტიკების პრობლემა „უკიდურესი სიფრთხილით“ უნდა მოგვარდეს, რათა „ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად არ განეწყოს“. მისივე განცხადებით, ნატო ეთანხმება მოსაზრებას, რომ ავღანური ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლაა საჭირო, მაგრამ, როგორც მან ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, ნატო ვერ დაუშვებს, რომ „მსოფლიოში სიღარიბის მხრივ მეორე ქვეყნის მოსახლეობას შემოსავლის ერთადერთი წყარო მოესპოს და სანაცვლოდ რაიმე ალტერნატივა არ მიიღოს“.**

**ნატოს წარმომადგენელმა ფაქტიურად აღიარა, რომ ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება ალიანსის ნებართვით (თუ არა მფარველობით) ხორციელდება. როგორც ჩანს, ნარკოწარმოებისთვის პირდაპირი ან ირიბი გზით ხელის წაშველება შესაძლოა კეთილშობილურ საქმედაც კი ჩაითვალოს: საბრალო ავღანელებს სამსახური ექნებათ. და ნატოს სულ არ ადარდებს, რომ ავღანეთის სიღარიბესთან ბრძოლის ესოდენ საეჭვო მეთოდი სხვა ქვეყნების მოსახლეობებს ასეულ ათასობით სიცოცხლედ და მილიონობით დასახიჩრებულ ადამიანად უჯდებათ.**

**ნატოს ლოგიკით, თავისუფლად შეიძლება გამართლებულ იქნეს ქურდობის, ყაჩაღობის ან მკვლელობის ნებისმიერი შემთხვევა, თუ ეს დანაშაულის ჩამდენთათვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.**

ავღანეთის ნარკოლიდერობა ნებისმიერ შემთხვევაში ომის დამწყები აშშ-ისა და ქვეყანაში სიტუაციაზე პასუხისმგებელი ნატოს პრობლემაა. თუ ავღანეთმა მაინცადამაინც ოპიუმი უნდა მოიყვანოს და სხვა გამოსავალი არაა, მდიდარ დასავლეთს შეუძლია შეისყიდოს მისგან ეს ნედლეული და შემდეგ გაანადგუროს.

**ნარკობიზნესი, რაც სწორედ ნატოს პოზიციიდან გამომდინარე ყვავის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებული ავღანური ომის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლად იქცა. ჰეროინით ნაშოვნი ფული ოკუპაციური რეჟიმის შენარჩუნებას ხმარდება.**

თავისი ავღანური ათწლედის მანძილზე დასავლეთმა არ გააკეთა არაფერი, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, სამაგიეროდ, უხვად მიაყარა რჩევები დემოკრატიის მშენებლობასთან დაკავშირებით. აშშ-მა ოპიუმის ყაყაჩოს სანაცვლოდ ავღანეთს არაფერი შესთავაზა.

**იქნებ, ამგვარი სიტუაცია ნატოს აწყობს? „ავღანურ სიღატაკესთან ბრძოლის“ კეთილშობილურ ნიღაბქვეშ დასავლეთი ფაქტიურად XXI საუკუნის ოპიუმის ომს აწარმოებს.**



*2000.net.ua*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკისთვის ვალების გასტუმრება შეუძლებელია



**უამრავი ადამიანი აღშფოთებულია აშშ-ის ეროვნული ვალის უსწრაფესი ტემპით ზრდის გამო და ამ საკითხის გადაჭრას მოითხოვს. მათ არ სურთ, გაიგონ, რომ, აშშ-ის ამჟამინდელი ფინანსური სისტემის პირობებში, საკითხის მოგვარება, უბრალოდ, შეუძლებელია. მათემატიკური თვალსაზრისით, ამერიკის ხელისუფლებას ვალის გადახდის არანაირი საშუალება აღარ დარჩა. საქმე ისაა, რომ ამერიკის ხელისუფლებას უფრო მეტი ფული მართებს, ვიდრე ბუნებაში არსებობს. თუ ხელისუფლება დღესვე დაიწყებს და ამერიკის ყველა ბანკს, ყველა ბიზნესსა და გადასახადების ყველა გადამხდელს უკანასკნელ ცენტამდე გამოწურავს ფულს, ვალებს მაინც ვერ დაფარავს. ასეც რომ მოიქცეს, ეს ამერიკის აღსასრული იქნება, ვინაიდან აღარავის დარჩება სახსრები იმისათვის, რომ რაიმე იყიდოს ან გაყიდოს.**

მაინც, ამ შემთხვევაშიც, გაღატაკებული ხალხის ხელისუფლება ისევ ყურებამდე ვალებში ჩაეფლობოდა.

**რატომ „არ რთავს“ ხელისუფლება ფულის საბეჭდ მანქანას, არ ბეჭდავს საჭირო რაოდენობის კუპიურებს და არ ისტუმრებს ვალებს?**

**ერთი უმარტივესი მიზეზის გამო — სისტემა ასე არ მუშაობს.**

**იმისათვის, რომ სისტემაში მეტი დოლარი გაუშვას, ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი ვალის აღება სჭირდება.**

**ამერიკულ ვალუტას ამერიკის ხელისუფლება კი არა, ფედერალური რეზერვი გამოსცემს. ეს არის კერძო ბანკი, რომელსაც მოგების მიღების მიზნით საერთაშორისო ბანკირების ძლევამოსილი ჯგუფი ფლობს და მართავს.**

თუ ერთდოლარიან კუპიურას დააკვირდებით, ზედა მხარეს აუცილებლად ამოიკითხავთ წარწერას „ფედერალური რეზერვის ბანკნოტი“.

ის ფედერალურ რეზერვს ეკუთვნის.

**ამჟამინდელი სისტემის პირობებში აშშ-ის ხელისუფლებას, უბრალოდ, არ შეუძლია ფული დაბეჭდოს. მან ფული ფედერალური რეზერვისაგან უნდა მიიღოს. ამიტომ, როდესაც ხელისუფლებას კვლავ სესხება სჭირდება, და ბოლო დროს მას ეს ძალიან ხშირად სჭირდება, მიდის ფედერალურ რეზერვში და მის კუთვნილ ბანკნოტებს ითხოვს.**

ფედერალური რეზერვიც თანხმდება და თავის მწვანე ქაღალდებს ამერიკის სახაზინო ვალდებულებების ვარდისფერ ქაღალდებში უცვლის. შემდეგ კი ვარდისფერი ქაღალდებით ვაჭრობას იწყებს ან თავისთვის იტოვებს.

აი, ასე იღებს ამერიკის ხელისუფლება ბრუნვაში გასაშვებ უფრო მეტ ფულს, მაგრამ სანაცვლოდ უფრო ღრმად ეფლობა ვალებში და უფრო დიდი პროცენტები ეკისრება.

**ამგვარი ქმედების ყოველ ჯერზე, ერთის მხრივ, სახელმწიფო ვალი მატულობს; მეორეს მხრივ, კი მასზე პროცენტები იზრდება. ახლა აშშ-ის სახელმწიფო ვალი დაახლოებით 13 ტრილიონია, ზუსტი ციფრის დასახელება, უბრალოდ, შეუძლებელია — ის ფაქტიურად ყოველდღიურად მატულობს.**

ამჟამად რამდენია ფული აშშ-ში?

ამის განსაზღვრის მრავალი მეთოდი არსებობს.

ფულადი მასა M0 არის ბრუნვაში გაშვებული ნაღდი ფული (ბანკნოტები და მონეტები), ანუ ბანკებს გარეთ მოძრავი ფული. ამ მომენტისთვის აშშ მის მოცულობას არ ახმაურებს.

ფულადი მასა M1 მოიცავს გადახდის ყველა საშუალებას M0-დან და მთელ რიგ საბანკო ანგარიშსა და მოგზაურთა ჩეკებზე არსებულ თანხებს. ფედერალური რეზერვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 2009 წლის დეკემბერში 1,7 ტრილიონ დოლარს უტოლდებოდა. მაგრამ, როგორც ახლა დარწმუნდებით, სინამდვილეში ეს ფული მთლიანად არ არსებობს.

ფულადი მასა M2 მთლიანად მოიცავს M1-ის ფულად მასას და ფულის ბაზრის შემნახველ ანგარიშებს, მოკლევადიანი ვალდებულებების საინვესტიციო ფონდების ანგარიშებს. ფედერალური რეზერვის თანახმად, ეს მაჩვენებელი 2009 წლის დეკემბერში 8,5 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. მაგრამ, როგორც ახლა დარწმუნდებით, სინამდვილეში ეს ფულიც მთლიანად არ არსებობს.

ფულადი მასა M3 მთლიანად მოიცავს M2-ის ფულად მასას და მთელ დანარჩენ სადეპოზიტო სერთიფიკატებს, ევროდოლარის სერთიფიკატებსა და შეთანხმებებს უკან გამოსყიდვის პირობით გაყიდვებზე. ფედერალური რეზერვი M3-ს აღარ აკონტროლებს, მაგრამ სხვა წყაროების ცნობით, მისი მოცულობა 14 ტრილიონს უახლოვდება. და ისევ, როგორც ახლა დარწმუნდებით, სინამდვილეში ეს ფულიც მთლიანად არ არსებობს.

**რატომ არ არსებობს ეს ფული სინამდვილეში?**

**იმიტომ, რომ აშშ-ის ფინანსური სისტემა ეფუძნება საბანკო ოპერაციების ნაწილობრივ რეზერვებზე წარმოების პრინციპს.**

**თუ ამერიკის ბანკში 100 დოლარს დადებთ ანგარიშზე, ბანკი ამ თანხის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს დატოვებს ადგილზე, დანარჩენს კი გაასესხებს. შემდეგ, როცა მსესხებელი ამ ფულს ისევ ბანკში შეიტანს, ბანკი მის კიდევ უფრო მეტ ნაწილს გაასესხებს სხვაზე. ამრიგად, ფულის რაოდენობა მრავალჯერ მატულობს. სინამდვილეში მხოლოდ ერთი 100 დოლარი არსებობს. სისტემა მხოლოდ იმის წყალობით არ ინგრევა, რომ ამერიკელები ერთდროულად არ გარბიან ბანკში და თავიანთ ფულს არ ითხოვენ.**

ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი ნაწილობრივი რეზერვების საბანკო ოპერაციებს ასე ხსნის:

„თუ აუცილებელი რეზერვის ნორმა შეადგენს, დავუშვათ, 10%-ს, ბანკს, რომელიც მიიღებს 100-დოლარიან ანაბარს, შეუძლია ამ თანხიდან 90 დოლარი გაასესხოს. თუ კრედიტის მიმღები გამოუწერს ჩეკს ადამიანს, ვინც ბანკში 90 დოლარს დადებს ანგარიშზე, ბანკს ამ თანხიდან 81 დოლარის გასესხება შეეძლება. თუ ჯაჭვს გავაგრძელებთ, 100 დოლარიანი ანაბარი ბანკს შეუძლია მაქსიმუმ 1000 დოლარამდე გაზარდოს.

**ამ ფულის დიდი ნაწილი, უბრალოდ, ჰაერია.**

ფაქტიურად, ბანკების უმეტესობას შემნახველი დეპოზიტებისთვის, დეპოზიტური სერთიფიკატებისა და სადეპოზიტო ანგარიშების გარკვეული სახეობებისთის აუცილებელი რეზერვის რაიმე ნორმები არ გააჩნია. თავდაპირველად აუცილებელი რეზერვის ნორმები მოქმედებდა მხოლოდ ეგრეთ წოდებული ოპერაციული დეპოზიტებისათვის, რაც სინამდვილეში იგივეა, რაც მიმდინარე ანგარიშები.

**სიმართლე ისაა, რომ დღეს ბანკებს მათ მიერ დეპონირებადი თანხების ბევრად უფრო მეტად გაზრდა შეუძლიათ, ვიდრე ოდესმე. მაგრამ მთელი ეს გაბერილი თანხები მხოლოდ ქაღალდზეა, სინამდვილეში ისინი არ არსებობს.**

**ყველაზე უხეში გათვლებითაც კი ფულადი მასები (ს2 და ს3) ბევრად აჭარბებს რეალურ ფულს, რომელიც სისტემაშია.**

**ამიტომ, ამერიკის ხელისუფლებამ უკლებლივ ყველა ბანკისგან, ბიზნესისა და მოქალაქისგან უკანასკნელ ცენტამდე რომ ამოხაპოს ფული, 14 ტრილიონი დოლარი კი არა (ს3), 8,5 ტრილიონი დოლარიც (ს2) ვერ მოგროვდება, რადგან ეს თანხები დათვლილია ნაწილობრივი რეზერვების საბანკო ოპერაციებზე დაყრდნობით.**

ამრიგად, სინამდვილეში აშშ-ში ახლა მდგომარეობა შემდეგნაირია:

**ყველა ბანკის, ყველა ბიზნესისა და ყველა მოქალაქის მთელი ფული რომ შეგროვდეს და ფედერალურ ხელისუფლებას გაეგზავნოს, ეს ფული არ იქნება საკმარისი ნაციონალური ვალის გასასტუმრებლად. უფრო მეტი ფულის შექმნის ერთადერთი საშუალება კიდევ უფრო მეტ ვალში ჩაფლობაა, რაც მხოლოდ დაამძიმებს მდგომარეობას.**

**აი, ამისთვის იქმნებოდა ფედერალური სარეზერვო სისტემა — რომ ნელ-ნელა გამოეზიდა ამერიკელი ხალხის უზარმაზარი ეროვნული სიმდიდრე და საერთაშორისო ბანკირების ელიტისათვის გადაებარებინა.**

**ეს არის თამაში, რომლის წესები ისეა აწყობილი, რომ ამერიკის ხელისუფლებას ამ თამაშის მოგების მინიმალური შანსიც კი არ აქვს. როგორც კი ის ქმნის მეტ ფულს სესხების გზით (სხვა გზა არ აქვს), მაშინვე ეზრდება ვალები პროცენტების გამო.**

**თუ ვალი უფრო მეტია, ვიდრე მთელი ფული, რაც კი გამოუცია მთავრობას, ის ამ ვალს ვერასდროს გადაიხდის.**

**ეს ნიშნავს, რომ ამერიკის ხელისუფლება უსასრულოდ ვალებში იქნება ჩაფლული, ვიდრე ეს სისტემა იარსებებს.**

ამგვარი სისტემაც სწორედ იმისთვის შეიქმნა თავის დროზე, რომ მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის ხელისუფლება ჩაფლულიყო რაც შეიძლება დიდ ვალში, რომლიდან ამოსვლაც მათემატიკური გათვლების საფუძველზე ცალსახად შეუძლებელია.

**პრობლემას ეშველებოდა, ამერიკის ხელისუფლება კონსტიტუციის შესაბამისად რომ მოქმედებდეს და ამერიკული ვალუტის გამოშვება ამერიკის კონგრესის პრეროგატივა იყოს, როგორც ეს შტატების კონსტიტუციაში წერია და არა — ფედერალური რეზერვისა.**

**სამწუხაროდ, ვაშინგტონის ამჟამინდელი პოლიტიკა ამისკენ არ მიდის. ახლა ამერიკის ხელისუფლებას ერთადერთი რამ შეუძლია: განაცხადოს, რომ მათემატიკური გათვლების საფუძველზე მის მიერ ნასესხები ფულის გადახდა გამორიცხულია და ამ საქმეზე საერთოდ აიღოს ხელი — უარი თქვას ვალების გასტუმრებაზე.**

*The Economic Collapse*
*perevodika.ru*

## საშიში მობილურები

**მეცნიერებმა მობილური ტელეფონების მავნეობის თაობაზე შოკისმომგვრელი დასკვნები გააკეთეს. როგორც ადრე გვარწმუნებდნენ, მობილური ტელეფონები მხოლოდ 10%-ით ზრდის სიმსივნით დაავადების ალბათობას, ახალმა კვლევებმა კი ცხადყო, რომ სინამდვილეში რისკი 500%-ით იზრდება.**

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ, თუ უახლოეს მომავალში მობილური ტელეფონების ექსპლოატაციის კულტურა არ შეიცვლება, კაცობრიობას თავის ტვინის სიმსივნის ეპიდემია ელის.

ამ დრომდე აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ექვსი მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა, მათი შედეგების მიხედვით მობილურებს ხან საშიშად აცხადებდნენ, ხანაც ყველა ბრალდებას უხსნიდნენ. ახალ კვლევაში ყველა წინა ტესტირების შედეგია გათვალისწინებული. ერთ-ერთი ასეთი კვლევა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჩაატარა, ის ათი წლის მანძილზე მიმდინარეობდა მსოფლიოს 13 ქვეყანაში და 13 ათასი ადამიანი მოიცვა. ამ კვლევის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც ბევრს საუბრობენ მობილურ ტელეფონზე, 50%-ით ხშირად ავადდებიან ტვინის სიმსივნით. ეს მონაცემები ახალმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა.



## ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ვატიკანში

**ვატიკანში ამერიკის ელჩის რეზიდენციის დაცვის სამსახურის ერთდროულად სამმა თანამშრომელმა ცაზე უცნაური მფრინავი ობიექტი დაინახა. მობილური ტელეფონებით გადაღებაც მოასწრეს. ვიდეო რამდენიმე ტელეარხმა აჩვენა, გაზეთებმა რეპორტაჟები დაბეჭდეს, პოლიციამ კი გამოძიება დაიწყო. ერთი სიტყვით, ამოუცნობი მფრინავი ობიექტის ვიზიტს მთელი იტალია დიდი სერიოზულობით მოეკიდა, მათ შორის საჰაერო სამიზნეების ამოცნობის სამხედრო სპეციალისტებიც.**



ჯერ კიდევ 7 ივნისს, ღამის ოთხ საათზე წმიდა პეტრეს ტაძრის თავზე სამი კაშკაშა ბურთი დაეკიდა. მოგვიანებით ბურთებმა მანევრირება და სიმაღლის ცვლა დაიწყეს, შემდეგ კი საერთოდ გაქრნენ.

ბურთები სინქრონულად მოძრაობდა, მაგრამ სამხედროები ვერ ამბობენ, რომ ეს სამკუთხედის ფორმის ერთი კონსტრუქცია იყო. სამაგიეროდ, ირწმუნებიან, რომ, რაც ნახეს, დედამიწაზე ცნობილ არც ერთ მფრინავ ობიექტს არ ჰგავდა. იტალიელი სამხედროები 1978 წლიდან ხედავენ ვატიკანში ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს, ყოველ შემთხვევაში, თანმიმდევრული აღრიცხვა, რომელიც წელიწადში 50-მდე ვიზიტს ითვლის, ამ დროიდან წარმოებს. უფოლოგების მტკიცებით, ვატიკანს უცხოპლანეტელები ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 214 წლიდან სტუმრობენ.

## კუბელი ბავშვი 13 800 ვოლტს გადაურჩა



**კუბაში, კამაგუეის პროვინციის პედიატრიული ჰოსპიტლის ექიმებმა 10 წლის ოსდელვის პერეს სანჩესი, რომელსაც 13800 ვოლტის დენმა დაარტყა, სასწაულებრივად გადაარჩინეს. როდესაც საავადმყოფოში მიიყვანეს, ბავშვი უძლიერეს შოკურ მდგომარეობაში იყო და ხელზე ღრმა დამწვრობები აღენიშნებოდა.**

ბავშვმა საავადმყოფოში ორ თვეზე მეტი გაატარა. მარცხენა ხელი მოაჭრეს, რადგან დამწვრობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხელისგან, ფაქტობრივად, აღარაფერი რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ეს მსოფლიოში უნიკალურ შემთხვევად ჩაითვალა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი დენის დარტყმით მიღებული შოკის შემდეგ მრავალი ადამიანი გადარჩენილა, ამ შემთხვევებში შეუძლებელი იყო დენის ძაბვის დადგენა.

# ავღანეთში რა გინდოდა, თუ კობალტი არ გინდოდა?!



**მრავალი წლის განმავლობაში მსოფლიო საზოგადოებრიობა დარწმუნებული იყო, რომ ამერიკა ავღანეთში საერთაშორისო ტერორიზმს ებრძოდა და ებრძვის და მე-12 საუკუნეში ჩარჩენილი ამ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებითა და გადემოკრატებით იყო დაინტერესებული.**

## სად არის დამარხული ოქრო, ლითიუმი, ბერილიუმი და... ძაღლის თავი?

2001 წლიდან ავღანეთში 1000-ზე მეტი ამერიკელი და კოალიციის წარმომადგენელი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული. ერაყის შემთხვევაში, ომის მოწინააღმდეგეებს საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად დიდი შრომა და ჯაფა არ დასჭირვებიათ — მყისიერად შეიქმნა ლოზუნგი „სისხლი — ნავთობის სანაცვლოდ“, მაგრამ კარგა ხანს ვერავინ ვერაფერი დაუპირისპირა ავღანეთში წარმოებულ სამხედრო კამპანიას — როგორ უნდა დაემტკიცებინა ვინმეს, რომ აშშ ავღანეთში არა მხოლოდ ტერორიზმთან საბრძოლველად შევიდა? ერთი შეხედვით — აბა, მეტი რისთვის?

თუ რისთვის, ეს უკვე სულ რამდენიმე დღის წინათ „ნიუ იორკ თაიმსმა“ ამცნო მთელ მსოფლიოს, დაეყრდნო რა პენტაგონში მომზადებულ მოხსენებით ბარათს.

როგორც ცნობილი ხდება, **ავღანეთში აღმოჩენილია ოქროსა და სასარგებლო წიაღისეულის ისეთი მარაგი, რომ რამდენიმე ერაყს გადაწონის, ერთად აღებულს.** ამ საბადოებს შეუძლია ავღანეთი წიაღისეულის ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორად აქციოს მსოფლიოში. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ აღმოჩენილი **წიაღისეულის საორიენტაციო ღირებულება ერთ ტრილიონ დოლარს აღემატება**. და ეს მხოლოდ საორიენტაციო ციფრია.

**ავღანეთში ნაპოვნია სპილენძი, ოქრო, კობალტი და ლითიუმი. პენტაგონის ბარათში ნათქვამია, რომ ავღანეთს აქვს შანსი, „ლითიუმიან საუდის არაბეთად“ გადაიქცეს.**

**არასპეციალისტებისთვის აღვნიშნავთ – ლითიუმი საკვანძო მეტალია ნებისმიერი ტიპის აკუმულატორების წარმოებისთვის – მობილური ტელეფონის ბატარეებით დაწყებული, ქარხნების ენერგომომარაგების სისტემებით დამთავრებული.**

ავღანეთში ნაპოვნ სასარგებლო წიაღისეულს შორისაა ისეთი საბადოები, რომელთა შესახებაც ამერიკული გამოცემა არ წერს და დუმილს ამჯობინებს. სტრატეგიული ნედლეულია და იმიტომ.

ქაბულთან ახლოს აღმოჩენილია მარგანეცი, ბადახშანთან – კალა, ტულაკსა და ფარინჯალში – ტყვია და თუთია. მდინარე ლოგარის ველზე ნაპოვნია ქრომი, ხოლო ნანგარხარის პროვინციაში – ბერილიუმის საბადოები. ბერილიუმი უაღრესად მნიშვნელოვანია ატომურ ენერგეტიკაში, ასევე, აეროკოსმოსური ტექნიკის, სითბური ეკრანებისა და დამიზნების სისტემების შექმნაში. ბერილიუმი გამოიყენება რაკეტებისა და თვითმფრინავების ძრავების კონსტრუქციის მასალებში და ატომურ ტექნიკაში.

**ნაპოვნია, ასევე, დიდი რაოდენობით ცერიუმი. ცერიუმიც ატომურ ენერგეტიკაში გამოიყენება.**

ალბათ, შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასება ავღანეთში აღმოჩენილი საბადოებისა. ამ წიაღისეულს უდიდესი მნიშვნელობა აქვს განვითარების უმდაბლეს დონეზე მყოფი ავღანეთის ფეხზე დასაყენებლად, რომლის მოსახლეობის შემოსავლის ერთადერთ წყაროს ოპიუმის წარმოება წარმოადგენს. დანარჩენი მსოფლიოსთვის კი, ბოლოს და ბოლოს, პასუხი გაეცა უმნიშვნელოვანეს შეკითხვას – რისთვის ომობს ამერიკა ავღანეთში?

**სხვათაშორის, საყურადღებოა ამ საბადოების აღმოჩენის ისტორიაც. ამერიკელები აცხადებენ, რომ ავღანეთში შესვლის შემდეგ ამ ქვეყნის გეოლოგიური კომიტეტის ბიბლიოთეკაში (საოცარია, მაგრამ ასეთიც არსებობს თურმე) ძველი რუკები და მონაცემები აღმოაჩინეს. მალე მათ შეიტყვეს, რომ ეს მონაცემები საბჭოთა სპეციალისტების მიერ იყო მოპოვებულ-შეგროვებული გასული საუკუნის 80-იან წლებში, საბჭოეთის მიერ ავღანეთის ოკუპაციის პერიოდში. მაგრამ ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის ჯარების გასვლის შემდეგ ეს ინფორმაცია დავიწყებას მიეცა. შეერთებული შტატების გეოლოგიური კომიტეტი ძველი რუსული რუკებით „შეიარაღდა“, საქმეში მაღალგანვითარებული საძიებო ტექნიკა ჩართო და დანარჩენი უკვე, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.**

ეს ვერსია ცოტა არ იყოს და ღიმილსაც იწვევს. „ნიუ იორკ თაიმსი“ აშკარად ცდილობს, მსოფლიო დაარწმუნოს, რომ ამერიკელებს ავღანეთში შესვლამდე წარმოდგენა არ ჰქონდათ ასეთი მაშტაბის საბადოების არსებობის შესახებ. მართალია, ეს მხოლოდ ვერსიაა, მაგრამ მაინც ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამერიკელები სულ სხვა მიზეზითა და მიზნით შევიდნენ ავღანეთში და „შემთხვევით წამოჰკრეს ფეხი“ ტრილიონი დოლარის ღირებულების საბადოებს.

**სხვათაშორის, საუბრობენ იმის შესახებაც, რომ, რომ არა თავის დროზე ამერიკელთა კატასტროფული სიბეცე, მოკავშირედ ავღანეთის ყველაზე ჩამორჩენილი და ფანატიკური ტომის – თალიბების დაყენება, მათი შეიარაღება-გაწვრთნა და საბჭოეთის განდევნა, დღეს მსოფლიოში სულ სხვა ვითარება იქნებოდა – ამ 30 წლის მანძილზე ავღანეთში, თალიბების თარეშის, ქაოსისა და ანარქიის ნაცვლად, თუნდაც ჩრდილოეთ კორეასავით კომუნისტური მმართველობა რომ ყოფილიყო, ეს საბადოებიც გაცილებით ადრე იქნებოდა აღმოჩენილი, ცხოვრების დონეც — უფრო მაღალი და მსოფლიოს ავღანეთიდან საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეც აღარ დაემუქრებოდა. აღარც მსოფლიო ნარკობიზნესი იქნებოდა საშვილიშვილოდ მომარაგებული ავღანური ოპიუმით – დღეს რომც ამოიძირკვოს მთელი ავღანური „ნარკომრეწველობა“, უკვე არსებული მარაგები კიდევ ორისამი წლით უზრუნველყოფს მსოფლიო მოთხოვნილებას ჰეროინზე.**

ვნახოთ, როგორ შეცვლის ავღანეთის ახალი „სტატუსი“ იქ მიმდინარე საომარი მოქმედებების სურათს.

**სალვადორ დვალი**


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




საქართველო ESTUMRET ჩვენს საიტს

**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net